

სეპეა ქართული



თავისუფლება



გეგმენი
კომედი
სეპეა

სახელმწიფო გამომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი — 1962

3. ბერძნის
კლასიციზმისა და უნივერსალიზმის

პეტრე ქავთარაძე

პეტრე ივანეს ძე ქავთარაძე ქართველი ჰუმანიტარული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნოდა. ის დაიბადა სოფელ ზოვრეთში 1883 წელს. პირველდაწყებითი განათლება თავისი დედმამის ოჯახში მიიღო, რომელიც საკმაოდ შეძლებულად და კულტურულად ითვლებოდა ზემო იმერეთში. თორმეტი წლის ასაკში ის შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც წარმატებით დაასრულა 1903 წელს.

ქერ კიდევე გიმნაზიაში ყოფნის დროს პეტრე ქავთარაძემ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ქართული და რუსული ლიტერატურისა და ძველი კლასიკური ენებისადმი. თუმცა ქართულ ენას იმ დროს გიმნაზიაში არ ასწავლიდნენ, მაგრამ მან სრულყოფილად შეისწავლა მშობლიური ენა და ლიტერატურა. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ხელნაწერ ჟურნალ „სხივში“, რომელსაც პერიოდულად აქვეყნებდა ქუთაისის გიმნაზიის მოწინავე, პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა. ის ერთ-ერთი მოთავე და აქტიური მონაწილე იყო აგრეთვე იმ არალეგალური კრებებისა, რომელთაც ქუთაისის, თბილისისა და ბათუმის რევოლუციურად განწყობილი მოწაფეები მართავდნენ. ამ კრებებზე პეტრე ქავთარაძე ამჟღავნებდა დიდ ცოდნას და მკვევრმეტყველებას.

გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ პეტრე ქავთარაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს ის დაქორწინდა: მან ცოლად შეირთო ცნობილი პედაგოგის ილარიონ ლორთქიფანიძის ასული ანა, რომელიც იმავე პეტერბურგში სწავლობდა ქალთა უმაღლეს სამედიცინო ინსტიტუტში. ეს ახალგაზრდა ოჯახი პატარა კულტურულ ცენტრად და თავშესაყრელ ადგილად იქცა მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისათვის. გამათავისუფლებელი მოძრაობის მღელვარე წლებში აქ ხში-

რად ცხარე კამათი იმართებოდა იმ საკითხების გარშემო, რომლებიც დღის წესრიგში იდგა ქართველი ხალხისა და მისი ახალი თაობის წინაშე. თავისი სიმპათიებით პეტრე ქავთარაძე უფრო მემარცხენე რევოლუციური იდეოლოგიისკენ იხრებოდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მას, უწინარეს ყოვლისა. კულტურის საკითხები აინტერესებდა.

პეტერბურგში ყოფნის დროს პეტრე ქავთარაძემ გააღრმავა თავისი ცოდნა ბერძნული და ლათინური ენებისა და დაიწყო მასალების შეგროვება და დამუშავება რუსულ-ქართული ლექსიკონისა და იურიდიული ტერმინოლოგიისათვის. პეტრე ქავთარაძის მრავალმხრივი გონებრივი ინტერესისთვის დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი: როდესაც პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ გადაწყვიტა ქართულად დაედგა სუმბათაშვილის „ღალატი“, პეტრე ქავთარაძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ დადგმაში და წარმატებით შეასრულა ოთარბეგის როლი. საერთოდ მას ყოველთვის აინტერესებდა ქართული თეატრის ბედი, ყოველთვის იცავდა კლასიკური სკოლის ტრადიციებს და ცხარედ ებრძოდა ყოველგვარ მოდერნისტულ გადახრებს.


უნივერსიტეტის კურსის დასრულების და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პეტრე ქავთარაძე ნაფიც დამცველთა კოლეგიაში ჩაეწერა. ის სასამართლოში ხშირად გამოდიოდა დიდ პროცესებზე, სადაც საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა თავისი ცოდნით, რკინისებური ლოგიკით და ბრწყინვალე ორატორული ნიჭით. მისი ბინა (ახლანდელ ძერეინსკის ქუჩაზე) გადაიქცა ნამდვილ ლიტერატურულ სალონად, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მენშევიკების ბატონობის დროს პეტრე ქავთარაძე ოპოზიციაში უდგა მთავრობას და პავლე საყვარელიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა, ეგრეთ წოდებული, „ალიონის“ ჯგუფს.

პეტრე ქავთარაძის ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ მისი უნივერსიტეტში ყოფნის დროს დაიწყო და განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიშალა. მან ბერძნული და ლათინური ენებიდან გადმოთარგმნა სოფოკლეს ტრაგედიები „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“, პლატონის „სოკრატეს აპოლოგია“ და „კრიტონი“, აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწყვეტი ციკერონის სიტყვებიდან, სალუსტიუსის და ოვიდიუსის ნაწერებიდან და სხვ.

როდესაც მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად 1933 წელს შედგა გამოჩენილ მეცნიერთა და ლიტერატორთა კოლექტივი ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად, რედაქტორად პეტრე ქავთარაძე დაინიშნა. მან გაუკეთა რედაქცია მთელს ლექსიკურ მასალას და მანვე იკისრა ფრაზეოლოგიის და მაგალითების დამატება. ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც დიდ ნაბიჯს წარმოადგენს პროფ. დ. ჩუბინიშვილის ცნობილი ლექსიკონის შემდეგ, გამოვიდა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში 1937 წელს. ესაა მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლის აგებაში განსვენებულ პეტრე ქავთარაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის და რომელსაც გვერდს ვერ აუხვევს ქართული ლექსიკოგრაფიის შემდგომი განვითარება.

გერონტი ქეჭოძე

ᲛᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ



ᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ

☐ სოქოლა ☐

ოიდიპოს მეფე

მოქმედი პირნი

ოიდიპოსი	ქურუმი
კრეონი	თებელ მოხუცთა ქორი
იოკასტე	ტირეზია
მომბე	მწყემსი
შულტა	

ოიდიპოსი

ო, ყრმანო, ძეელის კადმოსის შვილნო,
რისთვის მოსულხართ ჩემის კარის წინ
და რას მავედრით შტოებით ხელში?
გუნდრუკის კვამლი ნისლავს ქალაქსა,
ყველგან გაისმის გლოვის ხმა, ზარი.
არ მსურს ვუსმინო სხვა მოამბეთა,
თვით თქვენ მითხარით, — სახელოვანი
თქვენ გთხოვსთ ოიდიპოს, ყველგან ცნობილი.
მამ სთქვი, მოხუცო, — რადგან შეგშვენის
შენ ლაპარაკი ხალხის მაგიერ, —
რამ მოგიყვანათ თქვენ ჩემს წინაშე:
შიშმა თუ ტანჯვამ? მსურს ყველაფერში
შემწედ მიგულვოთ. გულქვა მიწოდეთ,
თქვენი ვედრება თუ არ ვისმინო!

ქ უ რ უ მ ი

ო, მბრძანებლო ჩემის ქვეყნისა,
ხედავ, შენს ბომონს გარე ეუსხედვართ
დიდი-პატარა: აგერ ყრმა ჩვილი,
აგერ მოხუცი წელში მოხრილი,
მეც ზევსის ერთი ბერი ქურუმი
და ეს ქაბუენი, მთხრობლად რჩეულნი.
და მთელი ხალხიც შტოებით ხელში
იქ მოედნებზე დაჯარებულა,
გარს ახვევია პალას ტაძართა
და ისმენოსის საკურთხეველსა.

თვით ხედავ, ქალაქს საშინელი რამ
ბედი მოელის—სისხლის ნაკადმა
ლამის წალეკოს, მიწის ნაყოფი
მოსპო, გააქრო, მინდვრათ ნახირთა
მუსრი გაავლო, ყრმანი მოსწყვიტა
დედათ საშოში!.. ღმერთი ცეცხლისა,
ჭირი საზარი, აოხრებს ქალაქს,
კადმოსის სახლსა და ჰაიდესი
კვენესა-ტირილსა გარემოუცავს.

შენ მოგაშურეთ არა იმიტომ,
ღმერთად მიგვაჩნდე, ღმერთს გადარებდეთ;
მაგრამ კაცთ შორის შენ პირველი ხარ
ცვალებად ბედთან გასამკლავებლად.
მოხვედ რა კადმოსს, შენ მოსპე ხარკი,
რასაც ვაძლევედით სასტიკ მგოსანსა.
კაცთ დაუხმარად, ღვთის შთაგონებით
შენ დაგვიბრუნე ბედნიერება
ასე ბჭობს ხალხი. ახლაც, მძლეთა მძლევ,
შენ გევედრებით, კვლავ ხსნა გვიჩვენე.
ღვთით ან კაცთაგან გეცოდინება,
ჭირგამოვლილთა ვაუკაცთა ბჭობა,
ვიცი, წინდია ბედნიერების.
ნულა აყოენებ, სწორუპოვარო,
იხსენ ქალაქი წარსულ ღვაწლისთვის
მხსნელად გთვლის ხალხი დე, მოგონებას
შენის უფლების ნუ მოგვიშხამავს

ამ ჭირში ყოფნა! და ვით მას ჟამსა
ბედი გვარგუნე, ახლაცა გვედრებთ,
გვეყავი მხსნელად. და თუ გსურს კვლავაც
ფლობდე ქვეყანას, უმჯობესია
ხალხსა ეუფლო, ვიდრე ნაოხარს,
პარტახსა მიწას: არად ღირს ციხე,
გინა ხომალდი, ცალიერქმნილი,
უკეთუ ხალხი შიგ აღარ ცხოვრობს!

ო ი დ ი პ ო ს ი

საბრალო შეილნო! მე ყველა ვუწყი,
რასაც მავედრით, ვიცი, სასტიკად
თქვენ იტანჯებით, მაგრამ ვერც ერთის
ტანჯვა ჩემს ტანჯვას ვერ შეედრება.
თქვენ სადარდელად თქვენი თავი გყავსთ,
მე კი — ქალაქი და თქვენ ყველანი.
არა ძილში მყოფს თქვენ მომისწარით, —
მერწმუნეთ, ბევრი ცრემლი მიღვრია,
ბევრი სიმწარეც მიგემებია
იქვებით დევნილს. ერთადერთი გზა
ვპოვე სახსნელი და მას მივმართე.
პითონის ტაძრად კრეონ წარგზავნე,
რათა შეჭკითხოს მენოიკეს ძემ
შუქმფინარ ღმერთსა, რა მოვიქმედო,
რა აღთქმა დავდვა, რო ხალხი ვიხსნა?
მაგრამ კრეონსა დღესაც ვერ ვხედავთ,
თუმცა დრო არის დაბრუნებისა.
ხოლო როდესაც პასუხს მოგვიტანს,
ბოროტად მრაცხეთ, თუკი არ სრულეყო
გამომიცხადებს რასაცა ღმერთი.

ქ უ რ უ მ ი

ეგ კარგი გვითხარ: ეს არის მამცნეს —
კრეონი უკვე გვიახლოვდება.

ო ი დ ი პ ო ს ი

დიდო აპოლო! ნეტა მის მოსვლას
ჩვენი ბედი, ხსნა თან მოჰყვებოდეს!

ქ უ რ უ მ ი

ეტყობა ფრიად მზიარულია —
თავდადაფნული გვიახლოვდება.

ო ი დ ი პ ო ს ი

ეხლავ გავიგებთ. მე ხმას მივაწვდენ
ბატონო ჩემო, ჩემო ცოლისძმავ,
მენოიკეს ძევ, რა ამბავს იტყვი?

კ რ ე ო ნ ი

სასიხარულოს, რადგან თვით ტანჯვას
ლიმით შეეხვდები, თუ ბედს გვარგუნებს

ო ი დ ი პ ო ს ი

გარკვევით გვითხარ. შენი სიტყვები
მე არც მამხნევებს და არც მგვრის შიშსა.

კ რ ე ო ნ ი

თუ გსურს აქ გეტყვი ხალხის წინაშე,
მზად ვარ აგრეთვე შეგყვე დარბაზში.

ო ი დ ი პ ო ს ი

აქ სთქვი, ამათთვის უფრორე ვზრუნავ,
ვიდრე ტანჯულის ჩემის სულისთვის.

კ რ ე ო ნ ი

მაშ ვიტყვი, რასაც გვიცხადებს ღმერთი.
მეუფე ბრძანებს: განიწმინდენით,
თქვენს ქვეყანასა აღზოცეთ ბიწი
და ნულა ჰკვებავთ უკურნებელ სენს.

ო ი დ ი პ ო ს ი

რით განვიწმინდოთ? რა სენი გემუსრავს?

კ რ ე ო ნ ი

მკვლელი განვდევნოთ, შური ვიძიოთ,
რათა უბრალოდ მოკლულის სისხლი
ქალაქს შავ ჰკირად არ მოველინოს!

ო ი დ ი პ ო ს ი

მერე ვის ბედზე გვანიშნებს ღმერთი?

კ რ ე ო ნ ი

მეფევ, ლაიოს გვყავდა მბრძანებლად,
სანამ ჩვენს ქალაქს შენ მოხვიდოდი.

ო ი დ ი პ ო ს ი
ვიცი, მსმენია, თუმც არ მინახავს.

კ რ ე ო ნ ი
ლაიოს მოჰკლეს. ეხლა, ცხადია,
ღმერთი გვიბრძანებს მკვლელი მოვნახვით

ო ი დ ი პ ო ს ი
სად არის მერე? ან სად მივაგნოთ
ძნელად საცნობ კვალს ბოროტებისას?

კ რ ე ო ნ ი
მკვლელი ჩვენშია. ჰპოებს, ვინც ეძებს,
და იკარგება, არ ვეძებთ რასაც, —
გვიბრძანებს ღმერთი.

ო ი დ ი პ ო ს ი
სად მოჰკლეს მეფე?
შინ თუ მინდვრადა ან უცხო მხარეს?

კ რ ე ო ნ ი
თვით უთქვამს — პითონს ის მიდიოდა,
შინ კი აღარა დაბრუნებულა.

ო ი დ ი პ ო ს ი
ნუთუ მხლებელი არვინ გადარჩა,
რომ ამ საქმეში დაგეხმარებოდა?

კ რ ე ო ნ ი
ყველანი გაწყდენ, გაიქცა ერთი,
თუმც სანუგეშოს ვერაფერს ამბობს.

ო ი დ ი პ ო ს ი
შაინც რას ამბობს? მცირე კვალიც კი
საკმაო არის, ოლონდ იმედი
არ წარვიკვეთოთ.

კ რ ე ო ნ ი
იგი გვიამბობს,
თითქო ლაიოს ყაჩაღთ ბრბომ მოჰკლა
და არა ერთმა.

ო ი დ ი პ ო ს ი
ვით გაბედავდა
ყაჩაღი მოკვლას, თუ მოსყიდული
არ იყო აქვე?

ქ რ ე ო ნ ი

აგრე ვფიქრობდით,
მაგრამ მოკლულის სისხლის ამღები
არეინ აღმოჩნდა უკუღმართ დროში.

ო ი დ ი პ ო ს ი

რამ დაგიშალათ სისხლის აღება,
როს მეფის ძალა ასე გათელეს?

ქ რ ე ო ნ ი

ეგ დაგვაფიწყდა, რაკი ახალი
სტინქსმა ჩვენ ჭირი თავს დაგვატეხა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მე კი მსურს ისევ საქმეს შევუდგე.
დღეს ღირსეულად ღმერთმა და შენცა
მოკლულისათვის ზრუნვა ითავეთ.
თქვენ მოკავშირედ აწ მეც მიგულვეთ.
ვიძიებ შურსა ღვთისთვის, ქვეყნისთვის,
შევმუსრავე მტერსა და ამ საქმეში
ჩემთვისა ვზრუნავ, არა სხვისათვის,
რადგან ვინც მოჰკლა მეფე ლაიოს,
მეც იმავე ხელით ბოლოს მომიღებს.
ამით მეფისა სისხლსაც ავიღებ,
ჩემს თავსაც ვარგებ. მაშ, აღსდექ, ხალხო,
სავედრებელი შტონი ხელთ იღე!
კადმოსელთ ვინმემ აქ მოუწოდოს.
ვასრულებ აღთქმას! ღმერთის შეწევნით
ან ბედს ვეწევი, ან მთლად გავწყდებით.

ქ უ რ უ მ ი

აღსდექი ხალხო! მეფემ ისმინა
ჩვენი ვედრება! აპოლო იყოს
წინამეტყველი, მხსნელი ხალხისა
და აგვაშოროს თავითგან ჭირი!..

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა.

ოქროთი მდიდარ პითონით ტკბილმეტყველ
ზევისს ხმა გვესმა!

ტურფა თებეს რას უქადის?
მსურს მივსწვდე შენსა განგებას,
ზარდაცემული კვანკალებ,

დელოსის მეფევე, აპოლო!
შიშით ველი, რას გვიქადი: ახალს რასმე,
თუ იმასვე კვლავ, რაც უამთა სრბოლას
უკვე შთაუნთქავს?

მარკვი, ძევე ოქროს სასოებისავე, უკვდავი
სიტყვა.

ანტიტროფი ა.

პირველს შენ გვედრი უკვდავო, ზევსის ასულო
ათინა, და შენს დას, მიწის მფარველსა,
არტემისს, მრგვალ მოედანსა ელვარე ტანტზე
მჯდომელსა,

და აპოლოს მშვილდოსანსა, —
სამივე მე მხსნელ-მფარველად გამომიჩნდით.
ვითა ერთხელ ქალაქს უკვე ააცდინეთ განსაცდელი,
კვლავაც ისე დამიფარეთ, მომაშორეთ ქირთა ალი!

სტროფი ბ.

ო, ღმერთო, ურიცხვს ტანჯვას განვიციდი, -
ოხრავს და კენესის ყოველი სულა,
სახსნელი გზა კი ვერ მიპოვია...
ნაყოფი მიწის აღარ იზრდება,
ველარც დედანი მშობიარობის უძლებენ ტანჯვას,
და ვითა სირნი, მკვირცხლად მფრინავი, ტანჯულნი
სულნი ელვის უსწრაფეს მწუხრის ქვეყანას
მიისწრაფვიან:


ანტიტროფი ბ.

იღუპება ამოდენა ქალაქი,
ბავშვნი ჰყრიან უმოწყალოდ მიწაზედ
და სწამლავენ სასიკვდილოდ ჰაერსა...
აქეთ ცოლნი, იქ ჰალარა დედანი
გარს არტყიან საკურთხეველს ტირილით
და შესთხოვენ ხსნას საშინელ ტანჯვისგან.
მწუობრად ისმის ნაღვლიანი გალობა...

ზევისს ოქრო-ასულო,
მოუვლინე მათ შვება!

სტროფი გ.

ძლიერი არკს, უზუჰი-უაბჯრო, თავზარდაცემი
ცეცხლით რო მდაგავს, გვედრებ, დამსვენე.



სამშობლოს გარე მიეცი ბინა:
ან ამფიტრიტეს
ღიად დარბაზში,
ან ხომალდთ მსხვრეველ
თრაკიის ზღვაში.
რაც ლამეს რჩება,
იმას დღე მუსრავს,
ალ-ცეცხლის ღმერთო,
ქუხილთ მეუფევე,
ზევსო ძლიერო, შემუსრე ელვით!

ანტიტროფი გ.

ბრწყინვალე ღმერთო, მშვილდი ოქროსი ხელთ მოიმარჯვე,
ბასრნი ისარნი ჩემდა სახსნელად სტყორცნე ჩემთ მტერთა.

ცეცხლის უინჟილინი არტემისისა,
ლიკიის მთებში რო მიჰქრის-მოჰქრის,

მომეც სანათად.

ეუხმობ ბახუსსაც,
ქვეყნის მფარველსა,
მხიარულს, ღვინით
გალალებულსა,
მენადთ მეგობარს,
დადაგოს ცეცხლით

კეთილ ღმერთთ შორის სასტაკი ღმერთი!

ო დ ი პ ო ს ი

რასაც თქვენ ითხოვთ, აგისრულდებათ,
მოგვევლინებათ შვება, საფარი,
თუ ჩემის რჩევით ღმერთს გაუგონებთ.
მე არა ვიცი არც მკვლელობისა,
არცა რა მკვლეთა და ვითლა ძალმიძს
გამოძიება, თუ კვალს ვერ ვხედავ.
თქვენ კი, კადმოსელთ, გიცხადებთ ყველას,
თქვენს უგვიანეს ქალაქს მოსული:
თუ ვინმემ იცის, ვინ, მოაკვდინა
ლაიოს მეფე, ლაბდაკოსის ძე,
გბრძანებ ნუ მალავს, გატყდეს უშიშრად,
თუნდ თვითონ იყოს მკვლელი მეფისა;
არაფერს ვავენებთ, მხოლოდ განედევნით
ჩვენის ქვეყნითგან. და თუ რო მკვლელი

უცხო კაცია, ნუ დამიმალავთ, —
მთქმელს დავუმადლებ და მეფურადაც
დავაჯილდოვებ. მაგრამ თუ მკვლელსა
სასჯელის შიშით ან მეგობრობით
ხელს დააფარებთ, რისხვას ელოდეთ.
მე, მეფე თქვენი, გიბრძანებთ ყველას:
თავშესაფარი არ მისცეთ მკვლელთა,
არ მიესალმოდ, არც მიეკაროთ
თქვენს სალოცავში, არც საზორავში,
წყალსა ნაკურთხსა ნუ მიაწოდებთ,
ვით ბიწიერი განდევნეთ ყველამ, —
ამას მიცხადებს პითონით ღმერთი.
მსურს ამ საქმეში მოკლულ მეფესა
და ღმერთს გაეუხბდე მე მოკავშირედ.
თქვენც მოგიწოდებთ, ისმინეთ ჩემი,
იძიეთ შური ჩემთვის, ღვთისათვის
და აოხრებულ თქვენის ქვეყნისთვის.
მოგიკლესთ მეფე სათნო, კეთილი, —
სისხლის აღება ვალია თქვენი,
თუნდ არ იცოდეთ განგება ღვთისა.
მეფემ წამებით დალია სული,
და ღღეს, როს მე ვარ იმის მემკვიდრედ,
მისი მეუღლე ცოლად შემირთავს
და თუ ღმერთს მისთვის შვილი მიეცა,
ვფიცავ, მამობას მე გაეუწევდი, —
ღღეს მსურს იმისთვის თავი გავსწირო,
ვით საკუთარის ჩემის მამისთვის,
ვცადო ყოველი, მივაგნო მკვლელთა
და ლაბდაკიდის, პოლიდოროსის,
ძველის კადმოსის და აგენორის
შთამომავალის სისხლი ავიღო.
ურჩათთვის შევთხოვ მოწყალე ღმერთებს
ნუ აღირსებენ მათ მიწის ნაყოფს,
ნურც იმათ ცოლთა შვილიერობას,
წილად არგუნონ სვე უარესი!
ვწყველი მე მკვლელთა, ვინც უნდა იყონ,
დე, უკეთურთა, ვერაგთა განვლონ
ტანჯვა-წვალებით ცხოვრების გზანი!
თვით ვიყო წყეულ-შეჩვენებული,

თავსა დამატყდეს რისხვა ღმერთების,
თუ ჩემთან ჰერქვეშ აღმოჩნდა მკვლელი!
თქვენ კი კადმოსელთ, ვინც თანამიგრძნობთ,
სიმართლე გქონდესთ ძიების საგნად
და უკუნითი გწყალობდესთ ღმერთი.

ქორო

მეც გიპასუხებ, რომ არ მწედეს წყევლა:
მე არც მომიკლავს, არც მკვლელი ვიცი,
მკვლელი ამხილოს თვითონ აპოლომ,
ვინც კისრად დაგვდვა ეს მძიმე ვალი.

ოიდიპოსი

ეგ მართალია, მაგრამ არ ძალგვიძს
ძალით გავიგოთ ღვთის საიდუმლო.

ქორო

კიდეც გეტყობი...

ოიდიპოსი

სთქვი ყველაფერი,
ნუ დამიმალავ.

ქორო

გამოცდით ვიცი,
რომ ტირეზია წინასწარ თქმაში
უდრის აპოლოს. მოვიხმოთ აქა,
გვეტყვის ყოველსა, რასაც შეეკითხავთ.

ოიდიპოსი

მე დაგასწარით: კრეონის რჩევით
ორჯერ შეიკრივი ვაფრინე მასთან
და მიკვირს ფრიად რათ იგვიანებს!..

ქორო

მაშ, ის ამბავი ჰორი ყოფილა...

ოიდიპოსი

სთქვი, რა ამბავი?

ქორო

უბნობდენ, მეფეე,
თითქოს ლაიოს მგზავრების მიერ
იყო მოკლული.

ოიდიპოსი

მოწამე არ სჩანს.

ქორო

თუ მის გულს ოდნავ სჩევია შიში,
შენს წყევლა-კრულვას ველარ გაუძლებს.

ოიდიპოსი

ვინც ქმნას არ შიშობს, სიტყვა ვერ აკრობს.

ქორო

აჰა, გამოჩნდა, ვინც მკვლელს ამხილებს.
მოჰყავთ მოხუცი, ვინც კაცთა შორის
ერთია მცოდნე ქეშმარიტების.

ოიდიპოსი

ო, ტირეზია, ყოვლის მხილველო,
ფარულის, ცხადის, ზესკნელ-ქვესკნელის!
მთელი ქალაქი, დღეს ჭირში მყოფი,
შენ შემოგყურებს მხოლოდ, მეუფევე,
ვითა ერთადერთ მხსნელს და მფარველსა!
გაგეგონება, ფებემ გვიბრძანა
მკვლელი მეფისა აღმოვაჩინოთ,
ან განვაძევეთ ჩვენის ქვეყნითგან,
ან მოვაკვდინოთ, სისხლი ავიღოთ, —
ეს არის ჩვენი ხსნა ერთადერთი.
გვითხარი ყველა, თუ იცი რამე
ან ფრინველთ ფრენით, ან კიდევ სხვა გზით...
ჩვენ შენს ხელთა ვართ: იხსენი თავი,
იხსენ ქალაქი, მეც დამიხსენი
და განსაცდელი თავს აგვარიდე.
უცხო ხვედრია, როს შეგიძლია
მოყვასთა შენთა ექმნე მარგებელ.

ტირეზია

რას ვაქნევ, ვაგლახ, წინასწარ გრძნობას,
თუკი არ ძალმიძს თქვენ დაგეხმაროთ.
ეს ხომ ვიცოდი და რად მოვედი?!

ოიდიპოსი

რაო? მკმუნეარე ეგრე რათ მოხველ?

ტირეზია

გამიშვი, წავალ, ეს ორთავესთვის,
მერწმუნე, მეფევე, უმჯობესია.

ო ი ღ ი პ ო ს ი

ეგ რა სიტყვა სთქვი მცდარი, უმართლო!
არ გსურს სამშობლო შენი დაიხსნა?

ტ ი რ ე ზ ი ა

ვხედავ, მეფეო, შენი სიტყვები
შენვე დაგლუპავს. მეც ვშიშობ...

ქ ო რ ო

ჩქარა,

გვითხარი, ნულა აყოვნებ! ყველა
მუხლმოდრეკილი შენ გვედრება.

ტ ი რ ე ზ ი ა

ყველა შეშლილა. არაფერს ვიტყვი,
არც გავამელავნებ შენს სვეს უბედურს.

ო ი ღ ი პ ო ს ი

რაო, არ იტყვი? მაშ შენ გლომია

მოსპო ქალაქი, დამლუპო მეცა!

ტ ი რ ე ზ ი ა

აგაცდენ წყენას შენც და ჩემს თავსაც.
ამაოდ მკითჩავ, ვერ მათქმევიჩებ.

ო ი ღ ი პ ო ს ი

ავო მოხუცო! ეგ უჯათობა
ქვას გააბრაზებს! ნუთუ არ იტყვი
და ულმობელი იქნები კვლავაც?

ტ ი რ ე ზ ი ა

ჩემს უჯათობას სასტიკად ჰკიცხავ
და შენს ცუდს ზნესა კი ველარ არჩევ.

ო ი ღ ი პ ო ს ი

ვით ძალმიძს მშვიდად ვუსმინო იმას,
ვინც უპატიოდ ეპყრობა ქალაქს!

ტ ი რ ე ზ ი ა

მოსავალია, თუნდაც გავჩუმდე.

ო ი ღ ი პ ო ს ი

მაშ, რად აყოვნებ, ბარემ გვითხარი.

ტ ი რ ე ზ ი ა

კრინტსაც არ დაეძრავ, შენ კი, თუ გნებავს,
უფრო გაბრაზდი.

ო ი ღ ი პ ო ს ი

მე თუ გავბრაზდი,
რაც ვიცი, ყველას გამოვამელავნებ.

შენა ხარ, გესმის, მოხუცო, მკვლელი,
მონაწილე ხარ მეფის მკვლელობის,
თუმც არ მოგიკლავს საკუთარ ხელით!
ბრმა რომ არ იყო, მთლად მკვლელობასაც
დაგაბრალებდი.

ტ ი რ ე ზ ი ა

ნუ იტყვი მაშ, მე
იძულებულ გყოფ შენვე სრული ჰყო
შენი ბრძანება. აღარ გაგვე ხმა,
შე ავაზაკო, ამა ქვეყნისა!

ო ი დ ი პ ო ს ი

ურცხვი ყოფილხარ! მე რო ცილს მწამებ,
აწ რითლა ფიქრობ გადურჩე სასჯელს?

ტ ი რ ე ზ ი ა

უკვე გადვურჩი სიმართლის ძალით.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვისგან ისწავლე? თუ შეწამებაც
ხელობადა გაქვს?

ტ ი რ ე ზ ი ა

შენ მათქმევეინე.

ო ი დ ი პ ო ს ი

კიდევ სთქვი, მინდა კარგად გავიგო.

ტ ი რ ე ზ ი ა

ვერ გაიგე თუ? ან იქნება მცდი?

ო ი დ ი პ ო ს ი

არეულს ამბობ, განიმეორე.

ტ ი რ ე ზ ი ა

შენა ხარ მკვლელი, ვისაც ჩვენ ვეძებთ...

ო ი დ ი პ ო ს ი

ცილს მწამებ კიდევ? ამას განანებ!

ტ ი რ ე ზ ი ა

გეტყვი უარესს, რო გაგაბრაზო.

ო ი დ ი პ ო ს ი

სთქვი, მაგრამ შენი სიტყვა ფუჭია.

ტ ი რ ე ზ ი ა

ბილწი კავშირი გაერთებს მასთან,
ვის წინაც გმართებს შენ თაყვანება.

ო ი დ ი პ ო ს ი

ეგ დაუსჯელად შენ არ შეგჩრება.

ტ ი რ ე ზ ი ა

დამსაჯე, მე კი ვამბობ სიმართლეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ სიმართლესთან ხელი არა გაქვს,

შენ—უსინათლოს, ყრუს და უგონოს.

ტ ი რ ე ზ ი ა

საბრალო მეფევე, ეს სატკივარი

თვით შენ სულ მალე თავს დაგატყდება.

ო ი დ ი პ ო ს ი

თვალხილულს ვნებით ვით ავნებ შენ, ბრმა,
ვისიც ხედრია ბნელი უკუნი?!

ტ ი რ ე ზ ი ა

მე არას გერჩი, ფებე მოგივლენს,
რაც ბედისწერით მოსავალია.

ო ი დ ი პ ო ს ი

ა, შენ და კრეონ თხზავთ მაგ ამბებსა?

ტ ი რ ე ზ ი ა

შენი წამხდენი შენვე ხარ თვითონ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ეჰა, სიმდიდრევე, მეფის უფლებავ,
სიბრძნევე ცვალებად ცხოვრებისაო,
რა საშინელსა შურს აღძრავთ ხოლმე!
მე განა მწადდა სამეფო სკიპტრა?

თვით თქვენ მიძღვენით მადლობის ნიშნად,

და ეხლა კრეონ, ძმად მიჩნეული,
ცდილობს წამართვას სამეფო ტახტი,
მოდის ფარულად და დამხმარედ ჰყავს

ცრუ და ვერაგი ეს მაწანწალა,
ანგაარებით მომქმედი მხოლოდ!

რაში გამოჩნდა შენი მისნობა?

ან რად არ იხსენ მოქალაქენი,
ოდეს ურჩხული სიკვდილს უქადდა?

რად ვერ მიუხვდი მის გამოცანის
იდუმალ აზრსა? ნუთუ ფრინველთა
არა გითხრეს რა? არ ჩაგაგონეს
არცა ღმერთებმა? მე უმეტარმა

მოსვლისთანავე მოვსპე ურჩხული,
საკუთარ ჭკუით, სხვის დაუხმარად!
და ეხლა შენ გსურს ტახტი წამართვა,
რომ ახლო დადგე მეფე კრეონთან!
ვთუ რო ძვირად ჩემი განდევნა
თქვენ დაგიჯდებათ! შენ კი არ დაგსჯი
მხოლოდ იმიტომ, რომ მოხუცი ხარ.

ქორო

თქვენ რო გიცქერით, ორივე ცხარობთ:
შენცა, ოიდიპოს, და შენც, მისანო.
უმჯობესია ის მოვიფიქროთ,
ვით ავასრულოთ ფეხებს ბრძანება.

ტირეზია

თუმც შენ მეფე ხარ, მეც ძალმიძს მეფეთ
პასუხი გაცე, ვით ტოლმა ტოლსა.
მე შენ არ გმონებ, მხოლოდ ლოქსიას,
არც მეჭირვება მფარველად კრეონ!
მე, ბრძმას, დამცინი! შენ თვალხილული
საზარელს ცოდვას შენსას ვერ ამჩნევ,
ვერ ხედავ, თუ სად და ვისთან ცხოვრობ,
ვისი შვილი ხარ — არ იცი განა?
შენა ხარ მტერი შენიანების,
როგორც ამ ქვეყნად ისე ქვეშეთში
დედის და მამის წყევლა საზარი
მშობელ ქვეყნითგან შენ გაგაძევებს,
დღეს თვალხილული შენ ბრმა იქნები!
შენის გოდების ხმა კითერონის
მთათ-ხეობათა შეაზრიალეებს,
ოდეს მიხვდები, თუ ცოდვით სავსემ
ვის შეუერთდი ქორწინებითა
და კვლავ მრავალი ტანჯვა-წვალება
შენ და შენ შვილთა არ აგცილდებათ!
ეხლა, თუ გნებავეს, აგინე კრეონს,
მეც დამამცირე. ხოლო კაცთ შორის
შენებრ ცოდვილი ჯერ არ ყოფილა!..

ოიდიპოსი

მე ვერ მოვითმენ ამ თავხედობას!
გასწი აქედან, ურცხვო მოხუცო,
და არ გაბედო მეორედ მოსვლა!

ტ ი რ ე ზ ი ა

არც მოვდიოდი, შენ რომ არ გეხმე.

ო ი დ ი პ ო ს ი

მე თუ მცოდნოდა შენი სიგიჟე,
მერწმუნე, ჩემთან არ მოგიწვევდი.

ტ ი რ ე ზ ი ა

დე, ეგრე იყოს, გიჟი მიწოდე.
შენი მშობლები კი მრაცხდენ ბრძენად.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემი მშობლები? მითხარ ვინ იყვნენ?

ტ ი რ ე ზ ი ა

ეგ რომ გაიგო, ხომ დაიღუპე!

ო ი დ ი პ ო ს ი

შენი სიტყვები ვერ გამიგია...

ტ ი რ ე ზ ი ა

გამოცანათა ახსნა ხომ იცი?..

ო ი დ ი პ ო ს ი

გინდა დასცინო ჩემს გამარჯვებას?..

ტ ი რ ე ზ ი ა

მაგ გამარჯვებამ დაგლუპა, მეფევე!..

ო ი დ ი პ ო ს ი

არც ვწუხვარ, რაკი ვიხსენ ქალაქი.

ტ ი რ ე ზ ი ა

ეხლა კი წავალ. ბაღლო, გამიძეხ!

ო ი დ ი პ ო ს ი

შენი აქ ყოფნა სამძიმო არის, —
გვიშლი, გვაწუხებ, წა, მოგვასვენე!

ტ ი რ ე ზ ი ა

წასვლისას გეტყვი, თუ რისთვის მოველ.

შენ მე ვერ მავნებ, ვერც შემაშინებ.

ისმინე ჩემი. ის კაცი, ვისაც

შენ ეგრე ეძებ, მკვლელი მეფისა,

აქ არის, ჩვენთან, დიდი ხანია.

ამბობენ არის უცხო ქვეყნელი,

მალე თებელად აღიარებენ, — ო

და ვაი იმას, ვაი იმ დღესა:

ღარიბ-ღატაკი და უსინათლო

უცხო ქვეყნებში გადიხვეწება

ჯოხზე დაყრდნობით. თვისის შვილების
მამა იქნება და მათივე ძმა,
დედისა—შვილი და თან მეუღლე,
მამის მკვლეელი და მის ცოლის ქმარი.
წადი, იფიქრე და თუ გავმტყუვნდე,
არაა მცოდნია მე მისნობისა!..

ს ტ რ ო ფ ი ა.

ქ ო რ ო

ვინ არის იგი, ვისაც ამხილებს წინასწარმთქმელი ტინი დელფისა?
ვინ მოიქმედა სისხლიან ხელით უსაზარლესი ეს ბოროტება?

ღროა გაიქცეს

ცქვიტ რაშსა უფრო

სწრაფად, მალიად.

თორემ ზევსის ძე, აბჯარასხმული,
ცეცხლით და ელვით უქადის სიკვდილს.

და კვალ-კვალ სდევენ

შურის ქალღმერთნი.

ან ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა.

აჰა, თოვლიან პარნასით გვესმა
ბრძანება, ვძებნოთ უცნობი მკვლეელი.

დაძრწის საბრალო, ვით ხარი,

ულრან ტყეებში, კლდე-ღრეში,

უთვისოდ, მარტო, რომ აიცდინოს

ღვთის რისხვა, პითონით მოვლენილი,

სადაც არს უპე ქვეყნისა,

და რისხვა იგი მარად ძლიერი

კვალდაკვალ დასდევს.

ს ტ რ ო ფ ი ბ.

ბრძენმა მისანმა საშინელება აღძრა ჩემს გულში,

არ ვიცი, რა ვსთქვა.

მინდა ვერწმუნო, თან ურწმუნოც ვარ.

შედრწუნებული ვერაფერს ვხედავ აწმყო-მყოზადში

არცა მსმენია არას დროს

ლაბდაკიდთა და პოლიბოსის ძეს ურთიერთ შორის ჰქონოდესთ მტრობა

და ვითლა ძალმიძს სახელგათქმულსა

ოიდიპოს მეფეს მე შევექიდო და დახმარება მკვლელის ძებნაში

მე ლაბდაკიდთა აღმოვუჩინო!

ანტიტროფი ბ.

მოკვდავთა ბედი თვინიერ ზევსის და აპოლოსი არავინ უწყის,
და ნუვინ იტყვის, თითქო მისანმა იცოდეს მეტი, ვიდრე მე ვიცი,
რადგანაც სიბრძნით მჯობნე მჯობნისა არ დაილევა.
არ შემძლია, ვერწმუნო მისანს, სანამ ბრალდება არ გამართლდება,
არც გავიტარებ გულში ცუდს ზრახვას ოიდიპოსს მიმართ,
ვინც ყველას თვალწინ ფრთოვან ურჩხულსა.
უშიშრად შეხვდა და თვისის სიბრძნით იხსნა ქალაქი!

კ რ ე ო ნ ი

მოქალაქენო, საშინელ ბრალს მდებს
ოიდიპოს მეფე. ეს რომ გავიგე,
თქვენ მოგაშურეთ, რადგან არ ძალმიძს
გულმშვიდად ვიყო. თუ მეფე ფიქრობს,
რო თქვენი ტანჯვის მე მადევს ბრალი
სიტყვით ან საქმით, ნულა ვიცოცხლო!
მე ვერ გავუძლებ საზარ ბრალდებას!
ან კი რად მინდა თავი ცოცხალი,
თუ რომ ბოროტის სახელს ვატარებ,
თუ შენც, ქალაქიც, ძმა-მეგობარიც
ძვირის მოქმედის სახელს მიწოდებთ?!

ქ ო რ ო

იქნება მეფეს თვისი ბრალდება
ჯავრით წამოსცდა, მოუფიქრებელ.

კ რ ე ო ნ ი

არა, მეფემ სთქვა, თითქო მისანი
აქ შეგონებით ლაპარაკობდა.

ქ ო რ ო

სთქვა, თუმც არ ვიცი, რამ ათქმევინა.

კ რ ე ო ნ ი

მერე სად ჰქონდა სინდისი, ჰკუა,
ოდეს საზარელს ამ ბრალსა მდებდა?

ქ ო რ ო

არ ვიცი, მეფეთ არ ვარ მსაჯული.
აჰა, თვით მეფეც გვიახლოვდება.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვის ვხედავ? როგორ გაბედე მოსვლა?
მკვლელო მეფისა, ჩემის უფლების
მოსისხლე მტერო, ურცხვო, თავხედო,

რამ მოგიყვანა ჩემს სასახლეში?
განა შემატყუე შიში, სიმხდალე,
ეს სისაძაგლე რომ განიზრახე?
ან თუ ფიქრობდი, რომ მზაკვრულ ხრიკებს
ვერ მივხვდებოდი და არ ჩავშლიდი
თქვენს ვერაგ საქმეს? უგუნურია
შენი განზრახვა — ტახტი მისია,
ვისაც ოქრო აქვს და ვინც ხალხს უყვარს.

კ რ ე ო ნ ი

იცი, რას გირჩევ: მეც მომისმინე,
ისე განსაჯე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჭრელი ენა გაქვს.

არ მსურს გისმინო, რადგან მტერი ხარ
ჩემი, ცბიერი და მუხანათი.

კ რ ე ო ნ ი

სწორედ მაგისტვის გთხოვ მომისმინო.

ო ი დ ი პ ო ს ი

სწორედ ამისას ნურაფერს მეტყვი.

კ რ ე ო ნ ი

სცდები, თუ ფიქრობ, რომ უგუნური
შენ ქედმაღლობა გამოგადგება.

ო ი დ ი პ ო ს ი

სცდები, თუ ფიქრობ ძვირის მოქმედი
ბოროტი შეგარჩეს და ასცდე. სასჯელს.

კ რ ე ო ნ ი

სიმართლეს ამბობ, ხოლო მითხარი,
რა დაგიშავე, როდის რა გავნე?

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ არ მირჩევდი დაჟინებითა
ბრძენი მისანი აქ მომეწვია?

კ რ ე ო ნ ი

მზად ვარ ეგ რჩევა გავიმეორო.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა უამმა განვლო, რაც რო ლაიოს...

კ რ ე ო ნ ი

ჰო, დაათავე, კარგად გავიგო.

ო ი დ ი პ ო ს ი

ავაზაკთ მიერ იქნა მოკლული?

კ რ ე ო ნ ი
 მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მაშინ მისანი ხომ მკითხაობდა?
 კ რ ე ო ნ ი
 დიახ, მისნობდა ბრძენი მოხუცი.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მაშ მე იმ დროსაც მასახელებდა?
 კ რ ე ო ნ ი
 არსად, არასდროს მე არ მსმენია.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მაგრამ მკვლელს მაინც ხომ ეძიებდით?
 კ რ ე ო ნ ი
 ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ამაოდ.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მე რე იმ ბრძენმა რად ვერ გიშველათ?
 კ რ ე ო ნ ი
 ვერ გიპასუხებ, რადგან არ ვიცი.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მითხარი გულწრფელ, რაც იცი, ყველა.
 კ რ ე ო ნ ი
 თუ ვიცი რაზე, გეტყვი ყოველსა.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 შენთან კავშირი ბრძენს რომ არ ჰქონდეს,
 მეფის მოკვლის ბრალს მე ვერ დამდებდა.
 კ რ ე ო ნ ი
 შენ ხომ ისმინე, რაც ბრძენმა გითხრა.
 მაშ, ნება მომეც მეც გამოგკითხო.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მკითხე, რაც გინდა: ვერ გამამტყუნებ.
 კ რ ე ო ნ ი
 არც მსურს. ქმარი ხარ შენ ჩემის დისა?
 ო ი დ ი პ ო ს ი
 დიახ, ქმარი ვარ.
 კ რ ე ო ნ ი
 მასთან თანაბარ

მართავ ქვეყანას?

ო ი დ ი პ ო ს ი

მისი სურვილი

კანონად მიჩანს.

კ რ ე ო ნ ი

განა მეც თქვენი

ტოლი არა ვარ?

ო ი დ ი პ ო ს ი

და სწორედ მიტომ

გვიმტრე, გვიმუხთლე?

კ რ ე ო ნ ი

არა, დაფიქრდი

და მერწმუნები, რო ხარ შემცდარი.

აბა, იფიქრე, რად მინდა მეფის

ძალაუფლება, რასაც სდევს შიში,

თუ ხელთ მიპყრია იგივე ძალა

გულდამშვიდებით. არ მსურს მეფობა,

ვით არ ისურვებს სხვაც ჩემს ადგილას, —

უამისოდაც მეფურად ვცხოვრობ.

ეხლა შენგან მაქვს, რაც მსურს, უშიშრად

სულ ყოველივე. მეფე რო ვიყო,

ჩემი სურვილი უნდა სხვის სურვილს

დაევმორჩილო. განა არ მიჯობს

ძალაუფლება უშიშარ მეპყრას,

ვიდრე ვმეფობდე ფიქრით და ზრუნვით?

გიყი ხომ არ ვარ იგი უარვპყო,

რაც მე სიამეს და სარფას მაძლევს!

ყველა მახარებს, ყველას ვუყვარვარ,

ყველა პატივს მცემს და მეფერება,

რო შენს წინაშე მათ ვეჭომაგო.

და ნუთუ ამ ბედს ფაენად გავცვლი?

არა, ჭკვიანი ამას არ იზამს.

ტახტის წართმევა არ განმიზრახავს,

არც მიფიქრია სხვის დახმარებით.

წადი პითონად, თუ გსურს დარწმუნდე,

და იქ გაიგებ პითიას პასუხს.

თუ დამიმტკიცებ, რო შენი ვნება

მკითხავთან ერთად მე გამიზრახავს,

შემკარ და მიმეც სიკვდილით სასჯელს,
თვით მე არ მინდა თავი ვიცოცხლო.
მაგრამ საბუთი ვიდრე არა გაქვს,
ნუ დამდებ ბრალსა. უსამართლოა
აეს უსაბუთოდ სათნო უწოდო
და კეთილს ავი. ვინც პატიოსანს
ჰკარგავს მეგობარს, მარად სახურველს
ესალმება ის სიცოცხლესა. აჰა,
მოვა დროც მალე და გამამართლებს:
კეთილი კაცი იცნობა წლობით,
ავის კაცის აზრს მიხვდები ერთ დღეს.

ქორო

მეფევე, ერწმუნე, თუ გსურს არ შეცდე,
სიჩქარით განსჯა ავნებს სიმართლეს.

ოიდიპოსი

ოდეს იჩქარის მტერი მოპარვით
ბოლო მომილოს, მზად უნდა დაეხვდე.
და თუ გულმშვიდად ვიწყე ყურყუბი,
ის გაიმარჯვებს, მე თავს წავაგებ.

კრეონი

სთქვი, რაღა გინდა? ჩემი განდევნა?

ოიდიპოსი

არა, სიკვდილით უნდა დაგსაჯო.

კრეონი

მითხარი მაინც, რა დაგიშავე?

ოიდიპოსი

იქნება ფიქრობ არ დამმორჩილდე?

კრეონი

თუ ვხედავ სცდები?

ოიდიპოსი

ჩემი საქმეა!..

კრეონი

აგრეთვე ჩემიც...

ოიდიპოსი

შენ ვერაგი ხარ...

კრეონი

მერწმუნე სცდები.

ო ი დ ი პ ო ს ი

შაინც მე უნდა

დამემორჩილო.

კ რ ე ო ნ ი

ვერა, ცუდს მეფეს

მე ვერ დავუთმობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, ქალაქო!

კ რ ე ო ნ ი

ქალაქს მეც უმართავ შენთან ზიარად...

ქ ო რ ო

ჩემად, მეფენო! ჰა, იოკასტე

ახლად აქ მოდის. იმის შეწევნით

ბოლო მოუღეთ დავა-ცილობას.

ი ო კ ა ს ტ ე

ო, უბედურნო, ნუ მოცილებობ!

ისედაც ტანჯულ-გვემულ ქვეყანას

ახალ სატანჯველს ნუ მიაყენებთ.

წადით ორივე სახლში, თქვენს ჰერქვეშ

და მცირე წყენას ნუ აზვიადებთ.

კ რ ე ო ნ ი

ო, დაო, შენს ქმარს, ოდიპოს მეფეს

საშინელება რამ განუზრახავს:

ან განმადეოს, ან სიკვდილს მიმცეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

დიახ, აგრეა, მე გავამტყუენე:

ეგ მიპირებდა ცბიერად მოკვლას.

კ რ ე ო ნ ი

ვიყო წყეული, ნულა ვიცოცხლო,

ნულა ვიხილო სიამე, შვება,

თუ შენი ვნება მე აზრად მქონდეს!

ი ო კ ა ს ტ ე

ო, ღვთის გულისთვის, ერწმუნე, მეფევი:

ირწმუნე ფიცი ამის წმინდაი,

გვეცი პატივი მეც და ამ ხალხსაც.

ს ტ რ ო ფ ი

ქ ო რ ო

მეფევი, გენუკვი, კეთილგონიერ რჩევას უსმინე.

ო ი დ ი პ ო ს ი

მითხარი, რა გსურს, რა უნდა დავთმო?

ქ ო რ ო

დასდე პატივი, ვისაც უწინაც სიბრძნე შესწევდა-
ვინც საშინელი დღეს მოგცა ფიცი.

ო ი დ ი პ ო ს ი

იცი კი, რას მთხოვ?

ქ ო რ ო

ვიცი ყოველი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, რა გწადია, მაცნე?

ქ ო რ ო

მეგობარს —

ფიცის დამდებსა, უბრალო იქვით
ნუ დააბრალებ საზიზღარ საქმეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

თუ მაგას ითხოვ, შენ გდომებია
მე მიმცე სიკვდილს ან განმაძევო!..

ქ ო რ ო

არა, ჰელიოსს ვფიცავ, ღმერთებში
ჩვენს მწე-მოსარჩლეს! მოვწყდე მეგობართ,
ვიყო ღმერთთაგან შეჩვენებული,
თუ რომ ეგ მწადდეს, მაგრამ გულს მიკლავს.
ქვეყნის დაღუპვა, — მის მრავალ ტანჯვას
ვხედავ ახალი ზედ ემატება.

ო ი დ ი პ ო ს ი

განვდევნი მაინც, თუნდ მიმცეთ სიკვდილს
ან განმაძეოთ სირცხვილეული!
შენმა ვედრებამ მომიღბო გული,
სიბრაალულსა ვგრძნობ, მაგრამ კრეონ მძაგს-
და შეძაგება ყველგან, ყოველთვის.

კ რ ე ო ნ ი

გულით არ გვითმობ, მაგრამ ინანებ
როს დამშვიდდები: შენისთანაებს
თვით უმძიმთ თვისი ცუდი ზნე!..

ო ი დ ი პ ო ს ი

კმარა!..

არ გამშორდები?

კ რ ე ო ნ ი

აჰა, მივდივარ.

ვერ დამაფასე; ხალხის თვალში კი
კვლავ ის ვიქნები, რაც ვიყავ მუდამ.

ქ ო რ ო

ო, დედოფალო, ნულა აყრენებ
შინ წაიყვანე.

ი ო კ ა ს ტ ე

მამცნეთ, რა მოხდა?

ქ ო რ ო

სულ უსაბუთო ბრალდება იყო და ეს მიკლავს გულს!

ი ო კ ა ს ტ ე

განა ერთმანეთს ბრალს სდებდენ?

ქ ო რ ო

ღიახ.

ი ო კ ა ს ტ ე

მაინც რაღა სთქვეს?

ქ ო რ ო

რაც ითქვა-ითქვა,

სჯობს დაევიწყოთ! ქვეყანა ისეც
განსაცდელშია!

ო ი დ ი პ ო ს ი

გულკეთილობით

სიმართლეს ჩქმალავ, ჩემდამი გრძნობა
გინდა დაიხშო!

ქ ო რ ო

არა, მეფეო!

კვლავ გიმეორებ, რაც ხშირად მითქვამს.

უჭკუო ვიყო, სულელი, შტერი,
თუ გიღალატო შენ, ვინც სამშობლო
ჩემი ძვირფასი, მრავალტანჯული
კვლავ ააყვავე. თუ ძალა შეგწევს,
გემუდარები, გვიხსენი დღესაც!

ი ო კ ა ს ტ ე

მეფევე, მეც მითხარ, გაფიცებ ღმერთებს,
ეგრე სასტიკად რამ გაგარისხა?

ო ი დ ი პ ო ს ი

გეტყვი, რადგან მე მეტს პატივსა გცემ...
ამათ კი... კრეონს მე მანაცვალეს...

იოკასტე

მითხარ, თქვენს შფოთსა რა აქვს საფუძვლად?

ოიდიპოსი

ის მე მიწოდებს ლაიოსის მკვლელს.

იოკასტე

თვით სწამს, თუ ამბობს ყურმოკრულ კორსა?

ოიდიპოსი

მან მომიგზავნა ფლიდი მისანი,

თვით კი ცბიერად კრინტსაც არა სძრავს.

იოკასტე

უთხოვ, უკუაგლო შავი ფიჭვები

და მომისმინო: მერწმუნე, მოკვდავთ

ნიჭი არა აქვთ წინასწარ თქმისა.

ამის მაგალითს ეხლავ გიჩვენებ:

მეფე ლაიოსს ჰქონდა ნათქვამი, —

ფებეს ვით ვკადრო — მის მსახურთაგან,

რომ მას სიცოცხლეს გამოასალმებს

ჩემგან ნაშობი მისივე შვილი.

მერე რა მოხდა? ლაიოს მოჰკლეს

ავაზაკებმა გზაჯვარედინსა!

მხოლოდ სამის დღის იყო ჩვენი ძე,

მამამ შეჰყოჰა ბავშვი და მსახურთ

უდაბურ მთასა დააგდებინა!

აღარ აღსრულდა წინასწარ თქმული:

შვილს არ მოუკლავს მამა, და მეფეც

არ იყო მოკლულ თვისის ძის მიერ!

ესეც ქებული მისნობა ბრძენთა!

ყურს ნუ ათხოვებ, თუ ღმერთსა ნებაეს,

თვით გამოაჩენს თავისს განგებას.

ოიდიპოსი

შენი სიტყვები მიშფოთებს სულსა,

გულში შიში ჰკრთის, ჩემო მეუღლე!

იოკასტე

სთქვი, რა გაწუხებს? რა დაგემართა?

ოიდიპოსი

ზომ არ მოვტყუვდი? შენ სთქვი, რო მეფე

გზაჯვარედინსა იყო მოკლული?

იოკასტე

აგრე ამბობდენ, დღესაც ხმა არის.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა ადგილს მოჰკლეს ლაიოს მეფე?

ი ო კ ა ს ტ ე

ფოკიდა ჰქვია იმ ქვეყანასა,

იქ დავლიის გზა დელფის გზას ჰსჯვარავს.

ო ი დ ი პ ო ს ი

რამდენმა ჟამმა განვლო მას შემდეგ?

ი ო კ ა ს ტ ე

ის იყო გვამცნეს ჩვენ ეს ამბავი,

შენც მოვევლინე ამ ქალაქს მეფედ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ზევსო ძლიერო, ეს რა დამმართე?

ი ო კ ა ს ტ ე

მეფევე, რა მოგდის, რამ შეგაძრწუნა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ნუ მკითხავ. უმალ მითხარი, მეფე

რა სახის იყო, რამდენის წლისა?

ი ო კ ა ს ტ ე

ტანად მაღალი და თმაქალარა,

სახით კი... ერთობ შენ წაგაგავდა-

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაი უბედურს! მე რა ვიცოდი,

საშინელ წყევლით ვინ შევაჩვენე!

ი ო კ ა ს ტ ე

რა სთქვი? შიშსა მგვრის შენი შეხედვა!..

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაი თუ მისანს სიმართლე უთქვამს!

მაგრამ... ერთი რამ კიდევ მითხარი.

ი ო კ ა ს ტ ე .

რაც ვიცი, გეტყვი, თუმც ვშიშობ ფრიად.

ო ი დ ი პ ო ს ი

მცირე ამაღა ახლდა მეფესა,

თუ აბჯარასხმულ მხედართა გუნდი?

ი ო კ ა ს ტ ე

სულ ხუთი კაცი, მათ რიცხვში შულტა

და ერთიც ეტლი მეფის საჯდომი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე ბედკარულს! ცხადია ყველა!

ამბავი ვინღა შეგატყობინათ?

იოკასტე

ერთი გადარჩა და იმან გვამცნო.

ოიდიპოსი

სად არის ეხლა? სასახლეშია?

იოკასტე

არა, გვამცნო რა მეფის დაღუპვა
და შენ გიხილა სამეფო ტახტზედ,
ხელი შემახო და შემევედრა,
რათა გამეშვა მინდვრად მწყემსებში,
რომ შორს გასცლოდა უხიაკ ქალაქს.

მეც ავუსრულე თხოვნა: ვით ერთგულს
ყმას, მეტი ჯილდოც ეკადრებოდა.

ოიდიპოსი

ნეტავი მალე აქ მოვიდოდეს!

იოკასტე

მე დავიბარებ, მაგრამ რად გინდა?

ოიდიპოსი

ვშიშობ მეუღლეე, ბევრი რამ ითქვა,
რის გულისთვისაც იმის ნახვა მსურს.

იოკასტე

ის მოვა, მაგრამ მეც ღირს ვარ მითხრა,
რაც გულს გიმძიმებს, მეფეო, ეგზომ

ოიდიპოსი

ვერც დაგიმალავ, რაკი შევტოპე
საზარ ფიქრებში, ან კი ვის ვანდობ
უფრო ღირსეულს ჩემს საიდუმლოს.
მამაჩემს, გვართ კორინთელს, ერქვა
პოლიბოს, დედას — დორიდელს გვართ —
მეროპე. ვიყავ პირველი ყველგან
ქალაქში, სანამ უბედურება
მე არ შემემთხვა საკვირველი რამ,
თუმცა არ ღირდა თავს-გამოდებად.
ერთხელ, ნადიმად, ვინმე რეგვენმა,
ძალიან მთვრალმა, მიგდებულოო —
მე წამომძახა. გული ამემღვრა,
ძლივს შევიკავე თავი იმ ღამეს.
მეორე ღღესვე დედ-მამას ვკითხე.
როცა ვუამბე, რაც წამოროშა

მთვრალმა ნადიმში, ძლიერ განრისხდნენ.
მეც გულს მომეშვა, თუმც ვერ დავმშვიდდი,
ჭორი გავრცელდა და გახმიანდა,
და ნამალევად დედ-მამის პითონს
წავედი. მაგრამ ღირსი არ გავხდი
ფებეს პასუხის. ნაცვლად ამისა
ღმერთმა მაუწყა, რომ საშინელი
ბედი მომელის: ცოლად შევირთავ
ჩემსავე დედას, წარმოვშობ შვილებს
საზარ-საძაგლებს და მშობელ მამას
ჩემის ხელითვე ვარგუნებ სიკვდილს.
ეს რომ გავიგე, გავშორდი კორინთს,
ვარსკვლავთა სრბოლას მივსდიე გზა-გზა
და შორს გავიქერ, რომ არ მეხილა
ქრიზმო საზარი აღსრულებული.
და უგზო-უკვლოდ მოხეტიალე
მე აქ მოვედი, სადაც მოუკლავთ,
შენ ამბობ, მეფე. როს მებოძირსა
მივუახლოვდი, ეტლი შემომხვდა
ორცხენიანი, შულტა უძლოდა,
შიგ იჭდა ვინმე კაცი-მოხუცი, —
სუყველაფერი, ვით შენ მიაძბე.
ორთავემ სცადა ძალდატანებით
გზითგან გადვეგდეთ. ბრახმორეულმა
დავკარ მეეტლეს, მაგრამ მოხუცმა,
ეს რომ იხილა, დრო შემირჩია:
როს ეტლთან ვიდექ, ორჯერ მათრახნი
კეფაში დამკრა, ნაცვლად ეწია
უარესს ბედსა: მყისვე მას ჩემი
კვერთხი ვაკვეთე და უსულგულოდ
იქვე დაეცა. გავსწყვიტე ყველა!
და თუ ლაიოსს და იმ უცხოელს
საერთო რამ აქვთ, არვინ ყოფილა
ჩემებრ საბრალო, შესაზიზლარი
და საძულველი კაცთ თუ ღმერთათვის!
არც მოქალაქეს, არც უცხოელსა
არა აქვს ნება მკვლელი მეფისა
სახლში შეუშვას, არცა ხმა გასცეს,
ჟველას ვალად სძევს მისი განდევნა.

მკვლელი კი თვით ვარ, მევე ბედკრულმა.
თავს დავიტეხე საზარი წყევლა!
მეფის საწოლი შევბილწე ხელით,
რომლით ლაიოსს დღე მოვუსწრაფე!
განა არა ვარ დიდად შემცოდე?
თავით ფეხამდე სისხლში მოსვრილი?
და თუ რომ ჯერ არს ჩემი გაქცევა?
არ შემიძლია კორინთს დავბრუნდე,
კვლავ ენახო ჩემი ნათესავები,
რადგანც ვშიშობ მშობელის დედის
ქმარი არ გავხდე და მამის მკვლელი.
პოლიბოსისა, ვინც მშვა, აღმზარდა.
ცხადია, ცხადი, მე მდევნის რისხვა
სასტიკის ღმერთის! ო, ნურასოდეს,
ღმერთნო ძლიერნო, იმ საშინელ დღეს-
ნულა შემასწრებთ! დე, აღვიგავო
მოკვდავთა შორის უკვლოდ, უნიშნოდ
და არ ვიხილო საშინელი სვე!

ქორო

შენებრ შიშით ვძრწოთ, მაგრამ მეფეო,
მწყემსის მოსვლამდე იმედს ნუ ვკარგავთ!

ოიდიპოსი

მეტი რა გზა მაქვს? ეგ დამრჩენია
მწყემსს მოვუცადო!

იოკასტე

მერე რო მოვა,
რა ნუგეშსა გვცემს?

ოიდიპოსი

ამასაც გეტყვი:
თუ ის შენს ნათქვამს დაადასტურებს,
მე გადავრჩები წყევლა-კრულვასა!

იოკასტე

განა ეგეთი მე რამე მითქვამს?

ოიდიპოსი

შენ სთქვი, რო მწყემსმა შეგატყობინათ,
თითქოს ლაიოს ყაჩაღთ ბრბომ მოჰკლა.
კვლავ თუ ამასაც განიმეორებს,

მე არ მომიკლავს, ცხადია, მეფე —
ერთი ხომ ბრბოდ არ ეჩვენებოდა.
ხოლო თუ მონა ერთს ასახელებს,
მე დამიღვრია სისხლი მეფისა!

იოკასტე

იცოდე, მეფევე, აგრე გვიამბო
და ვერც გადათქვამს: მთელი ქალაქი
უსმენდა ამბავს, არა მარტო მე.
და თუნდ უარპყოს თვისი ჩვენება,
მაინც ვერ შესძლებს მეფის მკვლელობის.
ახსნას ამბავი სრულის სისწოროთ,
ვისაც ლოქსიამ ამცნო, რომ მოჰკლავს
მას ჩემი შვილი. ესეც არ ახდა:
ბედკრული უმალ თვით დაიღუპა!
მიტომ არ მჭერა მწყემსის ნათქვამი
და არც ვიწამებ, რასაც კვლავ გვეტყვის..

ოიდიპოსი

კეთილი, მაგრამ ნულა აყოვნებ,
უბრძანე მწყემსი აქ მოიყვანონ.

იოკასტე

მეისვე ვუბრძანებ. ყოველს შენს სურვილს.
ვასრულებ მეფევე. წამო პალატში.

სტროფი ა.

ქორო

ო, ბედმა რად არ მარგუნა
სიტყვით და საქმით დავიცვა სათნო
სიწმინდე ღვთისა, ვის წმინდა სჯული
დაწესებულ არს ზეცაში,
ცისა ეთერში. წიაღთა შინა ოლიმპოსისა, —
ის არის იმის შემქმნელი,

არა მოკვდავთა ბუნება,
და დავიწყებას არ შეუძლია ის მიაძინოს:
ღმერთი ძლიერი ჰგებებს იმაში, მარად ჭაბუკი.

ანტიისტროფი ა.

ზეიადობა შობს მძლავრობას
და ქედმადლობა უგნური კი ჰბადებს ყველაფერს
რაც უმართლოა და თან ურგები, და რა მიაღწევს
ამ გზით მწვერვალსა თვალუწვდენს,
ვარდება ღრეზე საშინელების უფსკრულში,

სად უილაჯო უძრავად გდია!
მე კი ღმერთს ვვედრი,
ნუ შესწყვეტს ბრძოლას, ქვეყნის სახსნელად დაწყებულს,
მხოლოდ ღმერთს ვხედავ მწედ და მფარველად.
ს ტ რ ო ფ ი ბ.

ვინც გულზვიადობს სიტყვით თუ საქმით და არ ეკრძაღვის
არცა სამართლის ქალღმერთსა,
არცა უკვდავთა სამკვიდრებელსა,
ვინაც ეძიებს უმართლო სართას,
არც ერიდება ბიწიერ ზრახვას
და მკრეხელობით ბილწავს სიწმინდეს, —
დე, საშინელსა ეწიოს ბედსა!
ვერც აიციდნენ ცოდვით საესენი
ღვთის რისხვის ისარს!

თუ ასეთ საქმეს გასავალი აქვს,
მე რად ჩავება სამა-ფერხულში!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ.

აწ აღარ წავალ ლოცვად იქ, სადაც ქვეყნის უბეა,
არც აბას ტაძრად, არც ოლიმპიად,
თუ არ აღსრულდა მოკვდავთ თვალისწინ
სუხველაფერი, რაც აქ წარმოვთქვი!
გარნა შენ, ზევსო, ყოვლისა შემძლე;
უძლიერესო, თუ ჭეშმარიტად
ძლიერება გაქვს, შენის უკვდავის
ხელისუფლებით განმეხე ცოდვა!
უკვე გაქარწყლდა, რაც რო ლოქსიამ
ამცნო ლაიოსს პითიას პირით,
თვითონ აპოლო ყველგან პატივსა მოკლებულია
და დამცრობილა საღვთო ღირსება.

ი ო კ ა ს ტ ე

ქვეყნის მფლობელნო! მინდა ხელთ ვიღო
ეს გვირგვინები, გუნდრუჟ-საკმევი
და მივაშურო ტაძრად ღმერთებსა,
რადგან ოიდიპოსს მრავალი სევდა
უმწარებს სულსა, უცხო მოვლენას,
ვითა შეშვენის ბრძენს და გონიერს,
იგი ძველთაებრ თავს ველარ ართმევს,
არამედ სჯერა ვინც რა უნდა სთქვას

· საშიშ-საზარი და ჩემს მუდარას
ყურს არ ათხოვებს. და აწ, აპოლო,
შუქმოიფევე, საუფლო ძღვენით
· შენდამი, ღმერთო, კვლავ მოვიქცევი,
რათა მოგვმადლო ხსნა კურთხეული!
· ვით ნაკვოსალარს, შიშით და ძრწოლით
შევეყურებთ მეფეს თავზარდაცემულს!

მ ო ა მ ბ ე

· ზალხო, მაჩვენეთ მეფის სასახლე,
· ანდა იქნება იცით—ამჟამად
· თვითონ ოიდიპოს სად იმყოფება?

ქ ო რ ო

· აი სასახლე, მეფეც შიგ არის,
ეს კი ცოლია მეფის და დედა
· იმის შვილების.

მ ო ა მ ბ ე

დედავ ნაკურთხო!

· თვავ ბედნიერ ბედნიერთ შორის!

ი ო კ ა ს ტ ე

· მაგ დალოცვისთვის შენც მოგენიქოს
· ზედრი კეთილი, მაგრამ გვითხარი,
· რამ მოგიყვანა, რა ამბავს გვეტყვი?

მ ო ა მ ბ ე

· შენის ქმრისა და საზღობისათვის
· სასიხარულოს.

ი ო კ ა ს ტ ე

მაინც რა არის?

· მოხველი სითა?

მ ო ა მ ბ ე

მოველ კორინთით.

· ჩემი ამბავი სასიამოა,
· თან სამწუხაროც.

ი ო კ ა ს ტ ე

რა უნდა იყოს,

· ეგ ორნაირი ძალა რომა აქვს?

მ ო ა მ ბ ე

· როგორც მსმენია, ზალხს სურს ოიდიპოს
· ისთმიის მეფედ გამოაცხადოს.

იოკასტე
მერე პოლიბოს?.. მეფე მოხუცი?..

მოამბე
ცივს სამარეში დაიდვა ბინა.

იოკასტე
რას თქვი? მოკვდაო მეფე პოლიბოს?

მოამბე
თუ გატყუებდე, აქვე გავთავდე.

იოკასტე
გასწი ბატონთან და მოახსენე.
აჰა, ღმერთების წინასწარი თქმაც!
ოიდიპოსს გარბის შორს სამშობლოთგან,
რათა არ მოჰკლას მოხუცი მამა, —
მამა კი კვდება აწ ბუნებითად!..

ოიდიპოსი
ო, იოკასტე, უძვირფასესო
ჩემო მეუღლე! რათ დამიბარე?

იოკასტე
ჰა, მოუსმინე ამ კაცს და მერე
თვითონ განსაჯე, რალა ფასი აქვს
ღვთის წინასწართქმას!..

ოიდიპოსი
სადაურია?
რა უნდა მითხრას?

იოკასტე
კორინთელია,
უნდა გაცნობოს, რომ მამაშენი,
მეფე პოლიბოს, მიცვალებულა!

ოიდიპოსი
რაო, რა გითქვამს? განიმეორე!

მოამბე
თუ საჭიროა გამეორება,
იცოდე, მეფევე, მამა მოგიკვდა.

ოიდიპოსი
რამ მოჰკლა? სენმა თუ კაცთ მზაკვრობამ?

მოამბე
მიხრწნილ გვამისთვის ერთი ბეწოც რამ
საკმაო არის...

ო ი დ ი პ ო ს ი

საბრალო მოხუცს

ისენმა მოულო, როგორც ჩანს, ბოლო.

მ ო ა მ ბ ე

ღიახ, და თანვე ღრმა სიბერემაღ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, ვაი! რალა ფასი აქვს

შემდეგ ამისა პითონის ქრიზმოს

ან მალლა ცაში ფრინველთა წივილს!

ჩემის ხელითვე უნდა მომეკლა

მამა შშობელი, ის კი უსულო

აწ განისვენებს ცივ სამარეში, —

მე კი აქა ვარ და არც მიხლია

ხმლისათვის ხელი! ან ეგებ მამა

სულ მე მიგლოვდა და ჯავრს გადაჰყვა,

და ამ გზით მკვლეელი მაინც მე გაგხდი!

პოლიბოს მოკვდა და ჰაიდესში

თან ჩაიტანა ღმერთების მიერ

წინასწარ თქმული...

ი ო კ ა ს ტ ე

მე წინდაწინვე

ღიღი ხანია მაგას ვამბობდი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ეგ მართალია, მაგრამ მე შიშით

დავკარგე გონი.

ი ო კ ა ს ტ ე

აწლა გულში შიშს

ნუ გაიტარებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

გარნა დედისა

ქმრობას აღარა უნდა ვშიშობდე?

ი ო კ ა ს ტ ე

უადგილოა შიში იქ, სადაც

ბრმა ბედისწერა მხოლოდ განაგებს

და წინათგარძნობაც არაფრისა გვაქვს.

გვიჯობს ვიცხოვროთ ისე, ვით ძალგვიძს.

შენც ნუ იშიშვი დედასთან კავშირს:

სიზმრად მრავალნი ბილწ სარეცელზე

თვისთა დედათა შეუღლებიან,

მაგრამ იოლად ის ცხოვრობს მხოლოდ,
ვინც სისულელეს ყურად არ იღებს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩინებულია შენი სიტყვები,
რომ არ ცოცხლობდეს ამჟამად დედა,
მაგრამ ის ცოცხლობს და მეც შიშით ვკრთოვ.
თუმცა მამშვიდებ.

ი ო კ ა ს ტ ე

მამის საფლავი —

აი რა არის დიდი ნუგეში!

ო ი დ ი პ ო ს ი

დიდია, მაგრამ შიში ცოცხლისა...

მ ო ა მ ბ ე

ნეტავ ვინ არის ის დედაკაცი,
ვისი ხსენებაც გაშინებს ეგზომ?

ო ი დ ი პ ო ს ი

იგი ცოლია პოლიბოსისა,
მეროპე არის!

მ ო ა მ ბ ე

მერე რა არის

მასში ისეთი, რომ ეგრე გაფრთხობსთ?'

ო ი დ ი პ ო ს ი

პოი, მოხუცო, ქრიზმო საზარი,
ღვთით მოვლენილი...

მ ო ა მ ბ ე

არ შეიძლება,

რო მეც ვიცოდე, თუ გამჟღავნდება
ეგ საიდუმლო?

ო ი დ ი პ ო ს ი

რატომაც არა.

წინასწარ მამცნო ლოქსიამ, რო მე
დედა-მშობელსა ქმრად გაუფხდები
და ჩემის ხელით დაეღვრი მამის სისხლს!
და მეც დავაგდე მყისვე კორინთო,
ჩემი სამშობლო, ბედსაც ვეწიე,
თუმცა მშობლების ნახვას ვინატრი,
გულით მწაღია!

მოამბე

მაშ, ამის შიშით
შენ დაგიგდია სამშობლო მხარე?

ოიდიპოსი

რომ არ მომეკლა მამა მშობელი...

მოამბე

რას ველოდები, როდესაც ძალმიძს,
სამოყვროდ მოსულს, მყის გაგიფანტო,
მეფევე, ეგ შიში!

ოიდიპოსი

ნაცვლად მიიღებ

ღირსეულ ჯილდოს.

მოამბე

მეც მისთვის მოველ
ჯილდო მივიღო, ოდეს სამშობლოს
დავებრუნდებო.

ოიდიპოსი

ეგ არ იქნება,

მე სამუდამოდ მოვშორდი მშობლებს.

მოამბე

ო, შეილო ჩემო, შენ თვით არ უწყვი,
თუ რას სჩადიხარ!

ოიდიპოსი

მიხედე ღმერთებს,

მამცნე ყოველი.

მოამბე

ღმერთების შიშით

თუ დაუტოვე შენი სამშობლო,
დაბრუნდი ჩვენთან.

ოიდიპოსი

მერე რომ ახდეს,

რაც მიმეტყველა ფებემ წინასწარ?

მოამბე

რის გეშინია? რომ არ შეჰბილწო
დედის საწოლი?..

ოიდიპოსი

ეგ არის, ეგა,

ღიახ, მოხუცო, მუდამ შიშსა ვგრძნობ...

მ ო ა მ ბ ე

იცოდე, მეფევე, სულ ტყუილია
ეგ შენი შიში.

ო ი დ ი პ ო ს ი

რაო, ტყუილი?!

მე ხომ შეილი ვარ ჩემის მშობლების?

მ ო ა მ ბ ე

ტყუილი-მეთქი: შენ პოლიბოსის
სისხლის არა ხარ!

ო ი დ ი პ ო ს ი

რაო, ეგ რა სთქვი?

ნუთუ ის ჩემი მამა არ არის?!

მ ო ა მ ბ ე

ისე, როგორც მე, — არა უმეტეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვით შეედრება მშობელსა მამას
კაცი, რომელიც არ არის მამა?

მ ო ა მ ბ ე

შენს გაჩენაში თანასწორ წილი
გვიდევს ორსავე.

ო ი დ ი პ ო ს ი

რად მიწოდებდა

მაშინ თვის შვილად?

მ ო ა მ ბ ე

უშვილო მეფეს

შენ მოევლინე ღვიძლის ძის ნაცვლად!

ო ი დ ი პ ო ს ი

ნუთუ სხვის ხელმა არგუნა მეფეს
ჩვილი ყმაწვილი?

მ ო ა მ ბ ე

იცოდე, შვილო,

მეფე პოლიბოსს შენ მე მიგგვარე,
ვით საჩუქარი.

ო ი დ ი პ ო ს ი

შემთხვევით მპოვე,

თუ შემძინე მეფისთვის სყიდვით?

მ ო ა მ ბ ე

ბედით გიპოვე კითერონისა
ტევრიან ხევში.

ო ი დ ი პ ო ს ი

რას აკეთებდი

იმ ყრუ ადგილსა?

მ ო ა მ ბ ე

თვალი მეჭირა

მთაში ნახირზე.

ო ი დ ი პ ო ს ი

მწყემსი ყოფილხარ,

მოჭამაგირე!

მ ო ა მ ბ ე

ო, შვილო ჩემო,

მე მაშინ შენი ვიყავი მხსნელი!

ო ი დ ი პ ო ს ი

რა სენი მჭირდა შავ ბედში მყოფსა?

მ ო ა მ ბ ე

კოკებზედა გაქვს იმ სენის დალი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ძველ ტყვილებს ნუ მომაგონებ!

მ ო ა მ ბ ე

ფრთხილად ფეხებზედ გაგიხსენ თოკი
და დაგიამე წყლული. უსუსუსრს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე ბედშავს, არტახებშივე

პატივაყრილსა!

მ ო ა მ ბ ე

და ეგ სახელი

დღეს რომ ატარებ, მიტომ დაგერქვა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მამცნე, ვინ იყო ამის ჩამდენი?

დედა თუ მამა?

მ ო ა მ ბ ე

არა ვიცი რა.

ეგ იმას ჰკითხე, ვინც შენ გიპოვა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ სხვამ მიპოვა?

მ ო ა მ ბ ე

ღიახ, სხვა მწყემსმა,

მეფევ, მე შენი თავი გაღმომცა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ არის მწყემსი? მისი სახელი?

მ ო ა მ ბ ე

ის უნდა იყოს ლაიოს მეფის

მონა—მსახური.

ო ი დ ი პ ო ს ი

აწ მიცვალეზულ

ამ ქვეყნის მეფის?

მ ო ა მ ბ ე

დიახ, ლაიოსს

ის მწყემსად ჰყავდა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ხომ ცოცხალია?

მინდა თვით ვნახო...

მ ო ა მ ბ ე

ეგ აქაურებს

გეცოდინებათ უკეთ, ვიდრე მე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ნუთუ არავინ აქ მყოფთა შორის

იმ მწყემსს არ იცნობს? არ შეხვედრია

ან სადმე მინდვრად ან აქ, ქალაქში?

აბა, სთქვით! ბარემ ავხსნათ ყოველი!

ქ ო რ ო

ფფიქრობ, ეგ მწყემსი ის უნდა იყოს,

რომელიც უკვე აქ დაიბარეთ, —

ეს ოკასტეს ეცოდინება.

ო ი დ ი პ ო ს ი

აბა, რას იტყვი, ჩემო მეუღლე?

ჩვენ რო მოვიხმეთ, ის მწყემსი არის,

ვისაც ეს ჰხადის?

ი ო კ ა ს ტ ე

რად მეკითხები,

ვისას რას ამბობ? ყურს ნუ ათხოვებ!

ფუქია ყველა მაგის ნათქვამი!

ო ი დ ი პ ო ს ი

ეგ არ იქნება! რაკი მივაგენ

უტყუარ ნიშნებს, ნუთუ არ ცხადვყო

ჩემი გაჩენა?

იოკასტე

ო, ნურასოდეს,
ღვთის გულისათვის ნუ გამოიძევ,
თუ გასურს იცოცხოლო, საკმაო არის,
რაც მე ვიტანჯე!

ოიდიპოსი

გულს ნუ გაიტეხ!
თუნდ სამგზის ვიყო მონა სამის ღვთის,
შენს შთამოებას ეს ჩირქს ვერ მოსცხებს!

იოკასტე

მაინც გენუკვი მე გამიგონო, —
ნუ გამოიძევ!

ოიდიპოსი

ვერ გაგიგონებ!
მე ყველაფერი უნდა ვიწვრილო!

იოკასტე

რასაც მე გირჩევ, უკეთესია, —
მე კარგად ვიცი.

ოიდიპოსი

კმარა, ეგ რჩევა
ღიღი ხანია ძალზე მომბეზრდა!

იოკასტე

ო, უბედურო! ნეტა ვეროდეს
გაჩენის ამბავს ვერ შეიტყობდე!

ოიდიპოსი

გასწით, ახლავე მომგვარეთ მწყემსი...
ეგ კი დასტოვეთ: დე, შეჰხაროდეს
თვისთა წინაპართ!

იოკასტე

ბედშავო მეფევ!
ეს შემძლია მხოლოდღა გითხრა!

ქორო

მეფევ, რად გარბის შენი მეუღლე
საშინელ სევდით გარემოცული?
ვშიშობ, ვაითუ დედოფლის გმინვას
უბედურება საზარი მოჰყვეს!

ოიდიპოსი

დე, ბარემ მოხდეს! მე მსურს გავიგო,
თუგინდ დაბალი გვარისა ვიყო,

ვინ გამაჩინა? მას კი რცხვენია
ქმრის უგვარობის, ვითარცა ქალსა
ზეავსა, ქედმაღალს! ბედის შვილი ვარ —
ეს განა მარცხვენს? მე შშობა ბედმა,
მარად მოწყალემ... განვლილთა თვეთა
არარაობა ცად ამამაღლეს...
და არასოდეს არ მსურს სხვად ქცევა,
რომ ვერ გავიგო, თუ ვინ დამბადა...

ს ტ რ თ ფ ი

ქ ო რ ო

თუ კვლავ მაქვს ნიჭი წინასწარ თქმისა, თუ ჰქუაუც
მიჭრის,
ვფიცავ ოლიმპოსს, ვიდრემდის მთვარე გაივსებოდეს,
შენ, კითერონო; ხოტბას შეგასხამ,
ვით ოიდიპოსის აკვანს, სამშობლოს
და მშობელ მამას, სამა-ფერხულით
გაქებ, გადიდებ მისთვის, რო შვება
არგუნე მეფეს!

ფებეე, მოწყალე, აღსრულდეს ნება შენი, წმინდაი!

ა ნ ტ ი ს ტ რ თ ფ ი

ყრმავ, მარქვი, უკვდავ ქალწულთა შორის რომელმა
გშობა?

პანს შეუერთდა მთების ბინადარს,

თუ თვით ლოქსია გაგვიხდა მამად, —

მინდორთა, ველთა, ვაკეთ ტრფიალი?

ან თუ კილენეს მფლობელი დმერთი?

ან თუ ბახუსსა, მთისა მწვერვალზედ, მრგვალთვალა

ნიმფათ,

მათის ცელქობის თანაზიარსა,

ვით ძე მიგგვარეს?

ო ი დ ი პ ო ს ი

თუ არა ვცდები, მოხუცნო, ვგონებ,

იმ მწყემსსა ვხედავ, რომელსაც ვეძებთ

დიდი ხანია, თუმც არ მინახავს.

ის უნდა იყოს: ღრმა მოხუცია,

ვით კორინთელი, და, კარგად ვარჩევ,

ჩემს მსახურთ მოჰყავთ. თუმცა შენ უკეთ

უნდა იცოდე, რადგან უწინაც

გინახავს მწყემსი.

ქორო

დიახ, ვიცანი.

ლაიოსს ახლდა ერთგულ მსახურად.

ოიდიპოსი

წინაპირველად კორინთელ სტუმარს

გკითხავ: — მითხარი, ეგ ის კაცია?

მოამბე

დიახ, ის არის.

ოიდიპოსი

აქეთ მოდექი,

თვალში მიცქირე და მიპასუხე:

შენ ლაიოსის მსახური იყავ?

მწყემსი

მე ვიყავ მონა, სახლში აღზრდილი,
არა ნასყიდი.

ოიდიპოსი

რას აკეთებდი?

რა საქმე გქონდა?

მწყემსი

მთელი სიცოცხლე

ნახირში ვიყავ.

ოიდიპოსი

სად უფრო ხშირად

მწყისიდი ნახირსა?

მწყემსი

კითერონისა

არემარეში და მის კალთებზედ.

ოიდიპოსი

ეს კაცი სადმე ხომ არ გინახავს?

მწყემსი

მეფევ, ვინ კაცი? რა მოხელეა?

ოიდიპოსი

აი, ეს კაცი!.. არსად გინახავს?

მწყემსი

არა, არ ვიცი... არ მაგონდება...

მოამბე

ნუ გიკვირს, მეფევ, მე მოვაგონებ

ცხადად ყველაფერს. თამამად ვიტყვი,

უნდა ახსოვდეს, რო ჩვენ ორივე

კითერონისა მიდამოებში
ჯოგებსა ვმწყესდით: მე—ერთს, ეგ—ორსა.
იქ გავატარეთ სამი ზაფხული...
ზამთრის პირში კი გავრეკდით ჯოგებს —
ეგ ლაიოსის ფარეხში, მე კი —
ჩემსა ბოსელში. აბა, ძმობილო,
მართალს არ ვამბობ?

მ წ ყ ე მ ს ი

მართალი არის,
თუმცა დიდი ხნის ამბავი კია.

მ ო ა მ ბ ე

მაშ გაიხსენე, ერთხელ რო ბავშვი
მომგვარე, რათა გამომეზარდა
ვით ღვიძლი შვილი?

მ წ ყ ე მ ს ი

რაო, რას ამბობ?
რა საჭიროა ეგ მოგონება?

მ ო ა მ ბ ე

აი, ძმობილო, ის ქორთვა ბავშვი.

მ წ ყ ე მ ს ი

გაჩუმდი, ბრიყვო, გასწი აქედან!

ო ი დ ი პ ო ს ი

ეგ საყვედურის ღირსი არ არის, —
შენა ხარ, მონავ, ღირსი სასჯელის!

მ წ ყ ე მ ს ი

უსათნოესო, რა დავაშავე?

ო ი დ ი პ ო ს ი

იმ ყმაწვილისა არაფერს ამბობ!..

მ წ ყ ე მ ს ი

მაგან არ იცის, ტყუილებს როშავს...

ო ი დ ი პ ო ს ი

ნებით არ ამბობ? ჯოხი გამოგტეხს!..

მ წ ყ ე მ ს ი

ო, ღვთის გულისათვის, ნუ მცემ მოხუცსა...

ო ი დ ი პ ო ს ი

მსახურნო, მალე შეუკართ ხელნი...

მ წ ყ ე მ ს ი

ვაი, უბედურს! რა უნდა გითხრა?

ო ი დ ი პ ო ს ი
 ამ კაცს მიეცი ბავშვი, თუ არა?
 მ წ ყ ე მ ს ი
 მივეცი... იმ დღეს რად შევესწარი!..
 ო ი დ ი პ ო ს ი
 თუ არ გატყდები, მოკვდები ეხლავე.
 მ წ ყ ე მ ს ი
 მე დავიღუპები, თუ ვთქვი სიმართლე.
 ო ი დ ი პ ო ს ი
 შენ, ვგონებ განგებ აჭიანურებ...
 მ წ ყ ე მ ს ი
 არა, ბატონო, ხომ მოგახსენე,
 დიდი ხანია მივეცი-მეთქი...
 ო ი დ ი პ ო ს ი
 სთქვი, ვისი იყო: შენი თუ სხვისი?
 მ წ ყ ე მ ს ი
 სხვისი, ბატონო, მე სხვამ გადმომცა...
 ო ი დ ი პ ო ს ი
 დაასახელე, ვინ? რომელ სახლში?
 მ წ ყ ე მ ს ი
 ლეთის გულისათვის, ნუ გამომკითხავ...
 ო ი დ ი პ ო ს ი
 სულს ამოგართმევ, თუ არ სთქვი მალე!..
 მ წ ყ ე მ ს ი
 ყმაწვილი მეფის ჯალაბის იყო...
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მონა თუ შვილი?
 მ წ ყ ე მ ს ი
 ვაგლახ! ამის თქმა
 საშინელია!
 ო ი დ ი პ ო ს ი
 მოსმენა უფრო
 საშინელია, მაგრამ მაინც სთქვი!
 მ წ ყ ე მ ს ი
 ყმაწვილსა მეფის ძედ უწოდებდენ...
 ჰკითხე დედოფალს, მან უკეთ იცის...
 ო ი დ ი პ ო ს ი
 როგორ, მან მოგცა?

მ წ ყ ე მ ს ი

ღიას, მეფეო!

ო ი დ ი პ ო ს ი

რისთვის, რა აზრით?

მ წ ყ ე მ ს ი

მოსაკვდინებლად.

ო ი დ ი პ ო ს ი

მშობელმა დედამ?

მ წ ყ ე მ ს ი

შიშით გასწირა

მან თავის პირმშო...

ო ი დ ი პ ო ს ი

რა შიში იყო?

მ წ ყ ე მ ს ი

იყო ხმა ღვთისა—ბავშვს ღვიძლი მამა
უნდა მოეკლა..

ო ი დ ი პ ო ს ი

რად გადაეცი

ყმაწვილი მოხუცს?

მ წ ყ ე მ ს ი

ვერ გავიმეტე

უმანკო ბავშვი და მწყემსს მივეცი,

რათა კორინთსა თან წაეტანა...

მან კი აღზარდა და განუმზადა

სვე საშინელი, ვინათგან, მეფეე,

თუ ის ყმაწვილი მართლა შენა ხარ,

საზარელია შენი სიცოცხლე!..

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, ვაი!.. ახდა ყოველი!..

სინათლეე დღისა, გაჰქრი თვალთაგან!..

შობითვე წყეულს მე შემიბილწავს

წმინდა საწოლის ღვთით შეჩვენებულს

უმანკო სისხლი დამინთხევია!..

ს ტ რ ო ფ ი ა.

ქ ო რ ო

კაცობრიობაე, რაღა ხარ?

თვით სიცოცხლეში აჩარაი

ბედნიერების მსურველი

ვინ მისწვდომიხარ საწადელს?
ბედკეთილობა ლანდია,
მხოლოდ ჩვენება წუთისა!
და რა გაჰქრება, ვარდებით
უფსკრულში საბრალობელნი!
შენის შავბედის, თიდიპოს,
საზარის ზვედრის მხილველი,
ვხედავ არა არს ამ ქვეყნად
ბედნიერება!

ანტიტროფი ა.

შენმა ისარმა განუპო
მკერდი საშინელს მგოსანსა!
შენ მიაღწიე დიდებას,
ბელსა, სიმდიდრეს! მფარველად,
მხსნელად გაუჩინდი ქვეყანას!
დაგვხსენი სიკვდილს, ვაებას!
ჩვენცა დაგდაფნეთ, მეუფედ
შენ მოგიწოდეთ მაშინვე!
და თაყვანს გცემდა, ვით მეფეს,
დიადი თებე!..

სტროფი ბ.

ეხლა რას ვხედავ, თიდიპოს?
ცვალებადია ცხოვრება!
უსაზარლესი წილად გხვდა
ტანჯვა, წვალება, ნაღველი!
მეფეო ტკბილო! განსასვენებლად
ერთს საქორწინო სარეცელზედა
ვითარ მოთავსდით მამა და შვილი?
მამის საწოლმა, ბედკრულო,
ვით აიტანა სირცხვილი?
რარაგ გაუძლო ამდენ ხანს
თავისს შებილწვას?

ანტიტროფი ბ.

მაგრამ დრომ, ყოვლისმხედველმა,
ანაზღად ცხადჰყო ბილწი კავშირი
ღვიძლის შვილისა მშობელ დედასთან!..
ლაიოსის ძევ, ბედშაო!
ნეტამც ჩემს თვალებს

სულ არ ენახე!..

ეხლა ცრემლებს ვღვრი,
მწარედ ვქვითინებ
შენის გულისთვის: შენითლა გვიდგას
ტანჯულთა სული! შენით ცოცხალ ვართ!
შენ მოგვანიჭე თავისუფლება!

შ უ ლ ტ ა

პატივცემულნო და დიდებულნო
მოქალაქენო! ჰკრთოდეთ ყოველნი!
საშინელ საქმეთ იხილავთ თვალით,
საშინელებას ყურით მოისმენთ!
საზარი კენესა გულთ აღმოხდებათ,
თუ კვლავ ერთგულებთ ლაბდაკიდთა გვარს!
არცა ისტროსის, არცა ფაზისის
მრისხანე ტალღებს არ შეუძლია
აღხოცოს ყველა ის ბოროტება
ნებაყოფლობით დამართებული,
რაც სასახლეში დაბუდებულა
და რაც თავს იჩენს ადრე და მალე!
საშინელია მხოლოდ ბოროტი,
ჩვენით ჩვენთვისვე განმზადებული!..

ქ ო რ ო

გვეყოფა, რაც რო ჰირი ვიგემეთ!
შენ რას გვიმზადებ? ბარემ გვითხარი!

შ უ ლ ტ ა

მოკლედ გაცნობებთ საშინელ ამბავს;
აწ იოკასტე აღარა ცოცხლობს.

ქ ო რ ო

ო, უბედური! გვითხარ, ვინ მოჰკლა?

შ უ ლ ტ ა

ოავი მოიკლა... მაგრამ ამბავი
ეს საშინელი თქვენ არ გინახავთ.
ვერც წარმოიდგენთ. აი, გიამბოთ
ბედ-შავის ტანჯვა, რაც თვალთ ენახე!..
გააფთრებული, გრძნობამიხდილი,
რა წამს წინ კარში ის შემოიჭრა,
შიგნით შევარდა და მიაშურა
მყის თავის საწოლს, თან თმას იგლეჯდა

ორივე ხელით... მოუწოდებდა
 მეფე ლაიოსს... მუნ იგონებდა
 ვაჟსა, მამისმკვლელს და მშობელ დედის
 შემარცხვენელსა... სწყევლიდა საწოლს,
 ცოდვით წაბილწულს, სადაც ბედკრულმა
 შვა ქმრისგან ქმარი, პირმშო შვილისგან
 წყეულნი შვილნი!.. რა მოხდა მერე,
 ვით დაიღუპა, აღარ მინახავს...
 ყვირილ-ზახილით იქ შემოვარდა
 ოიდიპოს მეფე, — ველარ ვუცქირეთ
 დედოფლის ტანჯვას, მეფეს ვუმზერდით,
 ვით აწყდებოდა იქით და აქეთ...
 დაბარბაცებდა, ეძებდა მახვილს,
 ეძებდა ცოლსა და არა-ცოლსა,
 მრჩობლსა დედასა ქმრის და შვილების...
 ჩვენ ხმას ვერ ვცემდით გაშმაგებულსა...
 ბოროტი ღმერთი უბნევდა გზა-კვალს...
 უცებ საზარლად დაიღრიალა
 და, თითქო ვისღაც ეჩვენებინოს,
 ეძგერა კარებს, რკინის ურდული
 მიღეწ-მოღეწა, უმაღ შევარდა
 საწოლ ოთახში... იქ დედოფალი
 თოკზედ ეკიდა და ქანაობდა...
 რა დაინახა ბედკრულმა მეფემ,
 საზარის გმინვით გაუხსნა ყულფი
 და ძირს დაეცა დედოფლის გვამი...
 აქ დატრიალდა ცოდვა საზარი:
 მეფემ მოსწყვიტა დედოფლის სამოსს
 ოქროს ბალთები და ერთის დაკვრით
 გამოითხარა ორივე თვალი...
 და თან მოსთქვამდა: რომ მისთა თვალთა
 აწ ვერ იხილონ, რაც სატანჯველი
 გარდახდენია ან ბოროტება
 ჩაუდენია... დე, ბნელში მყოფი
 ნულა იხილავს იმათ, ვისიცა
 გაცნობა მარად ეგრე სწყუროდა
 და ვინც, ერჩივნა, სულ არ ენახა!..
 ასე მოსთქვამდა და კვლავ იცემდა
 თვალეზში ბალთებს.. სისხლი სდიოდა

არა წვეთ-წვეთად, — ვითა ნაკადრ
მოთქრიალებდა ცრემლში ნარევი
და უღებავდა გულ-მკერდსა, ლაწვებს...
ცოდვის ჩამდენი ორივე იყო,
სასჯელიცა ხვდათ ორსავე ცოლ-ქმარს...
ამა ადგილთა ძველად, ოდესღაც
დულდა სიცოცხლე, ბედნიერება...
დღეს კი? ეხლად?... კვნესა-ვაება,
სიკვდილი, გლოვა, ათასი ჭირი,
რაც ადამიანს წილად ჰხვდომია!..

ქორო

რა ყოფაშია ეხლა ბედკრული?

შულტა

მრისხანებს, ჰყვირის — კარი გააღონ,
აჩვენონ ყველას მკვლელი მამისა,
ის, ვინაც დედა... არა, არ ძალმიძს
უშვერი სიტყვა განვიმეორო...
სურს განერიდოს ჩვენს ქვეყანასა,
დასტოვოს სახლი — ესე წყვეული
სამარადისოდ... გარნა არ შესწევს
ძალი და ღონე, არც ჰყავს ეტიკი.
ტანჯვა კი მისი უმძიმესია,
ვიდრე ერთ კაცსა ძალუძს ატანა...
აი, თვით ნახავთ... კარი იღება...
და გამოჩნდება სანახაობა,
რომლის შეხედვა მტერსაც შეჰზარავს.

ქორო

გულშემზარავი სანახავია!
უსაზარლესი არ მინახავს რა!
რამ დაგიბნელა ჰკუ-გონება,
სვეკრულო მეფევე? რომელმა ღმერთმა
თავს დაგატეხა ჭირი საზარი?

ვაი ბედშაო!

მსურს გამოგკითხო, გამოვიწვლილო,
გავიგო ყველა, მაგრამ არ ძალმიძს;
თვალს ვერ გიმართავ, შეძრწუნებული
შიშით ვკანკალებ!

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე! ვაი!
ვაგლახ უბედურს! სად მომიყვანეთ?
ასე საოცრად რად ისმის ბნელში
ჩემი სუსტი ხმა? ბედო მუხთალო,
ეს რა დამმართე?

ქ ო რ ო

საშინელი რამ,
აუტანელი, გამოუთქმელი!

ს ტ რ ო ფ ი ა .

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, ვაგლახ!
ღამე, უკუნი, ბნელი საზარი,
განუჭვრეტელი და უძლეველი!
ვაი!
და კიდევ ვაი! ო, რარიგ მტანჯავს
საზარ საქმეთა მოგონებანი!
რარიგ მიწყლავს გულს ტკივილი თვალის!

ქ ო რ ო

ოლონდაც, ტანჯვა ესეოდენი
შენ ერთიორად გიშხამავს სულსა.

ან ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა .

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, მეგობარო!
ერთგულ მსახურად შენ დამრჩი მხოლოდ,
შენ არ დამაგდე ბრმა, უსინათლო!
ბნელით მოცულმა, სასომიხდილმა
ხმაზე გიცანი, ძველო მსახურო!

ქ ო რ ო

რა ჩაიდინე? რად დაიბნელე
სინათლე მზისა? რომელმა ღმერთმა
ჩაგიგდო გულში საშინელება?

ს ტ რ ო ფ ი ბ .

ო ი დ ი . პ ო ს ი .

ო, მეგობარნო! აბოლო იყო,
ღმერთი-აპოლო! მან აღასრულა
უსაზარლესი მუქარა თვისი!
თვალები კი მე, მე დავითხარე

ჩემი ხელითვე! რისთვის მეცქირა?
თვალხილული კი განა ვხედავდი
სასიხარულოს?

ქორო
ქეშმარიტია!

ოიდიპოსი
რა დამრჩენია? ვისლა შევხედო?
ვინლა მიყვარდეს? ვისლა ვუსმინო?
ო, მომამორეთ აქაურობას,
მალე მომწყვიტეთ, შორს წამიყვანეთ
ბილწი სევკრული, შეჩვენებული
და ღმერთებისთვის შესაზიზღარი!..

ქორო
საშინელია შენი ცოდვები,
უფრო საზარი, რაკი შეიგნე!
ო, მირჩვენოდა სულ არ მენახე!

ოიდიპოსი
წყეულიმც იყოს, ვინც მთის კალთაზე
დამხსნა თასმები და დამიფარა
სიკვდილისაგან! რისთვის ვცოცხლობდი?
თვით დავიტანჯე და მოყვასთ ჩემთა
ქირი საზარი წილად ვარჯუნე.

ქორო
ეგ მართალია, სიკვდილი სჯობდა...

ანტიტროფი ბ.

ოიდიპოსი
არც შევბილწავდი დედის სარეცელს
და მამის სისხლსაც არ დავიდებდი...
ახლად? რა ვარ? შეჩვენებული,
შერცხვენილ დედის უკეთური ძე,
ღვიძლის მშობელის თანამეცხედრე!..
ო, თუ არსებობს უსაზარლესი
ბოროტება რამ, ოიდიპოსს შეხვდა!..

ქორო
არ ვიცი, რა ვთქვა, ვით მოგიწონო?
გარნა გიჯობდა უსინათლობას
სულ არ გეცოცხლა!..

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ნუ გამეციხავ,
ნუ, ნუ მაყვედრი, რო სიკვდილის წილ
თვალთ დავიბნეულე სინათლე დღისა...
ვითლა მემზირა აბა ჰადესში
ბედკრულ დედისთვის? ან მშობელ მამას
ვით ვჩვენებოდი ძე უკეთური,
ბილწი, ცოდვილი, შიშთვილის ღირსი?
განა არ მწყურის შვილების ნახვა?
მაგრამ არ ძალმიძს... ჩემი თვალეზი
მათ ვერ იხილავს... ველარც ქალაქსა,
ვერც ციხე-კოშკებს, ვერცა ღმერთების
წმინდა ქანდაკთა... თვით-მე, ბედშავმა,
დავკარგე ყველა: გავეც ბრძანება
(ოდეს ვმეფობდი თებეს განცხრომით)
განდევნოს ყველამ, ვინც აღმოჩნდება,
ვით ღვთის ღალადებს წინასწარი თქმა,
ძვირის მოქმედი და ძე მეფისო!
თავლაფდასხმულმა ვით გავუსწორო
ჩემთ თანამოძმეთ დღეიდან თვალი?!
არა, არასდროს! ო, რო შემეძლოს
მოვისპო სმენა, დავიხშო ყურნი,
ვერც რა ვიხილო, ვერც გავიგონო!..
სასიამოა, ოდეს ვერა გრძნობ
ტანჯვა-წვალეზას! ჰოი, კითერონ,
რად შემეფარე, რად არ მომკალი,
ხალხს არ შეეტყო თუ ვისგან ვიშვი!
და შენც პოლიბოს, და შენც კორინთო,
შენც, მამეულო ძველო სასახლევე,
ეს ვინ აღზარდეთ, გარეგან ტურფა
და დაფარული შიგ მუწუკებიო,
ცოდვით აღნავსი, ცოდვით ნაშობი!
შენც მებოძირო სამის გზისაო;
ტყეო ბურვილო და ვიწრო ხევი,
თქვენ შეიწოვეთ ამ ჩემის ხელით
მუნ დანთხეული სისხლი მეფისა, —
გახსოვთ, თქვენს შორის რა ჩავიდინე
და აქ მოსულმა კვლავ რა ცოდვა ვქმენ?
ჰე, ქორწინებავ, მე რო დამბადე,

კვლავ მიანიჭე ჩემს თესლს სიცოცხლე
და წარმოშობე მამანი, ძმანი,
ვაჟნი და ბავშვნი, ერთი სისხლ-ხორცი,
ცოლ-რძალ-დედანი და რაც რამ არის
უსაზიზღრესი კაცთ შორის ქვეყნად!
გარნა ძნელია მოსათხრობელად
საზარ საქმეთა ჩემთა ამბავი!
ამიტომ გვედრით, ღვთის გულისათვის,
მალე განმადეთ ამა ქვეყნისგან,
ან მომაკვდინეთ, ანდა შთამაგდეთ
ზღვისა მორევში, რომ ვერ მიხილოთ!
გამხადეთ ღირსი ხელის შეხების
მე საცოდავი! მომიახლოვდით,
ნუ გეშინიანთ! სხვა არვის ძალუძს
ამის ატანა მოკვდავთა შორის!
გარნა უკეთუ კაცთ შთამოვების
არ გაქვთ სირცხვილი, ეკრძალებოდეთ
ჰელიოსს ღმერთსა, ვისი ნათელი
ცხოველჰყოფს ყველას, ვინც ეგრე ცხადჰყო
ძვირის მოქმედი: მას ველარ განწმენდს
ვერც დედამიწა, ვერცა ცის ნამი,
ვერც შუქი მზისა! მაშ, წამიყვანეთ
საჩქაროდ შინა: მარტო თვისტომთა
მართებს ისმინონ და დაინახონ
თვის ნათესავის ტანჯვა-წვალება!

ქორო

აი, კრეონიც ახლად აქ მოდის, —
ის გირჩევს, სრულჰყოფს სუყველაფერსა:
დღეს შენ მაგიერ ის დაგვრჩენია
ჩვენ ერთადერთი ქვეყნის დარაჯი.

ოიდიპოსი

ვაგლახ, რა ვუთხრა, როგორ მივმართო?
განა ღირსი ვარ მაგის ნდობისა,
ვისაც მოვექმეც ეგრე უმართლოდ?!

კრეონი

არა, ოიდიპოს, მე არ მოვსულვარ,
ვითა მქირდავი, გისაყვედურო,
რაც ბრალი დამდე, მლანძღე, მაგინე!

ო ი დ ი პ ო ს ი

•ო, ღვთის გულისთვის, რაკი განფანტე
•შენ ჩემი შიში და მოხველ ჩემთან,
•მოძმეთა შორის უბოროტესთან,
•შენ — ვაჟიკაცი უსათნოესი,
•ყური მომაპყარ — მსურს გითხრა რამე,
•ჩემთვის კი არა, შენთვის უმეტეს.

კ რ ე ო ნ ი

•რალა გწადია, რომ აგისრულო?

ო ი დ ი პ ო ს ი

•ჩქარა ამ ქვეყნით შორს განმადევნე,
•რო ჩავკვდე სადმე ობლად შეთნილი.

კ რ ე ო ნ ი

•სრულ ვჰყოფ, მერწმუნე, შენსა სურვილსა,
•მაგრამ ღვთის ნებაც უნდა ვიცოდე.

ო ი დ ი პ ო ს ი

•ბრძანება ღვთისა ცხადად ღალადჰყოფს —
•მოჰკლათ ურჯულო, მკვლეელი მამისა.

კ რ ე ო ნ ი

•ეგ აგრე იყო, მაგრამ გვიჯობს კვლავ
•ღმერთსა შევჰკითხოთ, ახლალა რა ვქმნათ?

ო ი დ ი პ ო ს ი

•როგორ? თქვენ გინდათ ჩემი რამ ჰკითხოთ?

კ რ ე ო ნ ი

•ჰოდა ამყამად შენც ენდე ღმერთსა.

ო ი დ ი პ ო ს ი

•შენ მოგნდობივარ და გევედრები
დაასაფლავო, ვით სცნობ საჭიროდ,
•ვინც .იქ, სახლშია. ვიცი, კეთილად
•სრულ ჰყოფ ამ საქმეს შენიანთათვის
მე კი, უღირსი ამიერთგან,
•მშობელ ქალაქსა ხამს განვერიდო,
•ვიდრე. ცოცხალ ვარ გამიშვი მთაში,
•სად მღებარეობს ჩემი კითერონ,
•სად განმიმზადეს ჩემთა მშობელთა
•სამარე შვილთა, სადაც მათ სწადლათ
•ჩემი დაღუპეა, მაგრამ ვერც სენი,
•ეს კარგად ვიცი, ვერცა სხვა რამე,
•მე ვერ დამღუპავს: მაშ განწირული,

ვითლა გადვურჩი სიკვდილს, თუ არა
უფრო საშინელ ბოროტებისთვის!..

გარნა, დე ახდეს, რაც მიწერია!..

ვაჟებისათვის ნუ ზრუნავ, კრეონ,

ვაჟკაცებია და უჭირველად,

სადაც იქნება ცხოვრების სახსარს

კი იპოვნიან... მაგრამ ქალები...

საბრალობელნი... მათთვის არასდროს

გამზადებულა ხომ ცალკე ტაბლა!..

თუ შევხებივარ რასმე, ყოველთვის

სუყველაფერში ჰქონიათ წილი!..

მათთვის იზრუნე!.. მიეცი ნება

ხელი შემახონ და ცხარე ცრემლით გამომიტირონ!

წადი, მეფეო, კეთილშობილო შთამომავლობით!

ხელს რო შევახებ, ასე ვიფიქრებ,

კვლავ ჩემი იყენენ, ვით მაშინ, ოდეს

თვალით ვხედავდი... მაგრამ რას ვამბობ?..

ჰოი, ღმერთებო! ნუთუ საყვარელ

ქალიშვილების მესმის ქვეითინი?!

ნუთუ კრეონსა შევბრალებივარ

და ჩემი ქალნი, უსაყვარლესნი,

მოუყვანია? მართალს არ ვამბობ?

კ რ ე ო ნ ი

მართალი არის, ეს სიხარული

მე გაგიმზადე, ვიცოდი რადგან

ამის მოლოდინს შენი არსება

გარემოუცავს!

ო ი დ ი პ ო ს ი

იყავ კურთხეულ

ნაცვლად ამისა, ერთ-ერთი უფრო

გწყალობდეს ღმერთი, ვიდრე მე ცოდვილს!

სად ხართ, შვილებო? მომიახლოვდით,

დახედეთ თქვენის ძმისა ხელებსა,

თქვენსა მამას რომ თვალი ელვარება

ეგრე ჩაუქრეს, ვით ეხლა ხედავთ!

თქვენი მამა ვარ, შვილებო, თქვენი,

გშობეთ იმისგან, ვისგანც თვით ვიშვი!

(არაფრის მცოდნემ და არც მხედველმა)..

ახლა დაგტირით, რო ველარ გიმზერთ

და თვალწინ მიდგას თქვენი სიცოცხლე
 სავესე სიმწარით მოკვდავთა შორის!..
 მოქალაქეთა კრებაში სადღა
 გამოჰყოფთ თავსა? დღესასწაულსა
 ვით დაესწრებით, სად ცრემლს დააფრქვევთ
 ნეტარების წილ და გულდამწვარნი
 შინ დაბრუნდებით! გარნა როდესაც
 გათხოვებისა მოაწვეს უამი,
 ვინღა გაბედავს სირცხვილი ესე
 ჩემთა მშობელთა და თანვე თქვენთა
 იდოს თვის თავსა! განა გვაკლია
 რაიმე ჭირი? მამამან თქვენმან
 თვით მოაკვდინა მშობელი მამა,
 დედას შეეხო — ვისგან თვით იშვა,
 და მისგანვე გშვათ, — ამით გაგკილვენ!..
 ვინღა შეგირთავსთ, ვინ მიგიკარებსთ?..
 ეგრე დასჭკნებით უქორწინებელ
 ობლად შთენილნი! გარნა შენ, ჰოი,
 შენოიკეს ძევ, შენ გაუწიე
 მამობა ამათ, დაობლებულთა,
 და ნუ ინანებ, რომ ეს ქალწულნი,
 მოყვასნი შენი, ვლიდენ ამ ქვეყნად,
 გაუთხოვარნი, ვითა გლახანი,
 მიუსაფარნი! გებრალეზოდენ
 ნორჩი ასულნი, რათა მათი სვე
 არ ჰგავდეს ჩემსას, — შენღა ხარ მარტო
 მათი იმედი, სხვა ყოველივე
 დაკარგულია მომეცი ხელი,
 ნიშნად თანხმობის, კეთილშობილო!..
 თქვენ კი, შვილებო, კიდევ ბევრს რასშე
 გეტყოდათ მამა, თუმცე საამისო
 გქონდესთ გაგება... ეხლა კი მხოლოდ
 ისღა ისურვეთ—როგორც იქნება,
 დავლიო დღენი და უკეთესი
 თქვენ შეგხვდეთ ხვედრი, ვიდრე მამათქვენს!..

კ რ ე ო ნ ი

კარგია, მოვრჩეთ! კმარა ცრემლები! წამო პალატში!

ო ი დ ი პ ო ს ი
თუმცა კი მიმძიმს, მაინც გამორჩილებ!

კ რ ე ო ნ ი
თავისი დრო აქვს აკი ყველაფერს.

ო ი დ ი პ ო ს ი
წამოვალ მხოლოდ ერთის პირობით.

კ რ ე ო ნ ი
სთქვი, რა პირობით?

ო ი დ ი პ ო ს ი
თუ განმადევებ ამა ქვეყნითგან.

კ რ ე ო ნ ი
ეგ ლეთის ნებაა!..

ო ი დ ი პ ო ს ი
ღმერთებისთვის ხომ საზიზლარი ვარ!

კ რ ე ო ნ ი
მით უკეთესი!

ო ი დ ი პ ო ს ი
შენ აგრე ფიქრობ?

კ რ ე ო ნ ი
რომ არ ვიცოდე არც რას ვიტყოდი.

ო ი დ ი პ ო ს ი
მაშ წამიყვანე.

კ რ ე ო ნ ი
წადი, შვილები კი აქ დასტოვე.

ო ი დ ი პ ო ს ი
ოჰ, არა, შვილებს ნუ მომაშორებ!..

კ რ ე ო ნ ი
ნუ ხარ თვალხარბი:

რაც მოიხვეჭე შენს ცხოვრებაში, ხედავ, არ შეგრჩა!

ქ ო რ ო
ჰოი, თებელნო, ხედავთ ოდიპოსს, — ვაჟაკი ქველი,
ვინც იღუმალი იმ გამოცანის აზრი გაიგო,
ვის უცხო ბედსა შურით უტკერდენ მოქალაქენი,
დღეს საშინელის უბედურების მორევს შთაუნთქავს!
ამად მოკვდავსა, სანამ არ დაჰკრავს იმის სიცოცხლის
უკანასკნელი ჟამი, ბედკეთილს ნულა უწოდებთ,
ვიდრე საზღვარსა საამქვეყნიო ცხოვრებისასა
ის უპირველად და უზრუნველად გასცილდებოდეს!

პეტრბურგი, 1911 წ.

ანტიგონე

ტრაგედია

მოკმედი პირანი

კრეონი — მეფე თებესი
ვერიდიკე — მისი ცოლი
ჰემონი — მათი ვაჟი
ანტიგონე — დისწული კრეონისა და ჰემონის საცოლე
ისმენე — მისი და
ტირეზია — ბრმა მოხუცი, მისანი
დარაჯა
მსახური კრეონისა
ქორო, თებელი მოხუცი
მცველნი და მსახურნი კრეონისა
მხევალნი ვერიდიკესი

პროლოგი

ანტიგონე

დაო, ისმენე, ჩემო სისხლ-ხოცო,
ნუთუ ვერ ჰხედავ ოიდიპოსის
ცოდვა-ბრალისთვის, ვიდრე ცოცხალ ვართ,
შურისგებითა ვით გვდევენის ზევსი?

- 5 ჭირი, სირცხვილი, უპატიობა —
რა არ გვინახავს შავს დღეში მყოფთა!
და ეხლა კიდევ, არ გაგიგია
თუ რა ბრძანებას უცხადებს ქალაქს
მხედართმთავარი, თუ რა სიავეს
10 მოყვასთა ჩვენთა უმზადებს მტერი?..

ისმენე

არა მსმენია არც რამ საამო,
არც სამწუხარო, მას აქეთ რაც რომ

დაეჰკარგეთ, დაო, ორივე ჩვენი ძმა,
ერთუერთის მიერ ერთს დღეს მოკლული,

- 15 და აარგოსელთ სპა გაიქცა ღამით.
სხვად კი არ ვიცი თუ რაშიგან ვართ —
კვლავ ბედს ვეწევით თუ უბედობას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვიცი და მისთვის გიხმე სასახლით,
რათა თავისწინ გიამბო ყველა.

ი ს მ ე ნ ე

- 20 რა ამბავია? ეგრე რად ჰღელავ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვით არ ავლელდე, ოდეს კრეონმა
ერთს ძმას მიაგო დიდი პატივი
და მეორეს კი უპატიობა.

ადათისამებრ და საფერისად,

- 25 უბნობენ: დაფლა მან ეტეოკლე
და ღირსეული ქვესკნელსა შინა
მისცა სავანე, და პოლინიკეს,
ავბედათ მოკლულს, არც დატირება
არგუნა, არცა დამარხვა, — ბრძანა

- 30 დაუტირალი დაადღონ გვამი,

ვით სანუკვარი დაფლა ფრინველთა.

სათნო კრეონი გვიბრძანებს ამას

მე და შენ, — ვამბობ, მეც-მეთქი, — და თვით
აქ ამცნობს ყველას, ვინც ჭერ არ იცის.

- 35 ის არც უბრალოდ ჰრაცხს ამ ბრძანებას —

ურჩს ქვით ჩაქოლვა ელის საქვეყნოდ.

ეს ამბავია. ეხლა კი ვნახავ,

კეთილშობილის დედ-მამის შვილი
პატოსანი ხარ თუ უგვანი.

ი ს მ ე ნ ე

- 40 ბედკრულო, თუკი ეგრეა საქმე,
რით დაგეხმარო ან დაგიშალო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

აბა, იფიქრე, თუ შემეწევი.

ი ს მ ე ნ ე

საშიშს აპირებ! რა გაგიზრახავს?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

დამეხმარები დავფლათ ძმის გვამი?

ი ს მ ე ნ ე

-45 როგორ თუ დაეფლათ? მერე ბრძანება?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

შენსა და ჩემს ძმას უშენოდ დაეფლავ
და აღვასრულებ ჩვენს საერთო ვალს.

ი ს მ ე ნ ე

თავხედო, კრეონს გინდა ეურჩო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ის ვერ დამიშლის ვალის სრულყოფას.

ი ს მ ე ნ ე

:50 დაო, იფიქრე, ვით საძრახისად

და უპატიოდ აღმოხდა სული

მამას, თვითვე რომ ცოდვანი თვისნი

ცხადჰყო და ორივე დაივსო თვალი.

შემდგომ მის დედამ და ცოლმე თანად

:55 ვით ჩამოიხრჩო სასირცხვოდ თავი,

მერე ორმა ძმამ მოჰკლა ურთერთი

და განიმზადა სვე ერთნაირი.

ეხლა ურჩობით ჩვენ რომ გავჰქელოთ

ბრძანება მეფის და ნებისყოფა,

:60 უფრო საძრახად დავიღუპებით.

დედაკაცო, აბა, ვით ძალგვიძს ბრძოლა?

ძლიერთ ხელქვეშ მყოფთ გემართებს მონება!

შევევედრები ქვესკნელის ღმერთებს

შემინდონ ცოდვა: ხელისუფალთა

:65 ვემორჩილები იძულებითა.

უგნურებაა თავს იღვა საქმე,

ძალს და ღონეს რომ აღემატება.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

არც გატან ძალას! და თუმც ისურვო,

შენი შეწევნა აღარ მაამებს.

70 როგორც გენებოს, მე კი დავმარხავ!

ასეთ საქმისთვის შევებით მოვეკვდები

და განვისვენებ ღმერთების სათნო

ძვირის მოქმედი საყვარელს ძმასთან—

და, საყვარელი. მე მირჩვენია

75 ქვესკნელის ღმერთთა პატივისდება,

.სად სავანეა სამარადისო,

ვიდრე უფალთა ამ ქვეყნისათა.

შენ კი, თუ გნებავს, დაჰგმე ღვთის მცნება.

ი ს მ ე ნ ე

84 მე მცნებას არ ვგმობ, მე ხალხს ვმორჩილებ.
ვერ აღვუდგები იმათ ბრძანებას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

იმართლე თავი! მე კი მივდივარ

და განვუმზადებ ძვირფას ძმას საფლავს.

ი ს მ ე ნ ე

ვაიმე ბედკრულს, მე ვშიშობ შენთვის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჩემთვის ნუ, გიჯობს შენთვის იზრუნო.

ი ს მ ე ნ ე

85 არსად წამოგცდეს, გულთ დავიმარხოთ.

ეს საიდუმლო შენცა და მეცა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

აცნობე ყველას, შენის ღუმილით

მხოლოდ სიძულვილს გამიძლიერებ.

ი ს მ ე ნ ე

შენ გული კიდევ გეგზნება ცეცხლით!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

90 ვაამებ, ვისიც ფრიად მსურს თნება.

ი ს მ ე ნ ე

ძალა არ შეგწევს, ფუჰია სწრაფვა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ღე, თუ ვერ შეეძელ, თავს მივანებებ.

ი ს მ ე ნ ე

ნუ გაგიტაცებს უქმი ოცნება!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

თუ კვლავ განაგრძე, სამართლიანად

95 მეც შემძულდები, განსვენებულსაც,

დამტოვე მარტო ჩემის ოცნებით,

ავიტან სასჯელს, მაგრამ ვერ დავთმობ

ამცდეს სიკვდილი სახელოვანი.

ი ს მ ე ნ ე

მშვიდობით, წადი. ხეალ, თუმცა ხელიყ.

100 მარად მოყვარევ მოყვარეთათვის.

სტროფი ა

ქორო

- ო, სხივო მზისა, შვიდბჭე თებეში ეგრე მშვენიერად
უწინ არასდროს გაბრწყინებულხარ!
ძლივსლა გიხილეთ, თვალისჩინო ბედნიერის დღის,
დირკეს მდინარის წიაღსა ზედა შუქმოიფე
- 105 რომ აღმობრწყინდი და მყის განჰვანტე უკუქცეული
თეთრფაროსანი არგოსელთ ჯარი გზადაბნეული.
შუღლით და მტრობით აღტყინებულმა
ის ჩვენს ქვეყანას შემოუსია
პოლინიკემ და მძაფრის განგაშით
- 110 სარალუჯ-მკული ზუჩით, ჩათხუტით,
თავით ფეხამდის საჭურველსმულმა
ფრთათეთრ არწივებრ მალამყივანმა
ლივლივით ქალაქს გადაუქროლა
ცხენთფათაროვან მუზარადებით.

ანტისტროფი 1

- 115 შესდგა ბანისა ნივნივსა ზედა და შვიდბჭე ქალაქს
სისხლისმსმელ შუბებს უღრენდა ყოვლგნით,
გარნა იოტა მყისვე, სანამ ჩვენის სისხლითა
პირს აივსებდა და ბურჯთა ციხისა ალი
კერეონთ გადაჰბუგავდა და ზურგით კერძო გაისმა ზათქი-
- 120 გველეშაპისა — ეს უძლევი კვეთება იყო.
სძაგს მკვეხარობა, ენაქარტალი
ზევსს სამართლიანს და რომ იხილა,
თუ ვით მოჰქროდნენ მთისა ნაკადათ
ზევენი ოქრომკულ აბჯრის ჩხარუნით,
- 125 განმეხა ელვით, ვინც კედლის თხემზედ
უკვე მზად იყო, ხმა განეფინა
გამარჯვებისა.

სტროფი ბ.

- ცეცხლისმტრქვეცილი მიწასა ეწყვეტა ძალუმ
და ზანზარი ჰყო, გაშმაგებული კვეთებით
- 130 ცოფს რომ ანთხევდა
და ბორგნული ბურჯთ აწყდებოდა
ბახუსისაგან ქევას გადამდგარი.
ზევსით სხვაგვარი ამბავი მოჰხდა,
გჳარგუნა ბრდი ღიდმა არესმა
- 135 კეთილმოწყალემ
შვიდთა სარდალთა შვიდბჭეთა წინა

- დამწკრივებულთა თანასწორ რაზმებით
 ერთურთის მოღმა დაუგდეს ზევსსა
 გარემიმქცევსა სპილენძის ხარკი.
- 140 ორს ბედშავს გარდა, ერთის სისხლ-ხორცის,
 ძლევამოსილთა შუბთა ძგერებით
 სიკვდილს ორთავე მიემთხვა სწორად.
 ანტიტროფი ბ.
- ღირსადქებული ნიკე-ღმერთი გამარჯვებისა
 თებეს, საომარ ეტლებით განთქმულს, ეწვია ღიმით.
- 145 მაშ, დავივიწყოთ ომმოხდილთ
 ბრძოლა და მოვევლოთ ფერხულით
 ღმერთების ყველა ტაძარი
 და დე ბახუსმა, დედამიწისა შემძვრელმა როკვით,
 ჩვენ გვიწინამძღვროს.
- 150 აჰა, აგერა გამოჩნდა კრეონ
 მენოიკეს ძე, ღმერთთა განგებით,
 ცვალებად ბედის ბრუნვისა გამო
 ანაზდეულად გამეფებული!
 რა უდევს გულში? რისთვის საქვეყნოდ
- 155 გასცა ბრძანება
 და საგანგებოდ აქ გვიხმო ბჭობად?
 კ რ ე ო ნ ი
 მოქალაქენო, ღმერთთა ინებეს
 დიდის შფოთითა სამეფოისა
 ჩვენის შერყევა და კვლავ აღდგენა.
- 160 გზირთ პირით ცალკე აქ მოგიწოდეთ,
 რადგანაც ვიცი — ლაიოსის ტახტს
 და მეუფებას პატრისა სცემლით
 და როს დაემხო ოიდიპოს-მხსნელი,
 თქვენ იმათ შვილებს კვლავ ერთგულებდით.
- 165 აწ, ოდეს ძმები საძრახის შუღლით
 ეკვეთნენ ერთურთს და თვით ირგუნეს
 სირცხვილეულთა მრჩობლი სიკვდილი, —
 ტახტი მე მიჰყრავს, ხელისუფლებაც,
 ვით დაღუპულთა ახლო ნათესავს.
- 170 ძნელია მიჰხვდე კაცის ზნეობას,
 სულსა და აზრსა, ვიდრე არ იჩენს
 თავს ვით მმართველი და სჯულმდებელი.

- შე კი, უნდი ვსთქვა, ვფიქრობ ცუდია
 იგი მმართველი, ვინც არ უგონებს
- 175 წარჩინებულთა ვაზირთა რჩევას
 და შიშნეული კბილს აჭერს ენას,
 ზოლო ვინც მამულს სცელის მეგობარზედ,
 უარესია, არარა არის.
- მე, იცის ზევსმა გულთამხილველმა,
 180 ვერ გაჩუმდები, ოდეს დაღუპვა
 მოელის მამულს და ვერც ვიწამებ
 მოყვრად მამულის მტერს, რადგან ვიცი,
 რომ სამშობლოა ხსნა ერთადერთი —
 თუ მისი ნავი სწორედ მისცურავს,
- 185 ჩვენც მეგობრებსა მრავლად შევიძენთ —
 ასეთის წესით აღვადგენ ქალაქს.
 აწ, სათანადო გავეც ბრძანება
 ოიდიპოსისა შესახებ ძეთა:
 ეტეოკლესა, მამულისთვის რომ
- 190 გასწირა თავი და მოკვდა გმირად,
 ჰხამს აღუესრულოთ ყოველი წესი,
 ვით ეკადრების ჩინებულთ გვამთა.
 და პოლინიკე — იმის ღვიძლი ძმა —
 კვლავ ლტოლვილი რომ დაბრუნდა ქალაქს
- 195 და მოინდომა ჩვენის მამულის,
 ღმერთების ქანდაკთ ცეცხლით შემუსვრა,
 ძმათ სისხლის დაღვრა, სხვათ დამონება, —
 ვბრძანე არ იქმნეს წმინდა წესისმებრ
 დასაფლავებულ-დატირებულნი...
- 200 დე, ეგდოს ლეში დაუმარხავი
 ძალღთა და ფრინველთ საზარელ კერძად.
 ეს არის ჩემი გულის პასუხი.
 ძვირისმოქმედსა ვერ ვჰსცემ მეტს პატივს,
 გარნა ვინც მამულს მუდამ ერთგულებს,
- 205 იხვევს დიდებას სიკვდილ-სიცოცხლით.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

იყოს, ჰე, კრეონ, მენოიკეს ძევ,
 ეგ შენი ნება მამულის მტრისა
 და მოყვრისათვის. მკვდრისა თუ ცოცხლის
 შენთა ხელთ არის წესის დაღება.

კ რ ე ო ნ ი

210 ვინძლო დაიცვათ თქვენი ნათქვამი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
უმჯობესია უმცროსთ უბრძანო.

კ რ ე ო ნ ი

გვამს მცველნი უკვე მიჩენილნი ჰყავს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

მაშ, სხვა რა გნებავს? ჩვენ რას გვიბრძანებ?

კ რ ე ო ნ ი

კანონის ურჩნი უნდა ალაგმოთ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

215 ვინ არის გიჟი, სიკვდილს ჰნატრობდეს!

კ რ ე ო ნ ი

დიახ, სიკვდილი! მაგრამ კაცს ჰლუჰავს
ხშირად იმედი ანგარებითი.

დ ა რ ა ჯ ა

მეფევ, ვერ ვიტყვი, რომ ფეხმალიად
მოვრბოდი აქეთ სულდაულეებლად.

220 არა, რამდენჯერ შევდექი გზაში
და შიშით უკან ვიციქირებოდი...
გული მიგრძნობდა და ხან მითქმინდა:
საით მიდიხარ, შე უბედურო,
იქ ხომ სასჯელი გელოდებო.

225 ხან კი: თავხედო, რად იგვიანებ?
კრეონს ამბავი რომ სხვამ აუწყოს,
დაისჯებიო! — ამ ფიქრში ვიყავ,
გზა გამიგრძელდა, ძლივს მოვატანე.
ბოლოს ვარჩიე გხლებოდი და თუმც

230 კარგს ვერას გეტყვი, გეტყვი მაინცა.
მის მოიმედედ მოვსულვარ აქა,
რომ ის გადამხდეს, რაც მიწერია.

კ რ ე ო ნ ი

რა მოხდა? ეგრე რამ შეგაშინა?

დ ა რ ა ჯ ა

ჯერ ჩემი გითხრა: მე არ მიქნია,

235 არც ვიცი, ვინ ჰქნა და რომ დამსაჯო
ალალ-მართალი, სამართალია?

კ რ ე ო ნ ი

ოსტატურად რო მართლულობ თავსა,
აღბათ მაუწყებ ახალსა რასმე.

დ ა რ ა ჯ ა

გამბედაობა წამერთვა შიშით.

კ რ ე ო ნ ი

:240 ბარემ სთქვი, მორჩი და გაეთრიე.

დ ა რ ა ჯ ა

აკი გიამბობ. ეს არის ვისლაც
დაუფლავს გვამი წმინდა წესთამებრ
და წაუყრია ზედ მშრალი ქვიშა.

კ რ ე ო ნ ი

რაო? რას ამბობ? ვინ გაპბედავდა?

დ ა რ ა ჯ ა

:245 რა ვიცი. კვალი იქ არ ჩანს ბარის,
არც წერაქვისა, მიწა მყარია,
გლუვი, უთხრელი და ურმის თვლებით
დაუტკეპნელი, კვალიც არსად ჩანს.
პირველ მორიგემ რომ ეს გვაცნობა,

:250 ყველა შეგვზარა ამ სასწაულმა.

გვამი არ ჩანდა, მოსულა ვილაც
და წაუყრია დახსნად ცოდვისა
ზედ მხოლოდ მიწა და გაქცეულა,
და არც ნადირის იქ სჩანს ნავალი,

:255 არცა ძაღლისა. აგვიტყდა ლანძღვა,
ბრალს ვსდებთ ერთმანეთს და გავაჩაღეთ
კინალამ კრივი — ვინ დაგვიშლიდა?
ყველას გვაქვს ბრალი და ყველა ჰფიცავს,
რომ ამ საქმისა არა იცის რა.

:260 ვუხმობთ ღმერთებსა; მზად ვართ ცხადყოფად
უბრალოების ცეცხლით და შანთით,
რომ ამ საქმეში არც მოქმედებით
და არც განზრახვით გვიღევს რამ წილი.
ვერაფერს გავხდით. ბოლოს დაიწყო

:265 ერთმა და შიშით ყველას თავები
ჩაგვაქინდვრინა: ვერც შევესიტყვეთ
და ვერც ვიპოვეთ გზა უკეთესი,
იგი გვირჩევდა დაუფარავად
სულყველაფერი გვეამბნა შენთვის.

- 270 სიტყვა ჭკუაში დაუჭდა ყველას.
და ეს საამო ხვედრი მე მერგო.
აი, მოვედი, თუმც ვერ გაამეთ —
ვის იამება ცუდის მთხრობელი
პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
მეფევე, ჭკუაში ერთი რამ მომდის:
- 275 ღმერთებს არ ედვასთ საქმეში წილი—
კ რ ე ო ნ ი
დაჩუმიდი, ვიდრე განმარისხებდე,
უგბილმეტყველებ, თუმც ხარ მსცოვანი.
რაებს მიჰქარავ? თუ მართლა ჰგონებ
მაგ გვამისათვის ჰზრუნავენ ღმერთნი?
- 280 განა დაჰფლავდნენ ღირსის პატივით,
ვით ქველმოქმედსა, ვინც თავს დაგვესხა
მშვენიერ შენთა ტაძართ დამხობად,
კანონთ დათრგუნვად და საღვთო ძღვენთა?
განა უკეთურთ ჰფარვენ ღმერთები?
- 285 არა! დრტვინავენ დიდი ხანია
მოქალაქენი, მგმობენ იდუმალ
თავის კანტურით და ვით შემფერის,
ქედს არ იხრიან ხელმწიფებისა
ჩემის უღელქვეშ. იმათ დაჰქრთამეს
- 290 მიზლით ესენიც და შეაცდინეს.
ვერცხლის ბრაღია! ის არის წყარო
ბოროტებისა, ის ანგრევს ქალაქთ,
იგი მამაკაცთ ექსორია — ჰყოფს,
იგი ჰრყენის მოკვდავთ კეთილთა ზნეთა
- 295 და გულთ უნერგავს სარცხვინო ზრახვათ,
ძმაცვა-მზაკვრობას და უღვთოებას.
მაგრამ დადგა დრო და დაისჯება
სამართლიანად ვერცხლისმოყვარე.
იცოდეთ, თუ კვლავ მაქვს ზევსის რიდი,
- 300 ვაცხადებ ფიცით, თუ დამნაშავე
თქვენ არ იპოვეთ და არ მომგვარეთ
თვალწინ, გაკმარებთ, გგონია, სიკვდილს?
ცოცხლივ დაგკიდებთ, ვიდრე თავხედსა
არ აღმოაჩინთ, რათა უწყოდეთ,
- 305 თუ სადაც ჯერ არს ეძიოთ სარფა,
ქურდვას არ თვლიდეთ ვაუკაცურ საქმედ.

ყოველ საქმეში არ ანგარობდეთ,
განა ვერ ხედავთ, ხშირად ხსნისა წილ
ბინძური ქრთამი ჰლუპავს მრავალსა.

დ ა რ ა ჯ ა

310 ვსთქვა კიდევ რამე, თუ სჯობს მოვკურცხლო?

ქ რ ე ო ნ ი

ნუთუ ვერ ჰხედავ, რომ თავს მამბეზრებ?

დ ა რ ა ჯ ა

სმენას გიშხამავ, თუ გულს გილონებ?

ქ რ ე ო ნ ი

კითხვასაც ჰხედავ, თუ რა მალონებს!..

დ ა რ ა ჯ ა

ძვირისმოქმედმა მოგიწყლა გული

315 და მე ყურთსმენა.

ქ რ ე ო ნ ი

ყბედი ყოფილხარ!

დ ა რ ა ჯ ა

მაგრამ ამ საქმის არ ვარ მოქმედი.

ქ რ ე ო ნ ი

შენ ხარ და სულიც ვერცხლად გაჰყიდე.

დ ა რ ა ჯ ა

ვაიმე! იჰვი, ტყუილი იჰვი

320 საშინელია!

ქ რ ე ო ნ ი

იყბედე ეგრე,

მაგრამ უკეთუ აქ არ მომგვარეთ

თქვენ დამნაშავე, ნახავთ რა ხიფათს

შეგამთხვევით ბილწი ანგაარება.

დ ა რ ა ჯ ა

325 ნეტავ როგორმე ის გვაპოვნინა,

რომ შენ მოგგვაროთ. თუ გვწყალობს ბედი,

მივაგნებთ მის კვალს, მაგრამ, იცოდე,

მე ველარ მნახავ. ეხლაც თავმთელი

რომ მოვრჩი საფრთხეს, ღმერთებს ვუმადლი.

ქ ო რ ო

სტროფი ა.

330 ბევრი რამ არის ძლიერი ქვეყნად, მაგრამ კაცისა

არაფერია უძლიერესი. საშინელ ქარში იგი მისცურავს

თეთრფაფარ ზღვაში და აპობს ტალღებს
უპირატესსა ღმერთთ შორის გეას,
მარად უხრწნელსა და უღვეველსა,
335 ჰალაავს, წლითწლამდე ცხენშებმულ გუთნით
ულადრავს მიწას გულმკერდსა.

ანტიპროფი ა.

ბრძენია იგი, მსუბუქფრთა ფრინველთ გუნდებს აკანაოს
უგებს და იქერს ხაფანგ-ისხერტით მხეცებსა ტყისას
340 და იმორჩილებს და გონიერსა ზღვითგან ამოჰყავს
სათხველით თევზი. ის ოსტატურად
მთისა და მინდვრის აცხრობს ნადირთა
და უხედარსა ჯიქურსა კუროს
და სქელფაფარ ცხენს ათვინიერებს.

სტროფი ბ.

მან სრულჰყო ნიჭი სიტყვისა,
345 გაივარჯიშა მახვილი ჰკუა,
გულისხმა, გონი, აზრი ელვარე
და საზოგადო ცხოვრების ზნენი.
მან მოახერხა თავის დაფარვა
მძაფრის ყინვის და ქარიშხალისგან.
350 იგი უმწუო არასდროს არის,
მხოლოდ არ ძალუძს სიკვდილს გაეჰცეს,
თუმცა იპოვა მძიმე სენთა საკურნებელი.

ანტიპროფი ბ.

ასეთის სიბრძნით შემკული,
ხელოვანი და ოსტატი
355 ხან კეთილს საქმეს, ხან ბოროტებას ემსახურება
და არღვევს ქვეყნის კანონთა
და ღმერთთა წმინდა სამართალს.
მეფეც რომ იყოს, უღირსი არის,
ვისაც ზნედა აქვს ურჯულოება.
360 მას ვერც კერასთან დაეუთმობ ადგილს
და ვერც ვიგულებ თანამზრახველად
ამგვარად მოქმედს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

ამას რას ჰხედვენ ჩემი თვალები?
ამ სასწაულის მნახველსა ვითლა

365 ძალშიძს უარვპყო, რომ ეს ქალწული
ანტიგონა?.. ო, უბედურო,
ბედშავის მამის ბედკრულო შვილო!
რა დაგმართნია? ნუთუ ვირწმუნო,
რო დაგატყვევეს, ვითა უგნურის

370 საქმის მოქმედი და მეფის ურჩი?

დ ა რ ა ჯ ა

ღიახ, ეს არის. ჩვენ შევიპყართ,
გვამს რო ჰმარხავდა. სად არის კრეონ?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

სასახლით მოდის აქ მონასიმედ.

კ რ ე ო ნ ი

რა ამბავია? რისთვის მელოდით?

დ ა რ ა ჯ ა

375 მეფევ, მოკვდავთა არა ჰხამს ფიცი.
შემდგომი ფიქრი ამტყუენებს პირველს.
ვფიცავდი — აქეთ არ ვიბრუნებდი
პირს შიშნაჭამი შენის მუქართ.
მაგრამ უცები, იმედწარკვეთილს,

380 რა მომეველინა ეს სიხარული,
გავსტეხე ფიცი, კვლავ აქ დავბრუნდი
და ეს ქალწული, გვამს რომ ჰმარხავდა,
თან მოვიყვანე, წილის უყრელად
დავლა ჩემია, სხვის არავისი.

385 აწ, მეფევ, გნებავს აწამე, მოჰკალ,
მე კი სამართლით განვთავისუფლდი,
ეს ფათერაკი რომ ავიცდინე.

კ რ ე ო ნ ი

შენ მოიყვანე? სად? ვით შეიპყარ?..

დ ა რ ა ჯ ა

გვამს ჰფლავდა-მეთქი... მორჩა, გათავდა.

კ რ ე ო ნ ი

390 გესმის, რას ამბობ? მართალს მოგვითხრობ?

დ ა რ ა ჯ ა

თვით ვარ მნახველი, ცხედარს ჰმარხავდა,
განა არ არის ცხადი ეს სიტყვა!..

კ რ ე ო ნ ი

უცებ წააწყდით და შეიპყართ?

დ ა რ ა ჯ ა

- აი, გიამბო. შენის მუქარით
395 დავბრუნდი უკან შეშინებული.
გავასუფთავეთ ქვიშისგან კარგად
და გავაშიშვლეთ გახრწნილი გვამი.
გორაკის თხემზედ ზურგით ქარისკენ
დავსხედით, რომ არ გვცემოდა სუნი.
- 400 ვლანძღავდით ერთურთს, ვახალისებდით,
რომ ყველა ფხიზლად ვყოფილიყავით.
შუა ეთერში გამოჩნდა მზისა
ბრწყინვალე დისკო და ავარვარდა
სიცხე. ერთბაშად ავარდა ქარი
- 405 და მყის გრიგალმა, ჯალათმა ცისამ,
ალავსო ბარი, ეთერი ვრცელი
და ხუჭუჭი ტყე გასძარცვა, ჩვენ კი
თვალდაფახულნი ვუძღვებდით რისხვას.
- დრო რომ გავიდა და ქარი დაჰსცხრა,
410 ვხედავთ ამ ქალწულს, მოთქმით მოტირალს,
ვით სტირის ჩიტი, ოდეს იხილავს
ცალიერს ბუდეს, სარეცელს ობოლს.
რა დაინახა შიშველი გვამი,
მოჰყვა ქვითქვიპსა და წყევლა-კრულვით
- 415 მკრეხელობისა მოქმედთ ჰრისხავდა.
მყისვე აიღო მან მშრალი ქვიშა,
ასწია მალლა სპილენძის სურა
და გვამი სამგზის პატოსანჰყო.
- ეს რომ ვიხილეთ, მივცვივდით ერთად
420 და შევიპყარით, სრულად არ შეჰკრთა...
ვამხილებთ ცოდვებს ძველსა და ახალს,
იგი კი დგას და არას უარობს.
თან მიხარია, თან მებრალება,
კარგია, თვით რომ ჭირს დაეხწევი,
- 425 მაგრამ მოყვასის ჭირში ჩაგდება
სავალალოა. რა გაეწყობა!
მე რო გადავრჩი — ეს არის საქმე.
ჯერ თავო, მერე ცოლო და შვილო!

კ რ ე ო ნ ი

- შენ, მანდ რომ სდგახარ თავდადუნული,
430 ბრალს აღიარებ, თუ უარსა ჰყოფ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მე ვარ მოქმედი, არცა ვპყოფ უარს.

კ რ ე ო ნ ი

შენ წადი შენთვის, სადაც გინდოდეს,
რაკი გადარჩი მძიმე ბრალდებას.

შენ კი მითხარი მიუქარველად,

435 იცოდი ჩემი აღკრძალულება?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

დიახ, ვიცოდი. ყველამ იცოდა.

კ რ ე ო ნ ი

როგორ გაჰბედე კანონთ დარღვევა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

კანონთ დარღვევა? ვინ დამიდგინა —

440 ზევსმა თუ დიკემ, ქვესკნელის ღმერთთა

თანამოსაყდრემ, რომელთ ხალხისთვის

დაუდგენიათ სჯული? ბრძანება

შენი! შენ ძალგძის განა გაჰქელო

სამარადისო სჯული ღმერთების?

არ გაჩენილა ის დღეს ან გუშინ, —

445 ის მარადია და არვინ უწყის,

როდის დაწესდა. და ღმერთთა რისხვას

მოკვდავის შიშით ვერ შევიმთხვევდი.

ვიცი მოკვდები, თუგინდ არ იყოს

ბრძანება შენი. და თუ სიკვდილი

450 ადრე წამიღებს, მით უკეთესი.

ვინც ჩემებრ მარად ტანჯულ-გვემულა,

მისთვის სიკვდილი ნეტარებაა!..

და თუ ასეთი მომელის ზვედრი,

შვება იქნება! მაგრამ ღვიძლი ძმა

455 დაუმარხავი მე რო დამეგდო,

ღმერთთ შევჰსტოდავდი... სხვას კი არ ვნაღვლობ,

და თუ შენ ჰფიქრობ, რომ მე გიყი ვარ,

სჩანს თითქმის გიყი მე მგონებს გიჟად.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

სასტიკის მამის დულს შენში სისხლი:

460 არც შენ გცოდნია ჭირში დათმობა.

კ რ ე ო ნ ი

იცოდე, ფრიად უღრეკი ხშირად

ვარდება ჭირში. მაგარი რკინა

- აღში ბრძმედილი, გამყარებული,
ტყდება, იმსხვრევა ნაკუწ-ნაკუწად.
- 465 უფიცხეს ტაიქს პატარა ლაგმით
იმორჩილებენ. ვინც ჰმონებს სხვასა,
განა შეჰფერის მას ქედმაღლობა?
ამან შეგნებით და თავხედურად
დაჰგმო კანონი დაწესებული
- 470 და აქ მეორედ ჰკადნიერდება —
პირში დამცინის და თავი მოაქვს.
ღიაცი მერქვას, ამას — მამაცი,
თუ შევარჩინო თავგასულობა.
თუმც ქალი იყოს ჩემის ღვიძლის დის,
- 475 ჩვენი ოჯახის სისხლი და ხორცი,
უმკაცრესს სასჯელს ვერც ეს ასცდება
და ვერც ამის და: მასაც ბრალი აქვს,
ვით თანამზრახველს გვამის დაფლვაში.
აქ დაუძახეთ. ეს არის ვნახე
- 480 შეწუხებული, ფრიად მღელვარე.
ასეა, სული ამხელს ძვირისმქნელს,
ვიდრე თვით საქმე გამჟღავნებოდეს.
მაგრამ მძაგს მეტად, როს მხილებული
ბრალეულობას ჰრთავსა და ჰკაზმავს.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე
- 485 სიკვდილად დამსჯი, მეტი რა გინდა?
კ რ ე ო ნ ი
აღარაფერი, გულს შევიჯერებ.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე
- რადლა იყოვნი? ვით მე არ მომწონს
შენი ნათქვამი — ნუმც მომეწონოს —
აგრეთვე ჩემიც არ მოგწონს საქმე.
- 490 მაგრამ განა რა შემძენდა ისეთს
ბრწყინვალე სახელს, თუ არ ღვიძლის ძმის
დასაფლავება!
თქვენც თანამიგრძნობთ,
მაგრამ შიშისგან დაგბმიათ ენა!
- კ რ ე ო ნ ი
- 495 კადმოსიანნი ეგრე არ ბჭობენ.
ა ნ ტ ი გ ო ნ ე
ყველა ჰგრძნობს, მაგრამ ვერ ჰბედავს თქმასა.

- კ რ ე ო ნ ი
 გრცხვენოდეს, არვინ გყავს თანამგრძნობი.
 ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 ცუდია მოყვასთ პატივისცემა?
 კ რ ე ო ნ ი
 მაგრამ მოკლულიც ხომ მოყვასია?
 ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 500 ერთის დედ-მამის შვილი, სისხლხორცი.
 კ რ ე ო ნ ი
 მაშ, რად მოეჭეც მას უპატიოდ?
 ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 მაგას მიცვლილი არ დაგიმოწმებს.
 კ რ ე ო ნ ი
 თუ იმ ურჯულოს ატოლებ, მაშინ?
 ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 მონა ხომ არა, ძმა დამედღუპა.
 კ რ ე ო ნ ი
 505 ეგ ძმა გვიკლებდა, ის კი გვიცავდა.
 ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 ჰადესის წესი ერთნაირია.
 კ რ ე ო ნ ი
 სათნოს და ბოროტს ერთგვარი ხვედრი?
 ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 ვინ უწყის, ქვეშეთს რა არის სათნო.
 კ რ ე ო ნ ი
 მტერი მტრად რჩება სიკვდილის შემდგომც.
 ა ნ ტ ი გ ო ნ ე
 510 მე გავჩენილვარ სიყვარულისთვის.
 კ რ ე ო ნ ი
 მაშ, წადი მკვდრებთან და იქ გიყვარდეს,
 აქ ცოცხალ თავით ჭალს ვერ ვამეფებ.
 პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
 აგერ, სასახლით მოდის ისმენე,
 საყვარელ ძმისთვის ცრემლ-დათხეული.
 515 შუბლი შეუქრავს ნაღველს და სახეს
 ჰჩრდილავს ანთებულს
 და ტურფა ღაწვნი დაუწვავს ცრემლსა.

კ რ ე ო ნ ი

შენ, ქურდულად რო შემომეპარე,
ვითა ეჭიდნა და მწოვდი სისხლსა,
520 და მეც, ბრმა, ჩემს ტახტს თვითვე ვუზრდიდი
ორს მტერს, ორს საფრთხეს, — გვამის დაფლვაში
შენც გიდევეს წილი, თუ უბრალო ხარ?

ი ს მ ე ნ ე

თუ ამას უღევს, მეც ვარ მოქმედი,
თანაზიარი და ბრალი მეც მაქვს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

525 ეს იქნებოდა უსამართლობა —
არც შენ გინდოდა, მეც მოგიშორე.

ი ს მ ე ნ ე

მაგრამ არ მრცხვენის გავიზიარო
ტანჯვა-წვალება, შენ რომ მოგელის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვინც მოიქმედა, უწყის ჰადესმა,
530 ქვესკნელის ღმერთმა, მე კი მძაგს ყველა
მარტო სიტყვით რომ მიმოწმებს გრძნობას.

ი ს მ ე ნ ე

ნუ მთელი უღირსად რომ მოგვედე შენთან
და სრულგჰყო ვალი წინაშე ძმისა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ნუ, ნუ მოკვდები და ნუ იჩემებ,
535 რისთვის ხელიც კი შენ არ გიხლია.

ი ს მ ე ნ ე

უშენოდ რალა მამებს ბედკრულს!..

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჰკითხე კრეონსა... ხომ მისთვის ჰზრუნავ!..

ი ს მ ე ნ ე

აგრე უწყალოდ რად მიკლავ გულსა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მეც ვიტანჯები, თუმცა დაგცინი.

ი ს მ ე ნ ე

540 მაშ ეხლა მაინც რით დაგეხმარო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

იხსენი თავი, თუმც არ მშურს ეგ ხსნა.

ი ს მ ე ნ ე

ნუთუ შენს ბედს არ გავიზიარებ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

შენ ამჯობინე სიკვდილს სიცოცხლე.

ი ს მ ე ნ ე

მაგრამ მე ჩემი ხომ გამცნე აზრი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

545 ზოგს შენი მოსწონს, ზოგსა კი — ჩემი.

ი ს მ ე ნ ე

ბრალი ერთი გვაქვს, დაო, ორივეს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

არა, იცოცხლე, მე კი მკვდარი ვარ,
საიმქვეყნიოდ ვარგივარ მხოლოდ.

კ რ ე ო ნ ი

ერთი ეს არის გაგიყებულა,

550 ხოლო მეორე შობით გიყია.

ი ს მ ე ნ ე

მართლაც, მეფეო, მუდმივი ტანჯვა
უქარგავს ბედშავთ ჭკუა-გონებას.

კ რ ე ო ნ ი

და შენც არჩიე ბოროტების გზა.

ი ს მ ე ნ ე

რად მინდა თავი ცოცხალი, თუ ეს...

კ რ ე ო ნ ი

555 მას ნუ ახსენებ, ის აღარ არის.

ი ს მ ე ნ ე

ნუთუ სიკვდილად დასჯი შენს სასძლოს?

კ რ ე ო ნ ი

სათესი იყოს, ველი ბევრია.

ი ს მ ე ნ ე

მისი საფერი სხვა არ იქნება.

კ რ ე ო ნ ი

ცულის ზნის ცოლი არ მსურს ვაჟისთვის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

560 ძვირფასო ჰემონ, ვით გარცხვენს მამა!

კ რ ე ო ნ ი

შენც თავს მამბეზრებ, შენი ქორწილიც!

ი ს მ ე ნ ე

ნუთუ ჩაუშლი ვაჟს ქორწინებას?

კ რ ე ო ნ ი

ამ ქორწინებას ჩაშლის ჰადესი!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

განაჩენია, ვჰგონებ, სიკვდილი.

კ რ ე ო ნ ი

565 მეც ეგრე ვჰგონებ. ეი, მსახურნო!

მყის წაიყვანეთ და მიერთგან

გეჭიროსთ თვალი, რადგან გულადნიც

გარბიან, ოდეს ჰადესის სუსხი

იმათ სიცოცხლეს შემოუბერავს.

ქ ო რ ო

სტროფი ა.

570 ბედნიერია, ვისაც სიმწარე არ განუცდია,

გარნა თუ სახლი შეურყევია ღმერთების რისხვას,

მის შთამოებას საშვილიშვილოდ ჰსდევს განსაცდელი.

მსგავსად ვით ქარი მძვინვარე

ჰბერავს თრაკიის ზღვით კერძო

575 და გარესკნელი ზღვის სიღრმეს ბნელი გარემოცავს,

ზვირთნი უფსკრულით შავს ქვიშას

წყლის ზედაპირზედ ისვრიან

და ჰზანზარებენ ნაპირნი ტალღათა უკუმიმქცევენი.

ანტიტროფი I

580 და ეგრე, ვხედავ, ლაბდაკიდთ სახლის ტანჯვანი ძველნი

აწ გარდასულთა, ზედ ერთვიან უბედურებას

და ცოდვათაგან ერთ თაობამაც ვერ იხსნა გვარი —

ღმერთი არ ჰშველის და ამხობს.

აწ ოდიპოსის ის იყო

გარდმოველინა უკანასკნელს შტოს სხივი ნათლისა

585 და კვლავ მახვილი ქვესკნელის ღმერთთა

ჰკვეთს სისხლიანი, უბნელებს

ჰკუა-გონებას და უშრეტს აზრსა.

სტროფი ბ.

კაცთ თავხედობა, ზევსო, ვით

შეარყევს შენს ძლიერებას!

590 მას ვერც ძილი ჰსძლევეს ყოვლის განმრღვევი და ვერც

უწყვეტი სრბოლა თვეების, —

- მეუფევე, მარად ჭაბუკო, გიპყრავს
დაუსაბამოს შუქმოიფე ოლიმპი ტურფა.
ერთი კანონი ყოფილა,
595 არის და მუდამ იქნება
საყოველთაო, უცვლელი:
მოკვდავთ სიცოცხლეს თან ჰსდევს ნიადაგ უბედურობა.
ანტიტროფი ბ.
- ზოგსა მაცთური იმედი
სიხარულს მისცემს, სიამეს,
600 ზოგს კი ფუქსავატს უცუდებს ნდომა-სურვილებს,
იქვე-უქონელს ეპარება
და ვიღრე მოვა გონს, ტერფსა უთუთქავს ცეცხლით.
ჩინებულია ძველთაგან ნათქვამი ბრძნული:
ღმერთი რომ მოკვდავს გონებას
605 უბნელებს, მაშინ ბოროტი
კეთილად მოეჩვენება
და ხანმოკლეა მაშინ კაცის ბედნიერება.
პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
აგერა ჰემონ, უკანასკნელი
ნაშობი შენი, თითქო ფრიად ჰსწუხს
610 თავის საცოლე ანტიგონესთვის
და ჩაშლასა ჰგლოვს ქორწინებისას.
კ რ ე ო ნ ი
მაგას ეხლავე გავიგებთ. შვილო,
ხომ არ მიწყრები, რომ შენს საცოლოს
მსჯავრი მივაგე უცილობელი?
615 შენთვის ხომ მაინც საყვარელნი ვართ?
ჰ ე მ ო ნ ი
მამავ, შენი ვარ. გონიერი ხარ
და შენს ბრძნულს რჩევას მუდამ ვჰმორჩილებ,
და ქორწინებაც მხოლოდ მაშინ მსურს,
თუ შენ დამლოცავ და მომიწონებ.
კ რ ე ო ნ ი
620 ჰო, შვილო, ეგრე! მამისა სურვილს
ჰხამს ანაცვალოს შვილმა ყოველი.
მორჩილი შვილი დედ-მამას სახლში
იმისთვის უნდა, რომ მტრის იძიოს
შური, ვით მამამ, და პატივი ჰსცეს

- 625 მეგობარს. მაგრამ რა ეთქმის იმ კაცს,
ვინც რომ ჰშობს შვილთა ურგებთა? იგი
თვითონ იმზადებს საზრუნველს მულამ
და მტრისთვის ჰხდება გასაკილავი.
შენც, შვილო ჩემო, ქალის გულისთვის
- 630 ნუ ჰკარგავ ჭკუას, — იცოდე, იგი
საზიზღარია კავშირი, ოდეს
შინ მეუღლედ გყავს ავი დიაცი.
ავსა მეგობარს რა უარეა?
განშორდი მაგ ქალს, დააგდე ბილწი,
- 635 დეე, ჰადესში მისთხოვდეს ვისმე.
მთელს სამეფოში ის არის მხოლოდ
კანონის მგმობი, ის შევიპყარით,
და ქვეყნის თვალში სიტყვას არ გავჰსტეხ
და მოვაკვდინებ. დე, უხმოს ზეესსა,
- 640 მოყვრობის მეოხს! თუ ნათესავებს
მორჩილ ვერ გავჰხდი, უცხოს რაღა რჯის?
ვინც თავის სახლში უძრახი არის,
ის ქვეყნისთვისაც მართებულა,
გარნა ვინც ჰფიქრობს კანონთ დარღვევით
- 645 ხელისუფალნი დაიმორჩილოს,
იგი არ არის ღირსი ქებისა?
ბრძანებას მეფის, ვინც უნდა იყო,
ავსა თუ კარგსა, ჰხამს მორჩილებდე.
მრწამს, სახელმწიფოს ის ჰმართავს კარგად,
- 650 ვინც თვით კანონებს ემორჩილება,
და ომის გრიგალს ბრძოლისა ველზედ
მიუშვერს გულმკერდს მხნე თანამბრძოლი.
უთაობა კი ჭირია დიდი:
ის ჰლუპავს ხალხსა, სახლთ ანადგურებს
- 655 და ომში რაზმებს არღვევს მებრძოლთა
და უკუაქცევს. მორჩილებით კი
კარგი მოთავე იხსნის მამულსა.
ამიტომ გვმართებს დავიცვათ წესი
და არ ვემონოთ არასდროს დიაცს.
- 660 თუ მონობაა, სჯობს კაცს ვემონოთ,
ვიდრე დიაცის გვედგას უღელი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
თუ არ გვღალატობს ჭკუა მოხუცთა,
გონიერია შენი სიტყვები.

ჰ ე მ ო ნ ი

- მამავ, ღმერთები გვაძლევენ ჭკუას,
665 ყოველსა მადლს რომ აღემატება.
მე არცა ძალმიძს და არც მსურს გითხრა,
რომ შემცდარი ხარ, მაგრამ შენს გარდა
გონიერება არც სხვას აკლია.
მე ბუნებითად აღრითვე ვიცი,
670 თუ ვინ რას ჰშვრება, ჰფიქრობს აუგებს.
ხალხს შენი შიში ენას უბორკავს
და რომ ჰსთქვას რამე, შენ ვერ გაამებს.
მე კი იღუმალ ვისმენ ყველაფერს,
თუ ვით დაჰსტირის იმ ქალს ქალაქი:
675 რომ ის სიკვდილის ღირსი არ არის
და ქველობისთვის იღუპვის წბილი, —
ის, ვინც თვისი ძმა დაუმარხავი
ფრინველთ და ნადირთ არ დაუტევა
სისხლში მოთხვრილი საგლეჯ-საფლეთად, —
680 ნუთუ დიდების არ არს ღირსიო?
ყრუდ ეგრე უბნობს ფარულად ხალხი,
მამავ, მე შენი ბედკეთილობა
ყველაფერს მიჯობს, — რა შეედრება
მართლაც შვილისთვის ბედსვიანს მამას
685 და მამისათვის დღეკეთილ შვილთა.
მაგრამ ნუ ჰგონებ მხოლოდ შენ იცი
ჭეშმარიტება, სხვამ კი არავინ.
ვინც ჰფიქრობს — ჭკუა, ენაშეგვრობა,
დიდსულოვნებაც მისი ხვედრია
690 მხოლოდ — ის კაცი ფუქსავატია.
ბრძენიც რომ იყო, ჰხამს ბევრი რამე
კიდევ ისწავლო, არ უჭათობდე.
ხომ იცი, რომ ხე თუ იდრიკება,
მას ნაღვარევი ვერას დააკლებს,
695 მაგრამ უდრეკსა ჰსთხრის ფესვიანად.
აგრეთვე ვინცა აფრის ბაგირებს
ჰსტიმავს და ებრძვის გრიგალ-ქარიშხალს,

- ბოლოს დაჰსცურავს ნავით ფსკერალმა.
 ამიტომ დაჰსთმე, დააცხრე რისხვა
 700 და მომისმინე, თუმც ვარ ყმაწვილი:
 კაცი ის არის, ვინც შეუშვია
 ბუნებას მაღალგონიერებით,
 მაგრამ ცოტასლა შესწევს ეს ნიჭი
 და ჰსჯობს სხვის კეთილს რჩევას მისდიოს.
 პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
- 705 მეფევე, გულისხმა ჰყავ, მართალს ამბობს,
 შენც გაუგონე — არც მამა ჰსცდება.
 კ რ ე ო ნ ი
 ნუთუ შეგეშვენის მხცოვანთა ჭკუა
 ვისწავლოთ ასეთ ბავშვებისაგან.
 ჰ ე მ ო ნ ი
- განა ცუდს გირჩევ? თუ ყმაწვილი ვარ,
 710 საქმეს მიჰხედე, ასაკს რას დასდევი!
 კ რ ე ო ნ ი
 უკეთურთ თნევა, ჰფიქრობ, საქმეა?
 ჰ ე მ ო ნ ი
 როდის გირჩიე უკეთურთ ზოგვა?
 კ რ ე ო ნ ი
 ის ხომ მაგ სენით არის პურობილი?
 ჰ ე მ ო ნ ი
 მაგას შენ ხალხი არ დაგიმოწმებს.
 კ რ ე ო ნ ი
- 715 ხალხს ვინა ჰკითხავს თუ მე რას ვჰშვრები!
 ჰ ე მ ო ნ ი
 აი, შენც მსჯელობ, ვითარცა ბავშვი.
 კ რ ე ო ნ ი
 ამ სახელმწიფოს მე ვმართავ, თუ სხვა?
 ჰ ე მ ო ნ ი
 ქალაქი მარტო ერთს არ გეკუთვნის.
 კ რ ე ო ნ ი
 ქალაქი მეფის კუთვნილებაა.
 ჰ ე მ ო ნ ი
- 720 შენ უღაბნოში გშვენის მეფობა.
 კ რ ე ო ნ ი
 ვხედავ, იმ დიაცს ექომაგები...

- ჰ ე მ ო ნ ი
 თუ ღიაცი ხარ... მე შენ გქომაგობ...
 კ რ ე ო ნ ი
 ო, არამზადავ! ცილობას ჰბედავ?
 ჰ ე მ ო ნ ი
 ვჰბედავ, თუ ვხედავ უსამართლობას!
 კ რ ე ო ნ ი
 725 ხელისუფლებას მე ვიცავ ჩემსას!
 ჰ ე მ ო ნ ი
 არა, შენ ამცრობ და ჰქელავ ღვთის რჯულს.
 კ რ ე ო ნ ი
 ბილწო ქმნილებავ, ღიაცხედ ფინთო!
 ჰ ე მ ო ნ ი
 მაგრამ სასირცხოს ვერას დამწამებ.
 კ რ ე ო ნ ი
 შენი სიტყვები — ზრუნვაა მისთვის.
 ჰ ე მ ო ნ ი
 730 შენთვისაც, ჩემთვის, ღმერთებისთვისაც.
 კ რ ე ო ნ ი
 ღიაცის მონავ, ტყუილად მლიქვნელობ.
 ჰ ე მ ო ნ ი
 შენ ლაპარაკობ, სხვას კი არ უსმენ...
 კ რ ე ო ნ ი
 ვიდრე ის ჰსტოცხლობს, ცოლად ვერ ითხოვ.
 ჰ ე მ ო ნ ი
 მოკვდება... კარგი... სხვაც თან გაჰყვება.
 კ რ ე ო ნ ი
 735 თავხედო, კიდევ რომ მემუქრები!..
 ჰ ე მ ო ნ ი
 რა მუქარაა, ფუჭი ვჰგმო აზრი!
 კ რ ე ო ნ ი
 თვით ფუქსავატი ჰკუას მასწავლი?
 ჰ ე მ ო ნ ი
 მამა არ იყო, გიჟს გიწოდებდი.
 კ რ ე ო ნ ი
 მიწოდე, მაგრამ, ვჰფიცავ ოლიმპსა,
 740 ძვირად დაგისვამ მაგ თავხედობას.
 აქ მოიყვანეთ ის საძაგელი,
 რომ მოვაკედინო საქმროს წინაშე.

ჰ ე მ ო ნ ი

არა, ნუ ჰფიქრობ, იმის დალუპვას
მე რომ დავესწრო, ვერც შენ იხილავ
745 აწ ჩემსა სახეს. დამთხვეულობის
შენ სხვა მოჰსძებნე თანამოაზრე.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
მეფევ, ის გარბის განრისხებული —
ჰაბუკის წყენა საშიშარია.

კ რ ე ო ნ ი
გზა მშვიდობისა! იამპარტავნოს,
750 იმ ორის ქალის ვერ შეჰსცვლის ბედსა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
ორისო? ნუთუ დასჯი ორსავე?

კ რ ე ო ნ ი
ო, ეგ კარგა სთქვი... მეორეს — არა...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი
პირველი როგორ გსურს მოაკვდინო?

კ რ ე ო ნ ი
მე მას მივიყვან უდაბურ გზასთან.
755 ცოცხლივ შთავაგდებ კლდის აკლდამაში,
საკვებს დავუგდებ, რომ ავსცდე ცოდვას
და ავამორო ქალაქსაც ჰირი.
ევედროს ჰადესს — ხომ ის ჰსწამს მხოლოდ —
იქნება იხსნას სიკვდილისაგან.
760 და თუ ვერ იხსნა, მაშინ მიჰხვდება,
რაზომ ფუჰია ჰადესის თნევა.

ქ ო რ ო
სტროფი ა.

ეროს, უძლევეო ბრძოლაში,
ეროს, მსხვერპლი შენ ხელში გყავს,
რა ქალწულისა ნარნარს დაწვებზედ გაათევ ღამეს!
765 დაჰსცურავ ზღვაზედ და სოფელ-სოფელ მიმოვლი ვანებს,
თავს ვერც უკვდავი დაგახწევს, ვერცა
დღემოკლეთ მოდგმა, — ვისაც შეიპყრობ, ჰკუაზედ შეჰშლი

ანტისტროფი ა.

შენ სათნოს აუკეთურებ
და კლდეზე ბრძენსაც გარდასჩეხ...

770 და დღეს ეს შუღლი ნათესავთ შორის შენი საქმეა!..

ტურფა ქალწულის, დიადთ კანონთა

ღვთაებრივთა

განშორებულის, თვალთ ელვარება იმარჯვებს,

რადგან

775 ეს გართობაა უძლევი ღმერთის აფროდიტესი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

როს ამას ვხედავ, მეც მავიწყდება

მართებულობა და აღარ ძალმიძს,

რომ შევიკავო ცრემლთ ნიაღვარი,

ანტიგონე რომ საუკუნოსა

780 განსასვენებელს ადგილსა მიდის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სტროფი 1

მამულიშვილნო, შემომხედეთ, უკანასკნელი

გზით ვით მივდივარ და მზის შუქს

უკანასკნელად ვუმზერ ბედკრული,

ველარ ვიხილავ — მივყავარ ცოცხლად ჰადესს,

785 ყოვლისა განმსვენებელსა

აქერონისკენ, უზიაროდ

ქორწინების და ვერც გალობას საქორწინოს

მოვისმენ, რადგან აქერონს შევირთავ.

ქ ო რ ო

შენ მოიხვეჭე ქება-ღიდება

790 და მიცვალებულთ სავანეს მიხვალ,

არა მომსვრელი სენით მოწყლული,

არცა მახვილით შურძიებული, —

მოკვდავთა შორის ერთი მიდიხარ

ჰადესს მორჩილი შენი კანონის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

795 მსმენია, ბედკრულ ფრიგიელ სტუმარს, ტანტალის
ასულს

სიბილოს წვერზედ დაღუპულს,

კლდისა კალთები, ვით სურო,

ძალუმად შემოსალტვიან, დღეს ღონემიხდილს ნიადაგ,

800 ასე ამბობენ,

აწვიმს და ათოვს,

მამიჩემის და ბედკრული დედის,
სადაც თვით გაეჩნდი ბედუკულმართი,
835 და დღეს წყეული მათთან მივდივარ გაუთხოვარი
თანამყოფელად.

ო, ღვიძლო ძმაო,
ბედითადქმნილო ქორწინებითა,
მოკვდი და მე მკლავ ჯერ კიდევ ცოცხალს.
ქორო

მისთვის პატივი სათნო საქმეა,
840 მაგრამ უფლება ვისაც ეკუთვნის,
არავის ჰმართებს მისი ურჩობა.
შენ კი დაგლუპა თვითნებობამა.

ანტიგონე
დაუტირალი, უმეგობრო და უქორწინო
გზით, ჩემთვის გამზადებულით,
845 მტკიცედ მივდივარ.
აღარასოდეს არ მანახებენ წმინდა მნათობის
თვალის სინათლეს
და ჩემს წყეულ ხვედრს საყვარელთაგან
არვინ დასტირის გლოვითა.

კრეონი
850 იცოდეთ, არვის სიკვდილის პირად,
თუ ნებას მისცემთ, არ მოსწყინდება
ზარი და გლოვა. მყის წაიყვანეთ.
ბრძანებისამებრ თალიანს დაჰხშეთ
აკალდამაში, დასტოვეთ მარტო,
855 გინდ მოჰკვდეს იქა, გინდ დაქორწინდეს.
ჩვენ ამ ქალწულთან არა გვაქს ბრალი —
ის განშორდება ამ სოფელს მხოლოდ*.

ანტიგონე
სამარევე ჩემო, ქორწილთ ტაძარო,
ჯურღმულთ სამკვიდროვე სამარადქამო!
860 ჩემთა გარდასულთ მივესწრაფები
იმ ფერსეფონეს მკვდართა სამეფოს
უკანასკნელი ბედკრულთა შორის.
სიკვდილის უამი თუმც არ დამდგარა,
ცხოვრების საზღვარს ძალით მისულსა,

* პ. ქავთარაძის თარგმანი მოყვანილია აქამდე, თარგმანი დაასრულა პ. ბერაძემ.

- 865 გულს დამესახვის ისლა იმედი,
რომ მოსვლით მამას ვაამებ მაინც.
თქვენც ილხენთ, დედავ, ძმაო ძვირფასო!
ამ ხელთ განბანესთ ცხედარი თქვენი,
შეგიმკესთ კუბო და გიზედაშეს.
- 870 ჰე, პოლინიკევ, შენ დამარხვისთვის
რა ჯილდო მერგო დიდსანუკვარი.
რომ დამხოცოდა დედას შვილები
ან მომკვდომოდა ბედითად ქმარი —
არ გადვიდოდი ხალხის კანონსა.
- 875 ამას რად ვამბობ, რა მაიძულებს?
ქმარს ვიშოვიდი მოკლულის ნაცვალს
და მისგან შეილსაც კვლავ შევიძინდი,
ხოლო დედ-მამა როს აიღს ჰგიებს,
ხომ ძმა აროდეს დაიბადება.
- 880 აი, მიტომაც დაგღე პატივი.
ქკუათმყოფთათვის პატივის ღირსსა
კრეონმა მძიმე ბრალდება დამდო.
ძმაო, ჩემს თავზე უძვირფასესო,
ჰა, შეპყრობილი მივეყვარ ეხლა
- 885 უქორწინებელ, ბედით დამწვარი.
არცა ქმარის მცოდნე, არცა შვილების,
ტიალი, სულ მთლად ოზლად შთენილი,
ცოცხლივ სამარეს მივეშურები.
რა წესს გარდაველ დიადთა ღმერთთა?
- 890 ვით გავუსწორო მე იმათ თვალი?
შველა და ხსნისთვის ვის მოვუწოდო.
თუ უღმერთოებს ღვთისმოსავობა?
და თუ ეს არის ღმერთთა წყალობა,
რომ სულ უბრალომ ესრედ ვიტანჯო,
- 895 თუ ასე შეცდენ — დე, არანაკლებ
თვით დაისაჯნენ ვით მე დავსჯილვარ.

ქორო

ქარიშხლის ქროლვა მასში არ ქრება,
ძვინვარებს ისევ.

კრეონი

მიტომ დარაჯებს ემჯობინებათ
900 საქმის სრულყოფა, არ დაყოვნება.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვაიმე ჩემდა, სიკვდილს მახსლებს
ეს მოწოდება.

კ რ ე ო ნ ი

ვერც გაგამხნევებ, ვერც მოგცემ იმედს.
აღსრულდეს ხვედრი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

- 905 ო, თებეს მიწავ, წინაპართ სახლო,
ღმერთნო მამულის,
ჰხედავთ მივეყვართ ჩემდა უნებურ.
მომხედეთ, ჰეი, მმართველნო თებეს,
მხოლოდ შთენილი მეფეთ მემკვიდრე
- 910 თუ რას დავითმენ ამ კაცისაგან —
ღეთის მესაობის მარად მესაეი.

სტროფი ა.

- დანაე ქალსა, ცის ნათელმიხდილს,
სპილენძით ნაჭედ იმ კიღობანში
მისცეს სავანე საალაღბედო
- 915 სამარისებურ ჩაბნელებული,
თუმცა კი იყო ცნობილ გვარისა,
ყრმა ჰყავდა ზევსის შექმნილ-შობილი.
ვერვინ აიცდენს ბედის განაჩენს,
რადგან ვერც არეს, ვერც ციხე-კოშკი
- 920 მას ვერ დაიხსნის, ვერ გადაარჩენს
ვერცა ხომალდი მტკიცედ შეკრული.

ანტისტროფი ა.

- ასე დრიანტეს ძეც ქედმაღალი
მოდრეკილ იქმნა ეღონელთ მეფე.
თავხედობისთვის ის დიონისემ
- 925 დასაჯა მკაცრად — ქვაბს მოამწყვდია,
კლდეში ჩასჭედა,
საცა დაეცხრო იმისი ძვინვა.
მაშინ სცნო ღმერთი, ჩაიგლო ენა
ქალთ რომ სდევნიდა, წმინდა ცეცხლს სპობდა
- 930 და მტრობდა მუზებს მესალამურეთ.

სტროფი ბ.

ბოსფორის ახლოს მწვანე კლდეთ შორის
სალმიდესოსთან — თრაკელთ მხარეში

არესმა ნახა საშინელება:

თუ ფინეიდებს

- 935 თვალს როგორ თხრიდა
დედინაცვალი უსასტიკესი.
და შურისგებად ვით უწოდებდენ
ბნელ თვალთ უპენი, სისხლიან ხელით
საბეჭვლის წვერმა რომ ამოაშთო.

ანტიტროფი ბ.

- 940 თაებელს იწყევდენ სასომიხდილნი
შვილნი — მომსწრენი დედის ავბედის,
თუმც იყო თესლით ის უძველესი
ერეხთეს გვარის.

ღრმა გამოქვამულს

- 945 გზრდიდენ ასულნი მძაფრ ბორეასი—
მერანთ უსწრაფეს ღმერთის შობილსა,
მაინც მოირებს იმ ხანდაზმულთა
ვერ დააღწიე თავი, ო, ბავშვო.

ტირეზია

- თებეს მმართველნო, ერთ გზით მოვსულვართ
950 ორთაგან ერთი მხოლოდ მხედველი,
ბრმას გზას უჩვენებს ყრმა თვალხილული.

კრეონი

რას გვეტყვი ახალს, მოხუცო ტირეზ?

ტირეზია

დაგმოძღვრავ, შენ კი ენდე ჩემს ნათქვამს.

კრეონი

არ გარდავსულვარ მე შენს სიტყვასა.

ტირეზია

- 955 მიტომაც სწორად მართავდი ქალაქს.

კრეონი

არ უარვწყოფ, ბევრი სარფა მაქვს შენგან.

ტირეზია

კარგად დაფიქრდი — ბეწვზე ჰკიდიხარ!

კრეონი

სთქვი რაშიგან ვართ? შიშს მგერის ეგ სიტყვა.

ტირეზია

მაშ გაჰყევ გზაკვალს ჩემი მისნობის.

- 960 სამისნო ადგილს ვუდექ ჩვეულსა,
სად ყოველ ფრთოსანს დაუდევს ბინა.

- აუტყდათ უცებ ფრინველთ კრიახი
და სასიკვდილოდ ერთურთს ეკვეთნენ,
გლეჯდენ ერთმანეთს დაუზოგველად,
965 ცუდს ასწავებდა მათი სიშმაგე.
უმალ შემკრთალმა სამფეხს ვეძგერე
სამსხვერპლოს ზედან ცეცხლის დაგზნებად.
არ გავხდი ღირსი ჰეტესტის ცეცხლის,
ნაცარში მხოლოდ ქონილა წვეთდა,
970 ბოლავდა თეძო, ნალველა გასკდა
და სამსხვერპლოზე მიმოეპკურა.
ქონიც თეძოსა ჩამოღვენთოდა,
ჩათშუტულიყო შიგ ნალვერდალში.
აი, ამ ბაღღმა მაუწყა ყველა
- 975 უქმად მომლოდეს წინასწარ თქმისა.
ეგ მე მიმიძღვის, მე ვუძღვი ერსა.
მოსრა ქალაქი იმ შენმა რჩევამ,
შეგინებულა სამსხვერპლონიცა,
ფრინველთა, ძაღლთა უწმინდურობით
- 980 ოიდიპოსის ძის გვამს რომ გლეჯდენ.
ღმერთს აღარ ესმის კაცის ვედრება,
არც სურთ რამ მსხვერპლი, შესაწირავი.
კეთილის მაცნე ფრინველნიც სდუმან
მოკლულის ცხედრის სისხლით გამძღარნი.
- 985 შვილო, იფიქრე ამ ჩემს ნათქვამზე.
კაცთა ხვედრია ხშირად შეცდომა,
მაგრამ თუ ფხიზლობს და არ ჯიუტობს,
ჭკვა არ ღალატობს, შარს ჩავარდნილი
ღროზე შეცდომას კვლავ გაასწორებს.
- 990 თავუხლარს, — ბრიყვსა ვეტყვით სახელად.
ნულა შეახებ ხელს მიცვალებულს.
ყურს არ სმენია მკვდრის ახლად მოკვლა!
მე შენდა სარგოდ მითქვამს ყოველი.
გონიერს უყვარს კეთილი რჩევა.

კ რ ე ო ნ ი

- 995 ყველას ისარი, მოხუცო, ახლა
ჩემდა სამიზნოდ გაუწონია.
მკითხავსაც ერგო, ვხედავ, აქ წილი;
ჩემიანებმაც გამყიდეს უკვე.
ივაჭრეთ, ხვეჭეთ რამდენიც გნებავთ

- 1000 სარდეს ელექტრო — სინდელთ ოქროცა,
 სულერთი არის, მას ვერ დამარხავთ,
 ვერც მაშინ, თუგინდ ზევსის არწივთა
 ლეშით წაბილწონ ზევსის სასახლეც,
 ველარ შემაკრთოს ამ ცოდვის შიშმაც,
- 1005 ვერც მაიძულოს დამარხვა მისი.
 კაცი ვერ მოსცხებს ღვთაებას ჩირქსა.
 მოკვდავი, ტირეზ, — თუნდ ბრძენიც იყოს —
 თავლაფდასხმული დაიღუპება,
 ვინც მოგებისთვის ავს საქმეს ამკობს.

ტ ი რ ე ზ ი ა

- 1010 ვაიმე, ვაი,
 მიჩვენეთ კაცი სიტყვის გამგები.
 კ რ ე ო ნ ი
 ჰო, ამოყარე ეგ შენი სიბრძნე.
 ტ ი რ ე ზ ი ა
 ჰმეტობს თუ არა სიბრძნე ქონებას?
 კ რ ე ო ნ ი
 ვინ განიკურნოს უგნურებისგან?

ტ ი რ ე ზ ი ა

- 1015 სწორედ ემაგ სენს თვით შეუპყრიხარ.

კ რ ე ო ნ ი

მისანი ხარ და აუგს ვერ გკადრებ.

ტ ი რ ე ზ ი ა

მაინც ბრალსა მდებ ტყუილის თქმაში.

კ რ ე ო ნ ი

მისნებს, ამბობენ, უყვართო ფული.

ტ ი რ ე ზ ი ა

ხოლო მბრძანებელთ სიხარბე სჩემობთ.

კ რ ე ო ნ ი

- 1020 კარგად დაფიქრდი, ქალაქს მე ვმართავე.

ტ ი რ ე ზ ი ა

ქალაქის ხსნაში ხომ მეც გშველოდი?

კ რ ე ო ნ ი

თუმც კი ბრძენი ხარ, ვნებ მაინც მოყვასთ

ტ ი რ ე ზ ი ა

ნუ მაიძულებ ვთქვა რაც გულში მაქვს.

კ რ ე ო ნ ი

სთქვი, მაგრამ სარფას შეუშვი ხელი.

ტირეზია

1025 ვგონებ სათქმელი შენც გეხებოდეს.

კრეონი

სთქვი, ჩემს გონებას ვერ მოისყიდი.

ტირეზია

მაშ, ჰა, ისწავლე რაც გაიგონო:

მზის სწრაფ ბორბალის მობრუნებამდე

შენსა ღვიძლ ძესა, შენგან ნაშობსა,

1030 ცხედრად ცხედრისთვის გასცემ საზღაოდ —

იმის სანაცვლოდ, სულ უბრალოსა

ცოცხლივ სამარე რომ გაუთხარე.

ხოლო გვამს — წილსა ქვესკნელთ ღმერთების —

იქერ შებღალულ-დაუტირებელ.

1035 ის არც შენია, არც სხვა ღმერთების,

შენ კი თავს აძლევ ამდენ უფლებას.

მაგ თავსგადასულ მოძალადობას

დაგანანებენ ერიჩიები,

ვაის ვაიზე მოგინაცვლებენ.

1040 ვგეგვარ მოსყიდულს? შეიტყობ მალე,

ვგონებ დიდი დრო არ დაგჭირდება.

ქალთა და ვაჟთა ხმა შესძრავს შენ სახლს,

ამდგარა შენზე მთელი ქალაქი,

რომლის ღვიძლ შვილებს წესი აუგეს

1045 ძაღლთა და მხეცთა, აეთა ფრინველთა,

ბომონნიც ბილწჰყვეს საზარ საკურთხით.

ვით მოისარმა გულისდამკოდი

ისარი გტყორცნე გაშმაგებულად,

თავს ვერ დააღწევ მის მწვავე ტკივილს.

1050 ბაღლო, ნუ ჰყოფნი, წავიდეთ სახლში.

კაბუკი ნახოს ჯავრის საყრელად,

ენაც იმოკლოს, ის ურჩევნია

აზრი ეცვალოს საუმჯობესოდ,

რომ პატივს სდებდეს კეთილსა რჩევას.

პირველი მოხუცი

1055 მეფევე, ეს რა სთქვა თავზარდამცემი.

რაც თავი მახსოვს, რაც ეს შავი თმა

გამთეთრებია, არ მაგონდება

ქალაქისათვის ტყუილი ეთქვას.

- კ რ ე ო ნ ი
 ეს კარგად მესმის, მიტომაც ვშიშობ,
 1060 შიშით კრთის გული,
 მიმძიმს დათმობაც, არ დათმობა კი
 უსაშინელებს მიმზადებს ზვედრსა.
 პირველი მოხუცი
 რჩევა გჭირდება მენოიკეს ძევ.
- კ რ ე ო ნ ი
 სთქვი, შენ რას მირჩევ? სრულვეყოფ ყოველსა.
 პირველი მოხუცი
 1065 წადი და ქალი იხსენ ქვაბთაგან
 და საფლავს მიეც ველად გდებული.
- კ რ ე ო ნ ი
 დათმობას მირჩევ? უკან დახევას?
 პირველი მოხუცი
 რაც შეიძლება, მალე, მეუფევი!
 ღმერთნი უგუნურს ჭირს შეჰყარის სწრაფსა.
- კ რ ე ო ნ ი
 1070 თუმც მიმძიმს ფრიად, ვცელი ჩემს ბრძანებას,
 აუცილებელს ვერვინ აიცილენს.
 პირველი მოხუცი
 შენ წადი თვითონ — არ გინდა სხვები.
- კ რ ე ო ნ ი
 წავალ ეხლავე, მსახურნო, მოდით,
 ვინც კი სად იყოს, წერაქვი ნახეთ,
 1075 წადით იმ ადგილს, აგერ შორს რომ ჩანს.
 მე კი, რადგანაც ასე დავასკვეენ,
 დავიხსნი იმას, ვინც თვით შევიპყარ.
 იმის შიშში ვარ — კანონს არ ავსცდე,
 რაც ოდითგანვე დადგენილია.
- სტროფი ა.
 1080 სახელმრავალო, ჰოი, ასულო კადმოსიანთა,
 მძიმედ მგრგვინავ ზევსის მოდგმავ,
 მოღარაჯევ იტალთ ქვეყნის.
 სტუმართმოყვარე ელევსინს ზედან,
 სადაც დემეტრე
1085. ბრძანებლობს მორკმით;
 ჰოი, ბახუს, ჰოი, ბახუსო.
 თებეს — დედულეთს

გახსოვს, ჰგებდნი
იმ ისმენოსის ნაკადულთანა,

1090 სად გველეშაპსა დაუდევს ბინა.

ანტიტროფი ა.

ორ ბორძალ კლდესა, სად ჩირალდანნი
ნათობენ, გჳკრეტენ მჭლომარეს.

კორიკის ნიმფა,
ბაქხელნი ქალნი

1095 როკვით გილხენენ.

კასტალის წყარო რომ ჩქევს
ნისეს მთებისგან

მობრძანდი ჩვენდა,
სუროც ჰშვენის და

1100 ვაზითაც მდიდრობს დიადი თებე.

სტროფი ბ.

პატივს სდებს ყოვლის უმეტეს
ის შენი დედა ელვანაკროთობი,

და ეხლა, როცა ქალაქი ესა
ავ სენს მოუცავს,

1105 დაჰკარ ფეხი და დალახე ზღვაც, მთაც...
მოვედ პარნასით ჩვენდა განწმენდალ.

ანტიტროფი ბ.

ცეცხლოვან ვარსკვლავთ
ლამის ღრეობის,

დიდო მეუფევე,

1110 ზევსის ღვიძლო ძევე,

მოვედ ფიადთა გარემოცვითა,

რომ მთელი ღამე

უწყვეტლად, იაკხ,

შენ გადიდებდენ.

შ უ ლ ტ ა.

1115 შენ, ამფიონის, კადმოსის სახლო!

კაცის ცხოვრებას აღსასრულამდე

ვერცა კარგს ვეტყვით და ვერცა ავსა.

სვე ააზავენს, იგივე სვე დასცემს

ბედით რჩეულს თუ ბედისგან ჩაგრულს:

1120 და ვერვინ განსჳკრეტს მომავლის გზა-კვალს.

ხომ სვეკეთილად ვთვლიდით კრეონსა,

კადმოსის მიწა მტრისგან რომ იხსნა

- და აღჭურვილი სრული უფლებით
მეფობდა მასზე შვილბედნიერი.
- 1125 ეხლა რას ვხედავთ? გაცუდდა ყველა!
ვინც ჰკარგავს ლხინსა— ჰკარგავს სიცოცხლეს,
ის როდი ცხოვრობს — ცოცხლად მკვდარია.
ხვეჭე სიმდიდრე თუ ძლიერ გინდა,
თუნდ მეფეც გახდე მორკმით მჯდომარე,
- 1130 მაგრამ თუ არ გაქვს სიამტკბილობა
მე კვამლის ჩრდილშიც არ გავცელი შენს ბედს.
პირველი მოხუცი
სთქვი, რა სიივეს ამცნობ ამ სახლსა?
შ უ ლ ტ ა
მკვდარია იგი ცოცხლის მიზეზით.
პირველი მოხუცი
ვინ მოჰკლა, მარქვი, ანდა ვინ მოჰკლეს?
შ უ ლ ტ ა
- 1135 ჰემონ მოიკლა. სხვის ხელით კი არ.
პირველი მოხუცი
საკუთარ ხელით, თუ მამისაგან?
შ უ ლ ტ ა
მამით ნაწყენი — საკუთარ ხელით.
პირველი მოხუცი
ჰოი, მკითხავო, რა სწორად გითქვამს!
შ უ ლ ტ ა
ეს ასე მოხდა. სხვა თქვენ იცოდეთ.
პირველი მოხუცი
- 1140 ვხედავ სასახლით ვალს ევრიდიკე,
კრეონის ცოლი. შემთხვევით მოდის
თუ შეუტყვია შვილის სვე-ბედი?
ე ვ რ ი დ ი კ ე
მოქალაქენო! თქვენი ხმა მესმა
პალადის ტაძრად რა ვაპირებდი
- 1145 სავედრებულად ეხლახან მისვლას,
კართა ურდული ის იყო გავხსენ,
სახლით ძახილი გახდა თავზარის.
მყის ჩავეიკეცე გრძნობამიხდილი,
ჩემთა მსახურთა ძლივს შემაკავეს.
- 1150 ეს რა ხმა იყო, ეხლავ მაცნობეთ —
ქირგამოვლილი მზად ვარ სასმენად.

შ უ ლ ტ ა

- ო, დედოფალო, იქ ვიყავ, ყოველს
გითხრობ უცვლელად, სრული სიმართლით.
საამო რამ ვთქვა და ცრულ ჩამთვალოთ,
1155 რას მარგებს, მიჯობს სიმართლე ნაღდი.
მეგზურად ვახლდი მე შენს მეუღლეს.
იმ ველს მივედით, სად პოლინიკეს
ეგდო ცხედარი ძალღათა ნაგლეჯი.
რა მოვილოცეთ პლუტონ, ჰეკატეც,
1160 რისხვა წყალობად რომ შეეცვალა,
ნაკურთხი წყალით განვბანეთ მკვდარი,
დავუდეთ ტოტებს და ცეცხლს მივეცით,
მერე დავმარხეთ მშობლიურ მიწას,
უმალ ქალწულის ქვაბს მივაშურეთ
1165 აიღეს სახლსა, ქვით შექმნილ საწოლს.
მოთქმა-გოდება ესმა ერთ მსახურს
ცოცხლივ დამარხულ ქალწულის სარკმლით
და მსწრაფლ აუწყა მეფე კრეონსა.
საზარ ღრიალის ხმა ესმა მისულს
1170 და იმ ღრიალში სრულად გარკვევით
ცხადლივ სიტყვები მან გაარჩია.
„ვაიმე ბედკრულს, — წამოიძახა, —
რალად მჭირდება ქადაგ-მრჩეველი
ვაების მზად მყოფს, შვილის ხმა მესმის.
1175 აბა, აჩქარდით, ნუ დააყოვნებთ,
მიდით სამარხთან, კარგად ჩახედეთ
საცა ქვაბია ჩამონგრეული.
ვისი ხმა მესმის? ჰემონისაა,
თუ მაცდუნებენ იქნებ ღმერთები?“ —
1180 ვით ზარხდომილი ამბობდა მეფე.
რა ჩავიხედეთ იმ ქვაბის სიღრმეს,
ცოცხლათ დამარხულ ქალწულის საფლავს,
თოკის მარყუჟზე ვხედავთ კიდულსა —
გადახვევია ჭაბუკი ცხედარს;
1185 ტიროდა მწარედ დაკარგულ სატრფოს,
მამის ნაქმნარსა, მის ბედკრულ ქორწილს.
ამის მხილველმა მამამ შეჰყვირა,
მიუხტა შვილსა მოთქმით მტირალი:
„ვაიმე ბედკრულს, რა ჩაიღინე,

- 1190 კვლავ რას აპირებ? გონს მოდი, შვილო.
 აქ ამო, ჩემთან, ცრემლით გენუკვი".
 ამღვრეულ თვალით მიჰხედა მამას
 ავადმზირალმა, არრის მეტყველმა,
 მსწრაფლ ორლესული იძრო მახვილი
- 1195 ეძგერა მამას, მაგრამ გაქცეულს
 ველარ მიუსწრო, გაცეცხლებული
 თვითვე აეგო საკუთარ მახვილს
 და სუსტი მკლავნი მოჰხვია ქალწულს,
 თან სულთმობრძავემა ასულის ღაწვნი
- 1200 ფერდაკარგულნი შეღება სისხლით.
 მკვდარი მკვდარს ეკვრის და საქორწინო
 იგი ზეიმი აიდს აღსრულდა,
 იმის დასტურად, რომ კაცთა არ სჭირთ
 უგზურებაზე ბოროტი სენი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

- 1205 რას ნიშნავს ესა? წავიდა იგი
 არცა ავისა, არც კარგის მთქმელი.

შ უ ლ ტ ა

- მიკვირს ეგ ფრიად, თან ფიქრად მომდის,
 რომ ძე ძვირფასი ქვეყნის სატირლად
 არ ეგულვება, მართოდ იტირებს
- 1210 ის თავის სახლში მსახურ ქალებთან.
 ცნობაზედ არის, კი არ შეცდება.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

არ ვიცი, ვგონებ სჯობდეს დუმილსა
 მძიმის უმძიმესს ცივი ხმით მოთქმა.

შ უ ლ ტ ა

- მალე შევიტყობ მალავს თუ არა
- 1215 გულის სიღრმეში განზრახვას რასმე
 სახლად შესული. შენ მართალი სთქვი,
 ხანგრძლივ დუმილში საფრთხეა რადაც.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

ვხედავ თვით მეფეს ჩვენკენ მომავალს,
 თავის ნაქმნარის ხელთამპყრობელსა.

კ რ ე ო ნ ი

- 1220 ვაი, უაზრო აზრთა ცდომილებანი,
 სიკვდილებრივნი.

მკვლელიც, მოკლულიც

ნახეთ ორთავე ერთი სისხლხორცი.
საბედისწერო ბჭობავ და აზრო!

- 1225 ვაიმე, შვილო,
ჭაბუკო, უდროოდ მკვდარო!
ვაი, ვაიმე,
მკვდარი ხარ, მკვდარი,
შენით კი არა — ჩემი სიბრყევით.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ხ უ ც ი

- 1230 ვაი, რა გვიან მოსულხარ გონსა?

კ რ ე ო ნ ი

- ვაიმე, ვაი,
ვისწავლე ეგე მე უბედურმა,
როს თავს დამატყდა ღმერთთა ვაება მძიმის უმძიმეს
და ენით უთქმელ ტანჯვის გზას მიმცა,
1235 ფეხით გამთელა, სულ მიმხადა ყოვლი სიკეთე.
ვაი, ვაიმე, უბედურ მოკვდავთ ხვედრო საზარო!

შ უ ლ ტ ა

ბედკრულო მეფევე, ჭირთა შიგან ხარ,
ერთი ხელთა გაქვს, იქ სახლში კიდევ
ხილვად ახალი გელის ვაება.

კ რ ე ო ნ ი

- 1240 კვლავ რას მიქაღი ამის უარესს?

შ უ ლ ტ ა

მკვდარს უერთგულა მშობელმა დედამ.
ჭრილობით მოკვდა მეუღლე შენი.

კ რ ე ო ნ ი

ვაი,

პირქუშო სიღრმევე შავის ჰადესის!

- 1245 რისთვის, რად მღუპავ?

სიავის მაცნევე,

კვლავ რას მიმზადებ, მორჩი ბარემლა!
რა უნდა უყო ამის მეტი დაღუპულ კაცსა.
ო, შვილო ჩემო, ახალს რას მეტყვი?

- 1250 ვაი, ვაიმე,

ისევ სიკვდილზე?

მეუღლე მიჰყვა

შვილის გზასა

იმ სასიკვდილოს?

გ უ ნ დ ი

1255 ძალგძის თვით ნახო, მოაქვთ ცხედარი.

კ რ ე ო ნ ი

ვაიმე,

ორ მკვდარს ვხედავ ბედკრული,

კვლავ რა მომელის, კვლავ რა თავზარი?

ხელში მეჭირა ეხლახან შვილი,

1260 კვლავ მიცვალებულს ახალს შევცქერი,

ბედკრულო დედავ, შვილო საბრალო.

შ უ ლ ტ ა

სამსხვერპლოს წინა გდებულს, საცოდავს

მიხდია სრულად თვალთა ნათელი.

ჯერ მეგარეუს გამოიტირა,

1265 შემდეგ მეორე — ის უბედური,

შვილის მკვლელის თავს წყევის მეტყველმან.

კ რ ე ო ნ ი

ვაიმე, ვაი.

შიშით ვკანკალებ, სად არის კაცი

ორლესულ ცულით გულს არ გამიპობს

1270 მე უბედურსა —

ორმაგი სევდით გულგანგმირულსა.

შ უ ლ ტ ა

ორთავ სიკვდილის თვით ხარ მიზეზი,

ბრალი შენ დაგდო მიცვალებულმა.

კ რ ე ო ნ ი

როგორ მოიკლა თავი საბრალომ?

შ უ ლ ტ ა

1275 საკუთარ ხელით გაიპო გული,

რაკი შეიტყო მან შვილის ხვედრი.

კ რ ე ო ნ ი

ვაი, ვაიმე,

სხვა მოკვდავთაგან

ვისლა ძალედვას

1280 ამ ცოდვის ტვირთვა.

მე ხომ მკვლელი ვარ,

შე საცოდავო, —

მართალს არ ვამბობ?

პოი, მსახურნო,

1285 მსწრათლ წამიყვანეთ,
მომწყვიტეთ მალე
არარაობა — არყოფნის ღირსი.

ქორო

სწორს ამბობ, თუ უშველი შენს უბედობას.
მოკლე სიავე გიჯობს ტანჯვას დაუსრულებელს.

კრეონი

1290 მოვედ, ო, მოვედ,
შენ ტკბილო ჟამო აღსასრულისა,
უკანასკნელო ჩემი ყოფნის დღევ!
მოვედ, ო, მოვედ,
რომ ვერ ვიხილო კვლავად ახალი.

ქორო

1295 ეს ხომ წინ გიღევს, გიჯობს იფიქრო
ეხლა რაღა ქნა, როგორ მოიქვე?

კრეონი

ეს არის მხოლოდ, ამაზე ვფიქრობ.

ქორო

ნულარას ითხოვ, ხომ იცი მოკვდავს
არა აქვს ნიჭი ბედისწერის განრიდებისად.

კრეონი

1300 შორს გადამტყორცნეთ,
მომწყვიტეთ კაცი
ჭკვასგადასული.
მე მოგკალ, შვილო, ჩემს უნებურად,
და შენც, მეუღლევე.

1305 აბა, სად წავალ?
რაც კი მებადა,
გამიქრა სრულად
და თავს დამატყდა ჰირი უთქმელი.

ქორო

ღ

ყოვლის უმჯობეს გონია ჯილდო
1310 ხამს განვერიდოთ რისხვას ღმერთების,
ზვიადთა სიტყვა ძალზე ზვიადი,
საზარი დარტყმით ქვე დამხობილა
თვით იმათ თავზე
და ბოლოს ჭკუას ძლევა შეენია.



ზისია



სიტყვა მარტოსთანას მკვლელობის გამო

(1) ჩემთვის, ათენის მოქალაქენო, ძვირფასი იქნებოდა, რომ თქვენი სასამართლო იმნაირადვე მომპყრობოდა ამ საქმეში, როგორც მოიქცეოდით თვით თქვენ, რომ შეგმობვეოდით მსგავსი უბედურება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ თქვენ სხვის საქმეს იმავე თვალთ შეხედავდით, როგორც თქვენს საკუთარს, თქვენ შორის ერთიც არ აღმოჩნდებოდა, რომ არ აღშფოთებულიყო ამ ამბით და ყველა თქვენ ასეთ დამნაშავეთათვის კანონებით დადგენილ სასჯელს მიიჩნევდით ძლიერ მცირე სასჯელად.

(2) და მე ვფიქრობ, რომ ასეთია შეხედულება არა მარტო თქვენი, არამედ მთელი საბერძნეთისა. ესაა ერთადერთი დანაშაული, რომლისთვისაც, როგორც დემოკრატიულსა, ისე ოლიგარქიულ სახელმწიფოებში კანონით მინიჭებული აქვთ უუმნიშვნელო ადამიანებსაც კი შურისძიების ერთი და იგივე საშუალება უგავლენიანესთა მიმართ, ასე რომ უუაზნოსა და უდიდებულეს მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ერთი და იგივე დაკმაყოფილება: აი, რაოდენად მძიმედ მიაჩნია ყველას ღირსების ასეთი შებღალვა. (3) ამნაირად სასჯელის ზომის შესახებ თქვენ ყველანი, ვფიქრობ, იმგვარივე აზრისა ხართ, როგორც მე, და საქმეს ისე იოლად არავინ არ უყურებს, რომ იფიქროს, თითქოს ასეთი დანაშაულის მოქმედმა უნდა მიიღოს პატიება ან რომ იგი ღირსია მარტოდენ მცირე სასჯელისა. (4) მე კი უნდა დავამტკიცო, ვფიქრობ მხოლოდ, ის, რომ ერთოსთენს დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა ჩემ ცოლთან და ამით იგი არა მარტო შეაცდინა, არამედ ჩემი ბავშვებიც შეარცხვინა და თვით მე ჩემს სახლში შემოჭრით მომაყენა შეურაცხყოფა; რომ გარდა ამისა, ჩვენ შორის არავითარი მტრობა არ ყოფილა, და რომ ეს მე მოვიქმედე არა ფულისათვის, რათა ღარიბი გავმდიდრებულიყავ, და საერთოდ არა ანგაარებით, არამედ მარტოდენ კანონით ნებადართულ შურისძიებით. (5) ამიტომ მე თქვენ მოგახსენებთ ჩემი საქმის ყველა გარემოებას თავიდანვე, არათერს არ გამოვტოვებ, ყვე-

ლაფერს გიამბობთ ალალმართლად. ჩემს ერთადერთს ხსნას იმაში ეხედავ, თუ მოვახერხე ყველაფრის იმგვარად მოთხრობა თქვენთვის, როგორც იყო. (6) როდესაც მე გადავწყვიტე ცოლის შერთვა, ათენელნო, და ჩემს სახლში ცოლი შემოვიყვანე, თავდაპირველად მე ისეთს წესს ვადექი, რომ მისთვის სიმკაცრით თავი არ მომებეზრებინა, მაგრამ არც მეტისმეტად თავის ნებაზე მიმეშვა — მოქცეულიყო თავის სურვილისამებრ; შეძლებისდაგვარად მას ვაკვირდებოდი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ როდესაც ბავშვი შემეძინა, მე უკვე მივენდე მას და ხელთ მივეცე ყველაფერი, რაც კი რამ გამაჩნია, რადგანაც მწამდა, რომ ცოლქმრობაში ბავშვი უმტკიცესი კავშირია. (7) პირველ ხანად, ათენელნო, იგი მთელ ქვეყანაზე საუკეთესო ცოლი იყო: ჩინებული, მომპირნე დიასახლისი, სარვაგვიანად გამგე მთელი ოჯახისა. მაგრამ როდესაც დედა გარდამეცვალა, მისი სიკვდილი მიზეზი გახდა ყველა ჩემი უბედურებისა. (8) ჩემმა ცოლმა გააცილა მისი ცხედარი სამგლოვიარო პროცესიაში; იქ იგი დაინახა ამ კაცმა და რამდენსამე ხანს შემდეგ შეაყვინა: ის ქუჩაში ელოდებოდა ჩვენს მოახლეს, რომელიც ბაზარში დადის, და მისი მუშევრობით წინადადებას აძლევდა ჩემს ცოლს და ბოლოს უბედურებამდე მიიყვანა იგი. (9) და აი, უპირველეს ყოვლისა, ათენის მოქალაქენო (ესეც უნდა მოგითხროთ), მე მაქვს პატარა სახლი, ორსართულიანი, ერთხანად მოწყობილი ზემო და ქვემო ოთახებით, როგორც საქალებო, ისე საკაცებო სამყოფოში. ბავშვი რომ შეგვეძინა, დედამ ძუძუს წოვება დაუწყო, მაგრამ რათა კიბეზე ჩასვლით, როდესაც მას ბინა სჭირდებოდა, საფრთხეში არ ჩამეგდო მისი ჯანი, მე მოვთავსდი ზემოთ, ქალები კი ქვემოთ. (10) ამნაირად უკვე წესად იყო შემოდებული, რომ ცოლი ხშირად მიდიოდა ხოლმე ქვემოთ ბავშვთან დასაძინებლად და ძუძუს საწოვებლად, რათა მას არ ეყვირა. ასე მიდიოდა საქმე კარგა ხანს, და მე არაოდეს ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე ეჭვი; პირიქით, მე იმდენად ჭულელი ვიყავი, რომ ჩემი ცოლი უპატიოსნეს დედაკაცად მიმჩნედა ქალაქში. (11) დრო მიდიოდა, ათენის მოქალაქენო, და აი როგორაც მე მოულოდნელად დავბრუნდი სოფლიდან; ნასადილევს ბავშვმა ყვირილი და ქირვეულობა დაიწყო: მას ამისათვის განზრახ აღიზიანებდა მოახლე, რადგანაც ის კაცი სახლში იყო (შემდეგ მე ყველაფერი შევიტყე). (12) მე ცოლს ვუბრძანე წასულიყო და ბავშვისათვის ძუძუ მიეცა, რათა მას ტირილი შეეწყვიტა. თავდაპირველად არ უნდოდა ვითომდაც, რომ დიდი ხანი არ ვენახე და თითქოს ძალიან მოხარული იყო ჩემი დაბრუნე-

ბისა. ხოლო როდესაც მე წყრომა დავიწყე და ვუბრძანე წასულიყო, მან მითხრა: „ეს სულ იმისათვისაა, რომ შენ აქ ჩვენს გომბიოს გამოეხუმრო, შენ ადრეც ეტორღიალებოდი მას ნაბახუსევი“. (13) მე ვიცი-ნოდი, ის კი ადგა და წასვლინას თითქოს ხუმრობით კარი გაიკეტა და გასაღები წაიღო. მე ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია და არაფრით დაექვებულს ტკბილად ჩამძინებოდა, რადგანაც სოფლიდან ვიყავი დაბრუნებული. (14) გათენებისას ის დაბრუნდა და გააღო კარი. როდესაც ვკითხე, ღამით კარები რატომ კრიალებდა-მეთქი, მიპასუხა — ბავშვის ოთახში ნათურა ჩაქრა და ცეცხლი მეზობლისაგან მოვატანინეო. მე აღარაფერი ვთქვი, ვფიქრობდი, რომ მართლა ასე იყო საქმე. მაგრამ, ათენის მოქალაქენო, მომეჩვენა რომ სახეზე უმარული ჰქონდა წასმული, თუმცა ჯერ ერთ თვესაც არ გაველო დღიდან მისი ძმის გარდაცვალებისა. მაგრამ მაინც არც აქ მითქვამს არაფერი ამის შესახებ და უჩუმრად გავედი შანიდან. (15) შემდეგ ამისა, ათენის მოქალაქენო, ცოტა ხანს არ გაუვლია; მე აზრადაც არ მომდიოდა ჩემი უბედურება. ერთხელ ანაზღად მომიახლოვდა ივლიც დედაბერი მოგზავნილი იმ ქალის მიერ, რომელთანაც ერატოსთენეს უკანონო კავშირი ჰქონოდა, როგორც მერე გავიგე. ის ქალი იგანაწყენებული იყო იმით, რომ იგი უწინდებურად მასთან აღარ დაიარებოდა და უთვალთვალებდა, სანამ ბოლოს არ აღმოაჩინა, თუ რა იყო ამის მიზეზი. (16) და ეს მოახლე, მე რომ ჩემს სახლთან მელოდებოდა, მომიახლოვდა და მითხრა: „ვეფილეტ, არ იფიქრო, რომ შენთან ცალიერი ცნობისმოყვარეობით მოვედი. არა, კაცი, რომელიც შეურაცხყოფს შენ და შეურაცხყოფს შენს ცოლს, იმავე დროს ჩვენი მტერიცაა. აი, შენ თუ ხელს მოჰკიდებ მოახლეს, ბაზარში რომ დაიარება და სუფრაზე გემსახურებათ, და წამებით დაჰკითხავ მას, ყველაფერს შეიტყობ, ხოლო ის კაცი, რომელიც ამას სჩადის, — დაუმატა მან, — არის ერატოსთენე ეის დემიდან*. მან არა მარტო შენი ცოლი შეაცდინა, არამედ ბევრი სხვაც. ეს უკვე მისი ხელობაა.“ (17) ეს სთქვა, ათენის მოქალაქენო, და წავიდა, მე კი ამან მაშინვე ამაღლევა; ყველაფერი მეაზრა და აღსავსე ვიყავი ექვებით. ფიქრად მომივიდა თუ როგორ ჩამეკეტა მან საწოლ ოთახში, გამახსენდა, თუ იმ ღამით როგორ კრიალებდა კარი, ეზოდან რომ სახლში შედის, და ისიც, ქუჩაში რომ გადის. რაც ადრე არაოდეს არ მომხდარა; აგრეთვე ისიც, რომ ცოლი, როგორც მომეჩვენა, უმარულით იყო შეთხუპნილი. ყველაფერი ეს აზრად მომივიდა და ექვებით ავივსე. (18) შინ და-

* ათენი დაყოფილი იყო ათ დემად.

ბრუნებისთანავე ვუბრძანე მოახლეს ბაზარში წამყოლოდა. მივიყვანე იგი ერთ-ერთ ჩემს მეგობართან და დაეუწყე ლაპარაკი, რომ ყველაფერი გავიგე, რაც ჩემს სახლში ხდება: „და აი. შეგიძლია ორში ერთი აირჩიო რომელიც გინდა: ან მე შენ გაგმოლტავ და წისქვილში გაგავდებ, სადაც ბოლო არ ექნება შენს ტანჯვას, ანდა, თუ მეტყვი სრულ სიმართლეს, შენ ცუდი არაფერი შეგემთხვევა და ჩემგან პატიებასაც მიიღებ შენი დანაშაულისათვის. მაგრამ არ იტყოფო-კი, სიმართლე ილაპარაკე-მეთქი“. (19) თავდაპირველად გადაფიცვა სცადა და ამბობდა, რომ მე ნება მაქვს, რაც მსურს, ის მოვიმოქმედო, რადგანაც მან ვითომ არაფერი არ იცის; როდესაც დავუსახველე მას ერატოსთენე და უუთხარი, რომ სწორედ ის დიდის ჩემს ცოლთან, მას შეეშინდა და იფიქრა, რომ ყველაფერი დანამდვილებით ვიცი. (20) აქ კი ჩამივარდა ფეხებში, ჩამომართვა პირობა, რომ მას ცუდი არა შეემთხვევა რა და მიაშობ უპირველეს ყოვლისა, თუ დასაფლავების შემდეგ ვაჟი როგორ მივიღა მასთან; მერე, თვით მან ბოლოს როგორ გადასცა ვაჟის წინადადება ქალბატონს, თუ უკანასკნელი დიდი ხნის შემდეგ როგორ დაჰყვა ვაჟის ნებას და რა ხერხით ღებულობს მას თავისთან; თუ თესმოთორიობას*, მე რომ სოფლად ვიყავი, როგორ დაჰყვებოდნენ დედამისის ტაძარში; და ყველაფერი დანარჩენი ზუსტად მიაშობ, რაც მოხდა. (21) როდესაც მორჩა, მე ვუთხარი: „გახსოვდეს, რომ ერთმა სულიერმა არ უნდა გაიგოს ეს. მაგრამ მე მსურს, რომ შენ დამეტყვიო ეს დანაშაულის ადგილზე; სიტყვები მე არ მინდა, მაგრამ რაკი საქმე ასეა, საჭიროა, რომ დანაშაული თვალსაჩინო იყოს.“ (22) ამასე ის დამეთანხმა. შემდეგ ამისა განვლო ოთხმახუთმა დღემ... როგორც ამას საფუძვლიანი საბუთებით დაგიმტკიცებთ. მაგრამ ერთთავად მინდა გიამბოთ, თუ უკანასკნელ დღეს რა მოხდა. სოსტრატე ჩემი ძმაცაი და მეგობარია. მას მე მზის ჩასვლის შემდეგ შეეხვდი, როდესაც ის სოფლიდან მოდიოდა. ვიცოდი, რომ ამ დროს შინდაბრუნებული, იგი ვერავითარ საქმელს ვერ იპოვიდა და სადილად დაეპატიჟე. მოვედით ჩემს სახლში, ავედით ზემო სართულში და შევეუდექით სადილს. (23) მასპინძლობისათვის მადლობა გადამიხადა და წავიდა შინ, მე კი დასაძინებლად დავწექი. და აი, ბატონებო, მოვიდა ერატოსთენე. მოახლემ მაშინვე გამაღვიდა და მითხრა, რომ იგი იქაა. მე მას ვუბრძანე თვალი სჭეროდა კარზე, ჩუმიად ჩავედი ქვევით და გავედი სახლიდან. შევედი ხან ერთთან, ხან მეორესთან; ზოგი შინ არ დაბიხვდა,

* დემეტრეს დღესასწაული ათენში, რომელზედაც მხოლოდ გათხოვილი ქალები ესწრებიან.

ზოგი კი თურმე ქალაქში არ ყოფილიყო. (24) წავიყვანე თან ამნაირ პირობებში რაც შეიძლებოდა მეტი ზალხი და წავედი. მერე გამოვართვით უახლოეს დუქანში ჩირაღდნები და შევედით სახლში: კარი გაგვიღო მოახლემ, რომელსაც ეს ჰქონდა დავალებული. ვეძებრეთ რა საწოლის კარს, ჩვენ, ვინც პირველნი შევედით, დავინახეთ ის ჯერ კიდევ ჩემს ცოლთან მწოლიარე, მერე შემოაუღებმა კი — პერანგისამარა ლოგინზე მდგომარე. (25) აქ, ათენის მოქალაქენო, მე ერთი დარტყმით წავაქციე იგი, გადავუგრიხე უკან ხელები და შევუკარი და დავუწყე კითხვა, თუ რა უფლებით იჩენს ასეთს თავხედობას ჩემს სახლში რომ შემოდის. მან აღიარა თავისი დანაშაული, მაგრამ ცრემლმორეული მევედრებოდა არ მომეკლა, არამედ მხოლოდ ფული გამომერთმია მისთვის. (26) ამაზე მე ვუპასუხე: „შენ მოგკლავს ჩვენი სახელმწიფოს კანონი და არა მე; კანონის დარღვევით შენ იგი შენს სიამოვნებაზე უფრო დაბლა დააყენე და უმჯობესად მიიჩნიე ჩაგედინა ასეთი დანაშაული ჩემი ცოლი და ბავშვების მიმართ. ვიდრე დაპორჩილებოდი კანონებს და ყოფილიყავი პატიოსანი მოქალაქე“. (27) ამნაირად, ათენის მოქალაქენო, მან მიიღო ის საზღაური, რომელიც კანონის ბრძანებით, უნდა მიიღონ ხოლმე ასეთი ჯურის დამნაშავეებმა; მაგრამ ამ დროს ის არ ყოფილა ქუჩიდან სახლში ძალით შეთრეული და არც ოჯახის კერისათვის მიუმართავს სახსნელად, როგორც ბრალმდებელნი ამტკიცებენ. და ან კი როგორ შეეძლო მას კერისათვის მიემართა, როდესაც იგი ჯერ კიდევ საწოლში იყო, და როგორც კი შემოვკარი, მაშინვე წაიქცა, შემდეგ მე მას ხელები უკან შევუკარი და იმოდენა ხალხში, რაც სახლში იყო, მას გაღწევა აღარ შეეძლო, რადგანაც არ ჰქონდა არც რკინა, არც კეტი, ერთი სიტყვით არაფერი, რითაც შეიძლებოდა შემოსულთაგან თავის დაცვა? (28) მაგრამ, ათენის მოქალაქენო, როგორც ვფიქრობ, თქვენც მოგეხსენებათ, რომ ჟეკანონობის მოქმედნი არაოდეს არ გამოტყდებიან, რომ მათი მოწინააღმდეგენი სიმართლეს ამბობენ, თვითონ კი ცრურწმუნებით და ამგვარი უმსგავსი ხერხებით ცდილობენ აღძრან მსმენელებში აღშფოთება იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთა მხარეზეა სიმართლე. უწინარეს ყოვლისა წაიკითხე კანონი. (კანონი) (29) იგი არ უარყოფდა, ათენის მოქალაქენო, თავის დანაშაულს, არამედ აღიარებდა და მხოლოდ აცრემლებული ივედრებოდა არ მომეკლა და მზად იყო ჯარიმა გადაეხადა. მაგრამ მე არ დავთანხმდი მის მიერ შემოძლეულ ჯარიმაზე, რადგანაც ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს კანონს მეტი ძალა უნდა ჰქონდეს; მე გავუჩინე მას ის სა-

ხჯელი, რომელიც თქვენ აღიარეთ უსამართლიანესად და დაუწესეთ ასეთი საქმეების მოქმედო. დე, შემოვიდნენ აქ ამის მოწმენი.

(მოწმენი)

(30) წამიკითხე ეს კანონიც არეოპაგის დაფაზე*.

(კანონი)

ხომ გესმით, ათენის მოქალაქენო, რომ არეოპაგის სამსჯავროს მიერ, რომელსაც ჩვენთა მამა-პაპათა დროსაც ჰქონდა დაკისრებული და ჩვენს დროშიაც ხელახლა მინიშნებული აქვს მკვლელობის საქმეთა განსჯა, გადაჭრით დადგენილია, რომ ბრალი მკვლელობისათვის არ უნდა დაედოს მას, ვინც თავის ცოლთან საყვარელს შეისწრებს და ასეთი სასჯელით გაუსწორდება. (31) კანონმდებლის დარწმუნებულობა ამ სასჯელის სამართლიანობაზე, როდესაც საქმე კანონიერ ცოლებს ეხება, ისე ძლიერი იყო, რომ იმ შემთხვევებშიაც კი, როცა იგი ხასებს ეხებოდა, რომელნიც ღირსებით უფრო დაბლა დგანან, მან დააწესა იგივე სასჯელი. ხოლო მის განკარგულებაში რომ რომელიმე უფრო მძიმე სასჯელი ყოფილიყო იმ შემთხვევისათვის, რომელნიც კანონიერ ცოლებს ეხებიან, ცხადია, რომ იგი მას დააწესებდა. და მხოლოდ იმიტომ, რომ მან ამ შემთხვევებისათვის ვერ გამოიგონა ამაზე უფრო სასტიკი სასჯელი, მიიჩნია საჭიროდ, რომ იმ შემთხვევებშიც, ხასებს რომ ეხება, იგივე სასჯელი შეეფარდოს. წამიკითხე ეს კანონიც.

(კანონი).

(32) თქვენ გესმით, ათენის მოქალაქენო, კანონი ბრძანებს, რომ ის, ვინც ძალადობით აზატს ან მონას შეარცხვენს, ვალდებულია ორმაგად უზღოს ზარალი, ხოლო თუ შეარცხვენს ქალს, იგი სიკვდილის ღირსია. ასე რომ, უფრო მცირე სასჯელის ღირსნი არიან, ათენის მოქალაქენო, კანონმდებლის აზრით ის პირნი, რომელნიც ძალადობას მიმართავენ, იმათთან შედარებით, ვინც რწმუნებით მოქმედებს. (33) უკანასკნელთ მან სიკვდილით დასჯა გაუჩინა, პირველთ კი მარტოოდენ ზარალის ორმაგად ანაზღაურება მიუსაჯა; იგი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ ადამიანი, რომელიც ძალადობის გზით აღწევს მიზანს, თავის მსხვერპლში იწვევს მძულვარებას, ხოლო ვინც რწმუნებით მოქმედებს, იმ ზომამდე რყვნის მის მიერ ცთუნებულ სულს, რომ სხვისი ცოლი უფრო ამის კუთვნილებად იქცევა, ვიდრე ქმრისა, მთელი ოჯახი გადადის მის გამგებლობაში და ბავშვები ვისი არიან—ქმრისა თუ საყვარლისა არა-

* არეოპაგი ათენის უმაღლესი მასამართლოა. არეოპაგის დაფა სამწახანაგაინი დაფაა, რომელზედაც დაწერილი იყო დრაკონის კანონები.

ვინ იცის. აი რისთვის დაუდვა კანონმდებელმა ასეთ პირებს სასა-
ჯელად სიკვდილი. (34) ამნაირად, ათენის მოქალაქენო, კანონებმა
არა თუ მიცნეს უდანაშაულოდ, არამედ მოვალეობადაც კი დამაკის-
რეს აღმესრულებინა ეს სასაჯელი და ახლა თქვენზეა დამოკიდე-
ბული, რომ ეს კანონები ან დარჩეს ძალაში ან არა და მათ აღარა
ჰქონდეს აღარავითარი მნიშვნელობა.

(35) ჩემი ღრმა რწმენით, ყველა სახელმწიფო იმიტომ აწესებს
თავისთვის კანონებს, რომ რაიმე სიძნელის შემთხვევაში შეგვეძლოს
მივმართოთ მათ და შევიტყოთ როგორ მოვიქცეთ. და აი ისინი
ასეთ შემთხვევებში გვირჩევენ ასეთი სასაჯელი შეეუფარდოთ.
(36) ვფიქრობ, რომ თქვენც იმავე აზრიაა უნდა იყვეთ, როგორისაც
ისინი, თორემ თქვენ ისეთს დაუსჯელობას მიანიჭებთ მრუშებს,
რომ ქურდებსაც კი გააბედღინებთ თავიანთ თავს მრუშები უწო-
დონ; ისინი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ თუ ასეთს ბრალს იკის-
რებენ და დაიწყებენ მტკიცებას, რომ ამ მიზნით შედიან სხვის
სახლებში, მათ ხელს არავინ ახლებს. ყველას ეცოდინება, რომ კან-
ონებს მრუშობის შესახებ უნდა გამოემშვიდობოს და მხოლოდ
თქვენი განაჩენის უნდა ეშინოდეს, ვინაიდან თქვენ ხართ უზენა-
ესი სამსჯავრო, რომელსაც ექვემდებარება მთელი სახელმწიფო.

(37) ყურად იღეთ, ათენის მოქალაქენო, მე მებრალბენ, თით-
ქოს იმ დღეს მე მოახლეს ვუბრძანე იმ ახალგაზრდა კაცის მოპატი-
ყება. მართალია, მე ჩემის მხრით კანონიერად მივიჩნევიდი ყოველ-
გვარ საცადისს რა საშუალებით გინდა ხელში ჩამეფდო ჩემი ცო-
ლის მაცთუნებელი. (38) განა რომ მებრძანებინა იმის მოპატიყება
მაშინ, როდესაც ყველაფერი განისაზღვრებოდა მხოლოდ შე-
ბაასებით, საქმე კი არავითარი არ იქნებოდა გაკეთებული, მე დამ-
ნაშავე ვიქნებოდი; მაგრამ მე რომ ვცდილიყავ მის ხელში ჩადგებას
რაიმე ხერხით მაშინ, როდესაც ყველაფერი უკვე გათავებული იყო
და როდესაც იგი უკვე ხშირად შემოდოდა ჩემს სახლში, ეს, მე
მგონია, იქნებოდა ჩემის მხრით მხოლოდ კეთილგონიერი საქცი-
ელი. (39) მაგრამ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მათი ეს მტკი-
ცებაც ცრუა. თქვენ ამას ადვილად გაიგებთ შემდეგი მოსაზრებები-
დან. როგორც ადრე უკვე მოგახსენეთ, სოსტრატე, ჩემი გულითადი
მეგობარი. შემხვდა გზაში მზის ჩასვლისას სოფლიდან მომავალი, მან
ისადილა ჩემთან, მასპინძლობისათვის მადლობა გადამიხადა და წა-
ვიდა. (40) მაგრამ განსაჯეთ, ათენის მოქალაქენო, უწინარეს ყოვ-
ლისა აი რა: მე რომ განზრახული მქონოდა იმ დამით ერატოსტენეს
მოკვლა, რა უფრო ხელსაყრელი იყო ჩემთვის — თვით. მესადილნა

სხვაგან თუ შინ სტუმარი მომეყვანა სადილად? უკანასკნელ შემთხვევაში ერატოსთენე ხომ ისე თამამად ვერ შემოვიდოდა სახლში. შემდეგ, როგორ ფიქრობთ, ნუთუ მე სტუმარს გავუშვებდი, თუ ვთხოვდი მას დარჩენილიყო, რათა დამხმარებოდა მეძავის დასჯაში? (41) დასასრულ, ბატონებო, როგორ ფიქრობთ, განა მე დღისითვე არ შევატყობინებდი ნაცნობებს და არ ვთხოვდი მათ შეკრებილიყვნენ მეზობლად რომელიმე ჩემი მეგობრის სახლში იმის ნაცვლად, რომ იმ წამსვე, როგორც კი ცნობა მივიღე, ქალაქში მერბინა ღამით და არ მცოდნოდა, ვის დავიხელებ შინ და ვის არა? თორემ მე შევიარე არმოდოსთან, კიდევ ერთთან, მეორესთან, თუმცა ისინი ქალაქში არ იყვნენ, რაც მე არ ვიცოდი. სხვები კი შინ ვერ დავიხელებ და წავედი და თან წაიყვანე, ვინც ვნახე. (42) ხოლო ეს რომ მე წინასწარ მცოდნოდა, ნუთუ თქვენ ფიქრობთ. მე ვერ მოვაშხადებდი მეგობართ, რათა მე თვით სრულიად უშიშრად შევსულიყავი სახლში (განა მე შემეძლო მცოდნოდა, რომ მასაც დანა არ ჰქონდა?) და რათა აღმესრულებინა სასჯელი მოწმეთა რაც შეიძლება მეტი რიცხვის დასწრებით? მაგრამ მე არაფერი ვიცოდი თუ რა მოხდებოდა იმ ღამით და თან წავიყვანე, ვისი წაყვანაც მოვახერხე. შემოდით აქ ამის მოწმენო.

(მოწმენი).

(43) თქვენ მოუსმინეთ, ათენის მოქალაქენო, მოწმეებს. ახლა თქვენის ჰკუთხით განიხილეთ ეს საქმე აი რა მხრით: გამოიძიეთ, ხომ არ მქონია მე ოდესმე რაიმე საბაბი გარდა ამისა, ერატოსთენეს მტრობისა. არა, ვერავითარს საბაბს ვერ იპოვით. (44) მას არ აღუძრავს ცრუ ბეზლით სასისხლისამართლო დევნა ჩემ წინააღმდეგ, არ ცდილა ჩემს გაძევებას სამშობლოდან, არ დაუწყია ჩემ წინააღმდეგ არც კერძო საჩივლი, არც რაიმე ცული სცოდნია ჩემს შესახებ, — ისეთი რამ, რომ მე შიშით იმის დალუპვა მსურვებოდეს, რათა ეს ვისმე არ იფაგო, დასასრულ, ამ მკვლელობის ჩადენისათვის არ მოველოდი არავისგან ფულის მიღებას; ამას იმეტომ ვამბობ, რომ ზოგიერთნი ასეთი მიზეზით შეეცდებიან ხოლმე მკვლელობას. (45) მერმე, ჩვენს შორის არა თუ არ ყოფილა ლანძღვა. ჩხუბი სიმთვრალეში და საერთოდ რაიმე მტრული შეტაკება. არამედ იმ ღამემდე ერთხელაც არ მინახავს იგი. მაშ რის გულისათვის ჩავიდებდი თავს ასეთს საფრთხეში, თუ რომ მას ასეთი საშინელი შეურაცხყოფა არ მოეყენებინა ჩემთვის? (46) და განა შემდეგ ამისა შეიძლება თქმა, რომ მე უკეთური საქმე მოვიმოქმედე, მე, რომელმაც მოწმენი მოვიხმე, თუმცა მქონდა შესაძლებლობა, იმისი დალუ-

პვა რომ უკანონო გზით მდომოდა, ისე მომეწყო ეს, რომ არავის არაფერი ეცოდინებოდა?

(47) მე ჩემის მხრით ვფიქრობ, ათენის მოქალაქენო, რომ ეს შურისძიება, ანგარიშით ნაკარნახევი პირადი საქმე როდი ყოფილა; არა, ეს იყო შესრულებული მთელი სახელმწიფოს სარგებლობისათვის; იმ პირთ, რომელნიც ააეთ საქმეებს აკეთებენ, თუ ეცოდინებათ, რა ხვედრი მოელით მათ ასეთი დანაშაულისათვის, ნაკლები ხალისი ექნებათ განაურცონ თავიანთი დანაშაულებრივი მოღვაწეობა სხვებზედ, თუ დაინახავენ, რომ თქვენც ამნაირსავე აზრს ადგენხართ. (48) წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრად უფრო უმჯობესია არსებული კანონების გაუქმება და ახლების გამოცემა, რომელიც შესაფერ სასჯელს ადებდეს იმათ, ვინც თავიანთ ცოლებს იცავს და სრულს დაუსჯელობას ანიჭებდეს იმათ, ვისაც მათი ცთუნება მოუწადინებია. (49) ღიახ, ასე ბევრად უფრო პატიოსანი იქნება, ვიდრე ამჟამად, როდესაც კანონები მოქალაქეთ მახეს უგებენ. კანონები ბრძანებენ, ვინც მეძავს დაიჭერს, რაც მოესურვება, ის შეუძლია უყოს მას; სასამართლოები კი დაზარალებულისათვის უფრო საშინელია ვიდრე იმისათვის, ვინც კანონთა წინააღმდეგ სხვის ცოლს აუპატიურებს. (50) ისე მე ახლა განწირული მაქვს სიცოცხლე, ქონება, — ერთი სიტყვით ყველაფერი, მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს კანონებს დავემორჩილე.

კლასიკონი



სოკრატეს აპოლოგია

1. არ ვიცი, ათენელნო¹, ჩემმა ბრალმდებლებმა თქვენზედ როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს². მე კი კინალამ ჩემი თავი დამაფიწყეს, ისე ენამზიანად ლაპარაკობდნენ, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, არავითარი სიმართლე მათ თქვენთვის არ უთქვამთ. იმ უამრავს ტყუილში, რაც მათ წამოროშეს, განსაკუთრებით ერთმა გამაკვირვა—თითქო თქვენ უნდა ფრთხილობდეთ, რომ არ გაგაბრიყვოთ, ვინაიდან მე ვითომ მშვენიერმოუბარი ვარ. უდიდეს ურცხვობად მე ის მიმაჩნია, რომ მათ არ ენამუხებათ, რომ მათი ტყუილი ჩემგნით მყისვე საქმით იქნება გამოაშკარავებული, რა წამსაც აღმოჩნდება, რომ მე სრულიად არა ვარ დახელოვნებული ენამჭევრობაში, უკეთუ ამათ ენამჭევრად მართლის მთქმელი არ მიაჩნიათ. თუმართლა ასე ფიქრობენ, შემძლია დავეთანხმო, რომ რიტორი ვარ, მაგრამ არა მათი ყაიდისა. ამათ, გეუბნებით, სიმართლე თითქმის სრულიად არ უთქვამს. ჩემგან კი თქვენ მხოლოდ სიმართლეს გაიგონებთ. მაგრამ ვფიცავ ზეესს, ათენელნო, ჩემგან თქვენ გალამაზებულ სიტყვას ვერ გაიგონებთ, როგორიც იყო მათი სიტყვები, საქცევითა და ლექსით ნატიფად მორთულ-მოკაზმული, — თქვენ გაიგონებთ სადა სიტყვას მარტივი ლექსით შეზავებულს. მე ხომ მწამს, რომ სიმართლეა რასაც ვამბობ, და არც შემშვენის, რასაკვირველია, მოქალაქენო, ჩემც ასაკის კაცი³ თქვენს წინაშე, ვითარცა ჭაბუკი, შეკოწიწებული სიტყვით გამოვიდე. მაგრამ, ათენელნო, ერთსა გთხოვთ ძალიან და გვედრებით: თუ გაიგონოთ, რომ თავს იმავე საბუთით ვიცავ, როგორც მჩვევია მოედანზედ მეკერმეთა ტაბლებთან⁴, სადაც ბევრს თქვენგანს მოუსმენია ჩემთვის და სხვაგან, ნუ გაგიკვირდებათ და ამის გამო ნუ ახმაურდებით⁵. საქმე ის არის, რომ სამოცდაათი წლის კაცი დღეს პირველად გამოვდივარ სამსჯავროს წინაშე და ამიტომ აქაური წესი პაექრობისა ჩემთვის სრულიად უცხოა. უცხოელი რომ ვყოფილიყავი და იმ ენით და სიტყვის იმ საქცევით მელაპარაკნა, რომელიც თანშეზრდილი მექნებოდა,

ზომ უეჭველად მაპატიებდით და აი მსგავსად ამისა ამჟამადაც, როგორც მგონია, სამართლიანობასა ვთხოვთ—ნება დამრთეთ ჩემი წესისამებრ ვილაპარაკო—უარესი იქნება ის თუ უკეთესი,—თქვენ მხოლოდ გულისხმავებით, სიმართლეს ვამბობ თუ არა. მსაჯულის ღირსება აი, სწორედ ამაში მდგომარეობს, რიტორის ღირსება კი სიმართლის თქმაა.

2. სამართლიანი იქნება, ათენელნო, თუ თავდაცვისათვის უწინდელ ცრუ ბრალდებას და პირვანდელ ბრალმდებელთ შეგვებრძოლები, მერე კი — შემდეგი დროის ბრალდებას და შემდეგდროინდელ ბრალმდებელთ, ვინაიდან თქვენს წინაშე მრავალი წლის სივრცეზე ბევრი ჩემი ბრალმდებელი ყოფილა და არც ერთს სიმართლე არ უთქვამს, და მათი უფრო მეშინია, ვიდრე ანიტოსისა და მის თანამოაზრეთა⁸. თუმცა ესენიც საშიშარნი არიან, მაგრამ ისინი, მსაჯულნო, უფრო საშიშარნი არიან. ბევრი თქვენგანი მათ ყმაწვილობაშივე მიიმხრეს, ცილს რომ მწამებდნენ და გარწმუნებდნენ, რომ არის ვინმე სოკრატი, ბრძენი კაცი⁷, რომელიც იკვლევს და იძიებს ცისიერ მოვლენებს და ყველაფერს, რაც მიწის ქვეშ არის⁹ და უმართლო საქმეს მართალ საქმედ ასაღებსო.⁹ აი, ესენი არიან, ათენელნო, ჩემი ის საშინელი ბრალმდებელნი, ასეთი ხმა რომ გამივრცელეს, ვინაიდან მათი მსმენელნი ფიქრობენ, რომ ვინც ყველა ამას იკვლევს, მას ღმერთები არ სწამს. ამასთანავე, ასეთ ბრალმდებელთა რიცხვი დიდია, და ამას გუუბნებოდნენ მაშინ, როდესაც ზოგი თქვენგანი ჭაბუკი იყო, ზოგიც შეიძლება სულ ბავშვი და თქვენ სულ ადვილად შეგეძლოთ დაგეჯერებინათ მათთვის. ბრალს მდებდნენ ზურგს უკან და მე დამცველი არავინ მყავდა. მაგრამ ყველაზედ უდიდესი შეუსაბამობა ის არის, რომ მე არ შემიძლია ვიცოდე მათი ვინაობა¹⁰, გარდა იმისა თუ მათ შორის კომედიოგრაფი აღმოჩნდება ვინმე. ხოლო ის ბრალმდებელნი, რომელნიც ჩემდამი შურით და მძულვარებით განმსჭვალულნი არიან, თქვენც ასევე გარწმუნებდნენ, აგრეთვე ისინიც, რომელნიც თვით დარწმუნებულნი სხვასაც ამაზედ აჯერებდნენ,—ეს ბრალმდებელნი ყველაზედ უფრო მიუწვდომელნი არიან ჩემთვის, ვინაიდან შეუძლებელია ვინმე მათგანი აქ გამოიწვიო და ამხილო, და იძულებული ხარ თავდაცვისათვის მათ, ვითარცა აჩრდილებს ებრძოლო და ამხილო, როცა პასუხს არავინ გაძლევს. ამიტომ დამეთანხმეთ თქვენც, რომ, როგორც მოგახსენეთ, მე ორი ჯურის ბრალმდებლები მყავს: ერთნი ისინი არიან, ვინც სწორედ ეხლა გამოილაშქრა ბრალდებით ჩემს წინააღმდეგ, მეორენი კი ისინი, ვინც დიდი ხანია ბრალსა მდებს და ვინც

უკვე მოვიხსენე, და აღიარეთ, რომ თავდაპირველად თავი ამათგან უნდა დავიცვა, ვინაიდან თქვენც მათი ბრალდება უფრო აღრე გაქვსთ გაგონილი, ბრალდება უფრო მძიმე, ვიდრე ამ უკანასკნელთა ბრალდებაა.

მაშ ეგრე, ათენელნო, მე, ამნაირად უნდა დავიცვა თავი და შევეცადო ესოდენ მცირე ხნის განმავლობაში¹¹ აღმოვფხვრა თქვენს გულში ცუდი აზრი, რომელიც დიდი ხანია შეგითვისებიათ. მოწადინებელი ვარ, რომ ეს ასე მოხდეს, თუ ეს რაოდენადმე თქვენთვისაც და ჩემთვისაც უმჯობესი იქნება, და რომ ჩემი თავის მართლების საქმე წარმატებით შეეასრულო. მაგრამ, ვფიქრობ, ეს გამძნელდება და ჩემთვის საიდუმლო სრულიად არ არის, თუ როგორაა საქმე. დე, მოხდეს ის, რაც ნებაგს ღვთაებას, კანონს კი უნდა დავემორჩილო და თავიც უნდა ვიპართლო.

3. განვიხილოთ თავდაპირველად, რა ბრალდებაა ის ბრალდება, საიდანაც ჩემს შესახებ ცილი წარმოიშვა და რომლის მიხედვით მელეტოსმა ჩემზე ასეთი საჩივარი დაწერა. მაშ რას ამბობდნენ ცილისმწამებელნი, ცილს რომ მწამებდნენ. ამისათვის საჭიროა მათი სანაცვლო ფიცის წიგნი¹² წავიკითხოთ, თითქოს სწორედ ისინი არიან ნამდვილი ბრალმდებელნი. სოკრატე სცოდავს იმით, რომ იკვლევს იმას, რაც დედამიწის ქვეშ და ზეცაში არის. გართულია უსარგებლო საქმეებში, უმართლო საქმეს მართალ საქმედ ასაღებს და სხვებსაც ამასვე ასწავლისო. ასეთია დაახლოებით ბრალდება. ყველაფერი ეს ხომ არისტოფანეს კომედიაშია¹³. თვით თქვენ გინახავთ, სადაც ვილაც სოკრატე აქეთ-იქით მიმოჰქრის, ლაპარაკობს, ჰაერში დაფრინავს და სხვა ათასნაირ ჭორს მიჰქარავს, რაც მე სრულიად არ გამეგება. ამას იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ასეთი მეცნიერება დავამცირო, თუ ვინმე არის მით განსწავლული, და არც მინდა, რომ მელეტოსმა ესოდენ მძიმე ბრალი დამდვას¹⁴, მაგრამ, მართლაც, ათენელნო, აქ მე რა შუა ვარ. ამის დასაქვემდარებლად თქვენ უმრავლესობას ვიმოწმებ და გთხოვთ ურთიერთშორის ახსნათ და განმარტოთ, ვისაც ოდესმე ჩემზე საუბარი მოგისმენიათ. — ასეთები კი თქვენში ბევრია, — მაშ, უთხარით ერთმანეთს, თქვენგან გაუგონია თუ არა ვისმე, რომ ამისთანა საგნებზე ოდესმე რამე მაინც მეთქვას. და აქედან თქვენ დაინახავთ, რომ ასეთივეა ყველაფერი ის, რასაც ჩემს შესახებ უმრავლესობა ამბობს.

4. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი ყოფილა და არც ის არის აგრე-

თვე მართალი, თუ ვისგანმე გაგიგონიათ, თითქოს მე ადამიანთა აღზრდას ვკისრულობ და ამისათვის ფულს ვღებულობ, თუმცა ჩემის აზრით მშვენიერია, თუ ვისმე ადამიანთა აღზრდის უნარი შესწევს, როგორც, მაგალითად, გორგია ლეონტინელს, პროდიკოს კეოსელს და ჰიპია ელედელს¹⁵. მათგან თითოეულს, მსაჯულნო, შეუძლია ქალაქ-ქალაქ იაროს და ეცადოს შეაგულიანოს ახალგაზრდანი, რომელთაც ნება აქვსთ თავიანთ თანამოქალაქეებთან, ვისთანაც მოისურვებენ, მუქთად ისწავლონ, რათა ამ უკანასკნელებთან კავშირი გასწყვიტონ, მას შეეთვისონ, სასყიდელი აძლიონ და გარდა ამისა, სართად კიდევ მადლობაც მიუძღვნან. არის კიდევ აქ მეორე ბრძენი კაცი პაროსიდგან,—გავიგე მისი აქ ყოფნა. შემთხვევით როგორღაც შევხვდი ერთ კაცს, რომელსაც სოფისტებისათვის მეტი ფული აქვს მიცემული, ვიდრე ყველა სხვას ერთად, — კალიას, ჰიპონიკეს ძეს¹⁶. და აი ვეკითხები მას—მას ორი ვაჟი ჰყავს: „კალია, შენი ორი ვაჟი რომ კვიცებად ან ხბოებად დაბადებულნიყო, ჩვენ მათთვის ისეთი ზედამხედველი უნდა მოგვეწვია და დაგვექირავებინა, რომელიც მათ ჭეროვანად განუფითარებდა კარგსა და კეთილ თვისებებს, და ის იქნებოდა ან მეჭინბე ან გუთნის დედა. ეხლა კი, შენი ვაჟები რომ ადამიანები არიან, მათ მასწავლებლად ვისი მოწვევა გაქვს განზრახული? ვინ არის ასეთი სათნო საქმის მცოდნე, რომელმაც ისინი რიგიან ადამიანებად და მოქალაქეებად უნდა აღზარდოს? მგონია, რომ შენ, როგორც ვაჟების პატრონს, ეს მოფიქრებული გექნება, არის ვინმე თუ არა?“ — ვეკითხები მე. „რასაკვირველია, არის“,—მიპასუხა კალიამ. „ვინ არის-მეთქი,—ვეკითხები,—საიდან არის და რა ფასად ასწავლის?“ — „ვეენოს პაროსელი¹⁷, სოკრატ, — მითხრა კალიამ,— ღებულობს ხუთ მინას“¹⁸. და მეც ქება შევასხი ვეენოს, თუ მართლა ასეთი ოსტატობა იცის და ასე ზომიერ ფასად ასწავლის. მართალი მოგახსენოთ, მეც კი გავდიდგულდებოდი, ეს ოსტატობა რომ ვიცოდე, მაგრამ არ ვიცი, ათენელნო.

5. შეიძლება ვინმე თქვენგანი შემეკამათოს: „მაგრამ, სოკრატ, რა საქმეა ეს შენი საქმე? საიდან წარმოიშვა შენს შესახებ ეს ცილისწამება? ხომ თავისთავად ცხადია, რომ თუ შენ რაღაც განსაკუთრებული საქმეები არა გაქვს, ეს არ გამოიწვევდა ასეთს ხმებსა და მითქმა-მოთქმას (ალბათ რასმე განსაკუთრებულს სჩადიოდი, რასაც უმრავლესობა არ სჩადის). მაშ გვითხარი, რა არის, რომ განუსჯელათ არ მოგვეცეთ“. აი ასეთი შენიშვნა, ვფიქრობ, სამართლიანიც იქნებოდა და ვეცდები გაჩვენოთ, თუ რა არის ის, რამაც ასეთი სახელი მომიხვეჭა და უპატიობა შემძინა. მაშ, მომიხმინეთ, შეი-

ძღვება ზოგიერთი თქვენგანი ფიქრობს, რომ მე ვხუმრობ, მაგრამ კარგად იცოდეთ—მე თქვენ სრულ სიმართლეს გეტყვი. სახელი, ათენელნო, მხოლოდ ცოტაოდენმა სიბრძნემ მომიხვეჭა და სხვა არაფერმა. მერე რა სიბრძნეა ეს სიბრძნე? ეს სწორედ ის სიბრძნეა, რომელიც ადამიანისათვის შესატყვისია, და ვფიქრობ, რომ ეს სიბრძნე მე მიპყრავს. ისინი კი, ვინც ეხლა მოვისხენე, რალაც ზეს-თაბუნებითი სიბრძნით არიან ბრძენნი, ანდა არ ვიცი, რა ეუწოდო მათ. მე კი ამ სიბრძნისა არა გამეგება რა, და ვინც ამბობს, თითქოს გამეგება, ის სტყუის და ამას იმ მიზნით ამბობს, რომ ცილი დამწამოს. ნუ ხმაურობთ, ათენელნო, თუ გინდ მოგეჩვენოსთ, თითქოს თავს ვიზვიადებ, ვინაიდან ის სიტყვები, რაც ახლა უნდა გითხრათ, მე არ მეკუთვნის— მათი მთქმელი, მე რომ დავიმოწმებ, ღირსია თქვენი ნდობისა. ჩემი სიბრძნის დასაქვეშმარტებლად, თუ ეს მართლა სიბრძნეა, მოვუწოდებ ღმერთს, დელფოსში რომ არის. თქვენ ალბათ იცნობთ ქერეფონს, ის სიყრმითვე ჩემი მეგობარია და თქვენი უმრავლესობის¹⁹ მომხრეც იყო. თქვენთან ერთად იყო გაძევებული და თქვენთანვე დაბრუნდა სამშობლოში. თქვენ ისიც იცით, თუ რა კაცი იყო ქერეფონი და როგორ ემარჯვებოდა ყველაფერი, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა. და, აი, ერთხელ ის მივიდა დელფოსს, გაკადნიერდა და შეეკითხა ორაკულს—აკი გითხარით, ხალხო, ნუ ხმაურობთ-მეთქი, — შეეკითხა: ჩემზე — სოკრატეზე — უფრო ბრძენი ვინმე არის თუ არაო? პითიამ თურმე მართლა უპასუხა: უფრო ბრძენი არავინ არისო. ამას ყველაფერს მისი ძმა²⁰ დაგიდასტურებთ, რადგან თვითონ ის მოკვდა.

6. ეხლა დაფიქრდით, ამას რისთვის გეუბნებით. მე მსურს აგის-სნათ, თუ ეს ცილი ჩემს შესახებ საიდან წარმოიშვა. ორაკულის ნათქვამი რომ გავიგე, ამნაირად დავიწყე ბჭობა: „რას ნიშნავს ღმერთის ეს სიტყვები, რას ნიშნავს ეს გამოცანა? მე ხომ ჩემი თავი ბრძენად სრულიად არ მიმაჩნია? მაშ რას გულისხმობს ღმერთი, ყოვლად ბრძენს რომ მიწოდებს? ის ხომ ტყუილს ვერ იტყოდა? ეს ხომ მას არ შეკუთვრის?“ და დიდხანს ვერ გამეგო, თუ რას ამბობს იგი, და მხოლოდ შემდეგ, რის ნაილაჯობით ამის გამოსაკვლევად ამნაირ ხერხს მივმართე. წავედი ერთ-ერთთან იმ პირთა შორის, რომელნიც ბრძენებად მიმაჩნდა, რათა აი აქ, თუ სხვაგან არა, მისნის წინასწარ-მეტყველება გამეცუდებინა, რომ მეთქვა, „აი ეს არის ჩემზედ უფრო ბრძენი, შენ კი ამბობ, თითქო მე ვიყო“. ამ კაცს რომ გავეცანი—მისი სახელის ხსენება სრულიად არ მესაჭიროება, ის ერთი ვინმე პოლიტიკური მოღვაწე იყო—და მას რომ ვესაუბრე, დავინახე,

რომ ეს კაცი ბევრ სხვას ბრძენად მიაჩნდა, მეტადრე კი თვითონ ფიქრობს, რომ ბრძენია, მაგრამ ნამდვილად კი არ არის. შემდეგ ვცდილობდი დამემტკიცებინა მისთვის, რომ მას მხოლოდ ჰგონია, თითქმის ბრძენია, თუმცა ნამდვილად არ არის. ამის გამო შევეძულდი იმ კაცს და კიდევ ბევრს და კიდევ ბევრს, ვინც იქ დაგვესწრო. შინ დაბრუნებისას გადავწყვიტე: „მე უფრო ბრძენი ვარ, ვიდრე ის კაცი და ჩვენ ორში კარგად და საფუძვლიანად არც ერთმა არაფერი ვიცით, მაგრამ ის მაინც ფიქრობს, ვიცით“. ამნაირად, როგორც ეტყობა, ნამდვილად ცოტად უფრო ბრძენი მაზე სწორედ იმით ვყოფილვარ, რომ თუ რამე არ ვიცი, არცა მგონია, რომ ვიცი. მერე წავედი მეორესთან, რომელიც კიდევ უფრო სახელგანთქმულ ბრძენთა რიცხვს ეკუთვნოდა, და იქაც იგივე აღმოვაჩინე, და აი, ამიტომ შევეძულდი იმასაც და ბევრ სხვასაც.

7. შემდეგ ამისა, რიგის რიგად, ერთისაგან მეორესთან დავიწყე მისვლა-მოსვლა და შიშითა და ძრწოლით ვგრძნობდი, რომ საქულველი ვხდებოდი, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა უპირატესობა ღვთის საქმეს მივკეთებო-მეთქი. მაშასადამე, ყველასთან უნდა ვიარო, ვისაც ჰგონია, რომ რამე მაინც იცის, რათა მივხვდე, თუ რას ამბობს ხრიზმოსი-მეთქი, და ვფიცავ ძალს²¹, ათენელნო, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, აი, ნამდვილად რა გამოვარკვევ: როცა თანახმად ღვთის ბრძანებისა გავეცანი მათ, ვისაც ფრიად კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი, აღმოჩნდა, რომ ისინი ყველაზედ უფრო უმწეონი არიან, მათ კი, ვინც უვარგისად ითვლებოდნენ, კეთილგონიერი მსჯელობის მეტი უნარი აღმოაჩნდათ. მაგრამ უნდა გითხრათ ჩემი წინწალის ამბავი, თუ რადიდი ჭაფა გავსწიე, რათა ბოლო დროს წინასწარმეტყველება ჩემთვისაც უცილობელი დარჩენილიყო. ამნაირად, შემდეგ პოლიტიკოსებისა, წავედი პოეტებთან, როგორც ტრაგედიების, ისე დითირამებების მოხვედრებთან და სხვებთან და სხვებთან, რათა სრულიად თვალსაჩინოდ დამენახა, რომ უფრო უმეცარი ვარ, ვიდრე ისინი. იმათ თხზულებათაგანს ისეთს ამოვარჩევდი ხოლმე, ჩემის აზრით რომ საუკეთესოდ ჰქონდათ შედგენილი, და ვკითხულობდი თუ რის გამოხატვა სურდათ, რათა ამასთანავე იმათგან მეც რამე მესწავლა. მსაჯულნო, თქვენთვის სიმართლის თქმა თუმც მესირცხვება, მაგრამ მაინცადამაინც უნდა გითხრათ, მართალი რომ ვთქვათ, თითქმის ყველა იქ დამსწრე უკეთესად შესძლებდა იმის განმარტებას, რაც მათ შეუთხზავთ. ამრიგად, პოეტების შესახებაც სულ მალე გავიგე, რომ რასაც ისინი ჰქმნიან არა სიბრძნით, არამედ

რალაცა ბუნებითი მადლით²² და ღვთაებრივი ზემთაგონებით, როგორც ღმერთშემოსილი მისანნი და წინასწარმეტყველნი, ნამდვილად ისინიც, აგრეთვე, ბევრ რამეს მშვენიერს ამბობენ, მაგრამ არაფერი გაეგებათ კი იმისა, რასაც ამბობენ, და ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ პოეტებიც იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან, და ამასთანვე შევნიშნე, რომ თავიანთი შემოქმედების გამო ისინი ფიქრობენ, თითქოს ადამიანთა შორის ყოველ სხვა დარგშიც ყოველად ბრძენნი არიან, ნამდვილად კი არ არიან. ამიტომ იქიდანაც იმ აზრით წამოვედი, რომ მათ მითვე აღვემატები, რითაც პოლიტიკოსებს.

8. დასასრულ, ხელოსნებთან გავემართე, და თუმცა შეგნებულნი მქონდა, რომ თვით მე, ასე ვთქვათ, არაფერი არ ვიცი, მაგრამ მაინც მჯეროდა, რომ მათ შორის ბევრი რისამე კარგის მცოდნეს ვიპოვიდი. და ამაში არც მოვტყუებულვარ: მათ იცოდნენ ის, რაც არ ვიცოდი მე, და ამით ისინი უფრო ბრძენნი იყვნენ, ვიდრე მე. მაგრამ, ათენელნო, მე დავრწმუნდი, რომ მათაც იგივე ნაკლულოვანება აქვთ, რაც პოეტებსა და სახელოვან მხატვრებს: თავის ხელობაში მშვენიერად გავარჩიებულს თითოეულს თავისი თავი სხვა უდიდეს საქმეებშიც აგრეთვე ყოველად ბრძენად მიაჩნდა და ეს მათი ნაკლი ჩრდილავდა მათ სიბრძნეს. ასე რომ, ხრიზმოსის სახელით თვით ჩემს თავს შევეკითხე: მირჩევნია თუ არა ისეთი დავრჩე, როგორიცა ვარ, და არც მათებრი სიბრძნით ვიყვე ბრძენი და არც უმეცარი მათებრი უმეცრებითა, თუ ვამჯობინებ მქონდეს ერთიცა და მეორეც, როგორც მათ აქვთ? ოღონდაც, ვუპასუხე ჩემს თავსა და ხრიზმოსს, ჩემთვის უმჯობესია ის დავრჩე, რაცა ვარ-მეთქი.

9. ამ გამოკვლევის მიზეზით, ათენელნო, დავიმსახურე მრავალთა სიძულვილი, ფრიად სამძიმო და შემაწუხებელი, და ის საშინელი ცილისწამებაც ამ ნიადაგზედ აღმოცენდა, მეორე მხრით კი ეს სახელი მიწოდეს, ე. ი. ბრძენი. საქმე ის არის, რომ დამსწრეთ ყოველთვის ჰგონიათ, თითქოს ჩემი სიბრძნე იმაშია, რასაც სხვას ვამხილებ, ნამდვილად კი აშკარაა, რომ ბრძენი მარტოოდენ ღმერთია და თავისი წინასწარმეტყველებით ის გვეუბნება, რომ ადამიანთა სიბრძნე არარაობაა და სრულიად არაფერია, და ჩანს პირადად სოკრატს არ გულისხმობს, ჩემს სახელს მაგალითად ხმარობს, თითქოს უნდა თქვას—„თქვენ შორის, ხალხო, ის არის ყველაზედ უფრო ბრძენი, ვისაც 'შეუგნია, როგორც სოკრატს, რომ მისი სიბრძნე ქეშმარიტად არაფრად არ ღირსო“. მე ახლაც აქეთ-იქით დავდივარ, ვიძიებ და ვიკვლევ ღვთის ბრძანებისამებრ—მოქალაქეთა და უცხო-

ელთა შორის იქნება აღმოჩნდეს ვინმე, რომ ბრძენად ვალიარო, და თუ ვერ ვპოულობ, ვცდილობ ღმერთს დავეხმარო და დავამტკიცო, რომ ბრძენი არ მოიპოვება. ასეთი მოუცლელობის მიზეზით დრო აღარ მქონდა საზოგადოებრივი თუ საოჯახო საქმისათვის ღირსსახსოვარი რამე გამეკეთებინა და ამ ღვთისმსახურების გამო საშინელს სიღარიბეში ვიმყოფები.

10. გარდა ამისა ჭაბუკნი, რომელნიც მე დამყვებიან და რომელთაც მეტი მოცალეა აქვთ—ისინი ხომ უმდიდრეს მოქალაქეთა შვილები არიან, თავისთავად სიამოვნებით ყურს მიგდებენ, როცა ხალხსა ვცდი ხოლმე და ხშირად, მიმბაძველობით, სხვების გამოცდას თვით კისრულობენ და მაშინ, მგონია ისინი ხედებიან უამრავ ხალხს, რომელიც ფიქრობს, თითქო რაღაც იცის, ნამდვილად კი სრულიად არაფერი იცის, ამიტომ ისინი, ვისაც ახალგაზრდები სცდიან, მე მიჯავრდებიან იმის ნაცვლად, რომ მათ გაუჯავრდნენ, და ამბობენ—გამოჩენილა ვილაც არამზადა სოკრათი და ახალგაზრდობას ჰრყუნისო. მაგრამ ვინმემ რომ ჰკითხოს მათ, რას აკეთებს ან რას ასწავლის სოკრათი, ვერაფერს ვერ იტყვიან, რადგან არ იციან, და რომ არ გამოამყლავნონ თავიანთი სამძიმო მდგომარეობა, იმასვე ამბობენ, რის თქმაც ფილოსოფიის მოყვარულთა შესახებ ჩვეულებრივ ემარჯვებათ—„იკვლევენ ციურ მოვლენებს და იმას, რაც დედამიწას ქვეშ არისო, ღმერთებს უარყოფენ და უსუსტეს საბუთს უძლიერეს საბუთად ასაღებენო“. ნამდვილად კი, ვფიქრობ, მათ არ უნდათ აღიარონ სიძარტლე, რომ ისინი ურცხვად ჩემულობენ ცოდნას და არაფერი კი არ იციან, და ვინაიდან ისინი პატივმოყვარენი, გამბედავნი და მრავალნი არიან, ამასთანავე ერთსულოვნად და დაუინებით ლაპარაკობენ ჩემს შესახებ საშინელი ცილისწამებით. აი ამიტომ გამოგიტყუდესთ თქვენ ყურები უწინაც და ეხლაც. ამ წრიდან თავს დამესხნენ მელეტოსი, ანიტოსი და ლიკონი: მელეტოსი ექომაგება პოეტებს, ანიტოსი—ხელოსნებსა და პოლიტიკოსებს, ლიკონი კი — რიტორებს²³. ასე რომ, როგორც იმთავითვე მოგახსენეთ, მე გაკვირვებული ვიქნებოდი ასეთი მცირე ხნის განმავლობაში რომ შემძლებოდა თქვენ წინაშე იმ ცილისწამების გაბათილება, რომელიც ეგრე გაიზარდა.

აი, ათენელნო, სრული სიძარტლე, მე ყველაფერი გითხარი, არც მცირე დამიმალავს, არც დიდი და არც რამე გამომრჩენია, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ამით საქულველი ვიქნები, მაგრამ სწორედ ეს არის იმის დამამტკიცებელი, რომ სიძარტლეს ვამბობ, რომ ცილისწამება ჩემს შესახებ ამას შეიცავს და რომ ასეთია მისი

ბიზუზები. და თქვენ დარწმუნდებით რომ ეს ასეა, როცა ამ საქმეს განიხილავთ—ახლა თუ შემდეგ.

11. დე, ეს თავის მართლება საკმაო იყვეს თქვენთვის შესახებ იმისა, რა ბრალსაც პირველი ბრალმდებელი მდებენ. შემდეგ ამისა ვეცდები მელეტოსისაგან დავიცვა თავი, იმ პატიოსანი ადამიანისა და პატრიოტისაგან, როგორც ის თავის თავს უწოდებს, და მერე მის შემდგომი ბრალმდებლებისაგან. ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ესენი ბრალმდებელთა მეორე ჯგუფს შეადგენენ, განვიხილოთ მათი ფიციითი საჩივარი. ბრალდება დაახლოებით ასეთია: სოკრატო, ამბობენ ისინი, უკანონოდ მოქმედობს, რადგან ყმაწვილკაცობასა რყენის, უარპყოფს ღმერთებს, რომელთაც სახელმწიფო აღიარებს, და პატივსა სცემს სხვა ახალ ღვთაებათაო. აი, ასეთია ეს საჩივარი. მაშ, განვიხილოთ ცალ-ცალკე ბრალდების თითოეული მუხლი.

ის ამბობს, რომ ჩემი უკანონო მოქმედება ყმაწვილკაცობის გარყვანაა. მე კი, ათენელნო, ვამტკიცებ, რომ მელეტოსია დამნაშავე, ვინაიდან ის ამასხარავეებს საკრძალავ საქმეებს, ხალხს განუსჯელად მოათრევს სამსჯავროში და თავს ისე გაჩვენებთ, თითქო გულმოდგინებითაა გატაცებული და ისეთი საქმეებისათვის ზრუნავს, თავი რომ არაოდეს აუტკივებია. საქმე რომ ნამდვილად ასე იყო მოწყობილი, ვეცდები ეს დაგიმტკიცოთ.

12. მაშ ახლა აქ მოდი, მელეტოს, და მითხარ: ხომ მართალია, შენ ფრიად დიდ საქმედ რაცხ, რომ ახალგაზრდობა რაც შეიძლება უკეთესი იყოს?

— დიახ, ოღონდაც.

— მაშ, უთხარი ამ ხალხს, ვინ აკეთილშობილებს მას? ცხადია, შენ ეს გეცოდინება, ვინაიდან შენ ამისათვის ზრუნავ გამრყენელი რომ აღმომაჩინე, როგორც ამბობ, სამსჯავროში მომიწვიე და ბრალსა მდებ. მაშ დაასახელე, ვინ აპატიოსნებს მას და მოახსენე ამათ, ვინც არის. ხედავ, მელეტოს, როგორ გაჩუმებულხარ და არ იცი, რა სთქვა. და ნუთუ ეს არ მიგაჩნია სამარცხვინოდ და იმის საკმაო საბუთად, რასაც გეუბნები, რომ შენ ამისათვის არაოდეს არ გიზრუნვია? მაშ, მითხარ, კეთილო კაცო, ვინ აკეთილშობილებს ახალგაზრდობას?

— კანონები.

— დიახ, მაგრამ ამას არ გეკითხები, უპატიოსნესო, არამედ ვინ არის ის კაცი, რომელმაც უწინარეს ყოვლისა ეს კანონები იცის?

— აი, ესენი, სოკრატე, მსაჯულები.
— რას ამბობ, მელეტოს? მათ შეუძლიათ აღზარდონ ახალგაზრ-
დობა და გააუმჯობესონ იგი?

დიახაც.

— როგორ, ყველას შეუძლია, თუ ზოგს შეუძლია და ზოგს არა?
— ყველას.

— ჩინებულად ლაპარაკობ, ვფიცავ ჰერას, რაზომ მრავალი
გვეოლია სასარგებლო პირი. მერე? ეს მსმენელნიც²⁵ აუქეთესებენ
ახალგაზრდობას თუ არა?

— დიახ, ესენიც.

— კრებულის წევრნიცა?²⁶

— კრებულის წევრნიც.

— მაგრამ, მელეტოს, საერო კრებულში მსხდომარენი (ეკლესიას-
ტები) ხომ არ რყვნიან ახალგაზრდობას? თუ ისინიც აუმჯობესებენ
მას ყველანი?

— ისინიც.

— ასე რომ, ჩემ გარდა ახალგაზრდობას ყოველი ათენელი აუ-
ქეთესებს და აკეთილშობილებს, მარტოოდენ მე ვრყვნი მას. შენ
ამას ადასტურებ?

— სწორედ მაგას ვამტკიცებ.

ეს რა საშინელი უბედურება აღმომიჩინე. მაგრამ კიდევ მიპასუ-
ხე: როგორ ფიქრობ, ცხენებსაც ხომ ეგრე არ ემართებათ? ყველა
ერთობილად მათ აუმჯობესებს, ხოლო ერთი ვინმე აფუჭებს, თუ
სრულიად პირუტყულმა—არის ერთი ვინმე კაცი, რომელსაც შესწევს
უნარი გააუმჯობესოს ისინი, ანდა შეიძლება კიდევ სხვა რამდენიმე
მხედარი, უმრავლესობა კი, თუ ცხენებთან არის და ცხენებს, ხედ-
ნის, აფუჭებს მათ? განა ეგრე არ ემართება, მელეტოს, ცხენ-
ებსაც და ყველა სხვა პირუტყვსაც? რასაკვირველია, ასეა, თუნდა
უარპყოთ ეს, ანიტოსმა და შენ, თუნდაც დამეთანხმოთ. დიახ, ახალ-
გაზრდობისათვის ეს იქნებოდა რაღაც დიდი ბედნიერება, მხოლოდ
ერთი ვინმე რომ რყვნიდეს მას, დანარჩენები კი სარგებლობას აძ-
ლევდნენ. მაგრამ, მელეტოს, შენ საკმაოდ დაამტკიცე, რომ ახალ-
გაზრდობისათვის შენ არაოდეს არ გიზრუნვია და ამკარად ამყდავ-
ნებ შენს გულგრილობას და შენ ისიც კი არ გედარდებოდა სრუ-
ლიად. რისთვისაც სამართალში მიმეცი.

13. კიდევ აი რა გვითხარი, ზევსის გულისათვის, მელეტოს, რა
უმჯობესია—პატიოსან მოქალაქეებთან ცხოვრება, თუ უნამუსოებ-
თან? მიპასუხე, მეგობარო, ძნელს ხომ არაფერს გეკითხები. შეამ-

თხვევს თუ არა უნამუსო ადამიანი რამე ბოროტს იმას, ვისაც მასთან მუდმივი თვისობა აქვს, და პატიოსანი კი — რამე სიკეთეს?

— ოღონდაც.

— მაშ, მოიძებნება თუ არა ისეთი ვინმე, რომელიც ამჯობინებს რომ თანამყოფთაგან ვნება მიეცეს და არა სარგებლობა? მიპასუხე, ჩემო კეთილო. კანონიც ხომ გავალებს პასუხისგებას. არის თუ არა კაცი, რომ თავისთვის ვნება ამჯობინოს?

— რასაკვირველია, არა.

— მერე და აქ იმიტომ მიწვევ, რომ ახალგაზრდობას განზრახ ვრყენი და ვაუბედურებ, თუ იმიტომ, რომ ვრყენი და ვაუკეთურებ განუზრახველად?

— უეჭველად განზრახ.

— მერე როგორ, მელეტოს? შენ, ეგეთი ახალგაზრდა კაცი, იმდენად უფრო ბრძენი ყოფილხარ ისეთს მოხუცუნედ, როგორც მე ვარ, რომ შენ შეგიგნია, რომ ბოროტნი თავიანთ უახლოეს მოყვასთ ყოველთვის ბოროტებას წაჰკიდებენ ხოლმე, კეთილნი კი—სიკეთეს, მე კი ისე მიმხდია გონება, რომ ისიც ვერ შემიგნია, თუ ვისმე ჩემ მოყვასთაგან უკეთურად აღვზრდი, შესაძლებელია მისგან რამე ბოროტება შემემძხვეს და ამ დიდს ბოროტებას განზრახ ვქმნი, როგორც შენ ამტკიცებ. შენ ამაზედ, მელეტოს, ვერ დამაჯერებ და ვფიქრობ, რომ ვერც სხვას ვისმე დაარწმუნებ, ვინაიდან ან მე არ ვრყენი, ანდა თუ ვრყენი, განუზრახველად ვრყენი. ასე, რომ შენ ორივე შემთხვევაში სტყუი. ხოლო თუ განუზრახველად ვრყენი, ასეთი უნებლიეთი შეცოდებისათვის კანონი ამბობს, რომ აქ კი არ უნდა მოიწვიო. კაცი, არამედ უნდა წაიყვანო და სხვარიგად დაარიგო და შეაგონო მას. განა ცხადი არ არის, რომ თუ მე ამას შევრგნებ, ხელს ავიღებ იმაზედ, რასაც განუზრახველად ვშერები? შენ კი გამირბოდი და არ გასურდა ჩემთან დაახლოება და ჩემი დარიგება და გამომიწვიე აქ, სადაც კანონით ისინი უნდა იქმნენ გამოწვეულნი. ვისთვისაც სასჯელია საჭირო და არა დარიგება.

14. მაგრამ, ათენელნო. ეს უკვე ცხადია, როგორც კიდეც მოგახსენეთ, რომ მელეტოსს ამისათვის არაოდეს არ გამოუჩენია არავითარი მზრუნველობა. მაგრამ მაინც გვითხარი, მელეტოს, თანახმად შენი ბრალდებისა²⁷, როგორ ვრყენი ახალგაზრდობას? განა ნათელი არ არის იმ საჩივრიდან შენ რომ დაგიწერია, რომ მე ვასწავლი ახალგაზრდობას უარპყოს ღმერთები, რომელთაც სახელმწიფო აღიარებს და იწამოს სხვა ახალი ღვთაებანი. შენის აზრით, ამ მოძღვრებით ხომ არ ვრყენი ახალგაზრდობას?

— დიახ, მე გადაკრით ვამტკიცებ ამას.

— იმათ გულისათვის, მელეტოს, თვით იმ ღმერთების გულისათვის, ეხლა რომ საუბარი გვაქვს, გვითხარი კიდევ უფრო გარკვეულად მეცა და ამ ადამიანებს, ვინაიდგან ვერ გამოგია, რას ამტკიცებ შენ: იმას, რომ ვასწავლი ახალგაზრდობას იწამოს ზოგიერთი ღმერთის არსებობა და მასთანადე თვით ვალიარებ ღმერთების არსებობას და არც სულ ერთიანად ღვთის გარეგანი ვყოფილვარ და ამით არც დამნაშავე ვარ, თუ იმას, რომ ვასწავლი იწამოს არა ის ღმერთები, რომელთაც სახელმწიფო აღიარებს, არამედ სხვები და სწორედ ამიტომ მდებ ბრალსა? ან იქნება შენ ამტკიცებ, რომ მე სრულიად არ მწამს ღმერთები და ამასვე ვასწავლი სხვებს?

— სწორედ მაგას ვამბობ, რომ შენ სრულიად არ გწამს ღმერთები.

— ო, საკვირველო მელეტოს, რისთვის ამბობ მაგას? ასე რომ არც მზე და არც მთვარე მე ღმერთებად არ მიმაჩნია, როგორც სხვა ადამიანებს?

— არა, ვფიცავ ზევსს. მსაჯულნო, ვინაიდგან თვით ეგ ამტკიცებს, რომ მზე ქვაა, მთვარე კი მიწა.

— ხომ არ ჰფიქრობ, მეგობარო, რომ შენ ანაქსაგორას²⁸ სდებ ბრალსა და მსაჯულებს იმდენად აბიაბრუებ, ისე უცოდინარნი გგონია ისინი მწერლობისა, თითქოს არც კი იციან, რომ ანაქსაგორა კლადმენელის წიგნები სავსეა ასეთი აზრებით. მაშინ, რასაკვირველია, ჰაბუქნიც ჩემგან იმას გაიგონებენ, რაც შეუძლიათ ზოგჯერ ორქესტრიდგანაც გაიგონონ, თუ გადაიხდიან არა უმეტეს დრაქმისა, და დასცინონ სოკრატეს, თუ იგი დაიჩემებს ამ მოძღვრებას, რომელიც შეუსაბამოა თავისთავად²⁹. მაგრამ, ზევსის გულისათვის, მართლა ისეთი ურწმუნო ვარ შენის აზრით, რომ სრულიად არ მწამს არც ერთი ღმერთის არსებობა?

— ვფიცავ ზევსს, იოტის ოდენადაც არა.

— შენ არ დაგეჯერება, მელეტოს, და მგონია თვითონ შენ არ გჯერა შენი. მე ეს კაცი, ათენელნო, წარმომიდგენია, როგორც ფრიად დიდი თავხედი და მეფხოთარი, და თვით ეს ტლანქი საჩივარი მას თავხედობით, თავგასულობით და ყმაწვილური წინდაუხედავობით აქვს დაწერილი, ვინაიდგან ის ჰგავს კაცს, რომელსაც შეუთხზავს გამოცანა და სინჯავს: „მიმიხვდება თუ არა სოკრატი, ეს ბრძენი, რომ მე ვხუმრობდი და ჩემს თავსვე ვეწინააღმდეგებოდი, თუ იმასაც გავაცრუებ და ყველა სხვა მსმენელსაცო“. მართლაც, მე მგონია, რომ ის თავის თავსვე ეწინააღმდეგება თავის საჩივარში,

თითქოს ამბობდეს: „სოკრატი იმით კი არ არის დამნაშა-
ვე, რომ ღმერთებს უარჰყოფს, არამედ იმით,
რომ აღიარებს ღმერთებს“.

არა, ეს ვილაც მასხარა ყოფილა!

15. განვიხილოთ ერთად, მოქალაქენო, მართლა ისე ლაპარაკობს,
როგორც მე მესმის, თუ არა. შენ გვიპასუხე, მელეტოს, თქვენ კი
გახსოვდესთ, რაც თავდაპირველად გთხოვეთ—ნუ ამინმაურდებით,
თუ სიტყვას განვადრძობ ჩემთვის ჩვეული კითხვა-პასუხის წესით.

არის, თუ არა, მელეტოს, კაცი, რომელიც აღიარებდეს ადამიანთა
საქმეების არსებობას და თვით ადამიანთა არსებობას კი უარჰყოფ-
დეს? მიპასუხოს, მოქალაქენო, და ნუ ბუტბუტებს ხან ერთსა და
ხან მეორეს. არის თუ არა ვინმე, რომ ცხენების არსებობას არ აღი-
არებდეს და საცხენო საქმეს კი აღიარებდეს? ან მესალამურენი არ
სწამდეს და მესალამურეთა საქმეები კი სწამდეს? არ არსებობს
ასეთი ადამიანი, უსათნოესო, ვაუკაცთა შორის. თუ შენ არ გნებავს
მიპასუხო, მე გეტყვი შენცა და ყველა ამათ. მაგრამ ამ კითხვაზე
მაინც მიპასუხე: არის თუ არა კაცი, რომ დაიმონური საქმე სწამდეს
და თვით დაიმონი კი არ სწამდეს?

— არ არის.

— როგორ დამევალე, რომ მიპასუხე ძლივს-ძლივობით, ამთგან
იძულებულმა. მაშასადამე, შენ ამბობ, რომ დაიმონური კიდევაც
მწამს და კიდევაც ვქადაგებ ამას ახალია ეს დაიმონური, თუ ძველი.
თანახმად შენი განცხადებისა, ეს დაიმონური მაინც მწამს და შენს
საჩივარში ეს ფიციოთაც კი დაადასტურე, ხოლო თუ დაიმონურს ვა-
ღიარებ,—ხომ ასეა?—ოღონდაც ასეა. მგონია შენც მეთანხმები,
რადგან პასუხს არ მაძლევ. დაიმონები კი განა ჩვენ ღმერთებად არ
მიგვაჩნია ან ღმერთების შთამოებად?³⁰ ჰო თუ არა?

— ოღონდაც.

— მაშასადამე, თუ ვაღიარებ დაიმონებს, როგორც შენ ამტკი-
ცებ, და თუ დაიმონებიც თავისებური ღმერთები არიან, ცხადია
ისიც, რასაც მე ვამტკიცებ, რომ შენ აქ გამოცანას ამბობ და მას-
ხარაობ, როცა ამტკიცებ ერთის მხრით, რომ მე ღმერთები არ მწამს
და მეორე მხრით კი კვლავ ამტკიცებ, რომ მწამს, ვინაიდან დაიმო-
ნები ხომ მწამს? უკეთუ კვალადვე დაიმონები ღმერთების შთამო-
მავალნი არიან (უკანონოდშობილნი ნიმფებისაგან და ვინმე სხვა-
თაგან, რომელთა შვილებად, როგორც ცნობილია, ისინი ითვლებიან),
ვინლა იქნება კაცთა შორის, რომ ღმერთების შთამოება არ
იწამოს? ეს ხომ ისეთივე შეუსაბამობა იქნებოდა, ვინმემ

რომ აღიაროს, რომ არსებობენ ცხენებისა და ვირების შვილები (ჯორები) და ცხენების და ვირების არსებობა კი უარჰყოს, არა, მელეტოს, შენ ეს საჩივარი ჩვენ საწინააღმდეგოდ ან იმ მიზნით შეგითხზავს, რომ გამოგეცადნეთ ამაში, ან იმიტომ, რომ არ იცოდი, თუ ნამდვილად რა ბრალი დაგედვა ჩემთვის. მაგრამ იმისათვის, რომ შენ შეგეძლოს დაარწმუნო ვინმე, ვისაც ადამიანთა შორის გონიერების ნატამალი კიდევ შერჩენია (რომ შესაძლებელია აღიარებდე დაიმონურსაც და ღვთაებრივსაც და იმავე დროს უარჰყოფდე დაიმონებსაც, ღმერთებსაც და გმირებსაც), ამისათვის არავითარი საშუალება არ არსებობს.

16. სხვებზე, ათენელნი, ვგონებ მეტი თავის მართლება აღიაროს საჭირო, რომ მე ბრალი არ მაქვს მელეტოსის საჩივრის აზრის მიხედვით,—საკმაო არის ესეც. ხოლო ის, რაც უწინ მოვახსენეთ, რომ ბევრში ჩემს წინააღმდეგ ძლიერი სიძულვილი აღვძარი, ეს, კარგად იცოდეთ, მართალია. და თუ დაღუპვა მიწერია, სწორედ ეს დამღუპავს—არა მელეტოსი, არც ანიტოსი, არამედ უმრავლესობის სიძულვილი და შური, მრავალი სხვა ჩინებული ვაჟკაცი რომ დაუღუპავს და, ვფიქრობ, კიდევ დაპლუპავს. დიდი უბედურება არ იქნებოდა ეს ამბავი ჩემზედ რომ დასრულდებოდა. იქნება ვინმემ მითხრას: „როგორ არ გრცხვენია, სოკრატე, ისეთი საქმისათვის მოგიკიდნია ხელი, რომ ამის მიზეზით შეიძლება ეხლა სიკვდილი მოგელის“. პასუხად ამისა სამართლიანად მივუგებდი: კარგად არ ლაპარაკობ მაგას, ადამიანო, თუ ჰფიქრობ, რომ ჰკაცს, რომელსაც შეუძლია ცოტადრე მაინც სასარგებლო იქმნეს, უნდა აფიქრებდეს სიკვდილ-სიცოცხლის შიში. თუ რასმე მოსაქმეობს, მას მართოდენ ის უნდა ეზრუნებოდეს, სამართლიანად იღწვის თუ უსამართლოდ, კარგი კაცის საქმეს აკეთებს თუ ავი კაცისას. შენის აზრით მაშ ცუდნი ყოფილან ის გმირები, სხვა ვაჟკაცებოც; რომელნიც დაიხოცნენ ტროასთან და მათ შორის თეტიდეს³¹ ვაჟი, სრულიად რომ არაფრად ჩააგდო საშიშროება. ოღონდ სირცხვილი არ ეჭამა. და როცა დედამ, რომელიც იყო ღმერთი, დაინახა, რომ მას სწყურია ჰექტორის მოკვლა, როგორც მახსოვს, ასე უთხრა მას: „შვილო, თუ შენ შენი მეგობრის პატროკლეს მოკვლისათვის შურს იძიებ და ჰექტორს მოჰკლავ, თვით იქნები მოკლული. მ ყ ი ს ვ ე, ჰექტორის ს ი კ ვ დ ი ლ ს შე მ დ გ ო მ, უთხრა. შე ნ ი ბ ე დ ი ც გა და წ ყ დ ე ბ ა ო“. მან ნოისმინა ეს და მაინც არაფრად ჩააგდო, ვინაიდან უფრო იმის ეშინოდა, რომ მეგობრის სისხლი ვერ აედო და ცოცხალი არ დარჩენილიყო ლაჩრად. „დ ე ე, მ ყ ი ს ვ ე მ ო ვ კ ვ დ ე, სთქვა მან, თუ

დავსჯი მტერს, ოღონდ არ დაერჩე აქ გასაქირდავად მ რ უ დ ხ ო -
მა ლ დებთან მიწის ზედმეტ ბარგად“³². ნუთუ შენ
გჯერა, რომ ამ დროს სიკვდილი და საფრთხე აფიქრებდა მას? ასეთია,
ათენელნო, სინამდვილე: ვინც საღ დამდგარა მწყობრში და ის აღ-
გილი საუკეთესოდ მიუჩნევია ანდა მხედართმომძღვრის მიერ არის
დაყენებული, ის, მგონია, იქვე უნდა დარჩეს, თუნდა საშიშროებაში
ჩავარდეს, სირცხვილის გარდა არც სიკვდილისა და არც სხვისა რისა-
მე ფიქრი არ უნდა ჰქონდეს.

17. მე, ათენელნო, საშინელი შემცოდე ვიქნებოდი, თუ მიუხე-
დავად ღვთის ბრძანებისა, რომელიც, როგორც მივხვდი და შევერგნე
იგი, მავალებს, რათა ჩემი სიცოცხლე ფილოსოფოსობასა და ჩემი
თავის და სხვების შესწავლას შევსწირო, სიკვდილის ან სხვა რისამე
შიშით ჩემს დანიშნულებაზედ ხელს ავიღებდი და ამავე დროს კი
უფროსთა ბრძანებით, რომელნიც თქვენ ჩემ ხელმძღვანელებად
აირჩიეთ. პოტიდეაში, ამფიპოლისში და დელიონთან³³, მე, როგორც
ყველა სხვა, ბოლომდე ვმდგარვარ იქ. სადაც იმათ დამაყენეს და სა-
დაც ბედზედ მიგდებულს სიკვდილი მომელოდა. დიახ, ეს საშინე-
ლება იქნებოდა და ჭეშმარიტად სამართლიანად მომეპყრობოდა ის,
ვინც სამართალში მიმცემდა იმისათვის, რომ ღმერთები არ მწამს,
ხრიზმოს არ ვემორჩილები. სიკვდილის მეშინია და თავი ბრძენად
მომაქვს, ბრძენი კი არა ვარ. სიკვდილის შიში კი, მსაჯულნო, არის
მხოლოდ ბრძენად თავის გამოსაჯვრება. როცა ბრძენი არა ხარ, და
გამოსაჯვრება ნიშნავს იმის მცოდნიერობის დაჩემებას, რაც არ იცი.
არაფინ არ იცის. რა არის სიკვდილი, ისიც კი არ იცის — ადამი-
ანიანისათვის უდიდესი ბედნიერება ხომ არ არის იგი, ეშინიათ კი
მისი, თითქო კარგად იცოდნენ, რომ უდიდესი უბედურება არის,
და განა უმეცრება არ არის, და ისიც საძრახი, ჰფიქრობდე, თათქო
იცოცხლის, რაც არ იცი. მე კი, მსაჯულნო, ადამიანთა უმრავლესობი-
საგან ამ მხრივ განვსხვავდები და თუ დავუწყებდი ვისმე მტკიცებას,
რომ ჩაოდენადმე იმაზედ უფრო ბრძენი ვარ, ვეტყვი, რომ იმით
ვარ უფრო ბრძენი, რომ როგორც არაფერი არ ვიცი: ჰადესია შესა-
ხებ საკმაოდ, ეგრეცა ვფიქრობ, რომ არაფერი არ ვიცი. ხოლო ეს კი
ვიცი, რომ უსამართლობა და ურჩობა უკეთესის მიმართ, ღმერთთა
იგი თუ ადამიანი, ცუდია თუ სამარცხვინო. არაოდენა უფრო არ
შეეუშინდები და არ განვერიდები იმას, რაც ბოროტებად მიმაჩნდა,
ვიდრე იმას, რის შესახებაც არ ვიცი, სიკეთეა იგი თუ არა. ამგვარად,
თუ თქვენ ეხლა განმეტყვებთ და არ დაუჯერებთ ანტიოსს, რომე-
ლიც ამტკიცებდა, რომ მე ან სულ არ უნდა მოვსულიყავი აქ, ანდა

თუ გამოვცხადდი, შეუძლებელია, რომ არ ვიქნე მოკვდინებული, და რომელიც გეუბნებოდათ, რომ თუ სასჯელს გადავრჩი, თქვენი ვაჟები, რომელთაც სოკრატი ასწავლის და ავარჯიშებს, ყველანი ბოლომოდებით გარყვნილიანო,—თუ თქვენ გამიშვებთ და ამასთანავე მეტყვით: „სოკრატ, ამ ხანად ჩვენ არ დაუფუჯრებთ ანიტოსს და გაგიშვებთ, მაგრამ ერთის პირობით კი, რომ კვლავ მაგ კვლევადიებასა და ფილოსოფოსობაში აღარ ატარო დრო. ხოლო თუ ამას იქით ასეთივე საქმე გემხილა, მოჰკვდებიო“,—თუ, როგორც ვსთქვი, ამ პირობით გამიშვებდით, პასუხად გეტყოდით: „თუმცა, ათენელნო, პატივისა გცემთ და მიყვარხართ, მორჩილებით ღმერთს უფრო ვემორჩილები, ვიდრე თქვენ, და სანამ პირში სული მიდგას და უნარი შემწევს, ფილოსოფოსობაზედ ხელს არ ავიღებ და სულ მუდამ უნდა გეჩინოთ და გიმტყიკოთ, ვისაც კი შევხვდები თქვენგანს, და მოგმართოთ ხოლმე ჩემთვის ჩვეულებრივი სიტყვის საქცევით:

„ო, უკეთესო მამაკაცთა შორის, მოქალაქე ათენისა, უდიდესის და სიბრძნითა და ძლიერებით უჩინებულესი ქალაქისა! ფულისათვის რომ ჰზრუნავ, რათა რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭო, ეს შენ არ გეთაკილება, მაგრამ ჰზრუნავ და ჰფიქრობ თუ არა დიდებისა და პატივისათვის, გონების განვითარებისა, ჰემმარტებისა და სულისათვის, რომ რაც შეიძლება უსათნოესი იყოს იგი?“—და თუ ვინმე თქვენგან შემეკამათება და მეტყვის, რომ ის ყველა ამისათვის ჰზრუნავს, მას ერთბაშად არ გაუშვებ და არ მოვშორდები, არამედ გამოვკითხავ მას, გამოვცდი და გამოვიკვლეე და თუ აღმოვაჩინე, რომ მას არა აქვს სათნოება და მხოლოდ იკვებნის, გაკვიცხავ, რადგან უდიდეს ღირსებას იგი ყველაფერზედ უფრო იაფად აფასებს, რამე ცუდმადლა კი უფრო ძვირად. ასე მოვეპყრობი ჰბაბუქსაც და მოხუცსაც, ვისაც კი შევხვდები, უცხოელსაც და მოქალაქესაც, განსაკუთრებით კი მოქალაქეებს, რადგან თქვენ ჩემთვის უმახლობლესნი ხართ შთამოებით, ვინაიდან ამას მიბრძანებს ღმერთი, და ვფიქრობ რომ ამ ქალაქში თქვენთვის არ არის უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ეს ჩემი ღვთისმსახურება. მართლაც, სხვას ხომ არაფერს ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ მიმოვდივარ და გარწმუნებთ თქვენ, ახალგაზრდებსა და მოხუცებს, რომ უწინარეს ყოვლისა ეგრე ძლიერ არ ზრუნავდეთ არა სხეულისათვის, არა ფულისათვის, არამედ ზრუნავდეთ სულისათვის, რომ იგი გექნესთ რაც შეიძლება უსათნოესი, და გეუბნებით. რომ არა ფულისაგან წარმოიშვის სათნოება, არამედ სათნოებისაგან წარმოიშვის ფული და ყოველი სხვა სიკეთე კერძო თუ საზოგადოებრივი. თუ ამის თქმით ვრყვნი ახალგაზრდობას, ჩემი სიტყვები მავნე-

ბელი იქნებოდა და თუ ვინმე ამტკიცებს, რომ სხვა რასმე ვამბობ ხოლმე და არა ამას, ის ვერაფერს ვერ ამტკიცებს. „ამიტომ,—გეტყობდიოთ კიდეც მე, — ათენელნო, დაუჯერებთ ანიტოსს თუ არ დაუჯერებთ, გამიშვებთ თუ არ გამიშვებთ, მე სხვანაირად ვერ მოვიქცევი, თუნდა მრავალგზის სიკვდილი მეწეროს“.

18. ნუ ხმაურობთ, ათენელნო, და ამისრულებთ ის, რაც აღმითქვით, — არ იხმაუროთ ჩემი სიტყვების გამო და მომისმინეთ, ვინაილგან მგონია, თუ მომისმენთ, რამე შეგემატებათ. კიდეც სხვა რამე უნდა გითხრათ და შეიძლება ამის გამო ყვირილიც ასტეხოთ, მაგრამ ნუ-რასგზით ამას ნუ იქმთ. კარგად იცოდეთ, თუ რომ მომაკვდინებთ, აი ისეთს, როგორც გამოცხადებულვარ თქვენს წინაშე, თქვენს თავს უფრო ავენებთ, ვიდრე მე. მე ხომ ვერაფერს ვერ დამაკლებენ ვერც მელეტოსი და ვერც ანიტოსი! მათ არ ძალუძსთ, ვინაილგან, ჩემის აზრით, შეუძლებელია უკეთესმა ადამიანმა ვნება განიცადოს უარესისაგან. მას აგრეთვე შეუძლია, რასაკვირველია, მომაკვდინოს ან განმადევოს ან პატივი ამყაროს, მაგრამ იქნება მას და ვინმე სხვა-საც ეს დიდ უბედურებად მიაჩნია, მე კი არ მიმაჩნია, ვინაილგან უფრო დიდი ბოროტება ის არის, რასაც იგი ჰშვრება, რომ მოუწადინებია უსამართლოდ მოაკვდინოს კაცი. ამრიგად, ათენელნო, ამქამად სრულიად არ მაქვს აზრად ჩემი თავი დავიცვა, არამედ გოცავთ თქვენ, რათა ჩემი გამტყუვნებით თქვენ რამე არ შესცოდოთ ღვთის მიერ ბოძებული ნიჭის მიმართ. მართლაც, თუ მომაკვდინებთ, თქვენ ადვილად ვეღარ იპოვნით მეორეს ჩემისთანას, რომელიც, თუმცა ცოტა არ იყოს სასაცილოა ამის თქმა, (ღვთის განგებით) თითქოს კისერზედ აზის ქალაქს, როგორც დიდსა და ჯიშინს, მაგრამ სიმსუქნის გამო ძლიერ ზარმაცს ბედაურს, გასახურებლად დეზი რომ ეჭირვება. და აი, მგონია, ღმერთმა მიუჩინა ქალაქს ისეთი კაცი, როგორც მე ვარ, რათა მთელი ღღის განმავლობაში ყველგან თქვენთან ვიყვე მახლობლად, და გალვიძოთ თითოეული ცალკეულად, გარწმუნოთ და გამუნათოთ განუწყვეტლივ. ამიტომ, სხვა ჩემისთანა კაცი ადვილად არ გამოგიჩნდებათ და თუ დამიჯერებთ, გამიფრთხილდებით. შეიძლება აღშფოთდეთ, როგორც გაგულისდება ხოლმე მძინარე, როცა გამოადვიდებენ, მომცვივდეთ ანიტოსის ჩაგონებით, გულგრილად მომაკვდინოთ და დანარჩენი თქვენი სიცოცხლე ძილში გაატაროთ, სანამღის თქვენთვის მზარუნველი ღმერთი სხვას ვისმე არ გამოგიგზავნისთ. აქედან თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ მე სწორედ ისა ვარ, ვინც ღმერთს ქალაქისათვის მიუმადლებია. განა ადამიანის ბუნებას შეესაბამება, რომ თავი დამინებებია

ჩემი საკუთარი საქმეებისათვის და ამდენი წლის განმავლობაში ოჯახის არეუ-დარევას ვითმენ, თქვენს საქმეებში ვარ გართული, თითოეულთან კერძოდ მოვდივარ, როგორც მამა ან უფროსი ძმა, და გიქადაგებთ, რომ სათნობებისათვის იზრუნოთ. და ამისაგან რომ რამე სარფა მქონდეს ან დარიგებისათვის რომ სასყიდელს ვლებულობდე, მაშინ რაღაც საფუძველი მექნებოდა. ეხლა კი თქვენ ხედავთ, რომ თვით ჩემი ბრალმდებელნი, რომელნიც ყველაფერს სხვას ურცხვად მაბრალებენ, იმდენად მაინც ვერ გაურცხვებულან, რომ წარმოდგინათ მოწამე იმის დასამტკიცებლად, რომ ოდესმე ან ამიღია სასყიდელი ან მომითხოვნია, და ვფიქრობ, რომ ჩემი სიტყვების სიმართლეს საკმაოდ დაამტკიცებს მოწამე. რომელსაც ვასახელებ—ჩემი სიღარიბე.

19. შეიძლება ვინმემ უცნაურად მიიჩნიოს, რომ კერძო ცხოვრებაში ვიძლევი ასეთს რჩევას, ყველგან მიმოვდივარ, ბევრსა ვცოდვილობ და ვერ გამიბედნია საქვეყნოდ გამოვიდე თქვენი საერო კრების წინაშე და სახელმწიფოს მივსცე რჩევა. ამის მიზეზი ის არის, რაც ხშირად გაგიგონიათ ჩემგან და რაც მრავალგან მითქვამს, რომ ჩემში რაღაც ღვთაებრივი და ზესთაბუნებრივი (ხმა) ცხადდება, და აი მელეტოსის საჩივარში სწორედ ეს არის გამასხარავებული. ეს სიყრმითვე დამჩემდა, მომესმა რაღაც ხმა, რომელიც ყოველ ჟამს. როცა კი გავიგონებ, მუდამ მიკრძალავს ხოლმე იმის აღსრულებას, რაც განზრახული მაქვს, და არაოდეს არ მაგულიანებს რისამე ქმნად. აი, სწორედ ესაა, რომ მიშლის პოლიტიკა ვაწარმოო და მგონია მშვენიერად იქცევა, რომ მიშლის. იცოდეთ კარგად, ათენელნო, ძველადგანვე რომ პოლიტიკური საქმეებისათვის მომეკიდნა ხელი, ადრითვე დავიღუპებოდი და ვერც თქვენ გამოვადგებოდი და ვერც ჩემს თავს. ნუ გამიჯავრდებით, მართალს რომ გეუბნებით, ვინაიდან არ არის ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომ თავმთელი დარჩეს, თუ ის პატიოსნად შეგებრძოლებათ თქვენ ან სხვა რომელიმე უმრავლესობას და სახელმწიფოში გავრცელებულს მრავალს უსამართლობასა და უკანონობას წინააღმდეგება, ხოლო თუ ის იძულებულია სამართლიანობისათვის მაინც იბრძოლოს და ფიქრობს ცოტა ხანს სულა შეირჩინოს, მან საქვეყნო საქმეებზედ ხელი უნდა აიღოს და კერძო პირად უნდა იცხოვროს.

20. ამის დასამტკიცებლად საკმაო დიდ საბუთებს წარმოგიდგინებ არა სიტყვიერს, არამედ საქმიანს, რასაც თქვენ ეგრე აფასებთ. მომისმინეთ, რაც შემემთხვა, რათა მიხვდეთ, შეიგნოთ, რომ სამართლიანობის საქმეში ვერაოდეს სიკვდილის შიშით ვერავის ვერ და-

ვუთმობ და მირჩევნია დავიღუპო, მაგრამ არ დავეუთმო კი. ის, რასაც მოგახსენებთ, სამწუხარო და სავალალოა, მაგრამ მართალი კი არის. მე, ათენელნო, სახელმწიფოში არაოდეს არ მკერია რამე თანამდებობა, მხოლოდ საბჭოს წევრი ვიყავი³⁴. მოხდა ისე, რომ ჩვენი ანტიოქიის ფილა³⁵ იმ დროს ასრულებდა სამსახურს, როცა თქვენ გადასწყვიტეთ ერთად გასამართლება იმ ათი სტრატეგისა, რომელთაც არ იზრუნეს საზღვაო ბრძოლაში დაღუპულთა დამარხვისათვის³⁶, და ეს რომ უკანონობა იყო, შემდგომ ყველამ აღიარეთ. მაშინ პრიტანებში მე ერთადერთმა დავიშალეთ, რომ კანონების საწინააღმდეგო არაფერი არ მომხდარიყო, და კენჭიც წინააღმდეგ ჩავადე. და როცა ორატორები მზად იყვნენ ჩემთვის ბრალი დაედვათ და საპყრობილეში ჩავეგდეთ, როცა თქვენც ამასვე ბრძანებდით და ჰყვიროდით. გადავსწყვიტე, რომ ჩემთვის უმჯობესია კანონისა და სამართლიანობისათვის ხიფათი შემემთხვეს, ვიდრე ბორკილებისა და სიკვდილის შიშით მოგემხროთ თქვენ, რომელთაც უსამართლო გადაწყვეტილება დაადგინეთ, და ეს მოხდა დემოკრატიულ სახელმწიფოში. შემდგომ კი, როცა ოლიგარქია დამყარდა. მაშინ ოცდაათმა ტირანმა³⁷ სხვა ოთხთან ერთად თვით მეც მეხუთედ მიმიწვია თოლოსში* და მიბრძანა სალამინიდან მომეყვანა ლეონტი სალამინელი. რათა მოეკვდინებინათ. მათ სხვა ბევრისთვისაც მიუხდევიათ ბევრი რამ ასეთი, ვინაიდან მოწადინებულნი იყვნენ რაც შეიძლება მეტი ხალხისათვის გაეტეხათ სახელი. მაშინ მე კვლავ დავამტკიცე არა სიტყვით, არამედ საქმით, რომ სიკვდილი სრულიად არ მაფიქრებს, თუ ამის თქმა კადნიერებად არ ჩამომერთმევა; ხოლო მთელი ჩემი საზრუნავი ის არის, რომ უსამართლოდ და უკეთუარად არ მოვიქცე. მაგრამ ამ მძლავრმა მთავრობამ იმდენად ვერ შემაშინა, რომ რამე უსამართლობა ჩამედინა, და თოლოსიდან რომ გამოვედით, ის ოთხი გამეზავრა სალამინზედ და მოიყვანა ლეონტი, მე მყისვე წავედი შინ. შესაძლებელია ამის გამო, სიცოცხლეს გამოვსალმებოდრი, ის მთავრობა რომ მალე არ დამხობილიყო³⁸, და ამას მრავალი მოწამე დაგიდასტურებთ.

21. ნუთუ თქვენ ეხლა ვერ ხედავთ, რომ მე ამ ხნობამდის არ მოვატანდი, საზოგადოებრივი საქმეები რომ მეწარმოებინა? მეწარმოებინა ისე, როგორც სათნო ადამიანს შეჰფერის. სამართლიანობის საქმისათვის ხელი შემეწყო და ეს, ვით ჯერ არს, უაღრეს საქმედ მიმეჩნია? რასაკვირველია, ვერ ვიცოცხლებდი. ათენელნო, და ვერც სხვა ვინმე იცოცხლებდა. მე კი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზედ

* თოლოსი -- შენობა ათენში, სადაც სახელმწიფო ხარჯზე უმასპინძლებიან თანამდებობის პირთ.

თუ სადმე საზოგადოებრივი რამ საქმე გამიკეთებია, ისეთივე ვარ კერძო ცხოვრებაშიც, ე. ი. ადამიანი, რომელსაც სამართლიანობის სავენებლად არაოდეს არაფერი არ დამითმია არც სხვა ვისთვისმე და არც იმათთვის, ვისაც ჩემი ცილისმწამებლნი ჩემს მოწაფეებს უწოდებენ³⁹. არაოდეს არავის მასწავლებელი არ ვყოფილვარ, მაგრამ თუ ვინმე, ახალგაზრდა იქნება ის თუ მოზუცი, მოისურვებს გაიგოს, რას ვლაპარაკობ, ან ჩემს საქმეს როგორ ვასრულებ, უარი არასდროს არავისთვის არ მითქვამს და ამასთანვე არც ისეთი ვარ, რომ ვისაუბრო, თუ მაძლევენ ფულს, და არ ვისაუბრო, თუ ფულს არ მაძლევენ⁴⁰, — მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად უფლებას ვაძლევ შემეგითხოვს და, თუ ვინმე მოისურვებს, კიდევ მიპასუხოს და მოისმინოს, რასაც ვამბობ. ხოლო მათში ვინ აღმოჩნდება პატიოსანი და ვინ არა, ამისათვის ჩემი გამტყუვნება უსამართლობა იქნებოდა, ვინაიდან არაოდეს არავისათვის არავითარი სწავლება არ აღმითქვამს და არც არაფერი მისწავლებია, და თუ ვინმე ამბობს, რომ ჩემგან რამე ისწავლა ან კერძოდ მოისმინა ის, რაც ყველა სხვას არ მოუსმენია, იცოდეთ კარგად, რომ მართალს არ ამბობს.

22. მაგრამ რა მიზეზია, რომ ზოგიერთნი ჩემთან ხანგრძლივ ატარებენ დროს და ამასში სიამოვნებას ჰპოულობენ? თქვენ უკვე მოისმინეთ, ათენელნო, მე მთელი სიმართლე მოგახსენეთ,—ამის მიზეზი ის არის, რომ მსმენელნი სიამოვნებით უმზერენ იმის გამოცდას, ვისაც თავი ბრძენად მოაქვს და ნამდვილად კი ბრძენი არ არის, ეს ხომ მართლა კარგი გასართობია. მე კი, როგორც მოგახსენეთ, ასეთი ყოფაქცევა ღვთისაგან მაქვს ნაბრძანები, როგორც წინასწარმეტყველებითა და სიზმრებით, ისე ყოველი სხვა საშუალებით⁴¹. რომლითაც კი ოდესმე ღვთის განგებას სხვა შემთხვევაშიც უბრძანებია ადამიანისათვის რამე მოქმედება.

ეს, ათენელნო, ჭეშმარიტებაც არის და ამის დამტკიცება ადვილი შესაძლებელიც არის, ვინაიდან თუ მე ჭაბუკთა ერთს თაობასა ვრყენი, სხვანი კი უკვე გამირყენია, ამათგან ზოგიერთნი, რაკი ხანში შესულან და შეუგნიათ, რომ მათთვის, როცა ისინი ახალგაზრდები იყვნენ, ოდესმე ცუდი რამე მისწავლებია, უეჭველად უნდა გამოსულიყვნენ, ბრალი დაედვათ და ნაცვალეგოთ ჩემთვის, და უკეთუ მათ ეს არ მოისურვებს, ზოგიერთს მათ ნათესავს—ან მამებს, ან ძმებს და ან სხვა მოყვასებს— ეხლა მაინც უნდა მოჰკონებოდათ ეს (და შური ეძიათ ან დავესაჯეთ), რადგან მათ ახლობლებს ჩემგან რაღაც ბოროტება შემთხვევიათ. და მართლაც, იმათგან ბევრი იმყოფება აქ,—მე მათ ვხედავ.—(და) უპირველესად კრიტონი, ჩემი ტოლი და თანამემამულე, ამ კრიტობულის მამა; კიდევ სფეტელი ლი-

სანიი, ესქინეს მამა, მერმე ანტიფონ კეფისიელი, ეპიგენის მამა, შემდგომ აი ისინი, ძმები, რომელნიც ჩემთან საუბარში ატარებდნენ დროს: ნიკოსტრატე, თეოდოტეს ვაჟი და თეოდოტეს ძმა—თვით თეოდოტე უკვე გარდაიცვალა, ასე რომ მას აღარ ესაქიროება მუდარა (რომ გაჩუმებული იყვეს), ეს პარალოსი; დემოდოტეს ვაჟი, ძმა რომ ჰყავს თეაგე, და კიდეც აღიმიანტოსი, არისტონის ვაჟი, რომლის ძმა აი ეს პლატონია, და ეანტოდოროსი, რომლის ძმა აი ის აპოლოდორესია⁴². ბევრი სხვაც შემიძლია კიდეც დავასანგლო და ამათში მელეტოსს უთუოდ ვინმე უნდა მოეყვანა მოწმედ. თუ ეს მაშინ დაავიწყდა, ესლა წარმოადგინოს — მე ნებას ვრთავ⁴³, და დესტქვას, თუ აქვს სათქმელი ასეთი რამე. მაგრამ თქვენ, მოქალაქენო, დაინახავთ სრულიად საწინააღმდეგოს, დაინახავთ, რომ ყველანი მზად არიან დამეხმარონ მე, რომელსაც ისინი გამირყვნია და მათი ნათესავებისათვის ძვირი შემიმთხვევია, როგორც მელეტოსი და ანიტოსი ამტკიცებენ, ვინაიდან ვინც უკვე გარყვნილია, იმათ ფთქვით, კიდეც აქვთ გონიერი საფუძველი რომ დამეხმარონ, მაგრამ იმათ, ვინც არ გამირყვნია, მოხუცებულებს, აბა სხვა რა ანგარიში აქვთ, რომ მიცავენ, თუ არა (ერთადერთი) ჰემმარტი და სამართლიანი რწმენა, რომ მელეტოსი სტყუის, მე კი მართალს ვამბობ.

23. მაგრამ კმარა, მოქალაქენო, აი, ეს არის და ეს, რაც უნდა მომეხსენებინა თქვენთვის თავის გასამართლებლად, და კიდეც სხვა რამეც ამის მსგავსი. შეიძლება თქვენში ვინმე გამიჯავრდეს, თუ მოაგონდა, სამსჯავროს წინაშე თავს როგორ იცავდა მამაზედ უფრო მცირე საქმეში, როგორ ემუდარებოდა და ევედრებოდა მსაჯულებს ცრემლთა თხევით და რომ კიდეც უფრო მოელმობიერებინა (მსაჯულნი), თავისი ბავშვები და მრავალი ნათესავი და მეგობარი მოჰყავდა⁴⁴, მე კი არათერს არ მოვიმოქმედებ მსგავსიერს, თუმცა საფიქრებელია, რომ საშიშროება დიდი მომელის. ამიტომ შეიძლება ვინმე ამას რომ მოიგონებს, უფრო უწყალოდ მომეპყრას და ამით განრისხებულმა გულისწყრომით ჩააგდოს კენჭი. მე, რასაკვირველია, გულდაჯერებით ვერ ვიტყვი, რომ ეს ვისმე თქვენგანს აქვს გუნებაში, მაგრამ თუ მაინცადამაინც ვისმე განზრახული აქვს, მგონია მართებული იქნება ასეთი სიტყვებით მივმართო მას: „ჩემო კეთილო, შეიძლება მეც მომეპოვება ნათესავეები, ვინაიდან, ჰომიროსის თქმისა არ იყოს, არც მუხისაგან და არც კლდისაგან არა ვარ ნაშობი⁴⁵, არამედ ადამიანთაგან, ასე რომ, ათენელნო, მეცა მყავს ნათესავეები და სამი ვაჟიც კი—ერთი უკვე ჰაბუჟია, ორი კი მცირეწლოვანი⁴⁶, მაგრამ აქ მაინც არც ერთი არ მომიყვანია, რომ შეწყალება გამოვთხოვოთ“.

მერე რატომ არ ვმოქმედებ ასე? არა ამპარტავნებით, ათენელნი, და არც თქვენი სიძულვილით. მხნედ ვუცქერი სიკვდილს თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ჩემი, თქვენი და მთელი სახელმწიფოს სახელისათვის; ყოველ შემთხვევაში, მგონია, რომ ჩემისთანა დროული და სახელგანთქმული ადამიანისათვის ასეთი საქციელი მართებული არ იქნებოდა. ამრიგად, მართალია ეს თუ ტყუილი, ყოველ შემთხვევაში არსებობს აზრი, რომ სოკრატი ადამიანთა უმრავლესობისაგან რითლაც განირჩევა და ხომ სამარცხვინო იქნება ასეთს ხერხს მიმართოს იმან, ვინც ჰფიქრობს, რომ ან სიბრძნით, ან მხნეობით, ან კიდევ სხვა რამე სათნოებით ის განირჩევა სხვებისაგან⁴⁷. და მე ხშირად მინახავს სწორედ ასეთები, რომელნიც როგორც ჩანს, თუმცა წარმოადგენენ თითქო რაღაცას, მაგრამ როცა მათ ასამართლებენ, უცნაურად იქცევიან, რაღაც საშინელებას განიცდიან, და თუ თქვენ იმათ არ მოაკვდინებთ, ვითომც უკვდავებას მოიპოვებენ, აი ესენი არიან, ჩემის აზრით, სირცხვილში რომ აგდებენ სახელმწიფოს, და ვინმე უცხოელს შეუძლია იფიქროს, რომ ის ათენელი, რომელნიც ცნობილნი არიან თავიანთი სათნოებით, რომელნიც მართებულობასა და სხვა საპატიო თანამდებობაში უპირატესად არიან მიჩნეულნი, დედაკაცთაგან არაფრით არ განსხვავდებიან. არა, ათენელო, თუ თქვენი თავის ყადრი გაქვსთ, არც თქვენ უნდა მოიქცეთ ასე და არც ჩვენ უნდა მოგვცეთ ნება, რომ ასე მოვიქცეთ, არამედ თქვენ უნდა გვიჩვენოთ, რომ უფრო სასტიკად იმას ამტყუვნებთ, ვინც ასეთ საბრალობელ დრამებს წარმოგიდგენსთ ხოლმე და სახელმწიფოს ამასხარავებს, ვიდრე იმას, ვისაც მოკრძალებით უჭირავს თავი.

24. სახელოვნებასაც თავი რომ დავანებოთ, მოქალაქენო, არც მართებული იქნება, მგონია, მსაჯულს ვევედრო და ვემუდარო, რათა სასჯელისაგან ვიხსნა თავი—მსაჯული უნდა დაეჯეროთ და დავარწმუნოთ, ვინაიდან მსაჯული იმისათვის ხომ არ არის დაყენებული, რომ თვალღებით ჰსაჯოს, არამედ იმისათვის, რომ ჰქმნას მართალი სამართალი. მას ფიცი აქვს მიცემული, რომ არ ესათნოს იმას, ვინც მოეგუნებება, არამედ კანონების მიხედულებით ჰსაჯოს⁴⁸. ამიტომ, არც ჩვენ უნდა გაჩვევდეთ ფიცის გატეხას და ამას არც თქვენ უნდა ეჩვეოდეთ, თორემ ეს არც თქვენგან იქნებოდა კეთილსათნოება და არც ჩვენგანით. არ იფიქროთ, ათენელო, თითქოს ჩემთვის საჭირო იყოს თქვენ წინაშე ის მოვიმოქმედო, რაც ჩემის აზრით არც კარგია, არც სამართლიანია და არც მართებული, — განსაკუთრებით, ვფიცავ ზევსს, ეხლა, როცა მელეტოსი უსჯულოებას მამბრალეხს. ცხადია, შესაძლებლად რომ მიმაჩნდეს გარწმუნოთ

და ფუცის მიუხედავად ხვეწნა-მუღარით ძალა დაგატანოთ, შთაგაგონებლით, რომ ღმერთები არ არსებობენ, და თუ ამნაირად თავს დავიცავდი, ჩემს თავს თვითვე გავიმტყუენებდი, რომ ღმერთები არ მწაშს. მაგრამ ეს სრულიადაც ასე არ არის. მე მათ ვაღიარებ, ათენელნო, როგორც არც ერთი ჩემი ბრალმდებელი არ აღიარებს, და თქვენთვის და ღმერთისთვის მომინდვია გამასამართლოთ ისე, როგორც ჩემთვისაც უმჯობესი იქნება და თქვენთვისაც⁴⁹.

25. თქვენგანით რომ გულს არ მაკლია, ათენელნო, იმისათვის რაც მოხდა, სახელდობრ, რომ გამამტყუენეთ, ამის მიზეზი, გარდა მრავალი სხვა გარემოებისა, ისიც არის, რომ ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელად არ მომხდარა⁵⁰. მაგრამ უფრო ძლიერ ხმების რაოდენობა მაკვირვებს, ერთმა და მეორე მხარემ რომ მიიღო⁵¹, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ განსხვავება უფრო დიდი იქნებოდა და არა ასეთი მცირე. ეხლა კი ჩანს, რომ თავმთელი გადავრჩებოდი ოცდაათი კენჭი რომ სხვაგვარად ჩავარდნილიყო. მელეტოსს. მგონია, ეხლაც გადავურჩი და არა მხოლოდ გადავურჩი, არამედ ყველასათვის ნათელია, აქ რომ ანიტოსი და ლიკონი არ გამოსულიყვნენ, როგორც ჩემი ბრალმდებელნი, ის ხმების ხუთის თავსაც ვერ მიიღებდა და იძულებული იქნებოდა ათასი დრახმა გადაეხადა⁵².

26. მაშ, ეს კაცი ჩემთვის სიკვდილით დასჯას თხოულობს. დე, ეგრე იყოს, მაგრამ, ათენელნო, ჩემთვის რაღა სასჯელი უნდა მოვიტხოვო თქვენგან? ხომ ცხადია ისეთი უნდა მოვიტხოვო, როგორისაც ღირსი ვარ. მაინც როგორი? რა დავიმსახურე—სასჯელი თუ ჯარიმა იმისათვის, რომ რაღაც ზეშთაგონებით⁵³ ცხოვრებას მყუდრობაში არ ვატარებდი, არამედ უგულვებელყოფდი იმას, რისთვისაც ზრუნავს უმრავლესობა—სიმდიდრეს, საოჯახო საქმეს, სტრატეგობას⁵⁴, რიტორობას და ყველა სხვა თანამდებობას, აგრეთვე შემქმულობასა და აჯანყებას, რაც ხშირია სახელმწიფოში⁵⁵, ვინაიდან ჩემი თავი იმდენად პატიოსნად მიმაჩნია, რომ არ შემეძლო ასეთი გზით მეძებნა ხსნა,—იმისათვის, რომ არ მივდიოდი იქ, სადაც ვერც ვერაფერს თქვენ გარგებლით და ვერც ჩემს თავს ვარგებდი რასმე. არამედ როგორც ვამტკიცებ, მივდიოდი იქ, სადაც შემეძლო თითოეული თქვენგანისათვის კერძო ცხოვრებაში უდიდესი სიკეთე მომენიჭებინა, და ვცდილობდი თითოეული თქვენგანი დამერწმუნებინა, რათა არც ერთი თქვენი საქმისათვის არ გეზრუნათ, სანამ უწინარეს თქვენი თავისათვის არ იზრუნებდით, რომ უადრესად სათნონი და გონიერნი ყოფილიყავით, არ გეზრუნათ არც სახელმწიფოებრივი საქმეებისათვის. ვიდრე თვით სახელმწიფოსთვის არ

იზრუნებდით, და ამგვარად გეზრუნათ ყოველი დანარჩენისათვის. მაშ რა დავიმსახურე ასეთი ღვაწლით? რამე კარგი, ათენელნო, უკეთეს კაცი სამართლიანად მისი ღვაწლით უნდა დაფასდეს, და ეს კარგი ისეთი უნდა იყოს, როგორც მეკადრება. მაშ, რა ეკადრება საბრალობელ მოკეთეს⁵⁶, რომელსაც მუჟდროება ესაჭიროება, რომ თქვენ გიმოძღვროსთ? უადრესად საკადრისი კი, ათენელნო, ის იქნება, რომ ასეთი კაცი პრიტანეაში⁵⁷ ასაზრდოვოთ, და ეს მისთვის უმეტეს უპრობანი იქნება, ვიდრე თქვენგანისათვის, ვინც ოლიმპიის ასპარეზობაში⁵⁸ ერთის, ორის ან ოთხის ცხენით გაიმარჯვებდა, ვინაიდან თქვენ მხოლოდ გეჩვენებთ, რომ ის ბედნიერებას განიჭებსთ, მე კი ნამდვილად გაბედნიერებთ, ამასთანვე მას არავითარი საზრდოობა არ ეჭირვება, მე კი მესაჭიროება, ასე რომ თუ ჩემთვის სამართლიანად ღირსეული სასჯელი უნდა ავირჩიო, მე პრიტანეაში საზრდოობა ამირჩევია.

27. იქნება თქვენ გგონიათ, ამას რომ გეუბნებით, თითქმის იმნაირივე გულდაჭერებით ვლაპარაკობ, როგორც ვლაპარაკობდი შეწყალუბისა და ლმობიერების შესახებ, მაგრამ, ათენელნო, ეს ასე კი არ არის, არამედ უფრო სხვანაირადაა: დარწმუნებული ვარ, რომ განზრახ არავის მოეპყრობივარ უსამართლოდ, მაგრამ თქვენ ამაზედ ვერ დაგაჭერებთ, ვინაიდან ცოტა ხანს ესაუბრობდით ურთიერთთან, ხოლო თქვენ ამას დაიჭერებდით, მე გგონია, ისეთი კანონი რომ გქონდესთ, როგორც სხვა ხალხს⁵⁹—სიკვდილით სასჯელის განაჩენს არა ერთი დღის, არამედ მრავალი დღის განმავლობაში რომ ადგენდეთ. ამეამად კი, მცირე ხნის განმავლობაში⁶⁰ მძიმე ბრალდებისაგან განთავისუფლება ადვილი არ არის. დიახ, დარწმუნებული ვარ. რომ ცუდი არავისათვის არ შემიმთხვევია, და ამიტომ სრულიად არ ვაპირობ თავი დავიჩაგრო და ჩემ შესახებ ვილაპარაკო, თითქო რამ ცუდის ღირსი ვიყო და სასჯელიც ამის შესაფერი ავირჩიო. რისი უნდა მეშინოდეს? იმისი ხომ არა, რასაც მიმზადებს მელეტოსი, და არ ვიცი კი, გეუბნებით, ცუდსა თუ კარგს მიმზადებს? ნაცვლად ამისა, ისეთი რამ ხომ არ უნდა ავირჩიო. რაც, კარგად ვიცი, ცუდია, და ეს ავირჩიო სასჯელად? საპყრობილე ხომ არა? მაგრამ საპყრობილეში რის გულისათვის უნდა ვიცხოვრო და ვემონო ნიადაგ ცვალებადს ხელისუფლებას თერთმეტისას?⁶¹ ან იქნება ჯარიმა ავირჩიო და საპყრობილეში ვიყუე მანამდის, სანამდის არ გადავიხდი, მაგრამ ჩემთვის ეს ხომ იგივეა, რაც ეს არის ეხლა გითხარით: ფული არა მაქვს და საიდან უნდა გადავიხადო? ან იქნება ექსორიობა ვამქობინო? ამ სასჯელს შეიძლება თქვენც დამინიშნავ-

დით, მაგრამ ძლიერ უნდა მიყვარდეს სიცოცხლე, თუ ისეთი უგუნური ვარ და არ შემძლია განვსაჯო, რომ, თუ თქვენ, ჩემს თანამოქალაქეებს, არ ძალგით ჩემი მოღვაწეობა და საუბრობა აიტანოთ, თუ ეს თქვენთვის იმდენად სამძიმო და საძულველია, რომ ცდილობთ თავიდან მომიშოროთ. სხვები კი ადვილად აიტანენ? სრულიად არა, ათენელნო, კარგი კი იქნება ჩემი სიცოცხლე, ამ ხნის კაცი რომ გაძევებული ვივლი ქალაქიდან ქალაქად და ვიცხოვრებ მუდამ დევნილი, ვინაიდან, ეს კარგად ვიცი, სადაც კი მივალ. ჰაბუქნი, როგორც აქ, ჩემს საუბარს მოისმენენ, და თუ მე იმათ გავაგდებ, მაშინ თვით ისინი გამაძევენ და ამისთვის უფროსებს შეაგულიანებენ, და თუ არ გავაგდებ, მაშინ მათი მამები და ნათესავები მათივე მიზეზით განმაძევენ.

28. იქნება ვინმემ მკითხოხ: „ნუთუ, სოკრატე, ჩვენგან გაძევებული ჩემად და მყოფროდ ცხოვრებას ვერ შესძლებ?“ აი სწორედ ამის დაჭერება ზოგიერთს თქვენგანს ყველაფერზედ უფრო ეძნელება, ვინაიდან, თუ ვთქვი, რომ ეს იქნებოდა ღვთის ურჩობა და ამის გამო უჩუპრად ყოფნა არ ძალმიძს, თქვენ ამას თვალთმაქცობად მიიჩნევთ და არ დამიჯერებთ, ხოლო თუ მეორე მხრით ვთქვი, რომ ადამიანისათვის უდიდესი ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ მარად დღე სათნოობასა და სხვა საგნებზედ ისაუბროს, და თქვენ გესმით, რომ მე ამის შესახებ ვსაუბრობ. როცა ვიკვლევ ჩემს თავსაც და სხვებსაც,—(თუ ვთქვი), რომ გამოუკვლეველ ცხოვრებას ადამიანისათვის არავითარი ფასი არა აქვს, ამას კიდევ უფრო ნაკლებ დამიჯერებთ. საქმე, მოქალაქენო, ამგვარადაა, როგორც ვამტკიცებ. მაგრამ თქვენი დაჭერება ადვილი არ არის. გარდა ამისა, ჩვეულებათ არა მაქვს ჩემი თავი რამე ცუდის ღირსად მივიჩნიო. ფული რომ მქონდეს, სასჯელად ოლონდაც ჭეროვანი ჭარიმის გადახდას ავირჩევდი და ამით სრულიად არ დაგზარალებოდი. ეხლა კი—(არ შემძლია ჭარიმა ავირჩიო) ფული არა მაქვს, თუ იმდენის დანიშვნას არ ინებებთ, რამდენის გადახდასაც შევიძლებ. შეძლებით კი იქნება შევიძლო ერთი ვერცხლის მნა⁶² გადაგიხადოთ და აი სასჯელად ეს ამირჩევია. ეს პლატონი კი, ათენელნო, კრიტონი, კრიტობულოსი და აპოლოლოროსი მირჩევენ, რომ ოცდაათი მნა დავინიშნო და თვითვე თავდებობასაც კისრულობენ, და მეც მაშასადამე ამდენს ვინიშნავ, ამ ფულის თავდებებად კი ეს საიმედო პირნი გეყოლებიან⁶³.

• 29. ასეთი მცირე ხნისათვის⁶⁴, ათენელნო, თქვენ სახელსაც გაიტეხთ და ჩვენი ქალაქის ავად მხსენებელნიც ბრალს დაგდებენ, რომ

თქვენ მოაკვდინეთ სოკრატი, ბრძენი ადამიანი, ვინაიდან თქვენ განქიქების მოსურნენი ნამდვილად დაიწყებენ მტკიცებას, რომ მე ბრძენი ვარ. თქვენ კი რომ ცოტა ხანს მოგეცადათ, ეს თავისთავად მოხდებოდა. შეხედეთ ჩემს მოხუცებულობას—სიცოცხლეს უკვე ფრიად დაეშორებოდა და სიკვდილი კი მოახლოებულა. ამას ყველას არ გეუბნებით, არამედ იმათ, ვინც სიკვდილი გადამიწყვიტა, და ამით აი კიდევ რას ვეტყვი: იქნება, მოქალაქენო, თქვენ ფიქრობთ, რომ მე საჭიროდ მიმაჩნია ყველაფერი შეთქვა და შექნა, რათა სასჯელი თავს ამეცილებინა, მაგრამ სიტყვები აღარ მეყო, რომ თქვენ დამერწმუნებინეთ და ამიტომ ვისჯები? სრულიად არა. მე ვასჯები არა სიტყვების ნაკლებობის გამო. არამედ კადნიერების და ურცხვობის უქონლობის მიზეზით, რომ არ მსურდა ის შეთქვა თქვენს წინაშე, რასაც თქვენ სიამოვნებით მოისმენდით,—გოდებითა და ცრემლთა თხევით შექნა და მელაპარაკნა სხვა ცხვირით რამ, რაც როგორც ვამტკიცებ, არ შეკადრება და რის მოსმენასაც სხვებისაგან თქვენ მიჩვეული ხართ. მაგრამ მე მაშინაც ვფიქრობდი, რომ საშიშროების წინაშე არაფერი უმართებულო არ უნდა მოვიმოქმედო, და არც ეხლა ვნანობ, რომ თავს ამნაირად ვიცავდი, ვინაიდან მირჩევნია ამნაირად დავიცვა თავი და მოკვდე, ვიდრე სხვანაირად და ვიცოცხლო. არც სამსჯავროში, არც ომში, არც მე და არც სხვას არ შეჰფერის ამგვარს ხრიკებს მიმართოს და ყველაფერი ილონისძიოს, რათა სიკვდილი თავს აიცილოს. ბრძოლის დროსაც ხომ ხშირად ცხადია ხოლმე, რომ სიკვდილს ადვილად გადარჩები, თუ იარაღს დაჰყრი ან მუხლმოდრეკილი მდევნელთ შეევედრები. და კიდევ ბევრი სხვა ხერხია, რომ ადამიანი ყოველგვარ საშიშროებაში სიკვდილს გადარჩეს, თუ არავითარს საქმესა და სიტყვას არ ითაკილებს. მაგრამ, მოქალაქენო, ის კი არ არის ძნელი, რომ სიკვდილს გადარჩე. არამედ უმეტეს უძნელესია გადარჩე სირცხვილს, ვინაიდან იგი სიკვდილზედ უფრო ჩქარა შეეყრება ხოლმე ადამიანს, და აი ეხლაც მე, ჩუმი და მოხუცებული კაცი, იმით ვარ შეპყრობილი, რაც უმშვიდესია, ჩემი ბრალმდებელნი კი. ღონიერი და მარდი ხალხი, იმით, რაც უფრო მალაია—ბიწიერებით. და მე ეხლა თქვენ მიერ სიკვდილად მსჯავრდებული მივდივარ, ისინი კი ჭეშმარიტებისაგან გაწბილებულნი სიმდაბლისა და უსამართლობის გზით მიდიან და მე მრჩება ჩემი სასჯელი, იმათ კი თავისი: შეიძლება ეს ასეც უნდა მომხდარიყო, და ვფიქრობ, რომ ეს შესაფერისია.

30. ეხლა მე თქვენ, ჩემ მსაჯულთ, მწადიან მომავალი გიწინასწარმეტყველოთ, ვინაიდან იმგვარს მდგომარეობაში ვიმყოფები.

როცა ადამიანი ვანსაკუთრებით წინასწარმეტყველობს, ე. ი. როცა სიკვდილი წინ უძევს⁶⁶. მითქვამს თქვენთვის, მოქალაქენო, რომელთაც მომკალით მე, რომ მყისვე ჩემს სიკვდილას შემდგომ თქვენ, ვფიცავ ზევსს, უფრო საშინელი შურისძიება მოგვევლინებათ, ვიდრე ის მისაგებელი, რომლითაც თქვენ მომკალით. ამჟამად თქვენ ეს იმ იმედით მოიქმედეთ, რომ თქვენი უკეთური სიცოცხლის შესახებ ანგარიშის მიცემისაგან თავი დაგვეღწიეთ. მაგრამ, გეუბნებით, თქვენ სრულიად წინააღმდეგი რამ დაგემართებათ, უფრო მრავალი გამოგიჩნდებათ მამხილებელი, რომელთაც მე ვაკავებდი, თქვენ კი ვერ ამჩნევდით, და ისინი მით უფრო უღმობელი იქნებიან, რაც უფრო ახალგაზრდანი არიან, და თქვენ კიდევ უფრო შეძრწუნდებით. თუ თქვენ გგონიათ, რომ კაცისმკვლელობით ვისმე დააშლევინებთ თქვენს გინებას ურიგო ცხოვრებისათვის, ტყუილი ფიქრია, ვინაიდან ასეთის გზით ხსნა არც დიდად გამოსადეგია და არც კარგია, ხოლო უკეთესი და უადვილესი მეორე გზაა — სხვის ჩაგვრას მოერიდო და თავი შენი ისე განიმზადო, რომ უკეთესი იქნე. ეს მიწინასწარმეტყველება თქვენთვის, რომელთაც გამამტყუენეთ, და გშორდებით.

31. იმათთან კი, ვინც გამამართლა, სიამოვნებით ვისაუბრებდი მომხდარი ამბის შესახებ, სანამ ხელისუფალნი მოუცლელნი არიან⁶⁷ და სანამ არ წაესულვარ იქ, სადაც მისვლისთანავე უნდა მოვკვდე. მაშ, მოდით, მოქალაქენო, ცოტა ხანს დარჩით ჩემთან, ვინაიდან არავინ არ გვიშლის ერთმანეთს ვესაუბროთ, სანამ შესაძლებელია. თქვენ, როგორც მეგობრებს, მსურს გაჩვენოთ, თუ რა აზრი აქვს იმ ამბავს, მე რომ ეხლა შემემთხვა. მე, მსაჯულნო,—თქვენ რომ მსაჯულებს გიწოდებთ, მართალს ვამბობ—საკვირველი რამ დაემართა. ჩემთვის დაიმონოს ჩვეულებრივი წინასწავება მთელი წარსული დროის განმავლობაში ფრიად ხშირი იყო და სრულიად უბრალო საქმეებშიც კი მეწინააღმდეგებოდა, თუ რასმე უმართებულოს განვიზარახავდი. ეხლა კი, როგორც თვით თქვენცა ხედავთ, შემემთხვა ის, რაც ზოგიერთს. ოღონდაც შეუძლია მიიჩნიოს—და ნამდვილად მიაჩნიათ კიდევ—უდიდეს უბედურებად. ღვთაებრივი ნიში მე არც მაშინ მეწინააღმდეგებოდა, როცა გათენებისას სახლიდან გამოვედი, არც მაშინ, როცა აქ, სამსჯავროში შემოვედი, და არც მაშინ, როცა ვლაპარაკობდი და განზრახული მქონდა რამე მეტქვა; სხვა დროს კი რომ მილაპარაკნია ხოლმე, სიტყვას შუაზე მაწყვეტიანებდა, ეხლა კი, ამ საქმეში, სრულებით არ ეწინააღმდეგებოდა არც ჩემს მოქმედებას და არც სიტყვას. როგორღა უნდა გავი-

გოთ ამის მიზეზი? ამასაც გეტყვით: მე მგონია, რომ ბედნიერი შემთხვევაა ის, რაც დამემართა, და არ შეიძლება მართალი იყოს ჩვენი აზრი, თუ ვინმე ვფიქრობთ, რომ სიკვდილი უბედურებაა. და ამისათვის დიდი საბუთი მაქვს; შეუძლებელია ეს ჩვეულებრივი ნიში არ წინააღმდეგომოდა, ბოროტი რამ განზრახვა რომ გულში მქონოდა.

32. განვიხილოთ ისიც, თუ რაოდენ დიდია იმედი, რომ სიკვდილი ბედნიერებაა. სიკვდილი ორში ერთს უნდა ნიშნავდეს: ან სიკვდილი სრული მოსპობაა, ისეთი რომ მკვდარი სრულიად არაფერს არ გრძნობს, ანდა, როგორც ამბობს თქმულება⁶⁸, სიკვდილი სულის რაღაც ცვლილებაა და ამ ქვეყნიდან სხვა ქვეყნად გადასახლება. თუ სიკვდილი სრული უგრძობელობაა, როგორც სიზმარი, როცა მძინარი ძილშიც კი არაფერს არ ხედავს, საკვირველად სასარგებლო იქნებოდა იგი. მე მგონია, ვინმემ რომ მოისურვოს ისეთი ღამის ამორჩევა, როცა მას ისე ეძინა, რომ ძილში არაფერი არ უნახავს, და ამ ღამეს თავის სიცოცხლის დანარჩენი დღეები და ღამეები შეადაროს, მოისაზროს და სთქვას, თავის სიცოცხლის რამდენი დღე და ღამე გაუტარებია მას იმ ღამესთან შედარებით უკეთესად და უფრო საამოდ,— მე მგონია (არა მხოლოდ კერძო ადამიანი, არამედ დიდი მეფეც კი)⁶⁹ დაინახავდა, რომ იმ ღამეების რიცხვი დანარჩენ დღეებთან და ღამეებთან შედარებით დიდი არ არის. მუშასადამე, თუ სიკვდილი ასეთია, მე ის სარფად მიმაჩნია, ვინაიდან მთელი დანარჩენი დრო ერთ ღამეს არაფრით არ აღემატება, ხოლო თუ სიკვდილი თითქოს აქედგან სხვა ქვეყნად გადასახლებაა და თუ მართალია თქმულება, რომ ყველა მიცვალებული იქ იმყოფება, ამაზედ უდიდესი ბედნიერება, მსაჯულნო, რომელია იქნება? თუ ჰადესში გადასახლებით მოშორდები იმათ, ვისაც მსაჯულთ უწოდებენ, და ქეშმარიტ მსაჯულებს იპოვი, რომელნიც ამბობენ, იქ სამართალს სჭრიან— მინოსს, რადამანტს, ეაკოს, ტრიპტოლემოსს⁷⁰ და სხვა გმირებს, თავიანთ სიცოცხლეში რომ სათნონი ყოფილან,—განა ეს ცუდი გადასახლება იქნებოდა? რა ფასს არ გაიღებს თითოეული თქვენგანი, რომ ორფეოსთან, მუზეოსთან, პესიოდთან და ჰომიროსთან⁷¹ ერთად იყოს. მე მზადა ვარ მრავალჯერ მოგვკვდე, თუ ეს მართალია. ჩემთვის აქ ყოფნა უცნაურიც იქნებოდა, ვინაიდან იქ მე შევხვდებოდი პალამედს⁷², ეანტს, ტელამონის შვილს და სხვებს ძველთაგან, ვინც უსამართლო განაჩენის წყალობით დაღუპულა⁷³, და მე მგონია, რომ ჩემი თავგადასავალის იმათ თავგადასავალთან შედარება უსიამო არ იქნება. თავი და თავი კი ის არის, რომ შეგიძლია იქაურე-

ბიც გამოსცადო და გამოიკვლიო, როგორც აქაურები, ვინ არის მათგან ბრძენი და ვის მხოლოდ ჰგონია, რომ ბრძენია, ნამდვილად კი არ არის. რა ფასს არ გაიღებს, მსაჯულნო, ყოველი, რომ გაიცინოს მხედართმთავარი, რომელიც დიდი ლაშქრით ეკვეთა ტროას⁷⁴, ან ოდისე, ან სიზიფოსი⁷⁵ ან კიდეუ ათასი სხვა მამაკაცი და დედაკაცი? იქ მათთან საუბრობა, ერთად ყოფნა, მათი გაცნობა გამოუთქმელი ბედნიერება იქნებოდა იქაურები ამისთვის, რასაკვირველია, სრულიად არავის არ ჰკლავენ, ვინაიდან, გარეშე სხვა ყველაფრისა, ისინი აქაურებზედ უფრო ბედნიერნი და უკუნისამდე უკვდავნი არიან.

33. მაგრამ, მსაჯულნო, სიკვდილისა თქვენც კარგი იმედები უნდა გქონდესთ, და ჭეშმარიტებად ერთი რამ უნდა იქნეს აღიარებული, რომ სათნო ადამიანს არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ ცუდი არაფერი არ შეემთხვევა და რომ იმის საქმეებისათვის ღმერთები ზრუნავენ. ეს ჩემი ეხლანდელი საქმეც შემთხვევით არ მომხდარა,—აშკარაა, რომ ჩემთვის უმჯობესია მოვკვდე და გავთავისუფლდე ამა სოფლისა იწროებისაგან, ამიტომაც ნიშნ ჩემთვის არაა. დეს არ დაუშლია და მეც სრულებით არ ვემდური იმათ, ვინც სასაჯელი ჟამიჩინა და ვინც ბრალი დამდვა, თუმცა მასამართლებდნენ და ბრალსა მდებდნენ არა ამ განზრახვით, არამედ ფიქრობდნენ ევნოთ ჩემთვის. მათი ასეთი საქციელი გაიციხვის ღირსია, მაგრამ მიუხედავად ამისა მე მაინც ვთხოვ მათ: ჩემი შვილები რომ წამოიზრდებიან, მოქალაქენო, დასაჯეთ ისინი, შეავიწროეთ ისე, როგორც მე თქვენ გავიწროებდით. თუ დაინახოთ რომ ფულისათვის ან სხვა რისთვისმე უფრო ზრუნავენ ვიდრე სათნოებისათვის; თუ ისინი იფიქრებენ, თითქო რაღაც არიან, არაფერი კი არ იქნებიან, გაჰკიცხეთ, როგორც გკიცხავდით მე, რომ არ ზრუნავენ იმისათვის, რისთვისაც ჯერ არს ზრუნვა, და ფიქრობენ, თითქო რაღასაც წარმოადგენენ, ნამდვილად კი არაფრად არ ღირან. თუ თქვენ ასე მოიქცევით, მე და ჩემს შვილებს თქვენგან სამართალი მოგვენიჭება. მაგრამ აი უკვე დროც არის წავიდეთ—მე, რათა მოვკვდე, თქვენ კი რათა იცოცხლოთ. ვინ მიღის ჩვენში უკეთესი გზით, ეს იცის მხოლოდ ღმერთმა.

კ რ ი ტ ო ნ ი

კრიტიკონისა და სოკრატეს დიალოგი

1. სოკრატე. რად მოსულხარ, კრიტონ, ეგრე ადრე? თუ არც ისე ადრეა?

კრიტონი. რასაკვირველია, ადრეა.

სოკრატე. მაინც რა დროა?

კრიტონი. განთიადია.

სოკრატე. მიკვირს, როგორ დაითანხმე საპატიმროს ღარაჯი, რომ კარი გაეღო შენთვის.

კრიტონი. ის ხომ ჩემი მეგობარია, სოკრატე, მე აქ ხშირად მოვდივარ ხოლმე და გარდა ამისა მომადლიერებულიცა მყავს.

სოკრატე. ეს არის ეხლა მოხვედი, თუ დიდი ხანია?

კრიტონი. კარგა ხანია.

სოკრატე. მერე, მაშინვე რად არ გამალვიძე, რომ დამჯღარხარ დაღუმებული?

კრიტონი. არა, სოკრატე, ვფიცავ ზევსს, თვით მეც არ ვისურვებდი და მაშასადამე არც შენ გისურვებ ესოდენ ტანჯვასა და უძილობას; მით უფრო განცვიფრებული გიცქერი კარგა ხანია, ეგრე ტკბილად რომ გძინავს, და განზრახ არ გაგალვიძე, რომ მეტის სიამით განევლო შენთვის დროს. მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში შენი ხასიათისათვის უწინაც ხშირად გადიდებდი, მაგრამ განსაკუთრებით გადიდებ ეხლა, რაც ეს უბედურება თავს დაგატყდა: როგორ ადვილად და მშვიდად ითმენ.

სოკრატე. განა უმართებულო არ იქნებოდა, კრიტონ, ჩემისთანა მოხუცი ბედს ემღუროდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნდა მოკვდეს.

კრიტონი. სხვებსაც, სოკრატე, შენისთანა მოხუცებს ემართებათ ასეთი ხიფათი, მაგრამ ხნიერება სრულიად არ უშლით მათ ბედს ემღურონ.

სოკრატე. ესეც მოხდება, მაგრამ ასე ადრე მაინც რამ მოგიყვანა?

კრიტონი. ცუდი ამბავი მომაქვს, სოკრატე, შენთვის კი არა. არამედ, როგორც მე მგონია, ყველა შენი მეგობრისათვის, — ცუდი

და სამწუხარო ამბავი და ამის ატანა, ვფიქრობ, ყველაზედ უფრო მე მიმიძიოს.

სოკრატე. რა ამბავია? ხომ არ დაბრუნებულა დელოსიდან ზომალდი, რომლის მოსვლისთანავე მე უნდა მოვკვდე?²

კრიტონი. არა, არ დაბრუნებულა, მაგრამ ვფიქრობ დღეს უნდა მოვიდეს, როგორც იტყობინებიან სუნთინიდან³ მოსულნი, რომელთაც იქ დაუტოვებიათ იგი. აქედან ცხადია, რომ ზომალდი დღეს დაბრუნდება და, მაშასადამე, ხვალ, სოკრატე, ბოლო უნდა მოუღო შენს სიცოცხლეს.

2. სოკრატე. მშვიდობა მის მოსვლას, კრიტონ! თუ ღმერთებს ეგრე ჰნებათ, დე ეგრე იყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის დღეს არ დაბრუნდება.

კრიტონი. რატომ გგონია?

სოკრატე. აი გითხრა, მე ხომ მეორე დღეს უნდა მოვკვდე ზომალდი რომ დაბრუნდება?

კრიტონი. ეგრე ამბობენ ხელისუფალნი⁴.

სოკრატე. მაშ, მე ვფიქრობ, რომ ზომალდი ხვალ მოვა და არა დღეს. ამას მაფიქრებინებს ერთი სიზმარი, რომელიც დიდი ხანი არ არის ვნახე ამ ღამით, და მგონია კარგი ჰქენი, რომ უდროოდ დროს არ გამაღვიძე.

კრიტონი. რა სიზმარი იყო?

სოკრატე. მესიზმრა, თითქოს მოვიდა ჩემთან ვიღაც ქალი, მშვენიერი; თვალადი, თეთრად მოსილი, დამიძახა და მითხრა: „სოკრატე. ამიერიითგან მესამე დღეს ანაყოფიერს აფთიასა მოხვალ“.⁵

კრიტონი. უცნაური სიზმარია, სოკრატე.

სოკრატე. ყოველ შემთხვევაში, კრიტონ, სულ ადვილი ასახსნელი მგონია.

3. კრიტონი. ოღონდაც, ძალიან ადვილი ასახსნელია, მაგრამ საკვირველო სოკრატე, ეხლა მაინც გამიგონე და თავს უშველე, ვინაიდან შენ რომ მოკვდე, ჩემთვის ეს განა ერთი უბედურება იქნება. გარდა იმისა, რომ დავჰკარგავ ისეთს მეგობარს, როგორსაც ვერაოდეს ველარ შევიძენ, ბევრი, ვინც მე და შენ კარგად ვერ გვიცნობს. იფიქრებს, რომ მე შემეძლო შენი ხსნა, თუ მოვისურვებდი ფულის დახარჯვას, მაგრამ არ ვიზრუნე, და განა იმაზედ უფრო საძრახი რამე იქნება, როცა ხმა გავარდება, რომ ჩვენ ფული მეგობრებს გვირჩევენია? ხალხი ხომ არ დაიჭერებს, რომ თვით შენ არ მოისურვე აქედან გასვლა, თუმცა ჩვენ ძლიერ ვცდილობდით.

სოკრატე. მერე ჩვენ, საყვარელო კრიტონ, ეგრე რად უნდა გვედარდებოდეს, თუ რას ჰფიქრობს უმრავლესობა. რიგიანი ხალხი, ვინც ღირსია ყურადღებისა, იტყვის—ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოხდაო.

კრიტონი. მაგრამ ხომ ხედავ, სოკრატე, რომ უმრავლესობის აზრსაც აუცილებლივ უნდა ვათხოვოთ ხოლმე ყური. თვით აწინდელი მდგომარეობა განა ნათლად არ გვიჩვენებს, რომ უმრავლესობას შეუძლია მცირე რამ ხიფათი კი არა მხოლოდ, არამედ უდიდესი განსაცდელიც შეამთხვიოს იმას, ვინც მის თვალში ცილდაწამებულია.

სოკრატე. ო, კრიტონ, ნეტავი კი შეეძლოს უმრავლესობას ადამიანის განსაცდელში ჩაგდება, რომ მეორეს მხრით მასვე შეეძლოს უდიდესი სიკეთის მინიჭებაც—ეს ხომ კარგი იქნებოდა. ეხლა კი, მას არც ერთი შეუძლია და არც მეორე, ვინაიდან მას არ ძალუძს ადამიანს მინიჭოს ან წაართვას გონიერება და მოქმედებს ისე, როგორც შეემთხვევა.

4. კრიტონი. დე, ეგრე იყოს. მაგრამ აი რა მითხარი, სოკრატე: ნუთუ შენ ჩემთვისა და სხვა მეგობრებისათვის ჰშიშობ, რომ, თუ შენ აქედგან გაიპარები, სიკოფანტები⁶ ჩვენ აგვიტეხენ დავიდარებას, თითქო ჩვენ გაგაპარეთ და ან მთელს ჩვენს ქონებას ჩამოგვართმევენ, ან დიდ ფულს გადაგვახდევინებენ, ანდა კიდევ რამე სხვა ფაფურაკს შეგვამთხვევენ? თუ ასეთი რამე გაშინებს, დაივიწყე ეგ შენი შიში. განა სამართლიანი არ იქნება გიხსნათ შენ და თვით ჩვენ კი ჩავცვივდეთ ამ ხიფათში და, თუ საჭირო იქნება, უარესშიც? დაიჯერე ჩემი და სხვანაირად ნუ მოიქცევი.

სოკრატე. დიახ, კრიტონ, სწორედ ეგ მაშინებს და კიდევ ბევრი რამ სხვაც.

კრიტონი. ამისი ნუ გეშინია—მეტქი. არც ისე ბევრ ფულსა თხოულობენ შენი აქედგან დახსნისა და გაპარებისათვის. მერე განა შენ არ იცი, თუ რა იაფი ხალხია ეს სიკოფანტები და რა ცოტა ფულია მათთვის საჭირო. ჩემი ქონება ხომ შენს განკარგულებაშია და მგონია საკმარისიც არის და ეგეც რომ არ იყოს, თუ შენ ჩემთვის ჰზრუნავ და არ გინდა, რომ ჩემი ფული დაიხარჯოს, აქ ხომ უცხოელნი არიან, ისინიც მზად არიან, გაიღონ ხარჯი. ერთს იმათგანს სწორედ ამ საქმისათვის კიდეც მოუტანია საკმაო ფული—მაგალითად, სიმია⁷ თებელს. მზად არის კე ბეტრი⁸ და აგრეთვე ბევრი სხვაც. ამიტომ გეუბნები, ნურც ამისი გეშინია და ხელს ნუ აიღებ შენი თავის ხსნაზე და ნურც ის გარემოება გაფიქრებს, სასამართლოში რომ ამბობდი, თითქოს აქედან გაპარულს არ გეცოდინება, თუ სად შეაფარო თავი. განა

ბრავალ სხვა ადგილს, სადაც კი მიხვალ, სიყვარულით არ შეგიტკობენ? თუ თესალიაში მოისურვებ წასვლას, იქ მე მეგობრები მყავს, რომელნიც დიდათ დაგაფასებენ და დაგიცავენ საშიშროებისაგან, ასე რომ თესალიაში შენ არავითარი ფათერაკი არ მოგელის.

5. გარდა ამისა, სოკრატ, მე მგონია შენი განზრახვა არც სამართლიანია აგრეთვე: შენ გინდა თავი გასწირო, თუმცა შესაძლებელია ხსნა, და მოწადინებული ხარ ის აუტეხო შენს თავს, რასაც შენი მტრები ნატრულობდნენ და აკი ნამდვილ შეისრულეს თავიანთი წადილი, შენი დალუპვა რომ განიზრახეს. ამასთანავე შენ, ჩემის აზრით. შენს შვილებსაც ჰლუპავ, თუმცა შეგიძლია კიდევაც გამოჰკვებო ისინი, კიდევაც აღზარდო, და შენ კი მათ ღვთის ანაბარად სტოვებ, და შენი ბრალი იქნება, თუ ისინი ისე იცხოვრებენ, როგორც შეემთხვევათ. მათ კი ბუნებითად დაემართებათ ის, რაც ჩვეულებრივ ემართებათ ობლებს ობლობაში. მართლაც, ან სულ არ უნდა გააჩინო ბავშვები ანდა ბოლომდის იშრომ-იღვაწო მათი აღზრდისა და განათლებისათვის. შენ კი, მე მგონია, დიდ დაუდევრობას იჩენ. საჭირო კია ის აირჩიო, რასაც აირჩევდა კეთილი და მამაცი ადამიანი, განსაკუთრებით, როცა ამტკიცებს, რომ მთელი სიციოცხლე სათნოებისათვის ზრუნვას შესწირა. მე კი მრცხვენია შენთვისაც და ჩვენთვისაც, შენი მეგობრებისათვის, — ვაითუ ვინმემ იფიქროს, რომ ყველაფერი, რაც შენ შეგემთხვა, მოხდა რაღაც ჩვენი სილაჩრის გამო, და ის გარემოება, რომ საქმე შეტანილ იქნა სამსჯავროში ან როგორ იქნა შეტანილი⁹, თუმცა შეიძლებოდა არ ყოფილიყო შეტანილი, თვით გასამართლებაც, როგორც ის სწარმოებდა, და ეს დასასრულიც¹⁰, თითქო საქმის გაბიადრუება, — იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ყველაფერი ეს თვალსა და ხელს შუა გამოგვეპარა ჩვენი უეარგისობისა და სიმბდალის წყალობით, ვინაიდან ჩვენ არ გიხსენით შენ და შენ იხსენი შენი თავი, თუმცა ეს შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო. სოკრატ, დაუფიქრდი ამას, რათა შენცა და ჩვენც უბედურებასთან ერთად სირცხვილიც არ დაგვემართოს. აბა, მოისაზრე ეს, მაგრამ ფიქრის დროც აღარ არის, დრო არის საქმეს შევუდგეთ. მარტოოდენ ერთი საშუალებაა: უახლოესი დამით ყველაფერი ეს უნდა გათავდეს, ხოლო თუ კიდევ დავაგვიანეთ, უკვე შეუძლებელი და მოუხერხებელი იქნება. ამიტომ, სოკრატ, უთუოდ გამიგონე და არასგზით სხვანაირად არ მოიქეცე.

ს.ოკრატე. შენი თავდადება, საყვარელო კრიტონ, ფრიად ძვირფასი იქნებოდა, სამართლიანობაზედ რომ იყოს ცოტაოდენ მაინც დაწყარებული, — უამისოდ რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო სამძიმოა.

ამიტომ მოვისაზროთ, უნდა ეგრე მოვიქცეთ თუ არა. მე მხოლოდ ეხლა კი არა, ყოველთვის ისეთი ვარ, რომ მთელს ჩემს აზროვნებაში მარტოდენ იმ საბუთს ვემორჩილები, რომელიც საუკეთესოდ მიმაჩნია. ეხლა, ეს უბედურება რომ თავს დამატყდა, მე ვერ უკუვაგდებ იმ საბუთს, უწინ რომ ვალიარებდი, ვინაიდან ეს მოსაზრება მე თითქმის იმნაირადვე მიმაჩნია და დღესაც ისე ვსცემ პატივსა და ვეთაყვანები, როგორც უწინ. თუ ჩვენ ამჟამად არ ძალგვიძს უკეთესი რამ მოვისაზროთ, კარგად იცოდე, მე არასგზით არ დაგეთანხმები, თუგინდ უმრავლესობის ძლიერებამ მოიწადინოს ჩენი კიდევ უფრო შეშინება, როგორც ბავშვებისა, ვიდრე ამჟამად გავშინებს, როცა გვივლენს ბორკილებს, სიკვდილსა და ქონების ჩამორთმევას.

6. მაშ, როგორ განვიხილოთ ეს საქმე უმართებულებად? იქნება თავდაპირველად ის დებულება განვიხილოთ, შენ რომ აღნიშნე სხვისი აზრების შესახებ—„მართლის აზრს უნდა მიაქციო ყურადღება და ზოგიერთისას კი არაო“. ან იქნება ეს კარგი ნათქვამი იყო მაშინ, როცა მე სიკვდილი არ მომელოდა, ეხლა კი აღმოჩნდა. იმისთვის გვითქვამს, რომ რამე გვეთქვა, ნამდვილად კი სახუმაროდ და სალაცხოდ. კრიტონ, მე მსურს შენთან ერთად განვიხილო— შეიცვალა თუ არა რაოდენადმე ჩემი აზრი მას შემდეგ, რაც ამ მდგომარეობაში ჩავვარდი? თუ იგივე დარჩა, დავეგმოთ ის თუ დავემორჩილოთ მას? მე მგონია, ხალხი, რომელიც ჰვიქრობს, რომ ის საფუძვლიანს რასმე ამბობს, ყოველთვის თითქმის იმასვე ამბობდა. რაც ეხლა მე ვსთქვი: იმ აზრებში, ხალხს რომა აქვს, ზოგს დიდად უნდა ვაფასებდეთ, ზოგს კი არა. ვაფიცებ ღმერთებს, კრიტონ, განა ეს მართებულად არ იყო ნათქვამი? და რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია აღამიანთა საქმეები განვსაჯოთ,—შენ ხომ ხვალ სიკვდილი არ მოგელის და არც რამე უბედურება გჭირს, თავგზას რომ გიბნევდეს, — მაშ, განსაჯე: როგორ გგონია, კარგად არის თუ არა ნათქვამი. რომ „ხალხის ყველა აზრს კი არ უნდა სცემდე პატივსა, არამედ ზოგს უნდა სცემდე პატივს და ზოგს კი არა?“ (და არც ყოველ აღამიანს, არამედ ზოგიერთს კი და ზოგიერთს არა?) რას იტყვი? განა სწორი ნათქვამი არ არის?

კ რ ი ტ ო ნ ი. სწორია.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, კარგი აზრი უნდა ვიწამოთ და ცუდი კი არა?

კ რ ი ტ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. და კარგი აზრი ხომ კეთილგონიერთა აზრია, ცუდი კი — უგუნურთა?

კ რ ი ტ ო ნ ი. ეგრე უნდა იყოს.

7. ს ო კ რ ა ტ ე. აბა, როგორ განვსაჯოთ ასეთი 'შემთხვევა'. ტანმო-
ვარჯიშე კაცმა, ამ საქმეს რომ მისდევს განსაკუთრებით, ყოველი
ადამიანის ქებას, კიცხვასა და აზრს უნდა მიაქციოს ყურადღება, თუ
მარტოოდენ იმ ერთისას, ვინც მკურნალია და პედოტრიბი?!"

კ რ ი ტ ო ნ ი. მხოლოდ იმ ერთისას.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, მარტოოდენ იმ ერთი ადამიანის კიცხვა უნდა
გვაშინებდეს და ქება კი გვახარებდეს და არა ხალხის უმრავლესო-
ბისა?

კ რ ი ტ ო ნ ი. ცხადია.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, უფრო ხომ ისე უნდა ვსაქმობდეთ,
ვევარჯიშობდეთ, ვკვამდეთ და ვსვამდეთ, როგორც საჭიროდ მიაჩნია
საქმის ბელმძღვანელსა და მცოდნეს, და არა როგორც ყველა სხვას?

კ რ ი ტ ო ნ ი. ეგრეა.

ს ო კ რ ა ტ ე. კეთილი, მაშ, თუ ვინმე იმ ერთს არ გაუგონებს და
ყურს არ ათხოვებს მის აზრსა (და ქებას) და იჯერებს უმრავლესობის
აზრს, საქმისა რომ არა გაეგება რა. რამე ფათერაკი ხომ არ შეემთხვე-
ვა მას ამის გამო?

კ რ ი ტ ო ნ ი. როგორ არა.

ს ო კ რ ა ტ ე. მერე რა არის ეს ფათერაკი? საითკენ არის მიმარ-
თული და რომელ მხარეს ეხება ურჩისას?

კ რ ი ტ ო ნ ი. აშკარაა სხეულს, ვინაიდან ბოროტება სწორედ
სხეულს არღვევს.

ს ო კ რ ა ტ ე. მშვენიერად ლაპარაკობ და განა. კრიტონ, ყველა-
ფერი ეგრე არ არის, რომ არ ჩამოვთვალოთ ყველა შემთხვევა -- შე-
სახებ სამართლიანობისა და უსამართლობისა, სისაძაგლისა და მშვე-
ნიერებისა, კეთილისა და ბოროტისა და მის შესახებაც. რისთვისაც
ჩვენ ეხლა თათბირი გვაქვს? ჩვენ უმრავლესობის აზრს უნდა მივს-
დიოთ და მისი გვეშინოდეს, ვიდრე ყველა სხვისი? თუ არ შევეუდე-
ქით მას, ხომ წვახლდენტ და გავაფუჭებთ იმას, რაც სამართლიანობით
უმჯობესდება და უსამართლობით კი იღუპება? ან იქნებ ეს არაფე-
რია?

კ რ ი ტ ო ნ ი. მეც ეგრე ვფიქრობ, სოკრატე.

8. ს ო კ რ ა ტ ე. ჰოდა, თუ ჩვენ ყურს ვათხოვებთ შეუფენებელთა
აზრსა და მოვსაობთ მას, რაც სისაღისაგან უმჯობესდება და ავადო-
ბისაგან კი ირღვევა, ღირსლა ჩვენთვის სიცოცხლე, თუ ის დაიღუპე-
ბა, — მე სხეულისას გეუბნები, — თუ არა ღირს?

კ რ ი ტ ო ნ ი. დიახაც არა ღირს.

სოკრატე. უფარგისი და დარღვეული სხეულით კი ღირს ჩვენთვის სიცოცხლე?

კრიტონი. არასგზით.

სოკრატე. ან კი რად ღირს ჩვენთვის სიცოცხლე, თუ დარღვეულია ის, რასაც უსამართლობა ვნებს და სამართლიანობა კი რგებს? ან იქნება ჩვენს სხეულზედ უფრო მდარედ მიგვაჩნია ის, რაც შეადგენს ჩვენი არსების იმ მხარეს, უსამართლობასა და სამართლიანობასთან რომ კავშირი აქვს?

კრიტონი. არაოდეს.

სოკრატე. მაშ, უფრო ძვირფასად მიგვაჩნია?

კრიტონი. ფრიალ ძვირფასად.

სოკრატე. მაშასადამე, უსაყვარლესო, სრულიად არ უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, თუ რას იტყვის ჩვენზედ უმრავლესობა, არამედ რას იტყვის ის, ვისაც შეგნებული აქვს სამართლიანობა და თვით ჭეშმარიტება. ამგვარად, შენს წინადადებაში მართალი არ არის უწინარეს ყოვლისა ის, თითქო ჩვენ იმისათვის უნდა ვზრუნავდეთ, თუ რა აზრის არის უმრავლესობა შესახებ სამართლიანობისა, მშვენიერებისა, სათნოებისა და იმისა, რაც ყველა ამას ეწინააღმდეგება. მაგრამ იქნება ვინმემ სთქვას—უმრავლესობას ხომ შეუძლია თქვენი მოკვდინებაო?

კრიტონი. ესეც აშკარაა, შესაძლებელია სთქვან, სოკრატე.

სოკრატე. მართალს ამბობ, მაგრამ, ჰოი საკვირველო, ის დებულება, ეხლა რომ განვიხილეთ, ამჟამადაც კიდევ ისე მიმაჩნია, როგორც უწინ. და კვლავ განსაჯე, შერჩა თუ არა რამე საფუძვლიანობა იმ დებულებას, რომ უაღრესად მისაჩნევი ის კი არ არის, რომ იცხოვრო, არამედ ის, რომ იცხოვრო სათნოდ?

კრიტონი. ოღონდაც შერჩა!

სოკრატე. და მერე აქვს თუ არა ძალა დებულებას, რომ კარგი, მშვენიერი და სამართლიანი ერთი და იგივე ცნებაა?

კრიტონი. დიახაც აქვს.

9. სოკრატე. მაშ, ჩვენ მიერ აღიარებულ დებულებათა მიხედვით უნდა განვიხილოთ საკითხი: სამართლიანი იქნება თუ უსამართლო, რომ ვცადო აქედგან გაპარვა ათენელთა ნებადაურთველად? და თუ აღმოჩნდება, რომ ეს სამართლიანი იქნება, შევეცადოთ თუ თავი დავანებოთ? შენი მოსაზრება კი ფულის ხარჯისა, უმრავლესობის აზრისა და ბავშვების აღზრდის შესახებ—ეს ხომ იმათივე მოსაზრებაა, ვინც ეგრე ადვილად სრულიად უაზროდ ხოცავს ხალხს და, რომ შეეძლოს, გააცოცხლებდა კიდევ, ე. ი. უმრავლესობისა? ჩვენ კი, თუ გულისხმიერებას მივყევებით, მხოლოდ ის უნდა განვსაჯოთ,

რაზედაც ეხლა ვლაპარაკობდით და სხვა არაფერი—სამართლმადობა: იქნება განა, რომ სასყიდელი და მადლობა მივაგოთ იმათ, ვინც მე აქედგან გამიყვანს და თვითვე ვიყვეთ გამყვანნიც და გაყვანილნიც? თუ ყველა ამის მომქმედნი ჭეშმარიტებას შევბლაღავთ? და თუ აღმოჩნდება, რომ ასეთი ღონისძიება უსამართლო იქნება, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ იმას, რომ თუ აქ დავრჩებით და გულმშვიდად ვიქნებით, ჩვენ მოგვაკვდინებენ ან სხვა რასმე დაგვმართებენ, ოღონდ უსამართლობა კი არ ჩავიდინოთ.

კ რ ი ტ ო ნ ი. ჩემის აზრით, სოკრატე, შენ მშვენივრად ლაპარაკობ, მაგრამ აბა მოისაზრე, რა მოვიქმედოთ?

ს ო კ რ ა ტ ე. ერთად მოვისაზროთ, ჩემო კეთილო, და თუ შენ საკმაოდ გაქვს რამე სათქმელი, სთქვი და მოგისმენ. თუ არა და, ჩემო ძვირფასო, თავი დაანებე და ერთსა და იმასვე ნუ იმეორებ, რომ მე აქედგან უნდა გავიდე ათენელთა ნებადაურთველად, ვინაიდან ჩემთვის ფრიად საგულისხმოა ამ შემთხვევაში ყველაფერი მოვიქმედო შენთან თანხმობით და არა შენი სურვილის წინააღმდეგ. ჩაუფიქრდი მსჯელობის დასაბამს. თუ იგი შენ გაკმაყოფილებს, უცადე რაც შეიძლება უკეთესად მომიგო ჩემს კითხვებზედ.

კ რ ი ტ ო ნ ი. ვეცდები.

10. ს ო კ რ ა ტ ე. ვამტკიცებთ ჩვენ თუ არა, რომ არავითარს შემთხვევაში არ შეიძლება უსამართლოდ მოქმედება, ან იქნება ერთს შემთხვევაში შეიძლება უსამართლოდ მოქმედება, მეორეში კი არა? და შემდეგ, რომ უსამართლობა არაოდეს არ არის არც — სათნო და არც მშვენიერი, როგორც მრავალჯერ აღგვიარებია? მაშ, ნუთუ (ეხლა რომ ვბაასობთ) ყველა ჩვენი უწინდელი აღსარება ამ რამდენსავე დღეში გაიფანტა და ჩვენ, კრიტონ, ასეთ დროულ კაცებს, ურთიერთ შორის გაბმულ ხანგრძლივს ბაასში სულ გვავიწყდება ჩვენი თავი და აღარაფრით განვირჩევით ბავშვებისაგან? ანდა კიდევ, შეიძლება საქმის მდგომარეობა ისეთია, როგორც ჩვენ მაშინ ვამბობდით, ე. ი. ამტკიცებს თუ არ ამტკიცებს უმრავლესობა, უნდა განვიცადოთ თუ არ უნდა განვიცადოთ კიდევ რამე უფრო მძიმე ან უფრო ადვილი, უსამართლოდ მოქმედება იმისათვის, ვინც უსამართლოდ მოქმედებს, საზიზღრობა და ბოროტებაა ყოველ შემთხვევაში. ვამტკიცებთ ამას თუ არა?

კ რ ი ტ ო ნ ი. ვამტკიცებთ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, ხომ არაოდეს არ უნდა მოვიქცეთ უსამართლოდ?

კ რ ი ტ ო ნ ი. ნამდვილად.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, წინააღმდეგ უმრავლესობის აზრისა.

არ არის მართებული უსამართლობისათვის უსამართლობისვე მიგება. ვინაიდან უსამართლოდ არაოდეს არ უნდა ვმოქმედებდეთ.

კ რ ი ტ ო ნ ი. ცხადია, რომ არ არის მართებული.

ს ო კ რ ა ტ ე. კეთილი. მართებულია თუ არა, კრიტონ, ბოროტის ყოფა?

კ რ ი ტ ო ნ ი. რასაკვირველია, არა, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ხომ ვერა? ბოროტისათვის ბოროტის მიგება კი, როგორც ამტკიცებს უმრავლესობა, სამართლიანია თუ უსამართლო?

კ რ ი ტ ო ნ ი. ოღონდაც უსამართლოა.

ს ო კ რ ა ტ ე. ვინაიდან, ბოროტად მოეპყრობი ადამიანს თუ უსამართლოდ. არავითარი განსხვავება არ არის.

კ რ ი ტ ო ნ ი. ქეშმარიტებას ამბობ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, არც უმრავლესობის მიგებაა უსამართლობისათვის მართებული და არც ბოროტისყოფა ვისთვისმე ადამიანთაგან, თუგინდ რამე სატანჯველიც განვიცადოთ მისგან. დაფიქრდრ, კრიტონ, თუ დამეთანხმები ამაზედ, შენი რწმენის საწინააღმდეგოდ არ დამეთანხმო. მე ხომ ვიცი, რომ მრავალნი ამ რწმენას არც იზიარებენ და არც გაიზიარებენ, და როცა ერთნი ასე ჰფიქრობენ, მეორენი კი სხვანაირად, საერთო აზრი მათ არა აქვთ და ამიტომ აუცილებლივ სძულთ ერთმანეთი, ურთიერთის აზრები რომ იციან. და შენც ამას კარგად ჩაუფიქრდი, იზიარებ თუ არა ჩემს რწმენას, შენც ასე ჰფიქრობ თუ არა და შეგვიძლია თუ არა თათბირი იმ დებულებით დავიწყოთ, რომ არაოდეს არ შეიძლება მართებული იქნეს არც უსამართლო მოქმედება, არც უსამართლობის მიგება უსამართლობისათვის და არც ბოროტის წამკიდებელთათვის ბოროტისყოფა და ბოროტისვე მიზღვევა. ან იქნება შენ უარსა ჰყოფ ამ დებულებას და აღარ მეთანხმები? მე ხომ უწინაც ამ აზრისა ვიყავი და ეხლაც ასე ვფიქრობ, შენ კი თუ სხვა აზრისა ხარ, სთქვი და მასწავლე, ხოლო თუ შენც უწინდელი აზრისა ხარ, მომისმინე შემდეგიც.

კ რ ი ტ ო ნ ი. დიახ, უწინდელი აზრისა ვარ და გეთანხმები, ოღონდ ილაპარაკე.

ს ო კ რ ა ტ ე. შემდგომ ამისა მე კვლავ ვიტყვი ანუ უმჯობესია გკითხავ: თუ რამე სამართლიანობად გვაქვს აღიარებული, უნდა შევასრულოთ, თუ უნდა განვერიდოთ?

კ რ ი ტ ო ნ ი. უნდა შევასრულოთ.

11. ს ო კ რ ა ტ ე. ამ თვალსაზრისით განსაჯე ყურადღებით. ჩვენ რომ აქედგან გავიდეთ სახელმწიფოს ნებადაურთველად, ბოროტს შევამთხვევთ თუ არა ვისმე, ვისთვისაც ბოროტისყოფა სრულიად არ

არის მართებული? და შეგვრჩება თუ არა რწმენა, რა ვალიარეთ სამართლიანობად?

კ რ ი ტ ო ნ ი. მე ვერ გიპასუხებ. სოკრატ. შენს კითხვაზედ, რადგან ვერ გავიგე.

სოკრატე. მაშ, ასე გასინჯე: როცა ჩვენ დაეპირებთ გაპარვას, ან რაც გინდა უწოდე ამას, რომ მოვიდნენ კანონები და სახელმწიფო, გაჩერდნენ და გვეკითხონ: „მითხარი, სოკრატ, რა გაქვს გუნებაში? შენ რომ საქმე გაგიზრახავს, ხომ არ ფიქრობ იმით დაგვლუპო ჩვენ, კანონები, და მთელი სახელმწიფო, რამდენადაც ეს შენზედ ჰკილია? ან იქნება შენ გგონია, რომ შეუძლია იარსებოს და ილორძინოს იმ სახელმწიფომ, სადაც სამსჯავროს მიერ დადგენილ განაჩენს აღარავითარი ძალა აღარა აქვს, ვინაიდან კერძო პირნი აუქმებენ და აბათილებენ მას?“.. რას ეუპასუხებთ, კრიტონ, ამაზედ და ამნაირ კითხვაზედ? განა ყველას და განსაკუთრებით კი რიტორს¹² ბევრი არ ექნება სათქმელი იმ კანონის დასაცავად, რომელსაც ჩვენ ვქელავთ და რომელიც ბრძანებს, რომ სამსჯავროს მიერ დადგენილ განაჩენს უნდა ჰქონდეს ძალა, ან შეიძლება ჩვენ კანონებს მივუგოთ, რომ „სახელმწიფო უსამართლოდ მოგვექცა და უსამართლო განაჩენი დაადგინა?“ ამას ეუპასუხებთ, თუ სხვა რამე?

კ რ ი ტ ო ნ ი. ვფიცავ ზევს, სოკრატ, სწორედ მაგას.

12. სოკრატე. მერე კანონებმა რომ გვითხრან ამაზედ: „სოკრატ, შენთან განა ასეთი პირობა გექონდა დადებული, თუ ჩვენ შევეთანხმდით, რომ დავემორჩილოთ იმ განაჩენს, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი?“ და თუ ჩვენ გაგვაკვირვებდა ეს სიტყვები, მათ შეიძლება ეთქვათ: „სოკრატ, ნუ გაკვირვებს ჩვენი ნათქვამი, არამედ გვიპასუხე, — შენ ხომ ჩვეულებრივ კითხვა-პასუხს ხმარობ ხოლმე¹³, — აბა გვითხარი, რა ბრალსა გვდებ ჩვენ და სახელმწიფოს. ჩვენი დალუპეა რომ მოგიწადინებია? უწინარეს ყოვლისა განა ჩვენ არ გაგაჩინეთ ქვეყნად, ვინაიდან მამაშენმა ჩვენი დასტურით შეირთო ცოლად დედაშენი და გშვა შენ? სთქვი, ჰგომოთ თუ არა იმ ჩვენს კანონებს უვარგისობისათვის, ქორწინებას რომ შეეხება?“ არა ვგმობ-მეთქი ეუპასუხებდი მე. — „ან იქნება შენ ჰგომო იმ კანონებს, დაბადებულთა აღზრდასა და სწავლას რომ შეეხება, — სწავლას. რომელიც შენცა გაქვს მიღებული? განა ცუდად განუკარგავთ საამისოდ შექმნილ კანონებს, როცა უბრძანებიათ მამაშენისათვის. რათა მოეცა შენთვის სამუზო და საგიმნასტიკო განათლება?“¹⁴ კარგად-მეთქი, ეუპასუხებდი მე. — „კეთილი. შემდეგ იმისა, რაც შენ დაიბადე, აღიზარდე და განისწავლე, შეგიძლია თუ არა უწინარეს

ყოფლისა სთქვა, რომ შენ ჩვენი შვილი და მონა არა ხარ, თვით შენ და შენი წინაპარნი? თუ ასეთია მდგომარეობა, ხომ არ ფიქრობ, რომ შენც ისეთივე უფლება გაქვს, როგორც ჩვენ, და სამართლიანად მიგაჩნია გვეურჩო იმაში, რაც ჩვენ შენთვის გაგვიმზადებია? ანდა, ვთქვათ, შენ რომ მამა და ბატონი გყავდეს, იმათ მიმართ შენ არ მიიკუთვნებდი თანასწორს უფლებას,—ასე რომ, თუგინდ მათგან შეგმთხვევოდა რამე, ურჩობას ვერ გაუწევდი, ვერც გინებინათვის გინებით მიუგებდი, ვერცა ცემისათვის ცემით და სხვა კიდევ ბევრი რამ. კანონებისა და სამშობლოს მიმართ კი შენ ამ უფლებას იკუთვნებ და მაშასადამე, თუ ჩვენ განვიზრახეთ შენი დალუპვა და ეს სამართლიანად მიგვაჩნია, შენც გაგიზრახავს, რამდენადაც ძალგიძს, დაგვლუპო ჩვენ, კანონები და სამშობლო, და ამის მოქმედი კიდევ იტყვი, რომ შენ სამართლიანად იქცევი,—შენ, რომელიც კეშმარიტად სათნოებისათვის ჰზრუნავ? თუ შენი სიბრძნე ისეთია, რომ დაგავიწყდა, რომ სამშობლო უფრო ძვირფასია, ვიდრე დედა, ვიდრე მამა და ყველა სხვა წინაპარი; რომ იგი უფრო სათაყვანოა, უფრო წმინდაა და უფრო ღიალია წინაშე ღმერთთა და წინაშე გონიერ ადამიანთა; რომ როცა სამშობლო მრისხანებს, მას უნდა თაყვანი სცე, მას დაემორჩილო, მას აამო უფრო, ვიდრე მამას; რომ ან შენი უნდა შეასმინო ან შეასრულო ის, რასაც ის გიბრძანებს; რომ უღრტვინველად უნდა მოიჭირვო ის, რის მოჭირვებასაც გავალებს.— გვემა იქნება თუ საპყრობილე,—თუგინდ მიგავლინოს ომში სისხლის დასანთხევად და სასიკვდილოდ, ყველაფერი უნდა შეასრულო. ვინაიდან ეს სამართლიანია; რომ მტერს არც უნდა დანებდე, არც უნდა გაექცე, არც შენი რაზმი დასტოვო, არამედ ომშიც, სამსჯავროშიც და ყველგან მართებულად უნდა აღასრულო ის, რასაც სახელმწიფო და სამშობლო გიბრძანებს, ანდა უნდა შენი შეასმინო. როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს; ძალადობა კი დედისა და მამის მიმართ უსჯულოებაა და სამშობლოს მიმართ კი ხომ უადრესად უარესია?“—რას ვიტყვით ამის პასუხად, კრიტონ? მართალს ამბობენ კანონები, თუ არა?

კ რ ი ტ ო ნ ი. მე მგონია.

13. ს ო კ რ ა ტ ე. „აი, განსაჯე, სოკრატე, — იქნება მითხრან აგრეთვე კანონებმა, — მართალს ვამბობთ თუ არა, რომ შენ განზრახული გაქვს უსამართლოდ მოგვექცე? ჩვენ ხომ შენ გშობეთ, გამოგკვებეთ, აღზარდეთ, მოგანიჭეთ, როგორც ყველა სხვა მოქალაქეს, ყოველგვარი მშვენიერება, რაც ჩვენ ხელთ გექონდა, და ამასთანვე ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ყოველ ათენელს, ვინც კი მოიწადინებს, ვაძ-

ლევთ უფლებას, დოკიმასიას¹⁵, რომ ჩააბარებს, შეისწავლის სახელმწიფო საქმეებს და გაგვეცნობა ჩვენც, კანონებს, თუ ჩვენ არ მოვწონვართ, წაიღოს თავისი ქონება და წავიდეს, სადაც ნებავს და არც ერთი ჩვენგანს, კანონთაგანს, არავის არ უშლის და არ უკრძალავს, თუ ვინმე თქვენში არ მოვწონვართ ჩვენა და სახელმწიფო, გაემგზავროს სურვილისამებრ ახალშენში, ხოლო თუ სხვა სახელმწიფოში სურს გადასახლება, აიღოს თავისი ქონება და წავიდეს იქ, სადაც ენებება. ის კი, ვინც რჩება და ხედავს, თუ რა წესით ვაწარმოებთ ჩვენ სამართალს და საერთოდ როგორ განვაგებთ სახელმწიფოს,—ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ მასთან პირობა გვაქვს დადებული, რომ ის საქმით აღასრულებს ყველაფერს, რასაც ჩვენ ვუბრძანებთ. ხოლო ვინც ჩვენ გვეურჩება, ის, ვამბობთ ჩვენ, ერთისამად უსამართლოდ გვეპყრობა, ვინაიდან არ გვემორჩილება ჩვენ, მშობლებსა და აღმზრდელებს, და, თუმცა პირობა აქვს ჩვენთან დადებული, რომ დაგვემორჩილება, არც გვემორჩილება და არცა სურს შეგვასმინოს, თუ ცუდად ვაკეთებთ რასმე. ჩვენ სრულიად არ ვბრძანებთ მკაცრად,—მხოლოდ ვურჩევთ აღასრულოს, რაც ნაბრძანები აქვს, მაგრამ ნებასა ვრთავთ ორში ერთი აირჩიოს—ან შეგვასმინოს ან შეასრულოს ჩვენი ბრძანება,—ის კი არც ერთს ასრულებს და არც მეორეს.

14. ასეთი ბრალი, ვამბობთ ჩვენ, შენც დაგედება, სოკრატე, თუ შეასრულებ იმას, რაც განზრახული გაქვს, და შენ არა ნაკლები, ვიდრე ათენელთ, არამედ უფრო მძიმე“. და მე რომ მეთქვა: „რატომა-მეთქი?“ ისინი სამართლიანად გამაპტყუენებდნენ და მეტყოდნენ, რომ ათენელთა შორის უპირატესად მე შეეკარი მათთან ასეთი პირობა. ისინი მეტყოდნენ: „სოკრატე, ჩვენ გვაქვს უცილობელი საბუთი, რომ შენ ჩვენგან გიყვარდით და სახელმწიფოც. სხვა ათენელთა შორის შენ განსაკუთრებით არ დარჩებოდი შენს ქვეყანაში, უადრესად რომ არ მოგწონდეს იგი; შენ ჯერ კიდევ არაოდეს არ გასულხარ ქალაქიდან თეორიაზედ“¹⁶ (მხოლოდ ერთხელ იყავი ისთმოზედ), არც სადმე სხვაგან, თუ ლაშქრობას არ ჩავთვლით; სხვების მსგავსად შენ არაოდეს არ მოშორებიხარ სამშობლოს¹⁷, არცკი აღგძვრია სურვილი გაგეცნო სხვა სახელმწიფო და სხვა კანონები, რადგან ჩვენ და ჩვენი სახელმწიფო საკმაო ვიყავით შენთვის. ეგრე დიდათ გვამჯობინებდი და თანახმა იყავი, რომ ჩვენ განვაგებდით სახელმწიფოს; შენ ხომ ბავშვებიც კი გააჩინე ამ სახელმწიფოში, ვინაიდან მოგწონდა იგი. შემდგომ თვით გასამართლების დროს შენ შეგედლო სასჯელად გაძევება აგერჩია, რომ გასურვებოდა, და რაც ეხლა

განზრახული გაქვს სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ, მაშინ მისი დასტურით მოგეცემოდა. შენ ხომ მაშინ ზვიადობდი და არც სჯავრობდი, რომ თანამდებ იყავი სიკვდილისა, და გაძევებას, როგორც განაცხადე, სიკვდილი ამჯობინე. ამეჟამად კი შენ არც იმ შენი სიტყვებისა გრცხვენია და არც არაფრად გვაგდებ ჩვენ, კანონებს, განადგურებას გვიპირებ, მოქმედობ ისე, როგორც იმოქმედებდა უსაძაგლესი მონა, და განზრახული გაქვს გაპარვა წინააღმდეგ პირობისა და შეთანხმებისა, რომელიც ვალდებულ გყოფს ჩვენი გამგებლობის ქვეშ იცხოვრო. მაშ, თავდაპირველად გვიპასუხე, მართალს ვამბობთ თუ ვცდებით, როცა ვამტკიცებთ, რომ შენ შეგვეთანხმდი ჩვენი გამგებლობის ქვეშ გეცხოვრა საქმით და არა მართოდენ სიტყვით?“ ამის საპასუხოდ რა გვეთქმის, კრიტონ? ხომ მართალია, რომ უნდა დავეთანხმოთ?

კ რ ი ტ ო ნ ი. აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ, სოკრატ.

ს ო კ რ ა ტ ე. „და ამნაირად,—მეტყვიან ისინი,—შენ არღვევ ჩვენთან დადებულ პირობასა და შეთანხმებას, რომელიც დადებული გვაქვს არა ძალდატანებით, არცა შეცდომით და არც იძულებული ყოფილხარ მოკლე ხანში მოგეფიქრებინა, არამედ სამოცდაათი წლის განმავლობაში, სანამ შენ შეგეძლო წასულიყავი, თუ არ მოგწონდით და პირობა უსამართლოდ მიგაჩნდა. შენ ხომ არც ლაქედმონი ამჯობინე, არც კრეტი, რომელთა შესახებ შენ მუდამ გაიძახოდი—კარგი კანონები აქვსთო—და არც ერთი სხვა სახელმწიფო არც ელადისა და არც ბარბაროსული და აქაურობას უფრო იშვიათად განშორებინარ, ვიდრე კოჰლნი, უსინათლონი და სხვა ხეიბარნი. ამნაირად, სხვა ათენელთა შორის სახელმწიფო და ჩვენ, კანონები, განსაკუთრებით მოგწონდით (ცხადია რატომ: აბა ვის მოეწონება სახელმწიფო უკანონებოთ). და მაშ ეხლა შენ არღვევ ჩვენთან დადებულ პირობას? გირჩევნია კი, სოკრატ. დაგვემორჩილო და სახელმწიფოთგან გაპარვით თავი არ გაიმასხარავო.

15. განსაჯე ესეც, ყველა ამის დამრღვევმა და შემცოდემ რა უნდა მოიპოვო კარგი შენთვის ან შენი მეგობრებისათვის? შენი მეგობრები ხომ განსაცდელში ჩაცვივდებიან, შენებრ იქნებიან გაძევებულნი და დაჰკარგავენ სამშობლოს ან სულ უკანასკნელი—მათ წაერთმევათ ქონება—ეს თითქმის ცხადია. შენ კი, თუ უწინარეს ყოვლისა წახვალ ერთ-ერთს უმახლობელს ქალაქს, თებეს ან მეგარას—ორივე ქალაქი ხომ კარგად არის განკანონებული¹⁸—მტრად მიეცვლინები, სოკრატ, იმათ წესწყობილებას, და ვინც ზრუნავს თავისი სახელმწიფოსათვის; ალმაცერად დაგიწყებს ცქერას, როგორც კანონე-

ბის დამტრგუნველს, და შენს მსაჯულებს შენ სახელს გაუთქვამ—
აღბათ სამართლიანი განაჩენი დაუდგენიათო, ვინაიდგან ყოველი
დამრღვევი კანონებისა სულ ადვილად შეიძლება ყმაწვილკაცობის
და უგუნური ხალხის გამრყენელად იქნეს მიჩნეული. ან იქნება შენ
მოერიდები ქალაქებს, რომელთაც კარგი კანონები განაგებს, და
ადამიანთ შორის კი — უსათნოესთა? ღირს კი მაშინ შენი სიცოცხ-
ლე? შენ დაუახლოვდები ამ ხალხს და ნუთუ არ შეგრცხვება მათ-
თან საუბრისა? მერე რა უნდა უთხრა, სოკრატ? ის ხომ არა, რასაც
აქ ამბობდი—სათნობა და სამართლიანობა, კანონიერება და კანო-
ნები ხალხისათვის ყველაფერზედ უძვირფასესიაო? ნუთუ შენ არ
ფიქრობ, რომ ეს სათაკილოა სოკრატის საქმისათვის? ოლონდაც (სა-
თაკილოა). მაგრამ აი შენ შორდები ამ ქვეყანას და მიემგზავრები
თესალიას კრიტონის მეგობრებთან. ცნობილია, რომ იქ უსაშინელესი
უწესობა და გარყვნილება მეფობს¹⁹ და შეიძლება სიამოვნებით
მოგისმინონ, თუ როგორ სასაცილოდ გაიპარე საპატიმროდგან, თან
წაიღე ტყავი ან რამე სხვა, რითიც ჩვეულებრივ იკაზმებიან გაპა-
რულები, და გამოიცივალე შენი გარეგნობა. და შენ, მოხუცებულ
კაცს, სულ ცოტა ყავლიდა რომ დაგრჩენია სიცოცხლისა, რაც ბუ-
ნებრივია, ბედავ და ეგრე სამარცხვინოდ ებლაუქები სიცოცხლეს
მას შემდეგ, რაც უაღრესი კანონები დასტრგუნე,— შენ კი არავინ
გეტყვის არაფერს? შესაძლებელია, თუ არავის შეეხები. თუ არა და,
სოკრატ, ბევრ რასმე მოისმენ, რაც არ დაგიმსახურებია, და გაატა-
რებ შენი სიცოცხლის დღეებს მონობაში და პირმოთნეობაში ყველას
წინაშე. ან კი რა უნდა გააკეთო თესალიაში, თუ არ ინადიმე, თითქო
თესალიას სანადიმოთ გადასახლებულხარ? შენი საუბარიდა სამარ-
თლიანობისა და სხვა სათნო საგანთა შესახებ? რა ვუყოთ მას? მაგ-
რამ შენ შვილებისათვის გინდა იცოცხლო, რომ გამოკვებო და აღ-
ზარდო ისინი. მერე? თესალიას რომ წაიყვანო, გამოკვებო და აღ-
ზარდო, ხომ დაუკარგავ მათ სამშობლოს, რომ ბარემ ესეც იგემონ
ან იქნება შენ ასე არ მოიქცევი და თუ ისინი შენს სიცოცხლეში აქ
იზრდებიან, განა უკეთესად არ აღიზრდებიან და განისწავლებიან,
როცა შენ მათთან არ იქნები? შენი მეგობრები ხომ ზრუნვას არ მოა-
კლებენ მათ? ან შეიძლება იზრუნვენ, შენ თუ თესალიას გადასახლ-
დები, ხოლო თუ ჰადესში მოხვდები, აღარ იზრუნვენ? დიახაც, თუ
მოსალოდნელია რამე ხეირი იმათგან, ვისაც შენს მეგობრად მოაქვს
თავი?

16. მაგრამ გაგვიგონე, სოკრატ, ჩვენ, შენს აღმზრდელებს, და
სამართლიანობას ნურც შვილები გირჩევენია, ნურც სიცოცხლე და

ნურც სხვა რამე, რომ ჰადესში მისვლისას იქაურ ხელისუფალთა წინაშე თავის გასამართლებლად სათქმელი გეჰნეს, ვინაიდგან ასეთი შენი საქციელი, როგორც არც აქ იქნება უკეთესი, უფრო სამართლიანი, უფრო კელილსაიწრო შენთვის და შენიანთათვის, აგრეთვე არც იქ, როცა იქ მიხვალ. მაგრამ ამჟამად შენ წახვალ, თუ წახვედი, უსამართლოდ დასჯილი არა ჩვენგან, კანონების მიერ, არამედ ხალხის მიერ. ხოლო თუ შენ ასე სამარცხვინოდ სამაგიერო უსამართლობასა და ბოროტებას ჩაიდენ, თუ შენ დაარღვევ ჩვენთან დადებულ პირობასა და შეთანხმებას და ბოროტად მოეპყრობი იმათ, ვისაც ეს ყველაზედ ნაკლებად ეკადრება—შენს თავს, მეგობრებს, სამშობლოსა და ჩვენ,—სანამ ცოცხალი ხარ, ჩვენ გრისხავთ და იქაც ჩვენი მოძმენი, ჰადესის კანონები, არ შეგიწყნარებენ, ვინაიდგან ეცოდინებათ, რომ შენ ჩვენი დალუპვა გქონდა განზრახული, რამდენადაც შეიძლებდი. ამიტომ გიჯობს უფრო ჩვენ გაგვიგონო, ვიდრე კრიტონს, რომელიც გარწმუნებს ისე მოიქცე, როგორც ის გეუბნება“.


17. მერწმუნე, საყვარელო მეგობარო კრიტონ, ასე მგონია, თითქო მესმოდეს ეს სიტყვები, როგორც ბორგნეულ კორიბანტებს²⁰ ჰგონიათ, ვითომ იმათ სალამურის ხმები ესმოდეო, და ამ სიტყვებისაგან ისეთი შუილი მაქვს ყურებში, რომ ღონე აღარ შემწევს სხვა რასმე ვათხოვო ყური. მაგრამ იცოდე. — ასეთია მაინც ჩემი აწინდელი რწმენა, — თუ შენ ამის საწინააღმდეგოდ რასმე იტყვი, ამოლლაპარაკი იქნება, ხოლო თუ ფიქრობ, რომ კიდევ რასმე გახდები, სთქვი.

კ რ ი ტ ო ნ ი. არა, სოკრატ, მე სათქმელი აღარაფერი მაქვს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, კრიტონ, მოვიქცეთ ისე, როგორც ვეარიგვბს ღვთაება.



ՀԱՅՅԵՐ



ԵՄՈՒՆԵՐ

სიხეზონი



1. სენსტიუს როსციუს ამერიელის დაცვა

(სიტყვის შესავალი)

I. თქვენ, მსაჯულნო, ფრიად გაკვირვებულნი ბრძანდებით, თუ რა მიზეზია, რომ ამდენ გამოჩენილ ორატორთა და დიდგვაროვან ადამიანთაგან არც ერთი არ იძვრის ადგილიდან და წამოვდექი სწორედ მე, რომელსაც არც ასაკით, არც მკვევრმეტყველების ნიჭით, არც საზოგადოებრივი მნიშვნელობით არ შემოიძლია შევედარო იმათ, ვინცა სხედან. ყველას, ვინც მე ამ საქმეში მხარს მიჭერს¹, საჭიროდ მიაჩნია გაბათილებულ იქნეს გაუგონარა დანაშაულებრივი განზრახვით შეთხზული უსამართლობა, მაგრამ თვით ვერ გაუბედნიათ შებრალება უკუღმართ გარემოებათა მიზეზით. ისინი გამოცხადდნენ, რათა ზნეობრივი მოვალეობა მოიხადონ, მაგრამ სდუმან, რათა ხილათს თავი აარიდონ. მაშ, რას ნიშნავს ეს? განა მე ყველაზე უფრო მამაცი აღმოვჩნდი? სრულიადაც არა. ან იქნება მე უფრო გულმოდგინედ ვასრულებ მოვალეობას, ვიდრე სხვანი? არა, არც ეს დიდება მწყურია იმზომ, რომ სხვას შევეცილო. მაშ, სხვებზე უფრო რამ შემაგულიანა, რომ როსციუსის დაცვა ვიკისრე? ვიკისრე კი იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თუ ვინმე დაივალებდა ამ დაცვას აქ დამსწრე პირთაგან, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ასაკით, გამოცდილებითა და მაღალი ღირსებით, და თუნდაც ერთი სიტყვით შეეხებოდნენ სახელმწიფოს მდგომარეობას — ეს კი ამ საქმეში აუცილებელია, — იმის სიტყვა თითქოს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა ყველას, ვიდრე ნამდვილად აღმოჩნდებოდა; მე კი თუ მოურიდებლად ვიტყვი ყველაფერს, რაც სათქმელია, მაინც შეუძლებელია ჩემი სიტყვა ამგვარადვე გავრცელდეს და გახმაურდეს ხალხში; მეორეც ის, რომ მათი არც ერთი სიტყვა მათივე წარჩინებულობისა და მორკმულობის წყალობით არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს და არც

ერთი მოუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა მათი წლოვანებისა და კეთილგონიერების მიზგზით არ შეიძლება მათ ეპატიოს; მე კი გულანდილად რომ რამე ვთქვა, ამას შეიძლება ან ყურადღება არ მოაქციონ, ვინაიდან ჯერ კიდევ სახელმწიფო საქმეებისათვის ხელი არ მომიკიდნია, ანდა იქნება შეუძლონ ჩემს ახალგაზრდობას, თუმცა არა მარტო ბრალდების შემწყალებელი განსჯა, არამედ ფრთხილი გამოკვლევაც კი გაჰქრას სახელმწიფოში². ამას ემატება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სხვებსა სთხოვდნენ აეღოთ ეს საქმე თავის თავზე და მათ თითქოს შეეძლოთ ან ეკისრათ დაცვა ან უარი ეთქვათ ისე, რომ მოვალეობა არ დაერღვიათ; ჩემგან კი დაცვა დაყენებით მოითხოვეს იმათ. ვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩემთვის თავიანთი მეგობრული ურთიერთობით, კეთილისმყოფელობით და საპატიო მდგომარეობით, და ჩემი მოვალეობა ნებას არ მაძლევს მათი კეთილმოსურნეობა უგულვებელვჰყო, მათი გავლენა არად მივიჩნიო, მათ სურვილს ანგარიში არ გავუწიო.

II. აი ესაა მიზეზი, რომ დამცველად გამოვდივარ ამ საქმეში არა იმიტომ, რომ კერძო პირთა მიერ თავიანთ შორის ერთადერთი ვარ არჩეული და ყველას შორის უდიდესი ნიჭიერებით ვიყო დაჯილდოებული, არამედ იმიტომ, რომ არავინაა ისეთი, ვისაც უფრო ნაკლები საშინაობით შეეძლოს ლაპარაკი, ვიდრე მე; გამოვდივარ არა იმიტომ, რომ ს. როსციუსს საკმაოდ ძლიერი დამცველი ეყოლოს, არამედ უფრო იმიტომ, რომ სრულიად უდამცველოდ არ იქნეს მიტოვებული. შეიძლება თქვენ იკითხოთ, რა საშინელება და რა ღვთის რძახვაა, რომ ამოდენა ხალხი და ესოდენ პატივცემული დარბაისელები ისე შეუპყრია შიშს, რომ ჩვეულების წინააღმდეგ არ სურთ დაიცვან მოყვასის ზიკოცხლე და ქონება? საკვირველი არც ის არის, რომ ამისა ჯერ ხნობით არა იცით რა, ვინაიდან ბრალმდებლებმა განზრახ არ მოიხსენიეს ეს გარემოება, რამაც ეს საქმე შექმნა. მერე რა არის ეს გარემოება? ესაა, აი, ამ ს. როსციუსის მამულები, ექვს მილიონ სესტერციად³ ღირებული, ორი ათას სესტერციად რომ იყიდა, როგორც თვით ამბობს, უსახელოვანეს და უმამაცეს ლ. სულასაგანვის სახელსაც პატივიცემით ვახსენიებ⁴ — ახალგაზრდა და ამდროინდელი ჩვენი სახელმწიფოს დასტურ უძლიერესმა აღამიანმა ლ. კორნელიუს ქრისოგონმა. აი ეს ქრისოგონი, მსაჯულნი, რაკი მან ყოველ კანონს გარეშე მიიმძლავრა სხვისი ვეებერთელა და მშვენიერი მამული და რაკი ს. როსციუსს უმცროსის სიკოცხლე, როგორც ჩანს, გზას უღობავს და ბელს უშლის დაეუფლოს ამ მამულს,

მოითხოვს თქვენგან, რათა თქვენ ყოველი ექვი გაუქროთ მას გულში და განუფანტოთ შიში. ის ასე ფიქრობს — ვერ შეძლებდა ამოდენა მდიდარი მამულის დამკვიდრებას, სანამ ცოცხლობს უდანაშაულო მემკვიდრე, მაგრამ თუ იგი მსჯავრდებული და სამფლობელოდან გაქევიებული იქნება, მას იმედი მიეცემა, რომ, ბოლოსდაბოლოს, შეძლებს განცხრომა-ფუფუნებაში გაფლანგოს და გაანიავოს ის, რაც დანაშაულებრივი გზით აქვს შეძენილი. მას სწადია, რათა აღმოეფხვრათ მის გულში ეს დარდი, დღისით და ღამით რომ სტანჯავს და ქენჯნის, და ამით, ბიწიერი ნადავლის შეძენაში, მის შემწედ აღვიაროთ თქვენი თავი. თუ ეს მისი სურვილი თქვენ, მსაჯულნო, სამართლიანად და პატიოსნად მიგაჩნიათ, მოკრძალებით მეც ვაცხადებ საწინააღმდეგო მოთხოვნისებას, როგორც, ღრმად მწამს, ბევრად უფრო სამართლიანს.

III. უწინარეს ყოვლისა, ვთხოვ ქრისოგონს, დასჯერდეს ჩვენს ქონებასა და სიმდიდრეს და ჩვენი სიცოცხლე და სისხლი ნულა სწყუროს; შემდეგ ამისა, თქვენ გთხოვთ, მსაჯულნო, რომ კანნიერთა ავკაცობას შეებრძოლოთ, უდანაშაულოთ ვარამი შევეუმსუბუქოთ და ს. როსციუსის საქმეში ყველაათვის საშიშარი განსაცდელი განარიდოთ. ამიტომ, თუ აღმოჩნდება ბრალდების საფუძველი, ან მამისმკვლელობის საფუძელიანი ექვი, ანდა, ბოლოსდაბოლოს, თუნდა სულ უმნიშვნელო ფარემოება, რომ ბრალდებისათვის რაღაც საყრდნობ წერტილად გამოსაყენებელი აღმოჩნდებოდა, ერთი სიტყვით, თუ გარდა იმ ნადავლისა, რაც უკვე მოვიხსენე, კიდევ სხვა რამე საბაბს აპოვიდით ბრალდებისათვის, ჩვენ თანახმა ვართ, რომ ს. როსციუსმა თავისი სიცოცხლე მათს თვითნებობას ანაცვალოს. მაგრამ, უკეთეს საზრუნავი ისაა, რომ ყველაფრით გულის წადილი შეუსრულონ იმათ, ვინც ვერაფრით ვერ გამაძლარა, თუ მხოლოდ იმისთვის იბრძვიან, რომ ამ საუცხოო, მსუქანი ნადავლის ხელში ჩაგდება თითქოს ს. როსციუსის სიკვდილით უნდა დაავიკრავინონ. განა მრავალ საზიზღარ საქციელს შორის უსაზიზღრესი ის არ იქნებოდა, რომ თქვენ ჩავთვალონ ამ მიზნის მიღწევისათვის შესაფერ იარაღად? ახლა თქვენი ფიქტვეშ დადგენილი განაჩენით სწადიათ შეისრულონ ის, რის განზორციელებასაც ადრე ჩვეულებრივ ავკაცობითა და მკვლელობით ახორციელებდნენ. და თქვენ, რომელნიც არჩეულნი ხართ მოქალაქეთაგან სენატში ღირსებისათვის, სენატიდგან კიდევ ამ ნაფიცართა საბჭოში სიმკაცრისათვის, — თქვენგან

ეს ავაზაკნი და კაცისმკვლელნი ბედავენ და მოითხოვენ, რომ არა მარტო ააშოროთ დამსახურებული სასჯელი, რასაც შიშითა და ძრწოლით უნდა ელოდნენ თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის, არამედ მოკლულის აბჯრით შექურვილნი და ძალამოყრილნი თქვენი განაჩენით კიდევ სამშვიდობოზე გაუშვათ ისინი.

IV. ამიტომაც მე ვგრძნობ, რომ ამ საშინელ და საზარელ საქმეთა პირისპირ, მე არ შემწევს არც საკმაო ოსტატობა რომ ვილაპარაკო, არც საკმაო ძალ-ღონე, რომ აღშფოთებით შემოგჩივლოთ და არც იმის შესაძლებლობა თავისუფლად ხმა აღვიმალლო. ჭერ ერთი, ოსტატური მეტყველებისათვის ნიჭი მაკლია, მერედა ძალღონისათვის — წლოვანება და ბოლოს აზრის თავისუფლებას კი სახელმწიფოს ახლანდელი მძიმე მდგომარეობა მიბორკავს. ამას ზედ ერთვის მეტისმეტი გაუბედავობა, რასაც მინერგავს ჩემი თანდაყოლილი მორცხვობა, თქვენი საპატიო მდგომარეობა, მოწინააღმდეგეთა ძლიერება და ს. როსციუსის საქმის ესოდენ საშიშარი ვითარება. ამიტომ, მსაჯულნო, გევედრებით და გაფიცებთ ყველაფერს, რომ ყურადღებით და კეთილი მოწყალებით მოისმინოთ ჩემი სიტყვა. თქვენი პატიოსნებისა და სიბრძნის მოიმედე ფატყობ, რომ უფრო მძიმე ტვირთი ვიკისრე, ვიდრე ზიდვა შემიძლია. თუ თქვენ, მსაჯულნო, ამ ტვირთს რამდენადმე მაინც შემიმსუბუქებთ, მე ვზიდავ მას შეძლებისამებრ ბეჯითი გულმოდგინებით. მაგრამ მოულოდნელად თავიც რომ მიმანებოთ, სულით მაინც არ დავეცემი და ბოლომდე მივიტან, რაოდენადაც ძალა შემწევს, რაც ტვირთი კისრად მიღვია. გარნა თუ ზიდვას ვეღარ შევიძლებ, ვამჯობინებ დე ზნეობრივი მრავალების სიმძიმემ გამსრისოს, ვიდრე მუხანათობით დავავდო ან სულმოკლეობის მიზეზით თავი მივანებო იმას, რაც ერთხელვე ნდობით დამავალეს. შენც, ფანიუს, ძლიერ გთხოვ, რათა ჩვენდამი და სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობის მიმართ, როდესაც თავმჯდომარეობ სასამართლოში, გამოიჩინო იმნაირივე სიმკაცრე და კეთილსინდისიერება, როგორიც უკვე სამოქალაქო ომთა ადრე გამოიჩინე რომაელ ხალხის წინაშე.

V. შენ ხედავ, რამდენ ხალხს მოუყრია თავი ამ სასამართლოში, გესმის, თუ როგორი ადგზნებული სურვილითაა გამსჭვალული მთელი ეს ხალხი, როგორ მოუთმენლად ელოდება სასტიკსა და ულმობელ განაჩენს. დიდი ზნის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, რომ

სასამართლო იკვლევს მკვლელობის საქმეს, თუმცა ამ ხნის განმავლობაში არა ერთი უსამინელესი და უსასაგლესი მკვლელობა მომხდარა. ყველა იმედოვნებს, რომ ეს სასამართლო შენის ზელმძღვანელობით იხსნის სახელმწიფოს აშკარა ავკაცობათაგან და დაუბრუნებელ სისხლის ღვრისაგან.

ამჟამად ჩვენ, ვინც სასარჩლო სიტყვას ვამბობთ, ხმამაღლა ვუცხადებთ სასამართლოს იმას, რასაც სხვა სასამართლოებში ბრალმდებელნი აცხადებენ: ჩვენ გთხოვთ შენ, ფანიუს, და თქვენც, მსაჯულნო, რაც შეიძლება უსასტიკესად დასაჯეთ დანაშაუგენი, რაც შეიძლება უფრო მედგრად გაუძლიანდით თავხედ ავაზაკთ და მხედველობაში იქონიეთ, რომ თუ ამ საქმეში თქვენ თქვენი აზრი არ გამოააშკარავეთ. სიხარბე, დანაშაულებრივი განზრახვა და კადნიერება იმ ზომამდე მივა, რომ მკვლელობა მოხდება ხოლმე არა მარტო მალულად, არამედ აქვე, ფორუმზედ, წინაშე შენის ტრიბუნალისა, ფანიუს, თქვენს ფერსთით, მსაჯულნო, თვით სკამზედაც. მართლაც და სხვაჲს რას უნდა ცდილობდნენ ჩვენი მტრები ამ საქმეში, თუ არა იმას, რომ ეს უფლება მოიპოვონ? ბრალს გვდებენ ისინი. ვინც ამის ქონებას დაეპატრონენ; თავს იცავს ის, ვისაც გარდა მწუხარებისა არაფერი არ შეანარჩუნეს; ბრალს გვდებენ ისინი, ვისთვისაც ს. როსციუსის მამის მკვლელობა ხელსაყრელი იყო; თავს იცავს ის, ვისაც მამის სიკვდილმა არა მარტო ცრემლი აღვრევინა, არამედ სიღატაკე არგუნა; ბრალს გვდებენ ისინი, ვინც ძლიერ მოწადინებულნი იყვნენ ამისთვის ყელი გამოეღაღრათ; თავს იცავს ის, ვინც ამ სასამართლოშიც კი მცველებითურთ გამოცხადდა, რათა აქვე მსაჯულთა თვალწინ სიცოცხლეს არ გამოასაღმონ; დასასრულ, ბრალს გვდებენ ისინი, ვისაც ხმა ერისა საბრალდებულთ სკამზე მოუწოდებს; თავს იცავს ის, ვინც ერთადერთი მათ ბიწიერ ხელთ ცოცხალი გადარჩა. მაგრამ, მსაჯულნო, რათა უფრო ადვილად დარწმუნდეთ, რომ მათი მოქმედება უმეტეს საზიზღარია, ვიდრე ჩვენ ამის დასურათება მოვახერხეთ, ახლა მოგითხრობთ, თუ როგორ იყო საქმე თავიდანვე და მაშინ სულ ადვილად შეგეძლებათ გაიგოთ ამ სრულიად უმანკო ადამიანის გაჭირვებული მდგომარეობაც, მათი თავხედობაც და სახელმწიფოს სავალალო მდგომარეობაც.

VI. როსციუს უფროსი, ჩემი კლიენტის მამა, ამერიელი მოქალაქე იყო. და თუ ერთის მხრით თავისი წარმოშობით, გვარიშიელობითა და ქონებრივი მდგომარეობით შეიძლება უპირველესი იყო

არა მარტო თავის ქალაქში, არამედ მის მიდამოებშიაც კი, მეორე ზხრით, მეგობრული და სტუმართმოყვარული ურთიერთობით უღი-
დებულეს ხალხთან დაკავშირებული, ბრწყინვალე მდგომარეობაში
იმყოფებოდა. მართლაც, არა მარტო სტუმართმოყვარეობით, არამედ
მოყვრობითა და მეგობრული ურთიერთობით იყო დაკავშირებული
მეტელოუსებთან, სერვილიუსებთან, სციბიონებთან, რომელთა ოჯახებს
მათი საპატრიო და მაღალი ღირსების პატივისცემით ვახსენიებ. ამნა-
ირად, ყველა უპირატესობისაგან მის შვილს მარტოოდენ ერთილა-
შერჩა: მისი მამის ქონებას მძარცველი ნათესავები დაეუფლენ ძა-
ლადობით და მისივე მამის თანამესუფრეთ და მეგობართ კი უნდა
დაიცვან პატიოსანი სახელი და სიცოცხლე უდანაშაულოსი. ჩემი
კლიენტის მამა საერთოდ ყოველთვის დიდკაცობის მომხრე იყო,
განსაკუთრებით კი უკანასკნელი სამოქალაქო ომის დროს, როდეს-
საც მთელი დიდკაცობის საპატრიო მდგომარეობა და კეთილდღეობა
განსაცდელში აღმოჩნდა. ის უფრო მეტის თავგამოდებით, ვიდრე
სხვანი, იცავდა ამ პარტიას და მის ინტერესებს თვისი მოღვაწეო-
ბით, გულმოდგინე მეცადინეობით და გავლენით, ვინაიდან მას სათ-
ნო საქმედ მიაჩნდა მათი ღირსებისათვის ებრძოლა, ვის მეოხებითაც
თვით უღირსეულესად ითვლებოდა თვისიანთა შორის. როდესაც
გამარჯვება გადაწყდა და ჩვენც იარაღი დაეყარეთ, როდესაც გარი-
სხულთა სიების გამოქვეყნებას შეუდგნენ და ყველგან დაუწყეს
ტაცება იმათ, ვინც მოპირდაპირე პარტიის მომხრედ მიაჩნდათ, ის
ზშირად იყო ხოლმე რომში და ყოველ დღე მოედანზედ ყველას
თვალწინ ტრიალებდა. ამგვარად, ამკარად შეინიშნებოდა, რომ ის
უმაღ დიდკაცობის გამარჯვებას ზეიმობდა, ვიდრე შიშობდა, ამის
გამო უბედურება რამ არ შეემთხვესო.

მას დიდი ხანია მტრული დამოკიდებულება ჰქონდა ორსავე
როსციუსთან, რომელთაგან ერთს ბრალმდებელთა სკამზედ ვხედავთ,
მეორეს კი, როგორც გამიგონია, ჩემი კლიენტის სამი მამული ჩაუგ-
დია ხელში. ამის მამას რომ ისევე შესძლებოდა ამ მტრობის არიდე-
ბა, როგორც მას უფრთხოდა, ის ცოცხალი იქნებოდა და ჰეშმარიტად
არც უსაფუძვლოდ უფრთხოდა იგი ამ მტრობას. ეს ორი ტიტუს
როსციუსი, ერთს რომ გვაროვნულ სახელად კაპიტონი ჰქვია, მეო-
რეს კი, აქ რომ ბრძანდება, მაგნუსი, აი რა ხალხია: პირველი გამოც-
დილი და სახელგანთქმული გლადიატორია⁶, მრავალჯერ დაფნის
ტოტებით შემკული; ეს მეორე კი დიდი ხანი არაა ფარიკაობის ოს-
ტატს მიეზარა და თუმცა უკანასკნელ ბრძოლამდე ახალბედა იყო,

მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ავკაცობით და თავხედობით თვით ოსტატს ადვილად გადააჭარბა კედეც.

VII. საქმე ისაა, რომ, როდესაც ეს სექსტუს როსციუსი ამერიკაში იმყოფებოდა, ტიტუს მაგნუს როსციუსი რომში იყო. პირველი რომ მამულში გამუდმებით ცხოვრობდა და მამის სურვილისამებრ მამულის მოვლა-პატრონობას და სოფლის მეურნეობას დაუდო თავი, მეორე რომიდან თითქმის ფეხს არ იცვლიდა. პალაციონის აბანოებთან მოჰკლეს სექსტუს როსციუსი—მამა, ნავაზშემეც რომ ბრუნდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ უკვე ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, თუ ვისზედ უნდა იქნეს მიტანილი ექვი. მაგრამ თუ ის, რაც აქამდე მხოლოდ საეჭვოა, თვით საქმით არ გამოაშკარავდა, შეგიძლიათ ჩემი კლიენტი დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნათ. სექსტუს როსციუსის მკვლელობის ამბავი ამერიკაში პირველმა ვინმე მალეუს გლავციამ მიიტანა, ლატაკმა, ანატექნილმა, ტიტუს როსციუსის კლიენტმა და ძმაკაცმა. ამბავი მიუტანა არა ვაჟს, არამედ მის მტერს — ტიტუს როსციუს კაბეტონს; და თუმცა მკვლელობა ღამის პირველი საათის განვლის შემდეგ მოხდა, მაინც გათენებისას უკვე ამერიკაში იყო. ღამის ათი საათის განმავლობაში მან ორთვალი ორმოცდათექვსმეტი მილი⁷ გაიჭროლა არა მარტო იმიტომ, რომ პირველს მიუზარებინა მოკლულს მტრისათვის სანატრელი ამბავი, არამედ იმისათვისაც, რომ მოკლულის ჯერ კიდევ თბილ სისხლში გასვრილი გვამიდან ახლახან ამოღებული ხანჯალი ეჩვენებინა. მეოთხედღეს მას შემდეგ, რაც ეს საქმე მოხდა, ამბავი შეატყობინეს ქრისტოგონს ლ. სულას ბანაკში ვოლატერასთან⁸, აცნობეს, თუ რა უზარმაზარია დატოვებული ქონება და რა მალაზმარისხოვანია მამულები—განსვენებულს მართლაც დარჩა ცამეტი მამული და თითქმის ყველა ტიბროსის ნაპირას მდებარეობს,—მოიხსენიეს ჩემი კლიენტის უმწეობა და მარტოობა, მიაქციეს მისი ყურადღება იმას, რომ, თუ სრულიად იოლად მოხერხდა მამის — სექსტუს როსციუსის მოკვლა, ასეთი სახელოვანი და გავლენიანი ადამიანისა, მით უფრო ადვილია მისი ვაჟის, ესოდენ დაუდევარისა და გაუთლელი სოფელის, რომში უცნობის მიწის პირისაგან აღგვა. და ამ საქმეში თავის მხრით შემწეობა აღუთქვეს. ერთის სიტყვით, მოკლედ რომ მოეჭრა. მსაჯულნი, გარიგება მოხდა.

VIII. როდესაც პროსკრიფციების ხსენებაც კი აღარ იყო, როდესაც ისინიც კი, ვინც უწინ შიშით იყვნენ შეპყრობილნი, დაბრუნდნენ და ფიქრობდნენ, რომ ზიფათს უკვე გადაჩინენ, სექსტუს

როსციუს უფროსის, დიდკაცობის ამ უერთგულესი ქომავის სახელი სწორედ ამ დროს შეაქვთ სიებში, ქონება იყიდება, მყიდველად გამოდის ქრისოგონი, სამი მართლაც უძვირფასესი მამული კაპიტონის ხელში გადადის საკუთრებად, დღესაც რომ უჭირავს, მთელს დანარჩენს შეძლებას კი მიმძლავრებით ეუფლება აი ეს ტიტუს როსციუსი ქრისოგონის სახელით, როგორც თვით ამბობს. ეს ექვს მილიონ სესტერცად ღირებული ქონება ორი ათასად გაიყიდა. მე, მსაჯულნო, ღრმად ვარ დაწმუნებული, ყველაფერი ისე მოხდა, რომ ლ. სულას არაფერი არ სცოდნია და ეს არც არის საკვირველი: ერთსა და იმავე დროს იგი წარსულის იარებას აშუშებს და იმისთვისაც ემზადება, რაც მოსავალია; როგორც ჩანს, ერთის მხრით მარტო მან უნდა ილონისძიოს მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის და მარტოდღენ მისივე ხელთ არის ლაშქრობის უფლება; ყველას მისკენ უჭირავს თვალი და ის ერთი განაგებს ყველაფერს; ამდენი საქმით იგი ისეა დატვირთული, რომ თავისუფლად ამოსუნთქვა აღარ ძალუძს და ამ მდგომარეობაში ყველაფერს რომ თვალყური ვერ მიადევნოს, არც არის საკვირველი; ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მრავალნი უთვალთვალებენ მის მუშაობას და ცდილობენ მარჯვე დრო შეურჩიონ, რომ, რა წამსაც კი ის პირს მიიბრუნებს, რამე ამგვარი კვლავ მოაწყონ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ რაგინდ ბედნიერი იყვეს იგი — დაწამდვილად კიდევ არის ბედნიერი — ისე ბედნიერი მაინც არ შეიძლება ვინმე იყვეს, რომ მის შინაყმათა შორის ერთი საძაგელი მონა ან აზატქმნილი არ აღმოჩნდეს. მაგრამ აი ეს ტიტუს როსციუსი, უპატიოსნესი ვაჟკაცი, ქრისოგონის ვეჟილი, მიდის ამერიაში, მიმძლავრებს ამის მამულებს და თვით ამ საცოდავს, მწუხარებისაგან ისე თავგზააბნეულს, რომ ჯერ კიდევ მამის წინაშე უკანასკნელი ვალიც კი ვერ მოუხდია, დაუყოვნებლივ შიშველ-ტიტველს აძევებს სახლიდან, მსაჯულნო, აშორებს ოჯახურ კერას და პენატთა სავანეს და თვითონ კი ამ აურაცხელი სიმდიდრის ბატონ-პატრონი ხდება. მისი ციციქნა ქონების პატრონი ულატაკესი ვინმე იქნებოდა, მაგრამ სხვისი ქონება რომ ხელთ იგდო. როგორც ჩვეულებრივ მოხდება ხოლმე, უსაზღვრო მფლანგველობას მიჰყვარ ხელი. დიდძალი ქონება მან აშკარად გადაზიდა თავის სახლში, უფრო მეტი ფარულად, ბევრი კიდევ გულისჯერებით და ხელგაშლილად თავის ხელშემწყობთ საჩუქრად დაურთია, დანარჩენი კი საჯაროდ გაჰყიდა.

IX. ამ ამბავმა იმდენად შეზარა ამერიელები, რომ მთელს ქალაქში ტირილი და კვნესა ფაისმოდა. მართლაც, მოქალაქეთ გონების თვალწინ ერთბაშად ბევრი რამ წარმოუდგათ: უკიდურესად უღმობელი სიკვდილი უბედნიერესი ადამიანის ს. როსციუსისა, ასე დაუმსახურებელი სიღარიბე იმის ვაჟისა, რომელსაც მისი მამის ვეებერთელა ქონებიდან იმ საძაგელმა საგვარეულო აკლამასთან¹⁰ მისასვლელი ბილიციც კი არ დაუტოვა. მამულების ყალბი ყოდვა, სამარცხვანო მიტაცება ქონებისა, ქურდობა, ძარცვა, ფლანგვა. არავინ არის ისეთი, რომ არ ნატრობდეს, რათა მთელი ის ქონება დაიწვას, ვიდრე ზედავდეს, თუ სექს. როსციუსის, ამ საუცხოო და უპატივეცემულესი ადამიანის მამულში, როგორ ტრაბახობს და პარპაშობს ტიტუს როსციუსი. ამიტომ დეკურიონებმა¹¹, დაუყოვნებლივ გამოსცეს დეკრეტი, რომლის ძალით ათი მამასახლისი უნდა გამგზავრებულიყო ლ. სულასთან, აეხსნათ მისთვის, თუ რა ადამიანი იყო სექს როსციუსი; შეეჩვილათ ამთ ავკაცობასა და უკანონობაზე, ეთხოვათ, რომ გარდაცვალებულსათვის აღედგინათ მისი უმწიკვლო სახელი და უდანაშაულო ვაჟისათვის დაებრუნებინათ მისი ქონება. ახლა, ფთხოვთ, კეთილ ინებოთ თვით დეკრეტის მოსმენა. (დეკურიონთა დეკრეტი). ელჩები მივიდნენ ბანაკში. აქ გამოიკვია ის, მსაჯულნო, რაც უკვე მოგახსენეთ: ამ დანაშაულთა და საზიზღრობათა შესახებ ლ. სულამ არაფერი არ იცოდა. მაშინვე თვით ქრისოგონი გამოეგება დეპუტატებს, წარჩინებული პირნიც კი მიუგზავნა მათ და ყველას სთხოვა, რომ სულასათვის არ მიემართათ, ნაცვლად აღუთქვა, რომ თვით შეუსრულებს მათ ყველაფერს, რასაც კი მოისურვებენ. ის ისე დაფრთხა, რომ მზად იყო სიცოცხლე გაეწირა, ოღონდ კი სულას მისი ოინებისა არა შეეტყო რა. დეპუტატები ძველი ყაიდის ხალხი იყვნენ, სხვებსაც საკუთარი ადლით ზომავდნენ და დაიჭირეს ქრისოგონის სიტყვა, რომ სექს. როსციუსის სახელი ამოიშლება სიიდან. ბეითალმანი მამული დაუბრუნდება მის ვაჟს, და გარდა ამისა ენდნენ ერთერთ დეპუტატსაც, ტიტუს როსციუს კაპიტონს, რომელიც თავის მხრით დაპირდა, რომ ყველაფერი შესრულებული იქნება, და ისინიც საქმის მოუხსენებლად დაბრუნდნენ ამერიასში. ჩვენი მტრები კი ჯერთავად პაქმეს აჯანჯალებდნენ და აყოვნებდნენ, შემდეგ აშკარა თავპედროსა და პანაშალობა დაიწყეს, დასასრულ კი, როცა დარწმუნდნენ, რომ ვეღარ შესძლებენ სხვისი ქონების შენარჩუნებას, სანამ მისი პატრონი ცოცხალია, შეუდგნენ სამზადისს სექს. როსციუს უმცროსის მოსაკვლელად, რაც ადვილად იყო შემჩნეული.

X. როგორც კი ჩემი კლიენტი მიუხვდა იმათ განზრახვას, შეგობრებისა და ნათესავეების რჩევით რომს გამოიქცა და თავი შეაფარა ნეპოტის დასთან, ცეცილიასთან, რომელსაც მამამისი კარვად იცნობდა და რომლის სახელს პატივისცემით ვიხსენიებ. ამ დედაკაცს, მსაჯულნო, როგორც ყველა ადასტურებს მუდამ, დღესაც კი სხვების მისაბაძავად შერჩენია კიდევ თვისებები მოვალეობის ძველრომაული გრძნობისა. და აი ამ დედაკაცმა მიიღო თავის სახლში საწყალი, უსახლკაროდ დარჩენილი, თავის მამულიდან გამომძევებული სექს. როსციუსი, რომელმაც ძლივს დააღწია თავი ყაჩაღების იარაღსა და მუქარას, მიიღო და საშველად ხელი გაუწოდა დაჩაგრულს და ყველას მიერ თავმინებებულ სტუმარს¹². მის მხნეობას, პატიოსნებას, მზრუნველობას უნდა უმადლოდეს ჩემი კლიენტი, რომ მოკლული არ შეიტანეს სიებში, არამედ ცოცხალი ბრალდებულთა დაფაზე ჩასწერეს. მას შემდეგ რაც ბერები მიხვდნენ, რომ სექს. როსციუსის სიცოცხლე ფრიად გულმოდგინედ არის დაცული და მათ მისი მოკვლის არავითარი მარჯვე შემთხვევა არ ეძლევათ, მათ განიზრახეს, უკიდურესად ბოროტი და უტიფარი გეგმა — დაებრალებინათ მისთვის მამისმკვლელობა და ამ მიზნით მოემზადებინათ ვინმე გამოცდილი პრალღებელი, რათა მას შესძლებოდა რისიმე თქმა ანეთს საქმეზედ, რომელშიაც ბრალდების ნატამალიც კი არ არის. ბოლოს, რაკი უკვე აღარ შეეძლოთ მისი ბრალდების იარაღად გამოყენება, ასეთ იარაღად განიზრახეს გამოეყენებინათ სახელმწიფოში ამისთვის შექმნილი ხელსაყრელი გარემოებანი. ეს ხალხი ასე მსჯელობდა: უკვე დიდი ხანია მკვლელობის საქმე სასამართლოს არ ვაჩუხილავს, ამიტომ მას ბრალი უნდა დაედოს, რათა პირველი ის იქნეს მოყვანილი სასამართლოში, როგორც მკვლელი; ქრისოგონის გავლენის წყალობით მფარველები მას არ აღმოუჩნდებიან; შესახებ მამულების გაყიდვისა და ჩვენი შეთანხმებისა, კრინტის დაძვრასაც ვერავინ გაბედავს; მართო სახელწოდება „მამისმკვლელი“ და დანაშაულის საშინელება შეგვაძლებინებს მის სრულიად ადვილად მოსპობას, რადგანაც მას დამცველი არ ეყოლება. ასეთი მსჯელობის გავლენით, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ამ უგუნურებით აღტყინებულებმა მათ მოგცეს თქვენ მოსაკვდინებლად ადამიანი, რომლის მოკვლა თვითონ ვერ მოახერხეს, თუმცა კი ფრიად მოწადინებულნი იყვნენ.

პირველი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ

I. კიდეც როდემდის გინდა, კატილინა, ბოროტად გამოიყენო ჩვენი მოთმინება? კიდეც რამდენ ხანს უნდა გასტანოს შენმა სიგიჟემ? კიდეც სანამდის უნდა იყოყოჩო შენი ალვირახსნილი თავხედობით? ნუთუ შენზე არ მოახდინეს არავითარი შთაბეჭდილება არც პალაციუმის¹ ღამის დარაჯებმა, არც ქალაქის ყარაულებმა, არც ხალხის მღელვარებამ, არც ყველა ზნეკეთილ მოქალაქის შეკრებილობამ, არც სენატის სხდომათა ამ გამაგრებულმა ადგილმა², არცა თუ აქ ღამსწრე სენატორების სახის გამომეტყველებამ? ნუთუ არა გრძნობ, რომ შენი განზრახვა გამომქლავნებულა? ნუთუ ვერ ხედავ, რომ უკვე ყველამ იცის შენი შეთქმულება და შენ გასაქანი არა გაქვს?

როგორ გგონია, რომელმა ჩვენგანმა არ იცის, შენის აზრით, თუ რას მოქმედობდი წუხელის, ან გუშინდამ? სად იყავი, ვის მოუხმობდი, რაზე თათბირობდი?

რა დროს შევესწარ და რა ზნეობას?! სენატმა ეს იცის, კონსული ამას ხედავს, — ის კი მაინც ცოცხლობს? ეგ არაფერი — ის სენატშიაც კი მოდის, საჯარო თათბირში მონაწილეობას ღებულობს, ირჩევს თითოეულს ჩვენგანს და სასიკვდილოდ გეწირავს; ჩვენ კი, მამაც ვაუკაცო, გგონია, რომ სახელმწიფოს ვშველით, თუ მის მძვინვარებასა და იარაღს გადავურჩით. დიდი ხანია, კატილინა, კონსულის ბრძანებით უკვე გაგზავნილი უნდა ყოფილიყავ მოსაკვდინებლად და შენ უნდა დაგტყდომოდა თავს ის ჭირი, ჩვენ რომ გვიშადებ. განა თუ უღიღებულეს კაცს პუბლიუს სციპიონს, მთავარ ქურუმს, არა თანამდებობის, არამედ როგორც კერძო პირს შეეძლო მოეკლა ტიბერიუს გრაკხი³, რომელიც სახელმწიფო წესწყობილების უმნიშვნელო შეცვლას ღამობდა. ნუთუ ჩვენ, კონსულებმა, უნდა ავიტანოთ კატილინა, რომელიც მოწადინებულა მთელი დედამიწა სისხლისღვრითა და ხანძრით გაანადგუროს? მე არაფერს ვიტყვი ფრიად შორეულ ამბებზე, — თუნდა გაიუს სერვილიუს აპალამ საკუთარის ხელით როგორ მოჰკლა სპუ-

რიუს მელიუსი⁴, სახელმწიფოებრივ გადატრიალებას რომ ცდილობდა. იყო ოდესღაც ამ სახელმწიფოში ისეთი გულოვნება, რომ მამაცნი ვაჟაკნი უფრო სასტიკი სასჯელით იმორჩილებდნენ საშიშარ მოქალაქეებს, ვინემ უმძვინვარეს მტერს. ჩვენ გვაქვს, კატილინა, შენი საწინააღმდეგო დადგენილება სენატისა, მძიმე და მკაცრი. სახელმწიფო დგას თავის სიმალეზე, მას არ აკლია არც მოთათბირენი და არც გამბედაობა სენატორთა. ჩვენ, ვამბობ აშკარად, ჩვენ, კონსულები, ვიჩენთ უქნარობას.

II. ოდესღაც სენატმა დაადგინა, რათა კონსულს ლუციუს ოპიმუსს ეზრუნა, რომ სახელმწიფოს ზიანი არამოსვლოდა რა, და არ გაუვლია ერთ ღამეს, რომ აჯანყების მზადების ოდნავი ეჭვების ნიადაგზედაც კი მოკლულ იქნა გაიუს გრაჯიუს⁵, შესანიშნავი მამის, პაპისა და წინაპართა ნაშიერი; მოკლულ იქნა შვილებითურთ ნაკონსულარი მარკუს ფუვიუსი⁶. სენატის ამნაირივე დადგენილებით სახელმწიფოს დაცვა მიენდო კონსულებს გაიუს მარიუსს და ლუციუს ვალერიუსს⁷. განა შემდეგ ამისა სახალხო ტრიბუნის — ლუციუს სატურნიანისა და პრეტორის — გაიუს სერვილიუსისათვის სახელმწიფოს მიერ გაჩენილი მსჯავრი — სიკვდილით დასჯა თუნდა ერთი დღით დაყოვნდა? ჩვენ კი, აი, უკვე მეოცე დღეა ვითმენთ, თუ როგორ ითელება სენატორთა ავტორიტეტული გადაწყვეტილება. ჩვენ ხომ გვაქვს სენატის ამგვარივე დადგენილება (მართალია ტაბულებში მოთავსებული, თითქოს ქარქაშში ჩაგებული მახვილი იყოს), რომლის ძალითაც, კატილინა, შენ დაუყოვნებლივ უნდა მოკვდინებული ყოფილიყავ. შენ კი ცოცხლობ, და არა იმისთვის, რომ ხელი აიღო შენს თავხედობაზე, არამედ მისთვის, რომ უფრო მეტად განამტკიცო იგი. მე მსურს, სენატორნო, ვიყო შემწყალებელიც, და არც მსურს სახელმწიფოს ამ განსაცდელის ჟამს დაუდევრობა გამოვიჩინო, მაგრამ უკვე თვით მე ვკიცხავ ჩემს უმოქმედობასა და უვარგისობას. რომაელ ხალხის სამტრო ბანაკი იტალიაში, ეტრურიის⁸ ხეობაშია დაცემული; დღითი დღე იზრდება მტერთა რიცხვი, ხოლო ბანაკის უფროსსა და მტერთა წინამძღოლს ვხედავთ არათუ ჩვენი ქალაქის კედლებში, არამედ სენატშიაც კი; ვხედავთ, თუ ყოველ ცისმარე დღე როგორ ცდილობს იგი საფრთხე რამე განუმზადოს სახელმწიფოს. მერწმუნე, კატილინა, მე რომ ახლა ვბრძანო შენი შეპყრობა და მოკვდინება, იმის უნდა მესინოდეს, რომ ყველა პატიოსანი მოქალაქე ნამეტნავს უზრუნველობასა და დაყოვნებას უფრო დამაყვედრებს, ვინემ სისასტიკეს. უკვე დიდი ხანია დროა, რომ ეგრე მოქცეულიყავ, მაგრამ ერთი

რამ მიზეზი მიშლიდა ხელს. შენ მხოლოდ მაშინ იქნები მოკვდინებული, როდესაც უკვე აღარ გამოიძებნება იმდენად უნამუსო, იმდენად ზნეობრივად დაცემული, იმდენად შენი მსგავსი ადამიანი, რომელიც ამ სასჯელს სამართლიანად არ მიიჩნევს. მანამდე კი, ვიდრე აღმოჩნდება თუნდა ერთი ადამიანი, რომელიც გაბედავს შენს დაცვას, შენ იცოცხლებ, მაგრამ იცოცხლებ, ვით ახლა ცოცხლობ ყოველი მხრით ძლიერი ყარაულებით გარშემორტყმული, ისე რომ ხელიც ვერ გაანძრო სახელმწიფოს წინააღმდეგ. მრავალი ხალხი, როგორც აქამდეც, გითვალთვალებს და გიდარაჯებს ისე, რომ შენ გერც კი შეამჩნევ.

III. მართლაც, რისღა იმედი გაქვს კიდევ, კატილინა, თუ ვერც ღამის წყვილადს ვერ ძალუძს დაჩრდილოს ბნელით შენი ბიწიერი განზრახვანი, ვერც კერძო პირის სახლს ძალუძს დაფაროს თავის კედლებში შეთქმულთა სიტყვები, თუ ყველაფერი აშკარავდება, ყველაფერი მქლავდება? მერწმუნე, უკვე დროა გონს მოხვიდე და ხელი აიღო სისხლისღვრასა და ცეცხლწამკიდებლობაზე. შენ სავსებით ჩვენს ხელში ხარ; ჩვენთვის ცხადზე უცხადესია ყველა შენი განზრახვა, რომელიც ახლავე შეგვიძლია ერთად განვიხილოთ. გახსოვს თუ არა, რომ მეთორმეტე დღეს ნოემბრის კალენდებამდე (21 ოქტომბერს) მე განვაცხადე სენატში, რომ განსაზღვრულ დღეს, სახელდობრ იმავე ნოემბრის კალენდებამდე მერვე დღეს (27 ოქტომბერს) შენი თავხედური განზრახვების თანამზრახველი და ხელშემწყობი გაიუს მანლიუსი⁹ აჯანყების დროშას ააფრიალებს? განა, კატილინა, მე შეეცდი ამზომ შესაზარსა, საზიზღარსა და დაუჯერებელს საქმეში, ან რაც ბევრად უფრო განსაცვიფრებელია, ვადაში? მე ხომ ვთქვი სენატში, რომ ნოემბრის კალენდებამდე მეხუთე დღეს (28 ოქტომბერს) შენ ოპტიმატების გაულეტა გაქვს განზრახული, რის გამო სახელმწიფოს მრავალნი დიდებულნი გაიქცნენ რომიდან არა თავის გადასარჩენად, არამედ შენი განზრახვების ჩასაშლელად? ნუთუ შენ შეგვიძლია უარპყო, რომ იმ დღეს ჩემი სიტხიზლის წყალობით — გარშემორტყმული ჩემი ყარაულებით — ხელის განძრევაც კი ვერ გაბედე სახელმწიფოს წინააღმდეგ და სხვების გასვლისა შემდეგ განა არ ამბობდი, რომ ვინც დავრჩით, იმათ გაწყვეტას მაინც დასჯერდებოდი? მერმე, როდესაც სწორედ ნოემბრის კალენდებაზე (1 ნოემბერს) ღამით იერიში მიიტანე პრენესტეზე¹⁰, გულდაჯერებულმა, რომ დაიპყრობდი, ნუთუ შენ არ იცოდი, რომ ეს ახალშენი ჩემი ბრძანებით; სამებრ გამაგრებული იყო სამხედრო რაზმებით, გუშაგებით და

ლამის ყარაულებით? შენ ვერაფერს მოიმოქმედებ, ვერაფერს დააპირებ, ვერაფერს განიზრახავ ისე, რომ მე ვერ გავიგო, ნათლად არ დავინახო და არ ვიგრძნო კიდევ შენი ავი ზრახვანი.

IV. ბოლოს, მოიგონე ჩემთან ერთად გუშინღამინდელი ამბები და შენ მიხვდები, რომ მე უფრო გულმოდგინედ ვმზრუნველობ სახელმწიფოს საშველად, ვიდრე შენ მის დასალუბად. მე ვამტკიცებ, რომ იმ ღამით შენ გაემართე მქედლების ქუჩით — ვიტყვი დაუფარავად — მარკუს ლეკას სახლში; იქვე მრავლად შეიკრიბნენ შენზე ბოროტი განზრახვის თანაზიარნი. ნუთუ გაბედავ ამის უარყოფას? როგორ უნდა გავიგოთ შენი ღუმილი? რაკი უარობ, მე გამხილებ; მე ხომ აქ, სენატში ვხედავ ზოგიერთებს, შენთან ერთად რომ იყვნენ. ოი, ღმერთო უკვდავო, რა ქვეყანაში ვართ?! რა ქალაქში ვცხოვრობთ?! აქ, სენატორებო, აქ, ჩვენს წრეში, ამ უწმინდესსა და უღიადეს საბჭოში, რომლის მსგავსი მთელს მსოფლიოში არ მოიპოვება, ბრძანდება ხალხი, გულში რომ ჩვენი — უკლებლივ ყველასი — გაუღეტა და ამ ქალაქის, მთელის ქვეყნის დაქვევაც კი განუზრახავს. და მე, კონსულმა, მათ უნდა ვუცქირო, გამოვკითხო მათი აზრი საზოგადოებრივ საქმეების შესახებ და ვერც კი გამიბედნია ჭერხანად სიტყვით შეურაცხვეყო ისინი, ვინც უკვე დიდი ხანია ღირსნი არიან, რომ რკინით იყვნენ განგმირულნი. მაშ ასე, იმ ღამით, კატილინა, შენ ლეკასთან იყავი; დაანაწილე იტალია; დაადგინე, ვინ საით უნდა გაემართოს; აირჩიე, თუ ვინ დაგეტოვებინა რომში და თან ვინ წაგეყვანა; დანიშნე ის უბნები, საიდანაც ქალაქს ცეცხლი უნდა წაჰკიდებოდა; ირწმუნებოდე, რომ თვით შენც მალე დასტოვებ ქალაქს და ამბობდი, რომ მხოლოდ ერთი დაბრკოლება გაყოვნებს—ის, რომ მე ცოცხალი ვარ. აღმოჩნდა ორი რომაელი მხედარი, რომელთაც თავს იღვეს შენთვის ამ საზრუნავის შემსუბუქება და ადგითქვეს იმავე განთიადამდე ჩემსავ ლოგინში ჩემი მოკვლა. ყველაფერი ეს მე გავიგე მყისვე, როგორც კი თქვენი კრება დაიშალა; უფრო გავაძლიერე ჩემი მცველი ყარაულების რაზმი და გავამაგრე ჩემი სახლი; არ მივიღე ისინი, ვინც შენ დილის საღამის მოსახსენებლად გამოგვეგზავნა, რადგანაც მოვიდნენ სწორედ ისინი, რომელთა შესახებ ბევრს წარჩინებულს მოქალაქეს მე წინასწარ ვუთხარი, რომ სწორედ ამ დროს მოვიდოდნენ ჩემთან.

V. რაკი ასეა საქმე, კატილინა, განაგრძე, როგორც დაგიწყია! ბოლოს და ბოლოს გაეცალე ქალაქს, ალაყაფის კარები ღიაა. გავუმორდი. იმ შენი მანლოუანის ბანაკი სული-სულზე გელოდება

თავის მთავარსარდალს. თან წაიყვანე ყველა შენი თანამზრახველი; თუ ყველა არა, რაც შეიძლება უფრო მეტი. ამით შენ დიდს საზრუნავს მომაცილებ, თუ რომ ჩვენს შორის კედლები აღიმართება. ჩვენს წრეში შენი ყოფნა კი უკვე აღარ შეიძლება — მე ამას ვერ ავიტან, ვერ მოვითმენ, ამის ნებას ვერ მოგცემ. დიდი მადლობა უნდა შევწიროთ უკვდავ ღმერთებს და მათ შორის თვით იუპიტერ სტატორს, ამ ქალაქის უძველეს მფარველს, რომ ამდენჯერ გადავრჩით ესოდენ საზიზღარს, ესოდენ საშინელს და სახელმწიფოსათვის ესოდენ საშიშარს კირს. მაგრამ ამიერიდან ერთი კაცის მიზღვით აღარ შეიძლება სახელმწიფოს საფრთხეში ჩაგდება. სანამ შენ, კატილინა, მანქანებას მიწყობდი მე, სახელდებულ კონსულს, მე თავს ვიცავდი პირადი ჩემი წინდახედულობით და არა სახელმწიფოებრივი ზომების მეოხებით. აგრეთვე როდესაც კონსულების საარჩევნო ამა წლის სახალხო კრებების დროს მოწადინებული იყავით მოგეკალით მარსის ველზედ, მე, უკვე კონსულმა და შენმა მეტოქემ, ჩავახშე შენი ბიწიერი მცდელობა მეგობრების შემწეობითა და დახმარებით ისე, რომ არავითარი მღელვარება ხალხში არ გამოიწვევია; საერთოდ რამდენჯერაც მოიტანე ჩემზედ იერაში, იმდენჯერ ჩემი საკუთარი ძალ-ღონით გაგიწიე წინააღმდეგობა, თუმცა ვიცოდი, თუ რა დიდ განსაცდელს უქადის სახელმწიფოს ჩემი დაღუპვა. ახლა კი, შენ უკვე მთელს სახელმწიფოს ემუქრები აშკარად; დაღუპვასა და განადგურებას უქადი უკვდავ ღმერთების ტაძრებს, ქალაქის შენობებს, ყველა მოქალაქის სიცოცხლეს და მთელს იტალიას. და ვინაიდან მე კიდევ ვერ ვბედავ იმის შესრულებას, რაც უპირველ ყოვლია უნდა შემესრულებინა და რაც სრულიად შეეფერება ჩემს ხელისუფლებას და წინაპართა ანდერძს, ამიტომ ვიხმარ ღონისძიებას არც იმდენად სასტიკს, მაგრამ სამაგიეროდ საზოგადოების კეთილდღეობისათვის უფრო სასარგებლოს. მართლაც, მე რომ ვბრძანო მხოლოდ შენი დასჯა სიკვდილით, სახელმწიფოში ხომ დარჩება სხვა შეთქმულთა ხროვა. ხოლო თუ შენ გაგვეცლები, როგორც უკვე დიდი ხანია მოგიწოდებ, ქალაქს მრავლად გაეცლებიან სახელმწიფოსათვის საშიშარი ნაძირალნი. მაშ, როგორ, კატილინა? ნუთუ ვერ გაგიბედნია ჩემი ბრძანებით შეასრულო ის, რაც უკვე ნებაყოფლობით უნდა შეგესრულებინა? კონსული გიბრძანებს აშკარა მტერს — გაეცალო ქალაქს. მეკითხები: ნუთუ განვიდევნო? ვერა, ამას ვერ შეგებდავ, მაგრამ თუ მკითხავ რჩევას, გირჩევ კი.

VI. ბოლოს და ბოლოს, კატილინა, რა არის, რომ გიზიდავს ამ ქალაქში? მასში არავეინაა, გარდა ზნეობრივად გახრწნილ შეთქმულთა, რომ შენი არ ეშინოდეს, რომ შენ არ სძულდე. შენი ოჯახის ვიწრო წრეში ჩადენილ საძრახის მოქმედების რა და რა დალი არ აზის შენს ცხოვრებას? საერთოდ, შენს პირად ცხოვრებაში რა სირცხვილით არ არის შელანძღული შენი სახელი? რა გარყვნილება გამოჰპარვია შენს თვალს? რა უნამუსო საქმით არ გაგითითხნია შენი ხელუბნი? რა სისაძაგლეში არ ჩაფლულხარ მთელი შენი არსებით? შენგნით მცდუნებელ მახეში გაბმულ რომელ ჭაბუკისათვის არ შეგიჩრია ხელში იარაღი სააკვაცოდ ან ჩირაღდნით არ გაგინათებია გზა გარყვნილებისა? მერე? ამას წინათ, როდესაც პირველი ცოლის სიკვდილით ახალი ქორწინებისათვის სახლი გაათავისუფლე, განა შენ ეს ავკაცობა მეორე უფრო საარაკო დანაშაულით არ დააგვირგვინე?¹¹ მაგრამ შე გვერდს ავუქცევ ამ გარემოებას და წავუყარებ, რათა არავის ეგონოს, რომ ჩვენს სახელმწიფოში შესაძლოა მომხდარიყო ესოდენ მძიმე დანაშაული ან შესაძლოა იგი არ დასჯილიყო. განზე ვტოვებ აგრეთვე შენს ქონებრივ გაკოტრებას, რომელიც, თვით დარწმუნდები თავს დაგატყდება უახლოეს იღებში*. გადავდივარ იმაზედ, რასაც კავშირი არა აქვს არც შენი პირადი ცხოვრების ბიწიერებასა და საძრახისობასთან, არც შენი შინაური მდგომარეობის გასაჰირთან და საზიზღრობასთან, არამედ რაც შეეხება სახელმწიფოს საარსებო (უმალღეს) მოთხოვნილებას და თითოეული ჩვენგანის სიცოცხლესა და კეთილდღეობას. განა შეგიძლია, კატილინა, სიამოვნებით უქქირო დღის სინათლეს ან ცინ ჰაერი ისუნთქო, როდესაც იცი, რომ ყველასათვის ცნობილია, თუ იანვრის კალენდების წინადღეს (31 დეკემბერს), ლებიდუსისა და ტულიუსის კონსულობის დროს, შეიარაღებული როგორ იდექი სახალხო კრებაში? თუ ვით შეაგროვე ხრო კონსულებისა და სახელმწიფოს მესვეურთა მოსაკლავად¹²? და რომ შენს ავკაცობას და მძვინვარე სიგიყეს ხელი შეუშალა არა შენმა გონიერებამ ან შენმა შიშმა, არამედ რომაელ ხალხის ბედნიერმა სვემ? მაგრამ ამას თავი დავანებოთ — მას შემდეგ კიდევ ბევრი შავბნელი საქმე მოგიმოქმედნია; რამდენჯერ ცდილხარ ჩემს მოკვლას მაშინ, როდესაც კონსულად ვიყავ არჩეული, და მაშინაც, როდესაც კონსულობას უკვე შევუდექი? რამდენჯერ ამიცილებია თავიდან შენი თავდასხმა, ისე მოზომო-

* იღები თვის შუა რიცხვებს ეწოდებოდა.

ლი, თითქოს იმის თავის არიდება შეუძლებელი იყო მარტოოდენ მარჯვე ხერხით და, როგორც ითქმის, ტანის მარდი მოძრაობით? ვერაფერი შენ ვერ განახორციელებ, ვერაფერს ვერ მიაღწიე, მაგრამ ხელი მაინც არ აგიღია შენს განზრახვასა და მიზანზედ. რამდენჯერ გამოუტაცინათ შენთვის შენი ხანჯალი? რამდენჯერ რაღაც შემთხვევით გაგსხლტომია და დაეარდნილა? ალბათ რაღაც საღმრთო წესით შენ იგი ნაკურთხი გაქვს და განკუთვნილია რომელიღაც ღვთაებთსათვის შესაწირავად, რომ საჭიროდ მიგაჩნია მაინცდამაინც კონსულს დასცე გულში!

VII. ამჟამად კი, აბა რასა ჰგავს ახლანდელი შენი მდგომარეობა? ახლა მე მინდა გელაპარაკო ისე, რომ სჩანდეს, რომ მალაპარაკებს არა სიძულვილი, რისიც შენ ღირსი ხარ, არამედ გულშემატკივრობა, რაც შენ სრულიად არ დაგიმსახურებია. ეს არის ახლა სენატში გამოცხადდი: აბა ვინ მოგესალმა ამ მრავალრიცხოვან კრებაში ან შენთა მეგობარ-მახლობელთაგან? თუ უხსოვარ დროიდან ასეთი უპატივემულობა არავის შემთხვევია, რად გინდა ელოდო სიტყვით შეურაცხყოფას, როდესაც განადგურებული ხარ უსასტიკესი ჩემი განაჩენით? რას ფიქრობ იმ გარემოებისას, შენი მოსვლისთანავე რომ ახლო-მახლო სკამები დაცალიერდა, ყველა კონსულარმა, რომელნიც არაერთგზის სასიკვდილოდ გყავდა განწირულნი, რა წამსაც დაჯექი, სრულიად რომ დასტოვა დარბაზის ის ადგილი? — ბოლოს და ბოლოს, როგორ უყურებ ასეთს დახვედრას? ფიციავ ჰერკულესს, ჩემს მონებს რომ ისე ეშინოდესთ ჩემი, როგორც შენი ეშინია ყველა შენს თანამოქალაქეს, მე ვამჯობინებდი ჩემი სახლისათვის თავი მიმენებებინა. შენ კი არც ფიქრობ ქალაქის დატოვებასი მე რომ შევნიშნო, რომ ჩემი თანამოქალაქენი სრულიად უსაფუძვლოდ, დაუმსახურებლადაც კი აღმაცერად და სიძულვილით მიცქერენ, ვამჯობინებდი თანამოქალაქეთა თვალთაგან მივეფარო, ვიდრე ავიტანო მათი მტრული ცქერა. შენ კი, თუმცა შეგნებული გაქვს შენი დანაშაული და საყოველთაო სიძულვილი, სამართლიანად მიგაჩნია და უკვე დიდი ხნიდან დამსახურებულად, ყოყმანობ განერიდო თუ არა იმათ ყურებასა და საზოგადოებას, ვისიც აზრებსა და გრძნობებს ეწოდენ შეურაცხყოფი! შენს მშობლებს რომ შენი შინებოდათ და სძულებოდით და შენ ვერასგზით ვერ მოგეხერხებინა მათთვის გულის მღალბობა, ვგონებ, შენ მიეფარებოდით იმათ თვალთაგან; ახლა კი სამშობლოს, ჩვენს საერთო მშობელს, შესძულე-ბიხარ, ეშინია შენი, რადგანაც დარწმუნებულია, რომ უკვე დიდი ხანია მარტოოდენ იმის დაღუპვას ლამობ. მაშ, ნუთუ ქედს არ

მოიდრეკ მისი ნება-სურვილის წინაშე, არ დაემორჩილები მის მსჯავრს, არ შეუშინდები მის ძალას? სამშობლო, კატილინა, ასე მოგმართავს, თითქოს ჩუმად გეუბნებოდეს: „უკვე რამდენიმე წელიწადია არ მომხდარა არც ერთი დანაშაული თუ არა შენი მონაწილეობით, არც ერთი სამარცხენო საქმე უშენოდ; ერთადერთისათვის, შენთვის ჩაუვლია უშედეგოდ, მარტოოდენ შენ შეგრჩენია დაუსჯელად მოქალაქეთა მრავლად დახოცვა¹³, მოკავშირეთა წამება და ძარცვა¹⁴; შენ შეგწევდა გამბედაობა არა თუ არად ჩაგეგდო, არამედ დაგემხო კიდევაც და ფეხქვეშ გაგეთელა კანონები და სასამართლოები. ის უწინდელი ყველა შენი დანაშაული, თუმცა ძნელი იყო მათი ატანა, როგორც შევქელი, მაინც ავიტანე. ახლა კი, როდესაც სულ მთლად შიშითა ვარ შეპყრობილი მარტოოდენ შენი წყალობით, როდესაც მცირეოდენ ხმაურზედ კატილინას შიში მაძრწოლებს, როდესაც მგონია, რომ არა ერთი ბოროტი საქმე შეიძლება განზრახული იქნეს ჩემ წინააღმდეგ, ამის ატანა აღარ ძალმიძს. ამიტომ განმშორდი, მომასვენე ამ შიშისაგან, თუ იგი საფუძვლიანია—რომ სულს არ მიხუთავდეს, ზოლო თუ ტყუილი შიშია — რომ ბოლოს და ბოლოს აღარ განვიცდიდე ძრწოლას“.

VIII. სამშობლოს რომ მართლა ასე მოემართნა შენთვის, როგორც მე დაგისურათე, ნუთუ პატივი არ უნდა დადებოდა მის ნება-სურვილს, კიდევაც რომ მოკლებული ყოფილიყო შესაძლებლობას ძალიანათვის მიემართა? ან რას იტყვი შესახებ იმისა, რომ თვით შენ იყავი მზად შინაურ პატიმრობაზედ დათანხმებულიყავი¹⁵ და სურვილიც კი გამოგიტყვამს მანლიუს ლეპიდუსთან¹⁶ დაბინავებისა, რათა თავიდან აგეცილებინა ეჭვი? და იმან რომ უარით გამოგისტუმრა, შენ ჩემთან მოსვლაც კი გაპბედე და მთხოვდი, რომ ჩემს სახლში შეგეფარებინა თავი. ოდეს ჩემგანაც იგივე პასუხი მიიღე, რომ მე არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია უშიშრობაში ვიგრძნო თავი შენთან ერთად ერთქერქვეშ ყოფნისას, რადგანაც უდიდეს საფრთხედ მიმაჩნია უკვე ის, რომ ჩვენ გარს ერთი და იგივე კედლები გვარტყია, შენ პრეტორ კვინტოს მეტელოსთან გაემართე; ამანაც რომ ზელი გკრა, შენს ამხანაგთან, „ფრიად ღირსეულ“ მარკუს მეტელუსთან¹⁷ გადაბარგდი, — ფიქრობდი, ალბათ, რომ ის ფრიად ბეჯითიც არის რომ ვიდარაჯოს, ფრიად გამჭირახიც, რომ გამოიცნოს შენი ბოროტი ზრახვანი და ფრიად გამბედავიც, რომ აგლაგმოს კიდეც. მაგრამ განა შორსლა არის დილეგსა და ბორკილებისგან ის, ვინც თავი თვისი თვით მიიჩნია ღირსად შინაური პატიმრობისა? და აი ასეთს პირობებში, კატილინა, შენ კიდევე ყოყმანობ, სიმხნე არ გყოფნის დღე მოისწრაფო თუ არ ძალგიძს

გულმშვიდად შეხედე სიკვდილს, წახვიდე სადმე სხვა ქვეყანაში და შენი სიცოცხლე, რომელიც მრავალჯერ გიხსნია სამართლიანი და დამსახურებული სასჯელისაგან, გაატარო დევნილობასა და მართლობაში?

„სენატს მოახსენეო“, მეუბნები შენ; ამას მოითხოვ და ამით ამბობ, რომ თუ სენატი ინებებს და დაადგენს შენს გაძევებას, შენ დაემორჩილები დადგენილებას. არა, მე სენატს არ მოვახსენებ იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება¹⁸. მაგრამ ვეცდები კი მივახვედრო, თუ რას ფიქრობენ შენზედ სენატორები. წადი ქალაქიდან, კატილინა, მოასვენე სახელმწიფო შიშისაგან, გაემართე ექსორიად, თუ უთუოდ ეს სიტყვა გინდა. ეს რა არის, კატილინა? გრძნობ თუ არა, ამჩნევ თუ არა ამათ დუმილს? ესენი თანახმანი არიან, ესენი სდუმან. მაშ რად გინდა გადაწყვეტილება იმათ ბაგეთაგან მოისმინო, ვის საწადელსაც აშკარად დალაღებს მათივე დუმილი? რამე ამის მსგავსი რომ მეთქვა, მაგალითად, აი ამ კეთილშობილ ჭაბუკისათვის — პუბლიუს სექსტიუსისთვის¹⁹ ან უმამაცეს ვაეკაციისათვის — მარკუს მარცელუსისათვის²⁰, სენატი მაშინვე, მიუხედავად ჩემი კონსულობისა, ამავე ტაძარში სრულიად სამართლიანად თავს დამატებდა შეუბრალებელ სასჯელს. შენი პიროვნების მიმართ კი, კატილინა, სენატი დამშვიდებულია — ამით ჩემს მსჯავრს იწონებს, ითმენს კიდევ და ამით თანხმობას აცხადებს, მდუმარებს, და ეს დუმილი დალადისია სასჯელისათვის. ამავე აზრის არიან არა მარტო აქ დამსწრე სენატორნი, რომელთა ავტორიტეტი, რა თქმა უნდა, შენთვის ეგრე ძვირფასია, სიცოცხლე კი არაფრად მიგაჩნია, არამედ აი ის რომელი მხედარნი, უპატივცემულესი და სახელოვანი ხალხი და სხვა (უმამაცესი) მოქალაქენი, სენატს რომ გარჯ მოდგომიან. ეს-ეს არის ახლა შენ შეგეძლო დაგენახა მათი სიმრავლე, გაგეგო მათი სულიერი განწყობილება, გაგეგონა მათი ხმა. უკვე რამდენი ხანია რის ვაი-ვაგლახით ვცდილობ შევაჩერო ისინი, რომ იარაღით და ძალადობით არ გაგისწორდნენ, მაგრამ მათე ადვილად დავიყოლიებ მიგაცილონ ალყაფის კარებამდე²¹, როდესაც შენ დასტოვებ ჩვენს დედაქალაქს, რომლის აღგვა პიროსაგან მიწისა უკვე დიდი ხანია ვწყურია.

IX. თუმცა რისთვის ვლაპარაკობ? განა შენ რამე დაგაცხრობს? განა შენ ოდესმე გამოსწორდები? განა შენ სადმე გაქცევას განიზრახავ? განა შენ გაძევებას შეუტყობი? ო, უკვდავი ღმერთები რომ შთაგინერგავდნენ ამ აზრს! თუმცა იმასაც ვითვალისწინებ, სიძულვილის რა ქარიშხალი დამატყდება, თუ რომ ჩემი სიტყვებით შეშინებული გაბედავ თავის დაძევებას, დამატყდება თუ ახლა არა,

როდესაც შენი ავკაცობა ჯერ კიდევ არ დავიწყებულია, მომავალში მაინც. მაგრამ მე ეს არ მაშინებს, ოღონდ კი უბედურება შეეხებოდეს კერძო პიროვნებას და სახელმწიფოსათვის საშიშროებას არ წარმოადგენდეს. შენგან კი ფუტია იმის მოთხოვნა, რომ შენ შეგაძრწუნოს შენმა ცოდვებმა, შეგაშინოს კანონით დაწესებულმა სასჯელმა, რომ შენ რამე გაიმეტო მსხვერპლად სახელმწიფოსათვის მის გასაჭირში ყოფნისას. არა, კატილინა, შენ ხომ ისეთი არა ხარ, რომ ოდესმე სირცხვილმა საძრახის საქმეზე ხელი აგაღებინოს, შიშმა განსაცდელს აგარიდოს ან გონივრულმა მოსაზრებამ მძვინვარება დაგიცხროს. ამიტომ წადი, როგორც უკვე არა ერთხელ მითქვამს შენთვის, და თუ შენ გსურს გააჩალო ცეცხლი სიძულვილისა შენი პირადი მტრის წინააღმდეგ, როგორც იკვებხნი, პირდაპირ გასწი: თუმცა ძნელი იქნება ხალხის მითქმა-მოთქმის ატანა, როდესაც შენ ამას მოიმოქმედებ, თუმცა სამძიმო იქნება ამ სიძულვილის ტვირთის ზიდვა, როდესაც შენ კონსულის ბრძანებით ქალაქიდან გადაიხვეწები, მაგრამ ავიტან, გავუძლებ. ხოლო თუ გწადია სახელი და დიდება მე მომიხვეჭო, თან წაიყვანე საზარელ ავაზაკთა ბრბო, მიდი მანლიუსთან, აამხედრე ზნედაცემული მოქალაქენი, ჩამოშორდი კეთილშობილთ, გამოუცხადე სამშობლოს ომი და დატები უკეთური ძარცვა-გლეჯით, რათა ყველამ დინახოს, რომ მე როდი გამიძევებინარ უცხოებთან, არამედ თვით შენ გადაბარგდი შენს დამქაშებთან მათივე მიწვევით. ან კი რას გეპატიები წასვლას? განა უკვე არ ვიცი, რომ წინ გაგზავნილი გყავს შეიარაღებული ხალხი, რომელიც ავრელიუსის ფორუმთან უნდა დაგელოდოს? რომ მანლიუსთან შეთანხმებით უკვე დღეცა გაქვს დანიშნული? განა არ ვიცი ისიც, რომ შენი მეცადინობით გაგზავნილია იქ ყველასათვის ცნობილი ვერცხლის არწივი, რომელსაც შენს სახლში საკურთხეველი აუგე და რომელიც, დარწმუნებული ვარ, საბედისწერო და დამლუპველ მერმისს გიმზადებსთ შენა და ყველა შენიანს? შენ ხომ დიდხანს ვერ გაძლებ უმისოდ, ვის წინაშეც ჩვეულ იყავ ლოცვის აღვლენას მკველელობისათვის განმზადებული და ვის ბომონისაგან აღგიმართავს ხოლმე ბილწი მარჯვენა მოქალაქეთა საელეტად?

X. ოდესმე ბოლოს, შენ წახვალ იქ, სადაც უკვე დიდი ხანია გიხმობს აღვირახსნილი და შმაგი გზნება და ეს არამც თუ არ განადვლებს, არამედ რაღაც დაუჯერებელ სიამოვნებას გინერგავს გულში. ამ სიგიჟისათვის გშობა ბუნებამ, აღგზარდა ნებოსყოფამ, დაგიფარა ბედმა. შენ არაოდეს მშვიდობიანობას არ ნატრობდი, არამედ ყოველთვის მარტოოდენ ულმობელი ომი გწყუროდა. შენ შეჰკრიბე გარეწართაგან არამზადების ხროვა, რომელთაც

არამც თუ საარსებო სახსრები აღარ მოეპოვებათ, თვით არსებობის იმედიც კი გაქრობიათ. ო, როგორ დატყბები სიამოვნებით, როგორ მიეცემი სიხარულს, როგორ დათვრები აღტაცებით, როდესაც შენთა დამქაშთა უამრავ ბრბოში ერთს რიგიანს ადამიანს ვერ დაინახავ, ერთის წესიერის ხმას ვერ გაიგონები ასეთი ცხოვრებისათვის რომ გაწაფულიყავ, შენ დიდი შრომა გადაგიტანია — მიწაზედ წოლა, არა მხოლოდ მრუშობისათვის მარჯვე შემთხვევის ლოდინში, არამედ საავკაცოდაც მზადებაში, ფხიზლობა, არა მარტო მძინარე ქმრების სადარაჯოდ, არამედ უღარდელთა ქონების სათვალთვალოდაც. შენი ნაქები ამტანობა შიმშილისა, სიცოცხსა და ყოველგვარი გასაჭირისა ახლა შეგიძლია გამოიჩინო, მაგრამ თვით იგრძნობ, სულ მოკლე ხანში ამით როგორ დაუძღურდები. დიდი რამ იყო ის გამარჯვება, რომ კონსულობას ჩამოგაშორე²², რადგან უმჯობესია სახელმწიფოს თავს ესხმოდე, ვიდრე კონსული ქენჭნიდე იმას—მაშინ შენგნით განზრახულ ბოროტებას უნდა ეწოდოს ავაზაკური თარეში და არა ომი. სენატორებო, ახლა მე უნდა შევეცადო ვიმართლო თავი და ავირიდო თითქმის სამართლიანი საყვედური ჩემი სამშობლოსი და თქვენ გთხოვთ, ყურადღებით მოისმინოთ და ღრმად შთაიბეჭდოთ თქვენს გულსა და გონებაში, რასაც მოგახსენებთ. მართლაც, თუ ჩემი სამშობლო, რომელიც ჩემთვის ჩემს სიცოცხლეზედ ბევრად უფრო ძვირფასია, თუ მთელი იტალია, სრულიად სახელმწიფო ისე მეტყვის „მარაუსტულიუს, აბა რას შვრები? ნუთუ შენ ქალაქიდან გასვლის ნებას დართავ იმას, ვინც შენ მტრად აღიარე, ვინც მომავალ ომის ზელმიღვანელად გამოაცხადე, ვისაც, და შენ ეს კარგად იცი, როგორც მთავარსარდალს ელოდება მტერთა ბანაკი, დანაშაულთა მოქმედს, შეთქმულების სულის ჩამდგმელს, მონათა და ზნედაცემულ მოქალაქეთა წამქეზებელს—ეს ხომ იქნება არა ქალაქიდან გაშვება, არამედ წინაუქმო, ქალაქზედ მიშვება? ნუთუ შენ არ გასცემ ბრძანებას, რათა ბორკილი დაადონ და წაიყვანონ არა მოსაკვდინებლად, არამედ უსასტიკეს სასჯელთა დასადებად? ბოლოს რა გიშლის? წინაპართა ჩვეულება ხომ არა? მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში ბოროტმავნებელ მოქალაქეებს კერძო პირნიც კი ძლიერ ხშირად სიკვდილით სჯიდნენ? თუ რომაელ მოქალაქეთა სიკვდილით დასჯისათვის დადგენილი კანონი და მართებულობა? მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში მოქალაქეობრივ უფლებებს ვერაოდეს ვერ ინარჩუნებდა ხოლმე ის, ვინც ჩვენს სახელმწიფოს განეთიშებოდა. ან იქნებ შენ შთამომავლობის გულისწყრომა გაფრთხობს? თუ ასეა, სიძულვილით და სხვა რაღაც საშიშროებით დაფეთებული

უგულვებელყოფ შენთა თანამოქალაქეთა კეთილდღეობას და ჭეშმარიტად შესანიშნავს მადლობას უხდი რომაელ ხალხს, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ დიდგვაროვანი წინაპარნი შენ არ გყოლია, შენი პირადი დამსახურებისათვის ასე სწრაფად გაგატარა პატივის ყველა საფეხური და აღამაღლა უზენაეს თანამდებობამდე²³. მაგრამ თუ ვინმე შიშითაა შეპყრობილი სიძულვილის წინაშე, ნუთუ უფრო საშიში არ არის უვარგისობითა და უმოქმედობით გამოწვეული სიძულვილი, ვიდრე სიმკაცრითა და მხნეობით აღზნებული? ნუთუ გგონია, რომ სიძულვილის ალი თვით შენ არ გიმსხვერპლებს, როდესაც ომი იტალიას მოაოხრებს, ქალაქებს გაანადგურებს, სახლებს ცეცხლში დაბუგავს?“

XI. ამ უწმინდესი სიტყვების პასუხად სამშობლოს და იმათაც, ვინც ამავე აზრებს იზიარებს, მე მოკლედ მოვახსენებდი შემდეგს: სენატორნო, კატილინას ზიკვდილით დასჯა მე რომ საუკეთესო საქმედ მიმაჩნდეს, ამ გლადიატორს ერთი საათის სიცოცხლესაც კი არ მივანიჭებდი. მართლაც, თუ რომ უწარჩინებულეს ვაჟკაცთ და უსახელოვანეს მოქალაქეთ სატურნინის, გრაკუნების, ფლაკუსის და სხვათა მრავალთა უფრო შორეულ წარსულის დროის კაცთა სისხლის დაღვრით არამც თუ ჩირქი არ მოცხებიათ, არამედ სახელიც კი გაიქვეს, მე რად უნდა ვშიშობდე, რომ მოქალაქეთა მომსვრელის ამ მკვლელის მოკვდინებამ სახელი გამიტეხოს შთამომავლობის თვალში? რაგინდ უსაშინელესი სიძულვილი მომელოდეს, მე მუდამ იმ აზრისა ვიყავი, რომ გულოვანებით გამოწვეული სიძულვილი სასახელთა და არა სამარცხვინო. მაგრამ არიან ჩვენს შეკრებილებში ზოგიერთნი, რომელნიც ან ვერ ამჩნევენ მას, რაც განსაცდელს გვიქადის, ან თუ ამჩნევენ, მალავენ; ისინი თავიანთი ფრიად ღმობიერი მსჯელობით კატილინას იმედებს უღვივებდნენ, მათ არ სჯეროდათ შეთქმულების არსებობა და ამით თანდათანობით გაღვივებულნი მზარდ შეთქმულებას კიდევ მეტად აძლიერებდნენ! იმათ გავლენით ბევრი მოქალაქე, არამც თუ მხოლოდ ბოროტგანმზრახველი, არამედ მართლაც გამოუცდელი, თუ დავსჯით კატილინას, იტყოდა, რომ სასტიკად და მტარვალურად მოვეპყარი მას. ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ მან მიადწია მანლიუსის ბანაკამდე, სადაც ის მიეშურება, არ მოიძებნება არავინ ისეთი რეგვენი, რომ თვალნათლივ არ დარწმუნებულიყო შეთქმულების არსებობაში, არც არავინ ესოდენ არამზადა, რომ უარეყო იგი. მე მშვენივრად მაქვს შეგნებული, რომ თუ მოკვდინებულ იქნება მარტოოდენ ერთი კატილინა, სახელმწიფოს ეს წყლული მხოლოდ რამდენიმე ხნით იქნება მოშუშებული და არა სამუდამოდ განკურნებული. ხოლო თუ იგი გაგვე-

ცლება, თან წაიყვანს თავის თანამოაზრეთაც და აგრეთვე ყოველგნით შეცრებს და მათ შეუერთებს ყველა სხვა თავის სულით-ხორცამდე ხელიდან წასულ, გაკოტრებულ მომხრეს, მაშინ არამც თუ გასკდება და ამოირწყვება ჩვენი სახელმწიფოს სხეულზე და მწიფებული იარა, არამედ ერთიანად აღმოიფხვრება ყოველგვარი ქირის ფესვი და თესლი.


XII. ჩვენ კი, სენატორნო, ხომ დიდი ხანია ვცხოვრობთ ამ შეთქმულების საშიშროებით და მზაკვრობით გარემოცულნი, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ყოველგვარი დანაშაული და ეს ძველი მძვინვარება და კადნიერება მთელი თავისი ძლიერებით სწორედ ჩვენი კონსულობის დროს გამოაშკარადა ამ საზარელ ავაზაკურ ბრბოს რომ მარტო ერთი კატილინა ჩამოშორდეს, შეიძლება ჩვენ მოგვეჩვენოს, რომ შფოთისა და მღელვარებისაგან დროებით სული მოვითქვით, მაგრამ ნამდვილად საშიშროება დარჩება და კიდევ უფრო ღრმად გაიდგამს ფესვებს სახელმწიფოს ძარღვებსა და შიგნეულში. ხშირად მძიმე სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფი ცივ-ცხელებისაგან რომ ბორგავს, ცივს წყალს დაეწაფება ხოლმე და თავდაპირველად თითქოს უკეთობასა გრძნობს, მაგრამ შემდეგ უფრო საშინლად იტანჯება; აგრეთვე ეს სენიცი, ჩვენს სახელმწიფოს რომ მოსდებია, თუმც შენელებდა კატილინას დასჯით, უარესად გამწვავდება, თუ იმის მიმდევარნი ცოცხალნი დარჩებიან.

ამიტომ, დაე მოგვცილდნენ ეგ უკეთურნი, დაე ჩამოშორდნენ პატიოსან ხალხს, შექუჩდნენ ყველანი ერთს ადგილზე და, როგორც უკვე არა ერთხელ მითქვამს, დაე კედელმა გაგვაცალკევოს იმათგან; აპყარონ თავიანთი საფარი, ხელი აიღონ სიყვარაგზე კონსულის წინააღმდეგ მისვე ბინაში, გარს ნუ ეხვევიან ქალაქის პრეტორის ტრიბუნალს, შეიარაღებულნი ალყად ნუ შემორტყმიან სენატის შენობას და ქალაქის გადასაბუგავად ნუ იმარაგებენ ცეცხლწამკიდებელ ისრებსა და ჩირალდნებს; ბოლოს თითოეულს შუბლზე დე ჰქონდეს აღბეჭდილი, თუ რას ფიქრობს სახელმწიფოს შესახებ. მე კი აღვითქვამთ თქვენ, სენატორნო, რომ ჩვენი, კონსულების, გულმოდგინეობის, თქვენი გავლენის, რომაელ მხედართა მხნეობისა და კეთილგანმზრახველ მოქალაქეთა ერთსულოვნების წყალობით, თქვენ თვალნათლივ დაინახავთ, რომ კატილინას წასვლისთანავე ყველა მისი ოინი იქნება გამომქლავებული, ნათელმოფენილი, ჩახშობილი და დასჯილი.

ასეთი წინამოსწავებით, კატილინა, გაემგზავრე უგუნურსა და უღვთო ღვთის ომში: სახელმწიფოს ეს უდიდეს კეთილდღეობას მიანიჭებს, — შენ კი და ყველას, ვინც ყოველგვარი დანაშაულით და

მკვლევლობით მკვიდროდაა შენთან დაკავშირებული, გარგუნებს და-
ლუპვას, დამხობას და სრულს განადგურებას და შენ, იუპიტერო,
ვისაც ტაძარს საძირკველი ჩაუყარა რომაელმა ერთსა და იმავე
დროს ამ ქალაქის დაარსებისთანავე, ვისაც ჩვენ სამართლიანად
ჩვენი ქალაქის და ჩვენი სახელმწიფოს მფარველს გიწოდებთ, დაი-
ცავი იმისაგან და იმის თანამზრახველთაგან შენი და სხვა ღმერთე-
ბის ტაძრები, ქალაქის ზღუდენი და შენობები, სიცოცხლე და ქო-
ნება მოქალაქეთა, ისინი კი, ზნეკეთილთათვის საძულველნი, სამშობ-
ლოს მტერნი, იტალიის მძარცველნი, დანაშაულებრივი და ღვთის
გარეგანი კავშირით ურთიერთ შორის შეჭგუფებულნი, საუკუნო სა-
ტანჯველს მიეცი როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდგომ.

სკლუსიონსი



კატილინას სიტყვა ჯარისადმი

(„კატილინას შეთქმულება“, თავი 58)

გამოცდილებით ვიცი, მეომარნო, რომ სიტყვები ვერავის შემატებს ვაჟაკობას და ვერც სარდლის სიტყვას ძალუძს ძაბუნი ჯარისკაცი მამაცად გარდაქმნას ანდა ლაჩარი გულოვნად. თითოეული ადამიანი ბრძოლაში იმდენ გამბედაობას იჩენს, რაც მას ან ბუნებით აქვს თანდაყოლილი ან ზნეჩვეულებით შესისხლხორცებული. ამოიჩნება არწმუნო ისინი, ვისზედაც არ მოქმედებს არც ღიღება და არცა საფრთხე: შიში მათ ყურთასმენას ართმევს. მაგრამ მე მაინც შეგკრიბეთ, რათა ცოტა რამ გირჩიოთ და ამასთანავე გააცნოთ თავი მიზეზი ჩემი გადაწყვეტილებისა.

თქვენ, რასაკვირველია, იცით, მეომარნო, თუ ლენტულოსმა რა დიდი განსაცდელი თვით დაიტეხა თავს და ჩვენც შეგვაძებნია თვისი დაუდევრობითა და სულმოკლეობით; აგრეთვე იცით ისიც, რომ სანამ მე რომიდან გაშველი ჯარი არ მომივიდოდა, გალიისაკენ¹ დაძვრა არ შემეძლო. ხოლო რა მდგომარეობაშია ამჟამად ჩვენი საქმეები, ეს ყველამ იცით ისე, როგორც მე. მტრის ორი ჯარი, ერთი ქალაქის მხრით², მეორე კი გალიის მხრით³ გვიღობავს ჩვენ გზას. უფრო ხანგრძლივად აქ დაყოვნება, ძალიანაც რომ გესურდეს, პურის მარაგის და სხვა სურსათის ნაკლებობის გამო აღარ შეგვიძლია და რა გზაც არ უნდა ივირჩიოთ, სულერთია ჩვენ იგი იარაღით უნდა გავიკაფოთ. ამიტომ გირჩევთ, რომ იყვეთ გულადნი და მედგარნი და, როცა ბრძოლაში ჩაებათ, კარგად გახსოვდეთ, რომ ხელთ გიჭირავსთ სიმდიდრე, ღირსება, ღიღება და გარდა ამისა თავისუფლება და სამშობლო. თუ გავიმარჯვებთ, ყველაფრით ვიქნებით უზრუნველყოფილნი, სურსათ-სანოვაგეც უზვად გვექნება, მუნიციპიები და კოლონიები⁴ თავიანთ კარებს გაგვიღებენ, მაგრამ თუ შიშისაგან უკუვიქცევით, ყველაფერი თავს დაგვატყდება: ველარავითარი თავშესაფარი და ველარავითარი შეგობარი ველარ უშველის იმას, ვინც თავი თვისი იარაღით ვერ დაიცვა.

გარდა ამისა, მეომარნი, ჩვენა და იმათ არ გვაშოქმედებს ერთი და იგივე მამოძრავებელი მიზეზი: ჩვენ ვიბრძვით სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის, სიცოცხლისათვის; მათ კი სრულიად არ ესაჭიროებათ ბრძოლა მცირე გაბატონებულ ჯგუფის ძლიერებისათვის. გახსოვდესთ წინანდელი ვაჟკაცობა და მით უფრო გაბედულად შეუტით. თქვენ გქონდათ შესაძლებლობა გაგეტარებინათ სიცოცხლე სამარცხვინოდ გაძევებულთ, ზოგიერთს თქვენგანს, ქონებადაკარგულს, შეეძლო რომში სხვის დახმარების იმედად ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან ეს სათაკილო და აუტანელი აღმოჩნდა ქვეშარიტ ვაჟკაცისათვის, თქვენ გადაწყვიტეთ მე მომხრობოდით. თუ ესურსთ თავი დააღწიოთ ახლანდელ მდგომარეობას, საჭიროა გამბედაობა — მხოლოდ ძლევამოსილს შეუძლია ომის ნაცვლად მშვიდობა მოიპოვოს. აშკარა უგუნურებაა საშველს ოტებაში ხედავდე და უკუაქციო მტერზე მომიზნული იარაღი, რომელიც გიცავს უდიდესი ზიფათი ბრძოლაში იმას მოელის, ვინც უფრო მოშიშრობს: გამბედაობა კი საფარველია, ციხისებური ზღუდეა. როდესაც თქვენ გიცქერით, მეომარნი, და თქვენს საგმირო საქმეებს ვიგონებ, გამარჯვების დიდი იმედით მეგზნება გული. თქვენი აღფრთოვანება, ასაკი, გმირობა, გარდა ამისა უკიდურესი გასაჭირი, რომელსაც შეუძლია ლაჩარი მამაცად გარდაქმნას, მე მამხნევებს. ნუ გეშინიათ მხოლოდ იმის, რომ უამრავი მტერი გარშემო გვერტყმის—იწროები დააბრკოლებს მტრის ასეთს გეგმას. მაგრამ თუ ბედმა მაინც უმუხთლა თქვენს გულოვნებას, ეცადეთ ისე არ დასთმოთ სიცოცხლე, რომ შური არ იძიოთ, ტყვედ არ ჩავარდეთ, რომ პორუტყვივით არ დაგხოცონ, და იბრძოლეთ ვაჟკაცურად, რომ მტრებს სისხლით გაუღენთილი საბედისწერო გამარჯვება არგუნოთ.

© მ ჯ ი ღ ი უ ს ი ©



ჰ ე რ ო ი ღ ე ბ ი

უსტარი პირველი

პ ე ნ ე ლ ო პ ე უ ლ ი ს ე ს

ამას, ულისე¹; დახანებულსა შენ პენელოპე² გიგზავნის შენი:
მე ნულარაფერს ნუ მიპასუხებ, თვით შენ დაბრუნდი.
უეპველია დაემხო ტროა³; საბერძნეთისა ასულთ საძაგი.
განა პრიამოს⁴ და ტროა მთელი ღირდა ამ ჭაფად?
ო, ნეტამც ტალღებს გააფთრებულსა შთაენთქათ მრუში⁵,
როს ხომალდებით ლაკედემონის⁶ გზით მიდიოდა-
დაობლებული შაშინ მე მაინც არ ვეგდებოდი ცივ სარეცელზედ,
არც დავსწყევლიდი ღღეთა შეთენილთა ზოზონით სვლასა,
არცა უსაზღვრო სასომიმღებთა ღამეთა მღურავს დაკიდებულის
საქუსლის ქსოვა დაქვრივებულ ხელთ არ დამიშვრებდა,
როს არ უფრთხოდი უფრო საზარელს საშიშროებას, ვიდრე
ნამდვილსა.

სიყვარულს მუდამ მოუსვენარი შიში აშფოთებს.
მელანდებოდა, რომ მხნე ტროელნი შენ იერიშით გეკვეთებთან,
და ჰექტორისა⁷ მე მაფითრებდა მუდამ ხსენება.
ვინმე იტყოდა, ვით ანტილოქე⁸ მოკლული იქმნა სასტიკ ბრძოლაში
და ანტილოქე მიზეზი იყო ჩვენი ძრწოლისა;
ან ვით ვერ იხსნა მენეტიადე⁹ მოსაცდუნელმა აბჯარ-საჭურმა,
გამარჯვებისა ვგლოვდი მზაკვრობით გაუღებბასა.
ტლებოლემოსმა¹⁰ თავისი სისხლით ლიკიელისა¹¹ შეღება შუბი —
კვლავ განმიახლა ტლებოლემოსის სიკვდილმა შიში.
ბოლოს ვინც უნდა დაღუპულიყო აქაველთაგან¹² იმათ ბანაკში,
მოსიყვარულე მიყინდებოდა მყის გული ჩემი.
მაგრამ უმწიკვლო სიყვარულისთვის სამართლიანმა იზრუნა
ღმერთმა —

ტროა დაემხო და ჩემი ქმარი უვნებელია.
უკუმოიქცნენ ჩვენი ბელადნი და საზორაუნი აკვამლებულან,
მსხვერპლად ეწირვის სამშობლოს ღმერთებს მტრისგან ნადავლი
და იმ ნორჩ ასულთ მადლობის მსხვერპლი მოუტანიათ ხსნისათვის
ქმართა,

ბედშავი ტროას რომ დამღერიან დამარცხებასა.
განცვიფრებულან ქორგამოვლილნი მოხუცებულნიც, მთრთოლვარე
ქალნიც;

სულგანაბული ყურს უგდებს ცოლი ნაამბობს ქმრისას
ან ვინმე ამბობს გაშლილ ტაბლასთან მოთხრობას ბრძოლის
საშინელისას

და ერთი ბეწო ღვინითა ჰსახავს¹³ პერგამს სრულიად:
აქ მდინარებდა სამოისიო¹⁴, იქ სიგეუმის¹⁵ კონცხი იყო,
ბერი პრიამის სრა აქ ამაყად აღმართულიყო,
იქით ბანაკად პელეოსისა¹⁶ ვაჟი დამდგარა, აქ კი ულისე,
და იქ მრისხანე აჰენებდაო ჰექტორი ცხენებს.
ეს ყველაფერი სულ უამბნია მოხუცსა ნესტორს¹⁷ შენი ვაჟისთვის,
რომ შენ საქებრად იყო წასული, მან კი მე მითხრა;
მითხრა აგრეთვე, თუ მახვილითა როგორ განგმირეს რეზეს,
დოლონი¹⁸,

თუ ვით დაჰღუპა ერთი მზაკვრობამ, მეორე ძილმა.
შენ კი, მამაცო, ეგრე უწყალოდ რომ დაივიწყე შენიანები,
თრაკიელთ¹⁹ ბანაკს რომ ვერაგულად უცვეთე ღამით
და შეწევნითა მხოლოდ ერთისა მრავლად გასწყვიტე ვაჟკაცი
ერთობ,

სად გქონდა კეთილგონიერება ან თუ გახსოვდი,
გული მითრთოდა შიშით მანამდის, სანამ არ მამცნეს, რომ
გაიმარჯვე

და ისმარელთა²⁰ ცხენებით უკვე მეგობრებთან ხარ.
მაგრამ რას ვაქნევ, რომ თქვენის ხელით დანგრეულია დღეს
ილიონი²¹

და სადაც უწინ კედელი იყო, დღეს მინდორია,
თუ კვლავ ისა ვარ, რაც ვიყავ მაშინ, ოდესაც ტროა მიუვალ იყო,
და ქმართან ჩემსა კიდევანობას არ უჩანს ბოლო.
სხვისთვის დაინგრა პერგამი²², მხოლოდ ჩემთვის ის კვლავ სდგას,
თუმც მის ნიადაგს

ნადავლი ხარით ხნავს ბინადარი გამარჯვებული.
იქ ჩეჯილია ტროა რომ იყო, უხვად მორწყული ფრიგიელთ სისხლით

პოხილი მიწა უკვე მოელის ნამგლის ტრიალსა;
მრუდი გუთანს ნახევრად დაფლულ მეომართა ძვლებს იქ ეჯახება
და დარბაზს ოღვეულს მწვანე ბალახი გადავლებია;
შენ კი, მძლეველი, კვლავ გარეგანობ და არც მიზეზი დაგვიანების
ძალმიძს ვიცოდე, ან რომელ მხარეს იმალვი, გულქვავ!
ვინც გინდა წყლისა ამ ნაპირთ არეს უცხოეთიდგან მოადგეს გემით,
არ მოვეშვები, ვიდრე შენს ამბავს არ გამოვწვლილავ,
სანამ სტუმარსა არ ჩავაბარებ ამ ჩემის ხელით დაწერილს უსტარს,
რათა გადმოგცეს, თუ რომ ოდესმე შეგხვდება სადმე;
კაცი ვაფრინეთ პილოსს, სად მეფობს ნელევისის წული, მსკოვანი
ნესტორ.

მაგრამ პილოსით უქეშმარიტო გვემცნო ამბავი.
მივმართეთ სპარტას, მაგრამ სპარტამაც სინამდვილით არა იცის
რა.

რა მხარესა ხარ, სად უჩინარობ, შინმოუსვლელი?
ბარემ მერჩია, რომ კვლავ ფებოსის დღესაც მდგარიყო გალავან-
ზღუდე.

პო, უგნურო, საკუთარს აღთქმას თვითვე მე ვპკრულე!
შევიმეცნებდი მაშინ სად იბრძვი, და მხოლოდ ომი მომგვრიდა
შიშსა

და ჩემი ხვედრის თანაზიარი სხვაც იქნებოდა.
ეხლა არ ვიცი, ჩემს თავს რა არის, გონმიღებული მხოლოდ ავს
ველი

და განვრცომილა ვარამი ჩემი უსასრულობად.
თუ ზღვა შეიცავეს საშიშარს რასმე ან დედაშიწა რამე განსაცდელს,
ხანგრძლივი შენი დაგვიანების ვრაცხავ მიზეზად.

და სანამ გიყი ამ ფიქრებში ვარ, იქნება თქვენი ზნე ასეთია—
შენ სიყვარულით შეპყრობილი ხარ უცხო ქალისად?
ეგების სატრფოს უამბობ კიდევ, სოფლელი ვინმე ცოლად გყავს
ქალი,

რომელმაც მატყლის დართვის თვინიერ არა იცის რა?
მაგრამ თუ ვცდები, ეს საყვედური დეე განფანტოს მსუბუქმა ქარმა,
რომ დაბრუნება არ დააყოვნო, თუ გაქვს გზა ხსნილი.
ის მამაჩემი იკაროსი მუდამ მაყვედრის შენს გვიანობას
და ჩამჩიჩინებს დავადლო ქვრივი საწოლი ჩემი.

დე, მამუნათოს, რამდენიც უნდა, შენი ვარ, შენვე შეგეწირები
და პენელოპე მარად ულისეს დავრჩები ცოლად.
ერთგულობით და მორცხვი მუდარით მაინც და მაინც მას მე გულს
ვეულობ,

მამაც მშვიდდება და თვითვე აცხრობს სიმკაცრეს თვისსა.
დულიქიოსით, სამასითა და მწვერვალთაგან ძაკინთოსისა²³

შემომსევია საქმროთა გროვა მე კადნიერი
და რომ არაეინ დამშლელი არ ჰყავს, შენს კარ-მიდამოს ეპატრონება
და ანადგურებს ჩვენს საცხოვრებელს, ავლა-დიდებას.
აბა რა ვითხრა ან პისანდროსის, ან პოლიბოსის, გულქვა მელონტის,
ან ევრიმახოს — ანტინოესის²⁴ ხარბი გულისა
და კიდევ სხვების, თვითვე რომ ჰკვებავ კვალდაკარგული ყველას
საძრახად

და ვუნაწილებ, რაც შენი სისხლით მონაგარია.
იროს გლახაკი და მენახირე მელანთიოსი უკლავენ ზვასტაგს
და შენსა ზარალს ზედ ურთავენ მწვავე სირცხვილსაც. -
რიცხვით სამნილა ვართ უმწეონი — ღონემიხდილი მეუღლე შენი,
მოხუცი ლაერტ და ახალგაზრდა ტელემაქოსი;
ეს ამას წინათ მზაკვრობის გახდა კინალამ მსხვერპლი, როდესაც
პილოსს

გასამგზავრებლად მათ უნებურად ემზადებოდა.
ამას ვთხოვ ღმერთებს — დეე, ინებონ, როგორც წესია
ჩვეულებრივი,
მან დაგვიხუტოს ორივეს თვალი—დედას და მამას.
დღეს კვლავ ერთგულად გვემსახურება საქონლის მწყემსი, ძიძა
მიხრწნილი

და ჭუჭყიანი ბოსლის დარაჯი — ჩვენი მელორე.
მაგრამ ლაერტმა, რომ აღარ შესწევს იარაღისა ხმარებად ღონე,
მეფობა თვისი მტერთაგან ვითარ შეინარჩუნოს?
ტელემაქოსი, ოღონდ იცოცხლოს კი, მოესწრება ჟამს ვაყააცობის,
მხოლოდ ამ ხანად მას მამისგან უნდა შეწევნა.
ღონემიხდილსა აღარც მე ძალმიძს განვდევნო მტერი შენი
სახლითგან,

მალე დაბრუნდი, შენიანების მსხნელო, იმედო.
შენა გყავს ვაჟი — ვენუკვი ღმერთებს დღეგრძელი იყვეს —
სიყმაწვილითვე

მამის ქველობა ჰაბუკმა უნდა შეისისხლხორცოს.
მოჰხედე ლაერტს: უკანასკნელი სურს გაიგრძელოს სიცოცხლის
დღენი,

რომ შენის ხელით შენ დაუხუტო თვალები მოხუცა.
დაობლებული მეც მომიგონე სატრფო, შენ მიერ დავიწყებულა,
ეხლავ დაბრუნდი და დაინახავ, თუ ვით დავებრდი.

ს ო ფ ო კ ლ ე

(496—405 ჩვენს წელთაღრიცხვამდე)

ესქილეს შემდეგ ბერძნული ტრაგედიის უდიდესი წარმომადგენელია სოფოკლე. იგი კაბუჯობიდანვე ამელაუნებდა მუსიკალურ ნიჭს. ეს გარემოება დასტურდება ერთი ძველი ცნობის მიხედვით — სოფოკლე 15 წლისა იქნებოდა. როდესაც 480 წელს დააყისრეს კაბუჯთა გუნდის ხელმძღვანელობა, რომელსაც ევალებოდა გამარჯვების სიმღერის შესრულება სალამინის ძღვეის აღსანიშნავ ზეიმზე.

სოფოკლეს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა იმ დროს, როდესაც ათენა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ათენის დემოსის შესანიშნავი მეთაური პერიკლე დიდად უწყობდა ხელს ქალაქ ათენის გამშვენიერებასა და გალამაზებას, არა ერთი დიდი მშენებლობა წამრიწყო მისი ინიციატივითა და შთაგონებით. საკმარისია სანიმუშოდ მოვიხსენიოთ პართენონი. ათენი შეიქმნა მთელ საბერძნეთის ცენტრი. სწორედ ამ დროს, ათენის განდიდების ამ ეპოქაში, უხდებოდა მოღვაწეობა სოფოკლეს. იგი იყო მეგობარი პერიკლესი. ნიკტომაქ შემთხვევითი როლია; რომ სოფოკლეს, როგორც ეპოქის უშესანიშნავეს ხელოვანს, ათენის — საბერძნეთის ამ მოწინავე ქალაქის, სიტყვიერი ხელოვნების მეოხებით შემამკობელს, უდიდეს პატივსა სცემდა პერიკლემ და დროდარბო მას. ჭმალლეს ხახელმწიფო თანამდებობებსაც კი სთავაზობდა (სახელმწიფო ფინანსების გამგებობას, უმაღლეს სამხედრო პოსტს — სტრატეგოსობას).

ამგვარი პატივისცემა და დაფასება თავის სიცოცხლეში სოფოკლემ შეუდარებელი ტრაგედიებით დაიმსახურა. დაწყებული 468 წლიდან სოფოკლე ნახევარ საუკუნეზე მეტს ემსახურებოდა ბერძნულ თეატრს. მას მიაწერენ ასოცამდე ტრაგედიასა და სატირულ დრამას. ამთგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ შვიდი. ტრაგედია „ანტიგონე“ დაიდგა 411 წელს („ილიადის მეფის“ დადგმის თარიღი არაა ცნობილი). იგი სოფოკლეს ოცდამეთორმეტე დრამატიული წარმოებია. მას მოუპოვებია 24 გამარჯვება.

სოფოკლეს ესოდენი დაფასება გამოწვეული იყო იმით, რომ მისი ტრაგედია თეატრის სცენიდან მაშინდელი საზოგადოების მოწინავე იდეებს ქადაგებდნენ. მართალია ათენის შესანიშნავი ფილოსოფოსი სოკრატე არ ყოფილა სოფისტი, მაგრამ მასში თავს იჩინეს სოფისტური ფილოსოფიის ყველაზე მოწინავე და პაროკრესული: მოძღვრება ადამიანის მოვლუობის შესახებ. ადამიანი სოკრატეს მიხედვით უნდა ისწავდოდეს სრულყოფისაკენ: „მართლაც სხვას ხომ არაფერს ვაკეთებ, იმის გარდა, რომ მიმოვდივარ და გაერწმუნებთ თქვენ, ახალგაზრდებსა და მოხუცებს, რათა უწინარეს ყოვლისა და ყოვლის უმეტესად ზრუნავდეთ

არა სხველსაბადის, არა ფულისაბადის, არამედ სულისაბადის, რომ იგი იყოს
ჩაღ შეიძლება უსათნოესი*.

ზნეობრივი თვისებების განვითარება, მათზე ზრუნვა — აი რას მოითხოვდა
მეშინელი მოწინავე ადამიანი და, თუ ეს ეპოქის ლტოლვას გამოსახავდა, ამ
მისწრაფებას მხატვრული სიტყვით ყველაზე მეტად სწორედ სოფოკლეს ტრაგე-
დიები წარმოგვიდგენს და მათ შორის განსაკუთრებით ორი ტრაგედია, სახელ-
დობრ: „ანტიგონე“ და „ოიდიპოს მეფე“.

სოფოკლეს ეს ორივე ტრაგედია დამყარებულია თებეს ციკლის თქმულებაზე.
თებეს მეფე ლაიოსს, მისნების წინასწარმეტყველების მიხედვით, შეეძინება
შვილი, რომელიც საკუთარ მამას მოჰკლავს. როცა მას მართლაც შეეძინა ვაჟი,
მეფის ბრძანებით იგი გადაადგენს, მაგრამ ყრმა იპოვა ლაიოსის მწყემსმა და
სიკვდილისაგან იხსნა. მიგდებული ყრმა სრულწლოვანი გახდა, მოჰკლა თავისი მამა
ესე, რომ არც კი იცნობდა მას. შემდეგ თებეს მოადგა, გადაარჩინა ქალაქი სფინქ-
სისაგან და ნაეკლად დედამისის — იოკასტეს ხელი მიიღო. დროთა ვითარებაში
ბოროტმოქმედება გამომვლადნდა. შეშფოთებული დედა და ამავე დროს მეუღლე
აფს იკლავს. ოიდიპოსი სხვა ქალს ევრიგანიას შეირთავს. მის ხელში ეყოლება
ორი ვაჟი: ეთეოკლე და პოლინიკე და ორი ასული ანტიგონე და ისმენე.

ოიდიპოსს მოხუციობის უამს თავს დაატყდება დიდი უბედურება, მას თვალებს
სახრიან, შვილები წაართმევენ საეფო ტახტს და ბოლოს შურარაცხუფენ კიდეც.
აღშფოთებული ოიდიპოსი შეაჩვენებს მათ: ძმებს შორის ატყდება დავა და
შფოთი ტახტის გამო. სამშობლოდან გაძევებული პოლინიკე არგოელთა ჯარის
დამხარებით ცდილობს ტახტის დაუფლებას. ტახტის გამო ატეხილ ომში ძმები
ერთმეორეს განგმირავენ.

ეს მითი ჭერ დაამუშავა ცნობილმა ბერძენმა ტრაგიკოსმა, სოფოკლეს უფ-
როსმა თანამედროვემ ესქილემ. ამ სიუჟეტზე აგებულ ესქილეს ტრილოგიაში
ნაწილები ასეთი თანმიმდევრობით იყო წარმოდგენილი: „ლაიოსი“, „ოიდიპოსი“
და „შვილთა ლაშქრობა თებეს“.

ესქილეს პირველი ტრაგედიის შინაარსი ეხებოდა ლაიოსის სიკვდილის ამბავს,
ოიდიპოსის მოსვლას თებეში, გამეფებასა და დედისთან ქორწინებას, მეორე
ტრაგედია „ოიდიპოსი“ შეიცავდა არა მარტო ოიდიპოსის, არამედ მის შვილთა
შორის ატეხილ დავის ამბავსაც. ეთეოკლეს მიერ პოლინიკეს განდევნა და სხვა.
რაც შეეხება ძმათა შორის ატეხილ დავის ფონალს, იგი დამუშავებულია ტრი-
ლოგიის უკანასკნელ ნაწილში „შვილთა ლაშქრობა თებეს“. ეს ტრაგედია ეხება
პოლინიკეს თებეზე თავდასხმისა და ძმების მარტოდმარტოლაში დაღუპვის ამბავს.

სოფოკლეს დაუმუშავებია ამ მითის მიხედვით სამი ტრაგედია, რომლებიც
აქ ქმნიან ტრილოგიას: რადგან სოფოკლედან მოყოლებული, მთლიანი, ერ-
თიანი ტრილოგიების გამართვა უუფლებულ იქნა.

სოფოკლემ სხვადასხვა დროს დაამუშავა ეს მითი. ამთგან პირველი უნდა
ყოს „ანტიგონე“, მომდევნო „ოიდიპოს მეფე“ და „ოიდიპოს კოლონელი“.
„ანტიგონეს“ სიუჟეტის მეტი ნაწილი სოფოკლეს მითისაგან დამოუკიდებლად
შეუქმნია. თებეს ციკლის თქმულება ამოწურული უნდა ყოფილიყო ესქილეს
ტრილოგიის უკანასკნელი ტრაგედიით „შვილთა ლაშქრობა თებეს“, სადაც
იჩვენება ოიდიპოსის შვილების დაღუპვის ამბავი. მანამდე არც ერთ ტრაგედია-
ში ჩვენ არ გვხვდება ტრაგედიის მთავარ მომქმედ პირად ქალი. არც ის იყო
მოსალოდნელი, რომ მითი დაინტერესებულიყო ოიდიპოსის ქალიშვილებას

* ჰლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“, თავი 17, თარგმანი პ. ქავთარაძისა.

ბედობით, მაგრამ აქ სოფოკლე მიღის თავისი საკუთარი გზით, არღვევს მითის ტრადიციას და ტრაგედიის კონფლიქტისათვის ცოცხალთა შორის იგულებს ჰემონ კრეონის ძეს.

ესქილეს ტრაგედია „შვილთა ლაშქრობა თებეს“ მთავრდება იმით, რომ დახოცილ ძმებს ასაფლავებენ. თუმცა ხალხის გადაწყვეტილებით პოლინიკეს დასაფლავება აკრძალული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ანტიგონეს მეთაურობით შეიკრიბება მოქალაქეთა ჯგუფი, რომელსაც დასამარხავად მიაქვს პოლინიკეს ცხედარი. ძმათა ცხედრების გატანით მთავრდება კიდეც ესქილეს ტრაგედია „შვილთა ლაშქრობა თებეს“.

სოფოკლემ განაგრძო მითი, შექმნა ახალი ვაგარძელება მითისა, ისეთი, რომელიც სრულიად არ იყო მოსალოდნელი. ანტიგონეს სჯის კრეონი და თეოთონად ისჯება. კრეონის ვაჟს ჰემონს უუყვარს ანტიგონე და მისი დასჯა თვით ჰემონისა და შემდეგ მისი ღელის ეერილიკეს თვითმკვლელობის მიზეზი აღმოჩნდება.

თუ მანამდე ტრაგედიაში თვითმკვლელობა არ გვხვდებოდა, და არ გვხვდება საესებოთ გასაგები მიზეზით (ძველი შეხედულების თანახმად ადამიანის ბედს განაგებს ღმერთი და არა თვით ადამიანი), სოფოკლესთან ძველისაგან განსხვავებით ადამიანი რელიგიისაგან კი არა, თავისი საკუთარი ნებისყოფისაგან უნდა იქნას დამოკიდებული. ეს სიახლე ტრაგედიაში სოფოკლეს შეაქვს და ამიტომაც გასაგებია ახლის ჩვენება ძველი თქმულების, ძველი მითის ფარგლებში არ იქნებოდა შესაძლებელი. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ისიც, თუ რატომ მოუწია სოფოკლეს მკვდრებით აღედგინა კრეონის ძე ჰემონი. ჰემონის გარეშე იგი ვერ შეძლებდა ვერც ტრაგედიის კონფლიქტის გამართვას, ვერც თვითმკვლელობის საშუალებით ადამიანის აღსასრულის ჩვენებას.

მაგრამ ჩვენ შევეცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ სოფოკლეს ადამიანის გათავისუფლება ბედისწერისაგან მხოლოდ ამგვარი დასასრულის საჩვენებლად დასჭირდა. სოფოკლეს ტრაგედიის ადამიანის ძალის, მისი მორალური სიწმინდის ჩვენება აქვს მიზნად და ამიტომაც ბუნებრივია თუ ანტიგონეს სახით მას ტრაგედიაში გამოჰყავს ადამიანი, რომელიც ისწრაფვის სრულყოფისაკენ და თუ რაიმე დააბრკოლებს ამ სწრაფვას, იგი მთელი თავისი არსებით, მთელი თავგანწირვით შეებრძოლება. მართალია, ანტიგონე იღუპება, მაგრამ ეს მსხვერპლი აუცილებელია იმავე ადამიანობის გამოსახსნელად. ამიტომაც, რომ ანტიგონეს დაღუპვა სოფოკლეს ამ ტრაგედიაში ადამიანის მორალური სისპეტაკის სწორუბოვარ გამარჯვებას გულისხმობს.

ჰეგელის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“ პიროვნების სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ ვალაშქრებას რახანედეს მიზნად, ნამდვილად კი სოფოკლეს მიზანი ამ ტრაგედიაში სულ სხვა უნდა იყოს. სოფოკლემ გვიჩვენა ანტიგონეს სახით ადამიანის თავდადება და არა პიროვნებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგობა; პირიქით, რაც პიროვნებისათვის მისაღებია, ის მისაღებია სახელმწიფოსათვისაც, სახელმწიფო პიროვნებათაგან შედგება და თუ ეს პიროვნებანი არ დგანან სათანადო სიმძლავრეზე, მაშინ სახელმწიფოც უძლურია და დაკეპული.

ტრაგედიის მიზანია გვიჩვენოს ადამიანის ღტოლვა სრულყოფისაკენ. ანტიგონე იმიტომ კი არ სწირავს თავს, რომ მან, ეთქვას, შეასრულოს ღვთაებრივი კანონი, არამედ იმიტომ, რომ იგი ილტვის სრულყოფისაკენ და მისთვის სრულიად შეუძლებელია უმოქმედოდ დარჩენა, როდესაც მისი ძმის გვამი უპატრო-

ნო, შეგინებული გღია. მართალია მისი ძმა სამშობლოს თავს დაესხა, მაგრამ მას, როგორც ძმის ერთადერთ პირისუფალს, ევალება დასაფლავების წესის შესრულება. ანტიგონე მოლაღატე ძმის ცხედრისათვის საზეიმო დასაფლავებას კი არ მოთხოვს (ასეთი წესით მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებული ეთეოკლე უნდა დაიმარხოს), საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ დასაფლავების ელემენტარული წესის შესრულებას.

ანტიგონეს მოქმედება ღმერთების პატივისცემით ან მათი კანონის წინაშე ძრწოლით კი არ არის მოტივირებული, არამედ სწრაფით — მისმა საკუთარმა ადამიანურმა ღირსებამ ზიანი რამ არ განიცადოს. მას არ ძალუის თავის თავს აპატიოს უმოქმედობა იმიტომ, რომ თუ იგი დაუმარხავს დასტოვებს ძმის ცხედარს, არ შეასრულებს მის მიმართ ნათესაურ მოვალეობას, მას ღმერთები კი არ მოსთხოვენ პასუხს, არამედ პასუხს მოითხოვს საკუთარი სინილისი, სინილისი იმ ადამიანისა, რომელიც ღმერთების კანონის დარღვევას კი არ შეუძლწუუნებია, არამედ მისი საკუთარი ადამიანობის მოთხოვნის იძულებულ უყვია თავისი საკუთარი სინილისის წინაშე პირნათლად წარსდგეს და შემდეგ რაც მოხდება, ღვე მოხდეს!

ანტიგონეს ღმერთების შიში რომ არა აქვს ეს აშკარადა ჩანს ტრაგედიის გაღმწყვეტ ადგილას. თუმცა კრეონთან დიალოგის დროს ანტიგონე კრეონს თავს ისე მოაჩვენებს თითქოს იგი თავისი ღმერთების კანონების, ზეციური კანონების დამცველია, მაგრამ ამას იმიტომ აკეთებს, რომ მას თავის დაცვა უხდება კრეონის წინაშე. იგი ხომ უმაღლესი ხელისუფალია სახელმწიფოში და ვალდებულია, როგორც ხელისუფალი, ანგარიში გაუწიოს არა მარტო მიწიერ, არამედ ზეციერ კანონებსაც. კრეონს უფლება არა აქვს უგულვებელჰყოს ღვთაებრივი კანონი, რომელიც ღიდ ცოდვად რაცხს მიცვალებულის ცხედრის დაუნარხობას. ვარდა ამისა, ანტიგონე ერთიმეორეს უპირისპირებს ორგვარ კანონს — დაწერილს და დაუწერელს — დაწერილი კანონი არის ადამიანთა მიერ შექმნილი; ხოლო დაუწერელი კანონი არის კანონი სინილისისა, ან კიდევ, უფრო უკეთ, პირველყოვლისა ადამიანისა და შემდეგ ღვთაებისა, რადგან ადამიანი უნდა ისწრაფოდეს სრულყოფისაკენ და ეს სწრაფვა იქნებ ღვთაებისადმი სწრაფვასაც ნიშნავდეს. ეს კანონი სრულ თანხმობაშია ადამიანის ღვთაებასთან სრულყოფისაკენ, და ადამიანის პიროვნების გამდიდრებას მოასწავებს, ეს ის კანონია, რომლისთვისაც თავდადება გასაოცარი შარავანდელით ჰმოსავს ანტიგონეს გმირობას. მან კარგად იცის, რომ მას სიკვდილი ელის თუ გადაუდგა კრეონის ბრძანებას, მაგრამ მას უმაღ სიკვდილი უჩოებს, ვიდრე სიცოცხლე აუტანელი, სიცოცხლე შებღალული ადამიანური ღირსებისა, სიცოცხლე მღაღდი, მორალური სიწმინდისაკენ სწრაფვას გამოწირული. ასეთი სიცოცხლე მას არად უღირს, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, რადგან ფიზიკური სიკვდილი უფრო ნაკლები უბედურებაა მორალურ, ადამიანურ სიკვდილზე. თუ ანტიგონე კვდება, კვდება ადამიანური მორალის სიწმინდის უმაღლეს საფეხურს. მიღწეული და ეს სიკვდილი კი არა — უღიდესი ბედნიერებაა ისეთი პიროვნებისათვის, როგორიც ანტიგონეა. ანტიგონე თავს სწირავს თავის საკუთარ სრულყოფას. მისთვის მამის სიყვარული, ძმისადმი მოვალეობის შესრულების აუცილებლობა, პირველ ყოვლისა მისი სინილისის, მისი უმაღლესი ადამიანობის მიერ, დაკისრებული უმაღლესი და გარდუვალი კანონია.

სოფოკლეს ტრაგედიაში უღიდესი ოსტატობითა აქვს ნაჩვენები ბრძოლა ანტიგონეს შინაგან ბუნებაში. ცხოვრების სიტკბოება და მოვალეობით

დაკისრებული თავგანწირვა ერთიმეორეს უპარისპირდება ტრაგედიის იმ აღვლას, როდესაც ანტიგონე მარტოდ რჩება და დროებით მას თითქოს აღვიანურა სისუსტე იპყრობსო.

ჰა, შეპყრობილი მიეყევარ ეხლა
უქორწინებელ, ბედით დამწვარი.
არც კმრისა მცოდნე, არცა შეილებს,
ტიალი, სულ მთლად ობლად შეთნილი,
ცოცხლივ სამარეს მიეშურები.

აქ გაისმის ანტიგონეს წუთიერი სისუსტით გამოწვეული საჩივარი თავის ბედზე. მაგრამ გაოდის კრეონი და ანტიგონე კვლავ ძალას მოიკრებს, იგი ღირსეულად მოისმენს კრეონის უკანასკნელ განაჩენს.

სოფოკლემ „ანტიგონეში“ დაკვისახა ადამიანის უდიდესი გამარჯვება თავის თავზე, უდიდესი ძალვა სამართლიანობისა და უმადლესი ადამიანობის დასადასტურებლად. ანტიგონე არის სწორედ ისეთი ადამიანის სახეობა, როგორც უნდა იყოს ნამდვილი და ჰუმანიტარულ სრულყოფისაკენ მისწრაფებული პიროვნება. ტრაგედიაში ერთიმეორეს უპარისპირდება ანტიგონე და კრეონი. საკითხის გაუბრალოება იქნებოდა კრეონი გამოგვეყვანა სახელმწიფო კანონების დაცვისათვის თავგანწირულ ადამიანად. კრეონის ამგვარ დასახვას სოფოკლეს გაგებასთან საერთო არა აქვს რა. კრეონისა და ანტიგონეს დაპირისპირება სოფოკლეს შიტომ დასჭირდა, რომ უფრო მკვეთრად გამოეძეწა ტრაგედიის მთავარი გმირის — ანტიგონეს სახე. ეპეი არ არის, ის გმირი ტრაგედიისა, რომელიც ამართლებს სოფოკლეს იდეალს, სწორედ ანტიგონეა და არა კრეონი. კრეონი რომ ყოფილიყო ასეთ იდეალად (ისეთი ადამიანის სახეობად, როგორც უნდა იყოს ადამიანი), მაშინ მას, კრეონს, არ მოუხდებოდა მისივე გამოცემული კანონის დარღვევა. ჩვენ ვიცით, რომ კრეონმა ბრძანა არაუბრუნებოდა და არ დაეკრძალა ცხედარი სამშობლოს მოღალატე ეთეოკლესი, იგივე კრეონი ანტიგონეს, რომელმაც დასაფლავების მარტოდენ უბრალო, სრულიად მარტივი წესი შეასრულა, ცოცხლად ამარხვინებს. იგივე კრეონი, როდესაც ტირეზიასაგან შემადრწუნებულ წინასწარმეტყველებას მოისმენს, იმდენად შეიტკლის აზრს, რომ თვით მიღს და არა თუ მარტივ წესს, დასაფლავების სრულ წესს ასრულებს.

მთავარი გმირის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება არა სჩვევია სოფოკლეს და საქმეც ის არის, რომ კრეონის სახით იდეალური გმირი კი არ გამოჰყავს, არამედ ნაკლოვანი. კრეონი არის სახეობა წინდაუხედავი ხელისუფალისა, ხელისუფალისა, რომელსაც აღარ შესწევს უნარი მოვლენათა წარმართვისა. პირიქით, კრეონი მოვლენების განვითარების წინასწარ განკერტის უნარის მქონე პიროვნება კი არ არის, არამედ შეიძლება ითქვას, მოვლენების უკან მჩანჩალაა. კრეონის აღვიანური ნაკლი, მისი წინდაუხედაობა, ზედმეტი სიჭიჭიქე, მოვლენათა განვითარების განუსაჯლობა იწვევს მისი ოჯახის დაღუპვას.

ამრიგად, ტრაგედიის მთავარ გმირად, იმ პიროვნებად, რომელიც წარმოგვიდგენს ადამიანის იდეალურ სახეობას, გვევლინება სწორედ ანტიგონე, რომელიც გვიჩვენებს პიროვნების შეუპოვარ და თავდადებულ ლტოლვას სრულყოფისაკენ.

სწორედ იგივე იდეა აქვს წამოყენებული სოფოკლეს მის მეორე ტრაგედიაში „ოიდიპოს მეფე“, თუმცა სრულიად სხვადასხვაგვარია ის გზები და მხატვრული საშუალებანი, რომლითაც იგივე მიზანია მიღწეული, რაც „ანტიგონეში“.

თუ „ანტიკონეში“ ბედისწერა თითქმის სრულიად არა სჩანს, თუ „ანტიკონეში“ ყოველივე იმთავითვე ცნობილია, ცნობილია უკვე პროლოგში. რომ ანტიკონეს თავი გადაუღვია ძმის ცხედრის წინაშე მოვალეობის შესასრულებლად, „ოიდიპოს მეფეში“ პირიქით, ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირი სრულიად დამორბეულია კემპარიტებას. მის წინაშე ორმაგად რთული ამოცანაა: ჯერ გამორაკვიოს საკუთარი დანაშაული და შემდეგ შეძლოს საკუთარი თავისავე დასჯა. ერთისა და მეორე ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ადამიანს, რომელიც ისწრაფვის სრულყოფისაკენ, ერთისა და მეორე ამოცანის გადაწყვეტა შეუძლავს ისეთ პიროვნებას, რომელიც ადამიანის იდეალს წარმოგვიდგენს.

სწორედ ასეთია სოფოკლეს ოიდიპოს მეფე — ამავე სახელწოდების ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირი*.

„ოიდიპოსში“ ორი ერთიმეორის სრულიად საწინააღმდეგო გარემოებაა ვაკრიტიანებული: ა) ოიდიპოსი ყველას მიერ მიჩნეულია ქალაქ თებეს გადამრჩენელად. მან ხომ ყველას თვალწინ გამოიცილა სფინქსის ამოცანა და იხსნა ქალაქი უბედურებისაგან. ამიტომაც არის, რომ ყველასაგან ესოდენ პატივდებულია. ამ წარმატების გამო ოიდიპოსი მეფედ აღიარებულია — მან მეფობა მიიღო ქალაქისა და ქვეყნის წინაშე პირადი დამსახურების გამო.

ბ) იგივე ოიდიპოსი ენითუთქმელი ბოროტების უნებლიე აღმსრულებელია. მას მისდაუნებურად — სრული არცოდნის ვითარებაში — მოუკლავს ღვიძლი მამა, შეურთავს მშობელი ღვინა. იგი მამის მკვლეელი და მშობელი ღვინის თანამეცხედრეა.

ტრაგედიის მიზანია ამ ორი უკიდურესობის ერთიმეორესთან მიახლოება, ამიტომ ყველაზე ურთულესი ამოცანაა წამოპირილი სოფოკლეს წინაშე, როდესაც იდეალური პიროვნება და ესოდენ საშინელი, უნებლიედ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი ერთიმეორესთან შეგუებას თუ შეთანხმებას შეეცდებიან.

ერთი შეხედვით შეუძლებელია ადამიანმა წარმოდგენაშია კი დაუშვას ასეთი წინააღმდეგობრივი, ერთიმეორის საპირისპირო სიტუაციის როგორმე შეთანხმება, მაგრამ რაც თითქმის შეუძლებლად ჩანს, იგი შესაძლებელია ისეთი გენიალური შემოქმედისათვის როგორც არის სოფოკლე.

სოფოკლე აერთებს ერთ მოქმედ პირში ამ ორ უკიდურესობას, რადგან სწადია გვიჩვენოს, ერთი მხრივ, შეუღარებელი მორალური სიმტკიცის მქონე ოიდიპოსი და მეორე მხრივ, ბედისწერის უღმობელი განაჩენი. ადამიანის სწორუპოვარი ბრძოლა ბედისწერის განაჩენის წინააღმდეგ — აი, ის ამოცანა, რომელიც წამოყენებული აქვს სოფოკლეს ამ ტრაგედიაში.

ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, ადამიანის ყოველად შეძლებელი ძალის ხოტბაა. ოიდიპოსი იმარჯვებს ამ ბრძოლაში და ამ გამარჯვების შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ოიდიპოსის უტეხ მალაზე, რომელიც გასაოცარი შეუღარეველობით ბოლომდე ინარჩუნებს თავის ადამიანურ სიმდიდრეს. ყოველივე ამას გვიდასტურებს თვით ტრაგედია. საქმე ის არის, რომ სოფოკლე მთელი ტრაგედიის მანძილზე მხოლოდ ოიდიპოსის ბუნების სიდიადის ჩვენებაშია. მართალია, ოიდიპოსმა ენით უთქმელი ბოროტებანი ჩაიღინა, მაგრამ იგივე ოიდიპოსი სწორუპო-

* სოფოკლეს ჩვეულებად ჰქონდა ტრაგედიისათვის მთავარი მოქმედი პირის სახელის მინიჭება, განსხვავებით ესქილესაგან, რომელიც ტრაგედიებს ასათურებს ტრაგედიაში შექმნილი სიტუაციის მიხედვით, „მავდრებელი“, „მსხვერპლის შემწირველი“, „შვიდთა ლაშქრობა თებეს“.

ვარი თავგამოდებით ძიებისას თავისსავე დანაშაულს გამოამჟღავნებს. და აი, აქ არის სოფოკლეს უღიალესი გამარჯვება. ტრაგიკოსმა ოიდიპოსის სახით გვიჩვენა ნაშრომი. კრემარტიად გასაოცარი ბუნების შქონე ადამიანი, ჩავარდნილი უსაშინელს განსაცდელში, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს განსაცდელი კი არ სპობს მის პიროვნებას, არამედ განაღილებს, აამაღლებს მას. ტრაგიკოსი ტრაგედიის დასასრულისათვის დაგვანახებს ოიდიპოსის პიროვნების თანდათანობით ზრდას ტიტანურ სიღიადემდე: რაც უფრო ნათელი ხდება ოიდიპოსისათვის საკუთარი ბოროტმოქმედება, რაც უფრო ღიღია მის თავს დატეხილი ვაება, რაც უფრო საშინელია მის მიერ ჩადენილ „საზარ საქმეთა მოგონებანი“, მით უფრო მაღლდება ოიდიპოსის პიროვნების სიღიადე, მით უფრო ნათელი ხდება ოიდიპოსის პიროვნების მორალური სისპეტაკე, მით უფრო ღიღი შარავანდელით იმოსება ოიდიპოსის პიროვნების უზუშთაესი კდემამოსილება და სათნოება.

სოფოკლემ შეძლო ამ ტრაგედიაში ეჩვენებინა იდეალური ადამიანის სახე-ბა. მან ადამიანის იდეალი ოიდიპოსის სახით წარმოგვიდგინა. სოფოკლემ დაგვანახვა საით უნდა ისწრაფოდეს ღიღბუნებოვანი პიროვნება, რამდენად სპეტაკი უნდა იყოს იგი; თუ ოიდიპოსი თავის თავს ესდენ შეუბრალებლად ეპყრობა ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია მის მიერ სრული არცოდნის ვითარებაში, რამდენად უნდა გაურბოდეს ადამიანი დანაშაულს შეგნებულად ჩადენას.

ოიდიპოსმა ბრძანება გამოსცა: ლაიოსის მკვლეელი უნდა გავაძეო ქალაქიდან. მაგრამ, როდესაც გამოიჩქევა, რომ დანაშავე თვითონ ოიდიპოსია, იგი როდი აკმარებს საკუთარ თავს მის მიერვე გამოცემული ბრძანების მიხედვით გათვლისწინებულ სასჯელს. ვერც ერთი სასამართლო ოიდიპოსს პასუხს ვერ მოსთხოვს. ვერ მოსთხოვს, რადგან ოიდიპოსის მიერ ეს დანაშაულებანი ჩადენილია, ვიმეორებთ, სრული არცოდნის ვითარებაში, მაგრამ არის სამართალი ყველაზე დაუნდობელი და სასტიკი, არის მსაჯული ყველაზე პიროვნელი და ეს მსაჯული ადამიანის საკუთარი სინიღისია და იგი გაცოლებით უფრო მკაცრია, უფრო შეუბრალებელი, ვიდრე რომელიც არ უნდა იყოს სასამართლო. ოიდიპოსს თავგამოდებით იძიებს საკუთარ დანაშაულს. იგი არის ერთსა და იმავე დროს როგორც გამოძიებელი საკუთარისავე დანაშაულისა, ისე უმკაცრესი მსაჯული და ამავე დროს შეუბრალებელი ქალათიც. ოიდიპოსი თვით გამოიძევს: საკუთარ დანაშაულს, თვით მიუსჯის საკუთარ თავს სასჯელს და თვითვე მოიყვანს სისრულეში განაჩენს. და ეს ხდება იმიტომ, რომ ოიდიპოსი სრულყოფილი პიროვნებაა, მის ღიად ადამიანობას არ ძალუძს, არ სურს ატაროს ის საშინელი ტვირთი, რომელიც ბედისწერამ დააკისრა და მიტომაც არის, რომ ასე უღობილად ეპყრობა საკუთარ თავს, საკუთარი თავის უღიღესი ამაღლებისათვის, საკუთარი ადამიანობის კვლად მაღალ ხარისხში აყვანისათვის. კიდევ მეტის თქმა შეიძლება: ოიდიპოსს არც არასოდეს არ ჰქონია შემთხვევა მაღალი ადამიანის კვარცხლბეკიდან ოღესმე ძირს ჩამოსულიყო. სოფოკლეს ისე მიჰყავს ტრაგედია, რომ ოიდიპოსის ყოველი საქციელი, მაშინაც კი, როცა იგი ცდება, როცა იგი კრემარტიკებას შორდება, მაშინაც კი არ ტოვებს მაღალი პრინციპულობის, შინაგანი სიმართლის მკაცრ პოზიციებს. ამაშია სოფოკლეს, როგორც დრამატურგისა და როგორც სწორუბოვარი შემოქმედის გამარჯვება.

ამ გარემოების ნათელსაყოფად საჭიროა განვიხილოთ სოფოკლეს ამ ტრაგედიის კომპოზიციის. ტრაგედია გაყოფილია ორ ნაწილად. ტრაგედიის პირველი ნაწილი ბედისწერის სრული ბატონობის ნიშნით არის გამართული, ხოლო მეორე

ნაწილი ადამიანის ბედისწერასთან დაპირისპირებას ითვალისწინებს. ე. ი. ტრაგედის პირველ ნაწილში ადამიანს იმის ოდნავი ეჭვიც კი არა აქვს, რაც მისთვის ბედისწერას განუზღალებია და ამ პოზიციებიდან იგი დანაშაულსაც კი სჩადის. ადამიანი წყველა-კრულვით იხსენიებს თავის საკუთარ თავს და ჰგონია თითქოს ეს წყველა-კრულვა სხვის მიმართ იყოს წარმოთქმული. ადამიანი სრულიად უდანაშაულო პირებს უმძიმეს ბრალსა სდებს და ჰგონია თითქოს ნამდვილად მიაკვლია დანაშაულისა და შეთქმულების კვალს. ასეთნაირად იშლება ტრაგედიის პირველი ნაწილი, რომელიც იხსნება პროლოგით.

პროლოგი ხალხის წინაშე გამოსული ოიდიპოსის სიტყვით იწყება. ოიდიპოსის კარზე მოსულან ქალაქ თებეს მცხოვრებნი. მათ ხელში უპყრიათ სავედრებელი რტოები. ოიდიპოსს მიმართავს ზევის მოხუცი ქურუმი. იგი აღწერს ქალაქში გავრცელებულ უბედურებას, მოაგონებს ოიდიპოსს მის ქველ საქციელს, რომელმაც იხსნა ქალაქი და სთხოვს კვლავ მოუველინოს ხსნა. ოიდიპოსის პასუხი გვიდასტურებს თუ რა რიგ ზრუნავს ოიდიპოსი ხალხისათვის და რა რიგ უყვარს თვით იგი მის ქვეშევრდომებს. ამ სიყვარულის დადასტურებაა ის პირდაპირობა და უშუალობა, რომლითაც ოიდიპოსი წარსდგება ხალხის წინაშე არა როგორც დესპოტი, არამედ როგორც პირველი თანასწორთა შორის. ამიტომაც რომ ოიდიპოსს. არ ერიდება პირდაპირ განაცხადოს:

არა ძილში მყოფს თქვენ მომისწართ, —
მერწმუნეთ, ბევრი ცრემლი მიღვრია...

ოიდიპოსის ესოდენ სიახლოვე რომ არა, როგორც შეეძლო მეფეს დაურიდებლად ელაპარაჩნა თავის ცრემლებზე? კიდევ უფრო ვლინდება ოიდიპოსის გასაოცარი სიახლოვე ხალხთან მაშინ, როდესაც შემოდის კრეონი და ეკითხება ოიდიპოსს: პითიას თქმული აქ გამოგიცხადო ხალხის წინაშე თუ სასახლეშიო, — ოიდიპოსი დაუფიქრებლად წამოიძახებს:

აქ სთქვი, ამათთვის უფროვე ვზრუნავ,
ვიდრე ტანჯულის ჩემის სულისთვის.

ოიდიპოსს ხალხისაგან არაფერი აქვს საიდუმლო. იგი ისევეა მისთვის თავგანწირული, როგორც მაშინ, როცა სფინქსის წინაშე იდგა და ამოცანის ამოუხსნელობის შემთხვევაში უყოყმანოდ მიიღებდა სიკვდელს. ამ ახალი ამოცანის წინაშე ოიდიპოსი ისევე თავგანწირულია როგორც მაშინ, სფინქსის წინაშე. ამიტომაცაა, როცა კრეონისაგან შეიტყობს, რომ ხსნისათვის საჭიროა ლაიოს მეფის მკვლელის ქალაქიდან გაძევება, იგი მაშინვე იწყებს გამოძიებას და ბოლოს ყველას წინაშე პირობას ჭდებს:

ვასრულებ აღთქმას! ღმერთის შეწევნით
ან ბედს ვეწვეით, ან მთლად გაეწყვებით.

ამგვარად პროლოგში სოფოკლე გვიჩვენებს ოიდიპოსის ძირითად ბუნებას: მის თავდადებას მოყვასისათვის და აგრეთვე ხალხის უსაზღვრო რწმენასა და სიყვარულს მისდამი.

პროლოგის მომდევნო გუნდის პირველი გამოსვლა ტრაგედიის ფრიად მნიშვნელოვანი კომპონენტია.

გავრცელებული შეხედულების თანახმად გუნდი ასრულებს სოფოკლესთან მეორეხარისხოვან როლს, მისი სიმღერები წარმოადგენს დრამის ერთგვარ ლირიკულ თანხლებას*. ასეთი აზრი ვერ გამოხატავს სრული სისაყსით სოფოკლეს შექმედების ძირითად ხასიათს. სოფოკლეს არაფერი აქვს ტრაგედიაში ზედმეტი, არაფერი აქვს ისეთი, რასაც ტრაგედიის მოქმედებასთან უშუალო კავშირი არ ჰქონდეს. მართალია, სოფოკლემ გუნდს ჩამოართვა ის როლი, რომელიც მას ესქილესთან ეკირა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სოფოკლემ გუნდი ჩამოაშორა მოქმედებას, მას მხოლოდ მოქმედების ლირიკული თანხლება დააქისრა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. რომ ბერძნული ხელოვნების ძირითადი დებულება ითვალისწინებდა ჰარმონიულობას და ამ პრინციპს სოფოკლე არა თუ ლაღატობს — უბაღლო შეუდარებელს ოსტატობით იცავს. ასევე გუნდის საკითხშიაც, მართალია მისი გუნდი უკვე სულ სხვაა, ვიდრე ესქილესი, მაგრამ ზოგჯერ გუნდს სოფოკლესთან მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პროლოგის შემდეგ ტრაგედიაში გვაქვს გუნდის პირველი გაქოსვლა და ამ გაქოსვლას ის დიდი როლი აქვს დაქისრებული, რომ შექმნას განწყობილების აუცილებელი ფონი, ურომლისოდაც ვერ აედრდება ოიდიპოსის მანიფესტი. ოიდიპოსის გამოსვლა, რომელსაც მანიფესტი მოჰყვება, იმდენად უფრო ძლიერი აღმოჩნდება, რამდენადაც ძლიერად ჩაატარებს გუნდი მის სიმღერას, ეს სიმღერა ღმერთებისადმი ვედრებას წარმოადგენს. ამ ლოცვა-ვედრების ფონზე უნდა გაისმას ტრაგედიის უმძიმესი სიტყვები, რომელსაც ოიდიპოსი წარმოთქვამს. მისი ღაღადისი ხომ მკვლელის წყევლაა და შეჩვენება. ოიდიპოსი შეაჩვენებს ღაღადისს მკვლელს და ის კი არ იცის, რომ მკვლელი თვითონაა; ოიდიპოსს სწადია შურა იძიოს ღაღადისათვის, როგორც ღვიძლი მამისათვის და ის კი არ იცის, რომ ეს წამონაცდენი ავბედითი „ენის ყვილია“, მან არ იცის, რომ ღაღადისი მართლაც მისი მამაა.

სოფოკლე ტრაგედიის ამ ადგილას სწორუპოვარის სიძლიერით უჩვენებს ბედისწერის ძალას. არსად არც მანამდე, არც შემდეგ, ტრაგედიაში, ბედისწერის ძალა ისეთი სისაყსით არ არის წარმოდგენილი როგორც ამ სცენაში.

მანიფესტს მოსდევს პატარა გადასვლა. აქ დიალოგია ოიდიპოსსა და გუნდის ხელმძღვანელს შორის. გუნდი ურჩევს ოიდიპოსს ტირეზიას დაბარებას, მაგრამ ოიდიპოსს დაუსწრია მათთვის და აი, შემოიღო კიდეც ბრმა მისანი ტირეზია და იმართება ტრაგედიის პირველი სცენა. შესანიშნავია იგი ყოველმხრივ, ზედმიწევნითი ოსტატობითაა დახატული დიალოგი, მოქმედ პირთა ხასიათი, თუ კონფლიქტი. ეს პირველი სცენაა და პირველი კონფლიქტიც აქვეა წარმოდგენილი. უკონფლიქტო სცენა „ოიდიპოს მეფის“ ავტორს საერთოდ არ გააჩნია.

ამ სცენის თავისებურებას ისევ ის გარემოება განსაზღვრავს, რაც საერთოდ ტრაგედიის პირველი ნაწილისათვის ან უფრო უკეთეს ტრაგედიის პირველი ნახევრისათვის არის დამახასიათებელი: ბედი სწევს რა გავლენა აქ და მომდევნო სცენაშიაც ძალაში რჩება, რომ შემდეგ. ტრაგედიის მეორე ნახევარში, მას დაუპირისპირდეს ა დ ა მ ი ა ნ ი.

პირველი სცენის განვითარების ძირითადი მონაკვეთები ამრიგად შეიძლება გაკეთვალისწინოთ:

* И. Тронский. История античной литературы, 1957, гл. 138.

ოიდიპოსი სთხოვს ტირეზიას უშველოს ქალაქს და დაეხმაროს ლაიოს მეფის მკვლელის გამოძიებას საქმეში. ტირეზია ღუმს, რადგან მას ებრალება ოიდიპოსი და ამიტომ ვერაფერია სინამდვილის თქმისა. სრულიად სხვაგვარად ვსმის ოიდიპოსს ტირეზიას ღუმილი. მას, რა თქმა უნდა, არ ძალუძს ტირეზიას ღუმის ნამდვილი მიზეზი გაითვალისწინოს, ამიტომაც მას სულ სხვაგვარად ხსნის და ამ ახსნის დროს სჩადის ღიდ დანაშაულს: ოიდიპოსი ტირეზიას ლაიოს მეფის მკვლელობის მონაწილე პრაცხს. ამ ეჭვებს ოიდიპოსი მოურიდებლად მიახლის ტირეზიას. ახლა ტირეზია უკვე ხელს იღებს მორიდებასა თუ სიბრალულზე და პირდაპირ დაუნდობლად ეუბნება ოიდიპოსს: შენა ხარ მკვლელი ვისაც ჩვენ ვეძებთ.

ამგვარი ბრალდება სრულიად გაუგებარია ოიდიპოსისათვის. მას ხომ არ ძალუძს ირწმუნოს ტირეზიას სიტყვები, რამდენადაც მან იცის მხოლოდ ერთი მკვლელობა — უცხო მგზავრისა, ისიც თავდაცვის მიზნით. ოიდიპოსს თვალწინ წარმოუდგება გზაჯვარედინზე დატრიალებული შეჯახება, მაგრამ მაშინვე ცდილობს დამშვიდდეს, მაშინვე უკუაგდებს ტირეზიას ბრალდებას. ის მგზავრი ხომ ლაიოსი არ იყო! მხოლოდ ცილისწამება შეუძლია უწოდოს ოიდიპოსმა ტირეზიას ბრალდებას. ახლა საჭიროა მოინახოს მიზეზი ამ ცილისწამებისა, და აი ისიც: ალბათ კრეონი და ტირეზია არიან მის წინააღმდეგ შეთქმულნი. კრეონმა მოიტანა ამბავი ქალაქის ლაიოსის მკვლელისაგან გათავისუფლებისა, ხოლო მკვლელობაში ბრალდების საჩოთირო საქმე ტირეზიას დაეკისრა. შეთქმულების მიზანი ოიდიპოსის ნაცულად კრეონის გამეფებას გულისხმობს, ხოლო ტირეზია ამის შედეგად გახდება ახალი მეფის შესაიდუმლედ. ასეთია ის აზრები, რომლებიც უტრიალებს ოიდიპოსს თავში და შემდეგ სიტყვიერ სამოსელითაც მოირთვება. ოიდიპოსი აქ ისევ ბედისწერის გავლენის ქვეშ იმყოფება და ახალ დანაშაულს სჩადის.

პირველი სცენა მთავრდება და ამის მომდევნო გუნდის სიმღერა გუნდის სრულ დეზორიენტაციაზე მეტყველებს: მან არ იცის სინამდვილე. აი, აქ მართლაც გუნდის როლი საგრძნობლად შესუსტებულია და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარი მოქმედი პირი დარჩენ თავეს სიმაღლეზე, ჭერჭერობით სოფოკლესთვის საჭიროა, რომ ოიდიპოსმა განაგრძოს შეცდომის გზით სელა, რას ვმსგავსებოდა საქმე რომ ოიდიპოსს გუნდი მოვლინებოდა მეგზურად? გუნდი ისევ უცნობი მკვლელის შესახებ მღერის და არა სჯერა ტირეზიას ნათქვამი. ოიდიპოსი გუნდისთვის ჭერ ისევ ქალაქის მხსნელის სხივოსან გვირგვინით შემეყულ პიროვნებად რჩება.

გუნდის სიმღერა კმნის გადასვლას პირველიდან მეორე სცენაზე, რომელიც იწყება კრეონის გამოსვლით.

კრეონი შესჩივლებს გუნდს — სახელმწიფო საბჭოს წევრებს — ოიდიპოსის ბრალდების შესახებ. სრულიად სამართლიანია კრეონის გულისწყრომა. ამ დროს სასახლიდან გამოდის ოიდიპოსი და შორიდანვე თვალს მოჰკრავს თუ არა კრეონს, ამხილებს ვითომცა მის მიერ ჩადენილ ბოროტებას.

ამ სცენის გასაოცარი ძალა ის არის, რომ ორივე თავიდან ბოლომდე მართალია, მაგრამ კონფლიქტი შეუჩერებლოდ ძლიერდება. აქ კვლავ იგივე ვითარებაა, რაც პირველ სცენაში გვქონდა, იქაც ტირეზიაცა და ოიდიპოსიც მართალია, მაგრამ ორივე შემთხვევაში ოიდიპოსის სიმართლე მოჩვენებითია, რადგან მან არ იცის სინამდვილე და ამ პოზიციიდან ოიდიპოსი მცდარ გზაზე შედგება და თუ პირველ სცენაში ბრალი ტირეზიასა და კრეონს დასდო, ახლა ხომ კვლავ ბრალდებაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი. ბრალდების ამბავი დამთავრებულია

და თუ აქ ახალი რამ არ მოინახა, სოფოკლეს გმირებს საქმე აღარაფერი ექნებათ. სოფოკლეს გენიალობაც სწორედ იქ იჩენს თავს, საცა ვაკირებება.

მეორე სცენაში ოიდიპოსისა და კრეონის დიალოგი უღარგისის ოსტატობით არის შესრულებული. ეს სცენა, შეიძლება ითქვას, დაკითხვის სცენას წარმოადგენს ისევე, როგორც პირველი სცენა. კრეონი თავს იმართლებს, მაგრამ საკმარისია ოიდიპოსმა კითხვა დასვას და კრეონი კიდევ უფრო მეტად ბრალეულად მოჩანდეს. ოიდიპოსის კითხვა ეხება ტირეზიას მოწვევას. ირკვევა, რომ ტირეზია სასახლეში მოუწვევებოთ კრეონის რჩევით, ამ გარემოებას კრეონი როდი უარყოფს, მაგრამ მთავარი სულ სხვა რამაა: ოიდიპოსი დაკითხვით დაადანტურებს, რომ ა) ტირეზია იყო მისნად ძველადაც, როცა მეფობდა ლაიოსი; ბ) ლაიოსი მოკლეს, მაგრამ ტირეზიამ ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინა კრეონს და საერთოდ ქალაქს, მკვლელის ძებნის საქმეში. ახლა კი ოიდიპოსი საბოლოოდ ადგენს, რომ ტირეზიას წინათ არასოდეს დაუსახელებია ოიდიპოსი ლაიოსის მკვლელად.

ამ აღიარებას საჯახებით ლოგიკურად მოსდევს ოიდიპოსის დასკვნა:

შენთან კავშირი ბრძენს რომ არ ჰქონდეს
მეფის მოკვლის ბრალს მე ვერ დამდებდა.

კრეონის თავის მართლება მიზანს ვერ აღწევს. ოიდიპოსმა ახალი, უფრო მტიკე საბუთი მოიპოვა კრეონის დანაშაულის სამხილებლად: არასოდეს წინათ მისანს არ უხსენებია ოიდიპოსი ლაიოსის მკვლელად. დაკითხვამ კიდევ უფრო დაარწმუნა ოიდიპოსი და იგი უცხადებს კრეონს განაჩენს: მას მოელის სიკვდილი.

ალალმართალი კრეონის აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. იმართება გასაოცრად დამაბული დიალოგი, რომელიც ყვირილში გადადის. ოიდიპოს-კრეონის ყვირილზე გამოდის იოკასტე და ცდილობს მათ დამშვიდებას. კრეონი ფიცს სდებს ოიდიპოსის წინაშე, რომ იგი მართალია. იოკასტე ემუდარება ოიდიპოსს შეუშუბუქოს ძმას სასჯელი. იოკასტეს თხოვნას მხარს უჭერს გუნდიც და სცენის ბოლოს ოიდიპოსი მოტყდება, თუმცა მას კრეონის დანაშაულში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ მაინც უთმობს, და მის მახლობელთა თხოვნით კრეონს სასიკვდილო განაჩენს განდევნაზე შეუცვლის. კრეონის გასვლით მთავრდება მეორე სცენაც და მასთან ტრაგედიის პირველი ნახევარი.

გადასვლის როლს ასრულებს იოკასტეს კითხვა კრეონის დანაშაულის შესახებ. აქ საქმეში ჩაერევა გუნდის მეთაურიც და როდესაც ეს გადასვლა მთავრდება, იწყება ოიდიპოსისა და იოკასტეს დიალოგი. იოკასტე კვლავ იმეორებს კითხვას ოიდიპოსის რისხვის მიზეზის შესახებ.

ის მე მიწოდებს ლაიოსის მკვლელს, — უპასუხებს ოიდიპოსი.

გაოცებული იოკასტე კვლავ იმეორებს კითხვას.

თვით სწამს, თუ ამბობს ყურმოკრულ ჰორსა?

ოიდიპოსი: მან მომიგზავნა ფლიდი მისანი,

თვით კი ცბიერად კრინტსაც არა სძრავს.

აქ არის მოთავსებული ტრაგედიის საკვანძო ადგილი, რომელიც მოასწავებს ტრაგედიის მეორე ნახევრის დასაწყისს. თუ აქამდე ბედისწერის ბატონობის შედგებად ოიდიპოსი დანაშაულს სჩადის და უდანაშაულო ადამიანებს ბრალსა სდებს — ახლა უკვე თავს იჩენს მისი სახსნელი ეჭვი გამოწვეული იოკასტეს მოთხრობით.

იოკასტეს უნდა დაამშვიდოს ოიდიპოსი. თურმე მისნის ბრალდებას შეუძრწუნებია იგი და მისნები ხომ მარად სტყუიან. ამ დებულების დასადასტურებ-

ლად იოკასტე მოუთხრობს ოიდიპოსს თავისი ოჯახის ამბავს — თუ როგორ უწანაწარმეტყველეს ლაიოსს, რომ მას მოკლავდა ღვიძლი ძე და როგორ გაცუღდა ეს ქადაგება.

...ლაიოს მოკლეს
ავახაყებმა გზაჯვარედინსა.

ეს მოთხრობა მით არის შესანიშნავი, რომ იგი მეორედ მოაგონებს ოიდიპოსს გზაჯვარედინზე ჩაღვნილ ამბავს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ პირველად, ტირენიას ბრალდების დროს, ოიდიპოსი მაშინვე უკუაგდებდა ამ მოგონებას საესებით დარწმუნებული, რომ მოკლული არ შეიძლებოდა ყოფილყო ლაიოს მეფე, ახლა, ამ თავგადასავალის მეორედ მოგონების დროს ოიდიპოსის გონებაში შავი ფიქრი გაიელვებს — ვითთუ მის მიერ გზად მოკლული სწორედ ლაიოს იყო? იბადება კითხვა — რა საბუთი აქვს ოიდიპოსს ამგვარი ბრალდება წამოუყენოს თავის თავს? ჭერჭერობით არაერთგვაროვანი საბუთი, გარდა ერთი და იმავე ამბავის ორჯერ გახსენებისა. საკმარისი იყო ესოდენ დიდებუნი-ბოვანი ადამიანისათვის ერთსა და იმავე ექვს ორჯერ გაველო გონებაში, და, ერთი შეხედვით უმნიშვნელო რასმე ოიდიპოსის გამკრიახი გონებისათვის უკვე საბუთის მნიშვნელობა მიეღო (მას ხომ მართლაც შემოაყვდა კაცი).

თავის თავის სიღრმეში აკეთი ჩახედვის უნარმა, პირადმა ადამიანურმა, შინაგანმა სიმართლემ განაპყრეტინა ოიდიპოსს საკუთარი თავის მიმართ მცირე რამ ეკვი და ეს საკმარისი იყო, რომ დაეწყო გამოძიება. ოიდიპოსის კითხვებზე: „რა ადგილს მოკლეს ლაიოს მეფე? რამდენმა ქაშმა განვლო მას შემდეგ? მეფე რა სახის იყო, რამდენის წლისა?“ პასუხად მიღებული ცნობები თანდათანობით აძლიერებენ ოიდიპოსის ეჭვებსა და მის შეშფოთებას. ისევე კითხვა, ახლა მეფის ამალის შესახებ და აქაც შიშის ზარდამკემი პასუხი: ყველაფერი იმასვე ემთხვევა, რაც გზადმიმავალ ოიდიპოსს თავს გადახდა.

ერთი კაცი გადარჩენილა ლაიოსის ამალიდან და ახლა ოიდიპოსს მისი ნახვა მოუნდა. სანამ ოიდიპოსი ლაიოს მეფის თანამგზავრის ნახვის მიზნებს იტყოდეს, იგი მოუთხრობს დედოფალს თავის თავგადასავალს, რაც კორინთის მეფის კარზე გადახდა. მოუთხრობს თუ რა საშინელი წინასწარმეტყველება ისმინა პითიასაგან და რა შეემთხვა იქედან წამოსულს. ოიდიპოსს ერთადერთი იმედილა შერჩენა: თუ ლაიოს მეფის მსლებელი გაიმეორებს მასვე, რაც უთქვამს ადრე — ოიდიპოსს ასცილდება წყველა-კრულვა, რადგან ლაიოსის გადარჩენილი მსლებლის თქმით ლაიოსი ყანალო ბრბომ მოკლა, ოიდიპოსი კი ერთი იყო.

ასე თავდება მესამე სცენა და მას მოსდევს მომდევნო მეოთხე სცენა. ამ სცენების მიჯნაზე მოისმის გუნდის სიმღერა ღვთისმოსაგობის დაკარგვაზე და იოკასტეს ლოცვა, რომელსაც უკავშირდება დასაწყისი მეოთხე სცენისა. შემოდის ეფვორბი — კორინთელი შიკრიკი, რომელიც აუწყებს იოკასტეს ოიდიპოსის მამის — პოლიბოსის სიკვდილის ამბავს. ამ ცნობით გახარებულია იოკასტე. ოიდიპოსი გარბის სამშობლოდან, რომ არ მოკლას მშობელი მამა, ხოლო მამა კვდება ბუნებრივი სიკვდილით.

გამოდის სცენაზე ოიდიპოსი და რა შეიტყობს მამის სიკვდილის ამბავს — ისევე ღმერთების წინასწარ თქმაზე დაუკედება, — იგი მაინც ვერ დაბრუნდება სამშობლოში, რადგან ცოცხლობს დედა და მას ხომ უნდა აშინებდეს ცოცხალი დედასთან შეერთებისა.

ამ შიშის გაქარებებს განიზრახავს კეთილი კორინთელი სტუმარი:

ოცოდე, მეფევე, სულ ტყუილია
ეგ შენი შიშა..

კორინთელი შიკრიკი ლამობს ოიდიპოსის დ მშვიდებას, თავისი ძველი დამ-სახურების — ოიდიპოსის მხსნელის შესაფერი ჯილდოს მიღებას და ის კი არ იცის, რა საშინელი საიდუმლო გააშელა. იოკასტესათვის ყოველივე ნათელი ხდება. იგი ცდილობს ოიდიპოსი მინც განარილოს ამ უბედურების გამოაშკარაებას, მაგრამ ოიდიპოსს განა შეაჩერებს იოკასტეს სუსტი ცდა შეწყვიტოს გამოძიება? საქმის გასარკვევად საჭიროა იმ მწყემსის მოძებნა, რომელმაც გადასცა ყრმა ოიდიპოსი კორინთელ მწყემსს, მაგრამ მწყემსის დაბარება საჭირო აღარაა, რადგან მას უკვე ელიან — ესაა ლიოს მეფის ერთადერთი გადარჩენილი მხლებელი. იგი მხლებელიცაა და თებელი მწყემსიც სოფოკლეს მიერ ერთსა და იმავე პიროვნებაში გაერთიანებული იმ მიზნით, რომ ესოდენ სწრაფ ტემპში მიმავალ ტრაგედიას დაბრკოლება რამე არა ჰქონოდა.

მეთოხე სცენა მთავრდება თავზარდაცემულ იოკასტეს სცენიდან გასვლით. იოკასტეს მღელვარებას ოიდიპოსი დედოფლის ქედმაღლობით გამოწვეულ შიშს მიაწერს — დედოფალი უფროსის ჩემი დაბალი წარმოშობა არ გამოქვამდა.

უდიდესი როლი ენიჭება ამ სცენის შემდეგ გუნდის სიმღერას. გუნდი მოახლოებული უბედურების აინუნშიაც არ არის, იგი ოცნებობს იმაზე, თუ რომელმა ღმერთმა და რომელმა ნიმფამ წარმოშვა თებეს მხსნელი ოიდიპოსი? გუნდის ამ სიმღერის ვეალება სიმშვიდის განწყობილება შექმნას, რომ ამრიგად შეამზადოს გადაჯვარა ერთი უიოდურესობიდან მეორეში, სიმშვიდიდან — უმძაფრეს მღელვარებაში. მომღვერო, პირისპირ წაყენების სცენა ხომ უნდა ყოფილიყო სათანადოდ გამახვილებული და ეს გამახვილება შეუძლებელი იქნებოდა იმ ფონის გარეშე, რომელსაც გუნდის სიმღერა ჰქმნის.

სცენაზე არიან ოიდიპოსი და კორინთელი შიკრიკი. ახლოდება თებელი მწყემსი. ოიდიპოსი შორიდანვე მიაქცევს კორინთელის ყურადღებას მოსულზე. იგი ჭერ სცენაზე არ გამოსულა და კორინთელი კიდევაც იცნობს იმ ადამიანს, რომელმაც ყრმა ოიდიპოსი გადასცა მას. კორინთელი მოუთმენლად მოულის თებელთან შეხვედრას, მაგრამ თებელი სულ სხვაგვარად იქცევა. იგი თავს ისე აჩვენებს თითქოს პირველად ხედავდეს კორინთელს. კორინთელისთვის სრულიად გაუგებარია თებელის საქციელი, ამიტომ მოაგონებს მას ძველად მომხდარ ამბავს და შემდეგ მიუთითებს კიდევ ოიდიპოსზე — აი, ძმობილო, ის ქორთა ბავშვიო.

თავზარდაცემული თებელი მწყემსი, რომელმაც ძლიან კარგად იცის თუ ვინ არის ოიდიპოსი, ამოდ ცდილობს დაფაროს საიდუმლო. ოიდიპოსი ძალით ათქმევენებს სიმართლეს თებელ მწყემსს და რაკი შედტყობს ყოველივეს თავის წარმოშობის შესახებ, თავზარდაცემული გარბის სასახლისკენ:

...სინათლევ დღისა, ვაკჭრი თვალთაგანი..
შობითვე წყუელს მე შემობილწავს
წმინდა საწოლი! ლეთით შეჩვენებულს
უმანკო სისხლი დამინთხევია!..

დასრულდა პირისპირ წაყენების სცენა. გამოირკვა ოიდიპოსის დანაშაული... და თითქოს სხვა არაფერია სათქმელი, მაგრამ სოფოკლეს აქ არ შეუძლია წერტილი დასვას, რადგან მისი მიზანია ადამიანის ძალის ჩვენება. ოიდიპოსმა შექლო

უმნიშვნელო ექვის მიხედვით აღმოჩინა საკუთარი დანაშაული და ახლა საჭიროა იმის ჩვენება, თუ რამდენად ეყო ძალა ოიდიპოსს გამკლავებოდა ენით უთქმელ უბედურებას.

ოიდიპოსის გასვლის შემდეგ ფრიალ საყურადღებოა ის დამოკიდებულება მოვლენებისადმი, რომელსაც ამქალაქებს გუნდი: გუნდის სიმღერა მეტყველებს ადამიანის წარმავალი, ცვალებადი ხედვრის შესახებ, ცხოვრების ცვალებადობას შესახებ:

შენ მოგვანიჭე თავისუფლება...

და შენვე თვალნი კვლავ დაგვიბნეულ.

გუნდის ამ სიმღერის ღელაჯრი ის უდიდესი თანაგრძნობაა, რომელსაც იწვევს ოიდიპოსის უბედური ბედი. ეს მოტივი თანაგრძნობისა კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც სცენაზე გამოდის მსახური და აუწყებს გუნდს იმის შესახებ, თუ რა უბედურება დატრიალდა სასახლეში. მსახურის მოთხრობა საბოლოო განაჩენია, რომელიც გამოაქვს ოიდიპოსის გარშემო მყოფ ადამიანებს. ამ გარემოებას თვით გუნდის კორიფე აღნიშნავს:

რა ყოფაშია ახლა ბედკრული?

ეს კითხვა იმის მომასწავებელია, რომ გუნდის აზრით უდანაშაულოდ დასჯილ ოიდიპოსის ტანჯვა-წამებას საზღვარი რამე უნდა დაედოს, რადგან:

ტანჯვა კი მისი უმძიმესია,

ვიღრე ერთ კაცსა ძალუქს ატანა.

ამის შემდეგ ისევ გუნდის სიმღერა იმის, კვლავ უდიდესი თანაგრძნობით გამსჭვალული. ამგვარი შემზადების შემდეგ, თანაგრძნობის თანდათანობით გაძლიერების გზით, აღწევს სოფოკლე საჭირო განწყობილების შექმნას. სცენაზე გამოდის თვალუბნათხრილი ოიდიპოსი. იგი უკვე აღარ ბობოქრობს. ომგადახდილი, უმძიმეს განსაცდელგამოვლილი ოიდიპოსი ჯერ მიმქრალი, ოღნავ გასაგარი ხმით მოსთქვამს. მოთქმით ხწყება მისი როლი და გუნდის სიმღერის რიტმში მიმდინარეობს. ოიდიპოსი თანდათანობით ვადადის მეტყველებაზე. იგი იგონებს საშინელ თავგადასავალს. ეს ტრაგედიის უშესანიშნავესი ადგილია. ეს არის ოიდიპოსის ადამიანობის გამოცდის უაღრესად ძნელი ადგილი. მისი სიტყვები გასაოცარი ზომიერებით არის აღნიშნული. თუ ეს ზომიერება არა, სულ ადვილი იქნებოდა ამ სწორი ტონის დაკარგვა, სწორი გზიდან გადახვევა და მაყურებელში აღძრული უაღრესი თანაგრძნობის ხელიდან გაშვება; მაგრამ თუ აქ ტრაგიკოსი შემოქმედებითი ბეჭვის ხილს უმარცხოდ გაივლის, ამის შემდეგ მას შეუძლია კიდევ უფრო რთულ გზაზე შედგეს.

თავდება ოიდიპოსის თავგადასავალი და კიდევ უფრო მეტი სიმძიმე აღიმართება სოფოკლეს წინაშე. ოიდიპოსი მიიღო ხალხმა, რომლის წარმომადგენელია გუნდი. ახლა საჭიროა ოიდიპოსის შეხვედრა თავისიანებთან, რომ კიდევ უფრო ღრმად იქნას გაშუქებული მისი შინაგანი სამყარო და იქ მომხდარი ძვრები.

შემოდის კრეონი, გუნდი აუწყებს ოიდიპოსს მის მოახლოვებას. სადღაა ამას წინათ მოდავე კრეონი და ოიდიპოსი? ოიდიპოსის საზარო ხედვრმა დააეიწყა კრეონს ძველი საწყენი. ოიდიპოსი ხელებს მოხვევს კრეონის მიერ მოყვანილ მის პაწია ასულებს. ეს სცენა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ოიდიპოსის ბუნების უაღრეს სიმღიდრეს. ამდენი უბედურების შემდეგ ოიდიპოსი კვლავ პოულობს ძალას თავის თავში მიუაღეროს ბაეშებს, მაგრამ ისე კი, რომ მისი იარა არ

დაიჩრდილოს. შესანიშნავია ბავშვებთან დიალოგი: ასულთა მწარე ხვედრით აფიქრებს ოიდიპოსს. კვლავ მის მიერ ჩადენილ ბოროტებას ისახავს თვალწინ... და ამის შემდეგ ტრაგედია მთავრდება კიდევ გუნდის სიტყვებით ადამიანის ხვედრის წარმავლობის შესახებ.

ასეთია ტრაგედიის მოკლე შინაარსი, და მას მიტომ დაუთმეთ ესდენ დიდ ადგილს, რადგან ჩვენს მიზანს შეადგენდა გაგვეთვალისწინებინა ამ ტრაგედიის არქიტექტონიკა.

ყველაზე საკვირველი ის გარემოებაა, რომ სოფოკლე შეუდარებელის ხელოვნებით ჰყოფს ტრაგედიას ორ საეხებით თანაბარ ნაწილად. ეს გაყოფა როდია მხოლოდ ფორმალური, იგი ფორმალურიც არის და შინაარსობრივაც. ამასთანავე ორივე ნახევარს სრულიად თავისი მიზანდასახულობა გააჩნია: პირველმა ნახევარმა უნდა გვიჩვენოს ბედისწერის ძალა, ხოლო მეორე ნახევარმა ადამიანის ძალა (პროლოგი, მანიფესტი, I სც. II სც. — III სც. IV სც. გოდება, ეპილოგი).

პირველ ნახევარში ადამიანი უძლურია მისწვდეს ბედისწერის საიდუმლოებას, მეორე ნახევარში იგი ჩასწვდება მას და სძლევს კიდევ.

ამრიგად, ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“ ადამიანის უაღრესი, შეიძლება ითქვას, უმძიმესი გამარჯვებით მთავრდება, მთავრდება ოიდიპოსის მიერ კემშარბიტების გამოცნობის შედეგად, რაც მიღწეულია თვით ოიდიპოსის შინაგანი სიმართლით, მისი ადამიანური ბუნების სიდიადით, კვლავ ოიდიპოსის ადამიანური მეობის სწორეპოვარი გამარჯვებით. დეე, ბედისწერამ ადამიანს უსაშინლესი დანაშაული დააკისროს ჩანადენად, დეე, ბედისწერამ ადამიანი უკიდურესობის საზღვრამდე მიიყვანოს, რომლის იქეთ თითქოს დაღუპვის გარდა სხვა გზა არ არის, მაგრამ ადამიანს აღმოაჩნდება ძალა საკუთარი კეუით, საკუთარი გონებით; საკუთარი ალაღმართლობით, უდიდესი ადამიანური ბუნებით სძლიოს მის მიერ მისდაუნებურ ბედისწერისაგან თავზე მოხვეულ ყველაზე უსაშინლეს დანაშაულს, დანაშაულს, რომლის მსგავსი არაერთ ჩაუდენია. მას აღმოაჩნდება იმდენი სულიერო სისპეტაკე, რომ ახლოს არც კი მიიკაროს ეს საშინელება, თვითვე გამოარკვეოს ყოველი და საკუთარის ხელითვე თავის თავზე უსასტიკესი სასჯელის მიყენებით ირჩიოს გზა ტანჯვისა, გზა განწმენდისა, გზა ბედისწერისაგან თავზე მოხვეულ დანაშაულისაგან თავდასხნისა.

ადამიანის სწორეპოვარი გამარჯვების ჰიმნად გვესახება ჩვენ სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, რომლის ბადალი ტრაგედიის ისტორიაში მსოფლიოს არაფერი მოუპოვებდა, რადგან თუ ბერძნული ხელოვნების ძირითად დებულებაა, ძირითად კანონს პარმონიულობა შეადგენს, ჩვენ ვერსად ვერ ვპოვებთ ტრაგედიის ნაწილთა შინაარსთან, ძირითად იდეასთან დაკავშირებით ასე პარმონიულ განლაგებას, რასაც „ოიდიპოს მეფეში“ ვხედავთ.

ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ გარჩევის დროს არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის ძირითადი პრინციპები, რომელზედაც ეყრდნობა ტრაგედიის აგების ხელოვნება.

ამ მიზნით ჩვენ შევებებით ძველი ბერძენი ფილოსოფოსის — არისტოტელეს შეხედულებას ამ საგანზე.

არისტოტელეს აზრით ტრაგედიის საბოლოო მიზანი არის კათარზისი — „განწმენდა“.

ჩვენს მიერ გარჩეულ ტრაგედიაში „განწმენდა“ მიღწეულია უაღრესი თანაგრძნობით. სწორედ ამ უდიდესი თანაგრძნობის გამოწვევას ისახავს მიზნად ტრაგედიის უკანასკნელი, დასკვნითი სცენა — „ოიდიპოსის გოდების“ სცენა, გუნდის სიმღერა და მსახურის მონოლოგი. როგორც გუნდის სიმღერა, ისე მსახურის მონოლოგი ერთგვარად განამზადებს მაყურებელს თანა-

გრძნობისაჲვის. მაცურებელი ხედავს თუ რაოდენი თავდადება გამოიჩინა ოიდიპოსმა მის თავზე დამტყდარ უბედურებასთან გასამკლავებლად, ხედავს თუ როგორის თავგამოდებითა და შეუპოვრობით ეძებდა ოიდიპოსი დამნაშავეს და, შემდეგ, როგორის შეუბრალებლობით და სისასტიკით მოექცა იგი თავის საკუთარ თავს, როცა მან თვითონ თავისი დანაშაული გასაოცარის პირდაპირობით ამხილა და არა თუ ამხილა, მსჯავრიც გამოუტანა, და ბოლოს — და ეს არის უმოთაერესი, — საკუთარი ხელით დაისაჯა თავის თავი.

ყოველივე ამის შემდეგ რაღა საეკირველია თუ ოიდიპოსის გოდების სენა იმდენად დიდ თანაგრძნობას იწვევს, რომ მაცურებელი მზად არის იტვირთოს ოიდიპოსის ტანჯვა, გაიზიაროს მისი ვაება, მასთან ერთად შედგეს იმ ტანჯვის გზაზე, რომელზედაც ოიდიპოსი შემდგარა — და მასთან ერთად ატირებულო, ტრაგედიის დასასრულის შემდეგ ამ თანაგრძნობით მიღწეულ განწმენდის შედეგად დასტოვოს სანახაობის ადგილი სულიერად განწმენდილმა და გონებრივად ამაღლებულმა. ეს მოხდა მიტომ, რომ: „ოიდიპოსის ბედის საკითხში სოფოკლემ გადამწყვეტი მნიშვნელობა მინიჭა ა და მ ი ა ნ უ რ ს ი ნ ი დ ი ს ს და არა ღ ე თ ი ს გა ნ გ ე ბ ა ს და ბ რ მ ა ბ ე დ ი ს წ ე რ ა ს. (გრ. წერეთელი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, ტრაგედია, გვ. 174. 1935 წ.).

ოიდიპოს მფე

(ვინაიდან მთარგმნელს სტრიქონების აღნიშვნა არა აქვს, ჩვენ ანბანზე დავალაგეთ განმარტებანი).

ა ბ ა ს ტ ა ძ ა რ ი — ქალაქი აბა ფოკიდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და ითვლებოდა აპოლონ ღმერთის სამკვიდროდ (მოხსენებულია მესამე სცენის შემდეგ საგუნდო სიმღერაში).

ა გ ე ნ ო რ ი — პოსეიდონის ძე, კადმოსის მამა, იგი იყო ფინიკელთა მფე (მოხსენებულია ოიდიპოსის მანიფესტში).

ა დ ე ს ი — პადესი, ნიშნავს ქვესკნელის სამეფოს ღვთაებს და თვითონ ქვესკნელის სამეფოსაც.

ა მ ფ ი ტ რ ი ტ ე — ნერეიდა, პოსეიდონის მეუღლე (მოხსენებულია გუნდის პირველ სიმღერაში).

ა მ ფ ი ტ რ ი ტ ე ს დ ი ა დ დ ა რ ბ ა ზ შ ი — ე. ი. ზღვის უფსკრულში.

ა პ ო ლ ო ნ ი — ზევისსა და ლატონას ძე, მეურნალობის, მშვილდისრისა და ჩანგის ღვთაება, დელფოზის მეუფე და ამდენად მოძაველის მაცნე.

ა რ ტ ე მ ი დ ე — ასული ზევისსა და ლატონასი, აპოლონ ღმერთის და, მრავალი თვისება აერთებს მას თავის ძმასთან, მაგრამ პირველ ყოვლისა იგი ნადირობის ღმერთია, ამავე დროს მთვარის ღმერთიც.

ბ ა ხ უ ს ი — დიონისეს მეორე სახელია, დიონისე ზევისის და სემელეს შვილად ითვლებოდა, ხოლო სემელე იყო კადმოსის ასული. დიონისეს კულტურა აღმოსავლეთიდან შემოსულა საბერძნეთში და პირველად ფეხი თებეში მოუდგამს. ამიტომ არის, რომ ჩვენი ტრაგედიის გუნდი თავის პირველსავე სიმღერაში მოიხსენიებს მის სახელს და შევლას თხოვს.

და ვ ლ ი ა — ფოკიდის ქალაქია პარნასის მთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით (მოხსენებულია მესამე სცენაში ოიდიპოსის მოთხრობის დროს).

დ ე ლ ო ს ი ს მ ე ფ ე — აპოლონის წოდებაა, რადგან თქმულების მიხედვით აპოლონი დელოსზე უნდა იყოს დაბადებული (მოხსენებულია გუნდის პირველ-სავე სიმღერაში).

დ ე ლ ფ ო — აპოლონის ცნობილი სამისნო. პარნასის მთის ძირას ფოკიდაში.

დ ი კ ე — სამართლიანობის ქალღმერთი.

თ ე ბ ე — ბეოტიის მთავარი ქალაქი.

ი ო კ ა ს ტ ე — მენოიკეს ასული, და კრეონისა, ლაიოსის მეუღლე, ამავე დროს ოიდიპოსის დედაც და მეუღლეც.

ი ს მ ე ნ ო ს ი — მდინარე ბეოტიაში, რომელიც თებეს სამხრეთით ისმენეს გორაკიდან გამოდიოდა. აი, ამ გორაკზე იყო აპოლონ ღმერთის ტაძარი, საცა მსხვერპლად შეწირული საკლავის ფერფლის მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ ხოლმე (ნახსენებია ტრაგედიის დასაწყისში ზევსის ქურუმის პასუხში

და მთელი ხალხი . . .

გარს ახვევია.. ისმენოსის საკურთხეველსა).

ი ს ტ რ ო ს ი — მდინარე დონის ძველი სახელია.

კ ა დ მ ო ს ე ლ ე ბ ი — თებეს მცხოვრებნი, კადმოსის თებეს მითის მიხედვით იწოდებიან, ხოლო კადმოსი იყო ძე ფინიკიელი აგენორისა. კადმოსი მოსულყო თებეს თავისი დის ევროპეს საქმბნელად, მაგრამ იქ მას უწინასწარმეტყველეს, დის ძებნას თავი ანებე და გზად რომ შევხვდებო, იმ ძროხას გაჰყუო, იმ დრომდე იარე, სანამ გაჩერდება და საცა შედგესო, იქ ქალაქი დააარსეო. კადმოსს შეუ-ჩარულებია სამისნოს ნათქვამი და ამრიგად ქალაქი თებე დაუარსებია.

კ ი თ ე რ ო ნ ი — მთავრებილი ატიკასა და ბეოტიას შორის, საცა ოიდიპოსი უნდა გაეგლოთ.

კ ი ლ ე ნ ე — მთა არკადიის ჩრდილოეთით, რომელიც ჰერმესის დაბადების ადგილად ითვლება (მოხსენებულია პირისპირ წაყენების სცენის წინ საგუნდო სიმღერაში. ამრიგად, დასახელებული კილენეს მფლობელი ღმერთი — ჰერმესია).

კ ო რ ი ნ თ ო — ქალაქი პელოპონესში.

კ რ ე ო ნ ი — მენოიკეს ძე, ძმა იოკასტესი, ლაიოს მეფის სიკვდილის შემდეგ თებეს მეფობდა, სანამ ოიდიპოსი გამოეფდებოდა. იგი იყო მეთაური იმ ელჩობისა, რომელსაც ევალებოდა დელფოსის ჰამისნოსათვის თებეს შესახებ ეკითხა. ოიდიპოსის შემდეგ გამეფდა თებეში.

ლ ა ბ დ ა კ ო ს ი — ბიძა კადმოსისა, პოლიდოროსის ძე და ლაიოსის მამა.

ლ ა ი ო ს ი — ლაბდაკოსის ძე, იოკასტეს მეუღლე, ოიდიპოსის მამა.

ლ ი კ ი ა — ქვეყანა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე.

ლ ო ქ ს ი ა — ბრწყინვალეს ნიშნავს, აპოლონ ღმერთის ეპითეტია (ხშირად იხსენიება).

მ ე ნ ა დ ე ბ ი — დიონისეს მადიდებელი.

მ ე რ ო პ ე — კორინთის მეფის პოლიბოსის მეუღლე.

ნ ი მ ფ ე ბ ი — ზევსის ასულნი, დიონისეს მხლებელი.

ო ლ ი მ პ ო — საბერძნეთის უმაღლესი მთა, ოლიმპელ ღმერთთა სახანე.

პ ა ნ ი — ტყეთა და მწყემსთა ღვთაება.

პ ა რ ნ ა ს ი — მთა ფოკიდაში.

პ ი თ ო ნ ი — დელფოსის ძველი სახელია.

პ ო ლ ი ბ ო ს — კორინთის მეფე — მეროპეს ქმარი, ოიდიპოსის მამობილა.

პ ო ლ ი დ ო რ ო ს ი — კადმოსის ძე, ლაბდაკოსის მამა.

ს ფ ი ნ ქ ს ი — ლომისებრი ურჩხული, რომელსაც თავი და გულშეკრდი ქალისა აქვს. იგი გამოჩნდა თებეს ერთ კლდეზე და ეკითხებოდა ყოველ გამე-

ლელს ამ ამოცანას: რა არის იგი, რასაც დილით ოთხი ფეხი აქვს, შუადღისს ორი, ხოლო საღამოს სამიო. ვინც ამ ამოცანას ვერ ამოხსნიდა, მას სფინქსი ჰკლავდა. ოიდიპოსმა ეს ამოცანა ამოხსნა (აღამიანი) და სფინქსი კლდეზე გადაჩეხა.

ფ ა ზ ი ს ი — მღ. რიონი.

ფ ო კ ი დ ა — საბერძნეთის კუთხეა, რომელიც მდებარეობს ბეოტიის დასავლეთით. იქ არის სწორედ დელფოსის სამისრო.

ანტიგონე

15. და არგოსელთა სპაგაიქცა — აქ ლაპარაკია იმ მხედრობაზე. რომელიც მოასხა პოლინიკემ ტახტის ხელთსაგდებად. პოლინიკე დაემოყვრა არგოსის მეფე ადრასტეს, რომელმაც თავისი ასული მიათხოვა მას და ჭარიც გააყოლა.

28—9 ა ე ბ ე დ ა თ მ ო კ ლ უ ლ ს, ა რ ც დ ა ტ ი რ ე ბ ა

ა რ გ უ ნ ა, ა რ ც ა დ ა მ ა რ ხ ვ ა... — ძველ ბერძენთა შეხედულებით მიცვალებულის სული მანამ არ დამშვიდდება, ვიდრე მისი ცხედარის მიმართ არ იქნება შესრულებული დასაფლავების წესი. ეს ჩვეულება შენიშნულია არა მარტო ბერძნებთან, არამედ მრავალ სხვა ხალხთან.

104 დ ი რ კ ე — მდინარე თებეს მახლობლად.

127 და მომდევნო სტრიქონებში ლაპარაკია ბუმბერაზ კაპანევსის შესახებ. იგი ელვით განგმირა ზევსმა სწორედ მაშინ, როდესაც თებეს ციხეებურჯის გალავანზე შემდგარიყო, ხელთ ეჩინილი ეპყრა და აპირებდა მის ქალაქში ტყორცნას.

138 — 9 და უ გ დ ე ს ზ ე ვ ს ს ა

გ ა რ ე მ ი მ ქ ე ე ვ ს ა ს პ ი ლ ე ნ ძ ი ს ხ ა რ კ ი

ჩვეულების თანახმად. ზევსისათვის უნდა შეეწირათ დამარცხებულის იარაღი, ვითარცა მისი დავლა. რაც შეეხება პოლინიკესა და ეთეოკლეს, რაკი ორივე გამარჯვებული დარჩა, ამიტომ მათი იარაღი არ შეიძლებოდა ზევსისათვის შეეწირათ.

143 ნ ი კ ე — ითვლებოდა არა მარტო გამარჯვების ღმერთად, არამედ მას თვლიდნენ ყოველ საქმეში შემწე ღვთაებად და მიტომაც მისი საყურთხეველი სხვა ღმერთების ტაძრებშიაც იდგა.

756 — 7 ს ა კ ე ბ ს დ ა ვ უ გ დ ე ბ, რ ო მ ა ვ ს ც დ ე ც ო დ ვ ა ს

დ ა ა ვ ა შ ო რ ო ქ ა ლ ა ქ ს ა ც კ ი რ ი.

ჩვეულებისამებრ, შიმშილით სიკვდილმისჯილებს უტოვებდნენ საზრდოს ცოტადენ მარაგს იმ მიზნით, რომ საყულტო ჩვეულებათა მიხედვით, დამსჯელა არ ყოფილიყო დატყვევებულთა სიკვდილის მიზეზი.

795 დაწყებული 1 ანტისტროფი ეხება ნიობეს თავდადასავალს. ნიობე იყო ასული ტანტალისა. მან განარისხა ქალღმერთი ლატონა — დედა აპოლონ ღმერთისა და არტემიდესი მით, რომ თავი მოჰქონდა მრავალშვილიანობით და მოითხოვდა ამის გამო აღამიანებისაგან ღვთაებისათვის შესაფერ პატივ-ღიდებას. მას თორმეტი შვილი ჰყავდა, რომლებიც დედის — ლატონას ავადხსენებისათვის ერთ დღეს დაუხოცა აპოლონმა და არტემიდემ. ამ ამბით თავზარდაცემული

ნიობე დარდისაგან ქვად გადაიქცა. მაგრამ ქვადქცეული ნიობე კვლავ გლობობს და მარად ცრემლს აფრქევს (ნიობეს მითი გამოყენებულია „ილიადაში“, იხ. XXIV, 602 — 617, ოვიდიუსის „მეტამორფოზები“, წიგნი VI, 146 და პავსანია. „ელადის აღწერა“, წიგნი I, თავი 21).

861 ფ ე რ ს ე ფ ო ნ ე ა ნ კ ო რ ე ი ყ ო ა შ უ ლ ი დ ე მ ე ტ რ ე ს ი. ფერსეფონე მოიტაცა პადესმა — ქვესკნელის მეფემ — და ცოლად შეირთო. ამიტომაც არის, რომ ანტიგონე მკვდართა სამეფოს ფერსეფონეს სამეფოს უწოდებს.

912 დ ა ნ ა ე ს შ ე ს ა ხ ე ბ ა ს ე თ ი თ ქ მ უ ლ ე ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს:

არგოსის მეფეს აკრისიეს უწინასწარმეტყველეს, რომ მისი მკვლეელი იქნება მისივე ასული დანაეს ვაჟი. აკრისიემ — შეშინებულმა ამგვარი წინასწართქმით — ბრძანა დანაე ცხრაკლიტულში ჩაემწყუდიათ, მაგრამ ზევსი მოველინა მას ოქროს წვიმის სახით, დანაეს შეეძინა ვაჟიშვილი პერსეუსი, რომელმაც მოჰკლა კიდეც აკრისიე.

922 დ რ ი ა ნ ტ ე ს ძ ე — ლაპარაკია ელონელთა მეფე ლიკურგზე. ლიკურგა იყო დიონისეს კულტის წინააღმდეგი, ამიტომაც დიონისემ იგი დასაჯა — გონება წაართვა. ამის შემდეგ ელონელებმა თავის გონებაში მხილი მუხე შეიპყრეს და ქვაბში დაამწყვდიეს.

930 დ ა მ ტ რ ო ბ დ ა მ უ ზ ე ბ ს მ ე ს ა ლ ა მ უ რ ე თ

ფლეიტა ითვლებოდა სატირების უსაყვარლეს ინსტრუმენტად, მითმაც ფლეიტით — სალამურით არის ხოლმე გამოხატული სატირები — დიონისეს მხიარული მხლებლები.

ერთი ამდაგვარი ინსტრუმენტი, სახელდობრ მრავალღერძიანი ფლეიტა პანის ფლეიტად არის წოდებული. პანი იყო პერმესისა და დრიოპეს ერთ-ერთი ასულის ძე. მითის სხვა ვარიანტის მიხედვით — ზეუსისა და არკადელ ნიმფა კალისტოს შვილი. ზოგან პანის დედად მიჩნეულია პენელოპე.

პანი ტყე-ველთა ბატონად ითვლებოდა. საოცრად გამოიყურებოდა იგი: თავზე რქები ჰქონდა, კუდიანი იყო, ცხენის ფეხებიანი, გრძელწვერა და სახა დაჯლანული. მას უყვარს სიმღერა, ხმაც მერისმეტად დიდი აქვს.

ათენელთა რწმენით, მართონის ბრძოლის დროს პანმა შიშისხარი დასცა სპარსელთა მხედრობას და ბერძენთა ლაშქარს გააშარყვებინა (აქედან არა! გამოთქმა პანიკური შიში — პანიკა).

პანი ითვლება მუსიკალური ინსტრუმენტის სირინქსის გამომგონებლად. აღსანიშნავია, რომ პანის ფლეიტა არას დაეული საქართველოში გურიისა, სამეგრელოს და ლაზიკის მთიანეთში. პანის ფლეიტა ექვსღერძიანი სალამურია. გურიაშმას სოინარი ეწოდება, ხოლო სამეგრელოში ლარკემი, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ვარემოება, რომ პანის ფლეიტას დღევანდლამდე შემოუნახავს საქართველოში უძველესი პანგი ექვსტაქტიანი დაქტილური წყობისა (იხ. ტ. სტე-შენკო, ტ. კუფტინა, ანის ფლეიტა. 1936 წ.). ამ ცნობას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ქართული ლექსის უძველესი ფორმა: დაქტილური ჰეზამეტრია, რომელიც დაეულია როგორც სევანთს, ისე ხევსურეთში. ამ უძველესი ექვსტერფიანი ურითმო დაქტილური ლექსისაგან მივიღეთ ექვსტერფიანი ლექსი, რომელსაც გვიან შაირი შეაჩქვეს (იხ. პ. ბერაძე, „დაქტილურ-ჰეზამეტრის გენეზისისათვის“, მნათობი, 1948 წ., № 7). ამ საზომით, რომელსაც ჩვეულებრივ დაბალი ან გრძელი შაირის ლექსს უწოდებენ, დაწერილია ვეფხისტყაოსნის უმეტესი ნაწილი და იგი დღევანდლამდე ქართული ლექსის ძირითად სახეობად რჩება.

931 ბ ო ს ფ ო რ ი — კონსტანტინოპოლის სრუტეა. ამ სრუტიდან რომ გაღიზარ
შავ ზღვაში გამოჩნდება ორი პატარა კუნძული. მათ უწოდებენ „ციხფერ“
კლდეებს. ეს კუნძულები მოხსენებულია ევრიპიდეს „მედეას“ პირ-
ველსავე სტრიქონებში:

ნეტავ აროდეს არგოს ხომალდი
სიმპლეგადისა ლაქვარდ კლდეთ შორის
არ გასულიყო კოლხეთის მხარეს.
(თარგმანი პ. ბერაძის)

ეს კლდეები გადმოცემის მიხედვით ფრიად საშიში ყოფილა მეზღვაურთათვის,
რადგან ისინი მოძრაობდნენ და ერთიმეორეს ეჭახებოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ,
რაც არგონავტების ხომალდმა შეძლო უვნებლად გაეცლო ეს ადგილი, კუნძუ-
ლები უმოძრაონი გახდნენ.

936 და შემდეგი სტრიქონები ეხება თქმულებას ბორჯას ასულ კლეოპატრას და
მისი ორი ვაჟის შესახებ. კლეოპატრა იყო თრაკიის მეფის ფინევსის მეუღლე, რო-
მელსაც ჰყავდა ორი ვაჟი პანდიონი და პლექსიპე. მეფე ფინევსს გაგიჟებით შეუყ-
ვარდა კადმოსის და იდოთეა, ამიტომ მან თავისი მეუღლე კლეოპატრა სატუსა-
ლოში ჩააგდო, ხოლო იდოთეამ შეიძულა თავისი გერები და სულ მათ მტრობაში
იყო. ბოლოს, მაქოთი დათხარა თვალები და ცოცხლად დაამარხებინა ქვაბში,

942 — 43 თ უ მ ც ი ყ ო თ ე ს ლ ი თ ი ს უ ძ ვ ე ლ ე ს ი

ე რ ე ხ თ ე ს გ ვ ა რ ი ს — აქ ლაპარაკია კლეოპატრას შესახებ,
იგი ყოფილა ატიკის სახელოვანი გმირის — ერეხთეს შვილისშვილი.

1000 ს ა რ დ ე ს ე ლ ე ქ ტ რ ო — ელექტრო ოქროსა და ვერცხლის ნარევი
ლითონია. მისი გავრცელების ადგილად ითვლებოდა ლიდიის ქალაქი სარდე.

1080 ს ა ხ ე ლ მ რ ა ვ ა ლ ო — იგულისხმება ბახუსი (იხილე ქვემოთ 1072
სტრიქონი). ბახუსს ჰქონდა რამდენიმე სახელი: დიონისე, იაქსოსი, ბახუსი,
ბრომიოსი, მაგრევისი, ღითირამპოსი და სხვა.

იქვე — ა ს უ ლ ო კ ა დ მ ო ს ი ა ნ თ ა — კადმოსის ასული იყო დედა ბახუ-
სისა — სემელე.

1089 ი მ ი ს მ ე ნ ო ს ი ს ნ ა კ ა დ უ ლ თ ა ნ ა

ს ა დ გ ვ ე ლ ე შ ა პ ს ა დ ა უ დ ე ვ ს ბ ი ნ ა

აქ სოფოკლე იგონებს კადმოსის — ქალაქ თებეს დამარსებელის თქმულების
დეტალს. კადმოსმა მოჰკლა გველეშაპი, რომელიც წყაროს დარაჯად ეღდა. ამის
შემდეგ მან გველეშაპის კბილები დათესა, საიდანაც აღმოცენდნენ თებელთა
წინაპარი გმირები.

1093—95 კ ო რ ი კ ი ს ნ ი მ ფ ა

ბ ა კ ხ ე ლ ნ ი ქ ა ლ ნ ი

რ ო კ ვ ი თ გ ი ლ ხ ე ნ ე ნ .

ამ ნიმფების სახელი ეწოდებოდა ქ. დელფოსის ჩრდილოეთით (20 კმ.
მანძილზე) მდებარე გამოქვაბულს.

1096 კ ა ს ტ ა ლ ი ს წ ყ ა რ ო — პარნასის მთის მახლობლადაა.

1097 ნ ი ს ე ფ რ ი ა დ გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი მ თ ე ბ ი ს სა ხ ე ლ ი ა , ა ქ უ ნ დ ა ი გ უ ლ ი ს ნ მ გ ბ ო -
დ ე ს კ უ ნ ძ უ ლ ე ვ ბ ე ა ზ ე მ დ ე ბ ა რ ე მ თ ა .

1102 ის უენი დედა ელვანაკრობი —

სემელემ ვადაზე აღრე შვა ბახუსი, რადგან ხელი შეახო ელვას, რომელიც
შხოლოდ ზეესის საუფლო იყო.

1111 მოვედ ფიადთა გარემოცვითა —

ფიადები იმასვე ნიშნავს, რასაც ნიშნებში.

1115 უენ ამფიონის, კადმოსის სახლო!

ამფიონი თებეს ბატონი იყო, ნიობეს მეუღლე.

1265 მეგარეუსი — ჰემონის უფროსი ძმა, რომელიც თავის ნებით
შეეწირა მსხვერპლად ომის ღმერთ არესს, როდესაც ქალაქი მტრის შემოტევის
შაფრთხის წინაშე იდგა.

ლისია

(დაახლოებით 450—380)

ლისია არის სასამართლო მკვერმეტყველების ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენელი. იგი იყო ათენს ჩამოსახლებული ბერძენთაგანი, რომლებსაც ათენში „მეტეკებს“ ეტყოდნენ ხოლმე. ათენში ჩამოსახლებულს უნდა კარგი შეძლება ჰქონოდა და მართლაც ლისიას მამა მდიდარი ყოფილა. „ოცდაათის ტირანიის“ დროს მის ქონებას კონფისკაცია უყვეს, ხოლო ჯმა მოუკლეს. ლისია იძულებული შეიქნა გაქცეულიყო. 403 წელს, როდესაც დემოკრატია კვლავ გაიმარჯვა, იგი ისევ დაბრუნდა ათენში.

ლისია იყო ხელობით „ლოგოგრაფოსი“, ე. ი. სიტყვების მწერალი. ათენში ადვოკატურა აკრძალული იყო, ყოველ ბრალმდებელს თუ ბრალდებულს თვით უნდა წარმოეთქვა სიტყვა. თუმცა ათენის მოქალაქეთა უმრავლესობა განსწავლული იყო საორატორო ხელოვნებაში, ზოგჯერ მიმართავდნენ ხოლმე სიტყვის მწერალს, „ლოგოგრაფოსის“ დახმარებას. მას უნდა შეედგინა სიტყვა იმგვარად, რომ თვით სიტყვის წარმომთქმელის ნათქვამი ბუნებრივი ყოფილიყო. სიტყვის შედგენას თხოულობდნენ უფრო ხშირად უბრალო ადამიანები. ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც მოახდენდა მოლაპარაკე სასამართლოზე. რადგან კანონები ყველაფერს ვერ ითვალისწინებდა. ამიტომ ბევრი იყო დამოკიდებული იმაზე. თუ რამდენად დამაჯერებელი აღმოჩნდებოდა მოლაპარაკის სიტყვა. ასეთ ვითარებაში „ლოგოგრაფოსის“ ხელოვნება კომედიოგრაფის ხელოვნებას ემსგავსებოდა. როგორც კომედიოგრაფს, ისე ლოგოგრაფს სიტყვების საშუალებით უნდა ეჩვენებინა მოლაპარაკის შინაგანი ბუნება, მისი ხასიათი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაპარაკე შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა და საქმესაც, ცხადია, წააგებდა.

რაკი ლისიასთან უბრალო ადამიანები მიდიოდნენ ხოლმე და სიტყვებს აწერინებდნენ, ცხადია, ლისიას არ შეეძლო, ვთქვათ, რომელიმე ხელოსანი თუ სოფლის კაცი მაღალფარდოვანი სიტყვებით აემეტყველებინა, ამიტომაც ლისიას სიტყვების სტილი სრულიად უპრეტენზიოა, ნათელი და უბრალო. ლისიას სიტყვებს რომ კითხულობთ, თვალწინ წარმოგიდგებათ ის ადამიანი, რომლისთვისაც ორატორ-ლოგოგრაფს სიტყვა შეუდგენია. ლისიას სიტყვებში გამოსკვივის მოლაპარაკის მთელი სულიერი სამყარო, მისი ბუნება სრულიად შეუღამაზებლად და აშკარადაა გამოხატული. სიტყვის საშუალებით ადამიანის ბუნების შეუღარებელი, შეიძლება ითქვას, სწორუბოვარი მხატვარი იყო ლისია. მის მიერ შეთხზულ სიტყვებში სიმართლის დასაბუთებაზე უფრო კარგად არის შედგენილი სიტყვის იწ ნაწილები, რომლებშიაც თხრობაა წარმოდგენილი. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა პეტრე ქავთარაძის მიერ თარგმნილი სიტყვა ერატოსთენეს

შეკვლელობის შესახებ. ამ სიტყვაში ყველაზე შესანიშნავია ის ადგილი, სადაც ერთობს თენეს შეკვლევი მოგვიხიბრობს, თუ რა პირობებში ჩაიღინა მან შეკვლე-
ლობა.

სიტყვას წარმოთქვამს ეფთიალტე, უბრალო ათენელი მოქალაქე. იგი სავსე-
ბით მიხდობია თავის ახალგაზრდა ცოლს, რომელიც მოუნადირებია ერთ მუსუსს,
ქალების მოყვარულ ახალგაზრდას. ამ საქმეში მაქანკლად ჩარეულია მოსამსახუ-
რე. სიტყვის თხრობითი ნაწილი ისეა გამართული, რომ ადამიანს თვალწინ
წარმოუდგება მთელი ამბავი და მთლიანად ეს მოთხრობა ისე ბუნებრივად
მიედინება, თითქოს სასამართლოს სიტყვას კი არა, რომელიმე სატრფიალო
ნოველას კითხულობდე.

სასამართლო სიტყვას, თუგინდ მისი ავტორი სიტყვის ოსტატი იყოს, აქცს
თავისი სტრუქტურა და ამის დაცვა სავალდებულოა თვით ლისიასთვისაც კი.
სიტყვის გამართვის წესი ჯერ კიდევ ლისიამდე იყო ჩამოყალიბებული და ამ
შემთხვევაში ლისიაც დადგენილ ნორმებს იცავს.

სიტყვა იწყებოდა ხოლმე ჩვეულებრივ შ ე ს ა ვ ა ლ ი თ. ამ ნაწილში მოლაპა-
რაკე ცდილობდა მოსამართლეთა ყურადღება მიეპყრო და ნიადაგი შეემზადებინა,
რათა სათანადო ყურადღებით ყოფილიყო მოსმენილი გ ა დ მ ო ც ე მ ა სიტყვის
მთავარი — საქმის ფაქტიური ვითარების შემცველი — ნაწილი. მომდევნო ნაწილი
მ ტ კ ი ე ბ ა ს შეიცავდა ხოლმე. აქ მოლაპარაკე აწარმოებდა დავას მოწინააღმ-
დეგესთან. ბოლო ნაწილი უკვე დ ა ს კ ვ ნ ა ს წარმოადგენდა. სადაც შექამებული
უნდა ყოფილიყო ბრალმდებელის თუ ბრალდებულის საბოლოო სათხოვარი.

იმ აუარებელ სიტყვებიდან, რომელსაც ანტიკურობა იცნობდა (ოთხასზე
მეტ) ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ ოცდაათობმეტ სიტყვას, ამათგან ზოგი
მთლიანია, ზოგი კი ნაწყვეტის სახით. წარმოთქმული უნდა იყოს ეს სიტყვები და-
ახლოებით 400 — 380 წლებს შორის,

პ ლ ა ტ ო ნ ი

(427 — 847)

პლატონი ათენის არისტოკრატიული ოჯახიდან იყო, მისი ნამდვილი სახელი არისტოტელეა, მაგრამ, როგორც დიოგენე ლაერტელი გვაუწყებს, მას შეარქვეს პლატონი მკერდის სიგანიერის გამო (ბერძნული სიტყვა პლატუს — განიერს ნიშნავს).

პლატონი მტრულად იყო განწყობილი ათენის დემოკრატიისადმი. იგი სოკრატეს უპირველეს მოწაფედ ითვლებოდა და სოკრატეს დასჯამ კიდევ უფრო გამაწვავა პლატონის გაშმაგება დემოკრატიული ათენის მიმართ. მისი მასწავლებლის სოკრატეს სიკვდილის შემდეგ მან დასტოვა ქალაქი ათენი და მეგარაში გადავიდა. ათენიდან წასვლის შემდეგ იგი მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში და რამდენიმე წელი დიონისე სირაკუზელის კარზე გაატარა, ვითარცა მისი ნათესაის დიონის აღმზრდელმა. პლატონი ცდილობდა დიონისე სირაკუზელისათვის ჩაეგონებინა — გამხდარიყო ფილოსოფოსი მმართველი, მაგრამ საშინლად მოტყუვდა პლატონი. დიონისემ იგი უპატიოდ გააძევა სირაკუზიდან, ხოლო მისმა კაცებმა პლატონი მონად გაჰყიდეს ეგინას. მონობიდან პლატონი მისმა მეგობრებმა იხსნეს და უკვე 387 წლიდან პლატონი ოცი წლის განმავლობაში (367 წლამდე) ხელმძღვანელობდა ფილოსოფიურ სკოლას, რომელსაც „აკადემია“ შეერქვა (აკადემია — ეწოდებოდა ათენის მითითური გმირის აკადემოსის სახელის გამო, რადგან პლატონის სკოლა ამ გმირის სამარის მახლობლად იმყოფებოდა).

პლატონი იდეალისტური ფილოსოფიის მამამთავრად ითვლება. მისი აზრით, ამქვეყნიური მოვლენები წარმავალი და ცვალებადია, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ გამოშუქებას იმ მარადიული აბსოლუტური „იდეისა“, რომელიც დამახინჩებულია მათი მატერიალ განსახიერების შედეგად, უმადლესი იდეა, ნეტარების იდეა, არის ღვთაება. აღამიანი უნდა ცდილობდეს მიემსგავსოს ღვთაებას.

პლატონის ფილოსოფიური მოძღვრება წარმოდგენილია დიალოგის სახით. მის ფილოსოფიურ დიალოგებში განსაკუთრებით ძლიერია მხატვრული მხარე. მასში გვხვდება ბუნების აღწერაც კი. გარდა ამისა, დიალოგებში გამოყენებულია ლირიკული ადგილები და იუმორიც.

პლატონის სტილი მხატვრულია, ზოგჯერ განგებ გაბუნდოვანებულიც. იგი შემყულია იუმორითა და მახვილგონიერი გამოთქმებით. ამიტომაც პლატონი ბერძნული მხატვრული პროზის უდიდეს ოსტატად ითვლება.

თუმცა პლატონის მიერ წამოყენებული პრობლემები იდეალისტურად, მეტაფიზიკურად არის ახსნილი, მიუხედავად ამისა, მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რადგან მათში გვხვდება მეტად ღრმა და მდიდარი აზრები და დაკვირვებანი.

პ. ქავთარაძეს უთარგმნია პლატონის ორი ნაწარმოები: სახელდობრ, „სოკრატეს აპოლოგია“ და ერთი დიალოგი „კრიტონი“. ორივე ეს ნაწარმოები ეხება პლატონის მასწავლებლის სოკრატეს გასამართლებისა და დასჯის ამბავს. პ. ქავთარაძის თარგმანს დართული აქვს მისივე განმარტებანი, რომლებსაც ჩვენ უცვლელად ვტოვებთ.

პირველად ეს თარგმანები დაიბეჭდა კრებულ „არიფიონში“ 1925 წელს.

სოკრატეს ცხოვრება

სოკრატე დაიბადა ქალაქ ათენში 469 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იგი უბრალო ხალხის შვილი იყო. მისი სიჭაბუკე დაემთხვა ათენის გაძლიერებისა და აყვავების ხანას. სპარსეთ-საბერძნეთის ომის შედეგად ესოდენ გაძლიერებული ქალაქი ათენი ცნობილი მეთაურის პერიკლეს ხელში აღწევს განვითარების უმაღლეს მწვერვალს და თვითონ პერიკლეს თქმისა არ იყოს, იგი „მთელი საბერძნეთის განათლების აკვნად“ იქცა. ამ დროს შეიმკო ქალაქი ათენი შესანიშნავი ნაგებობით, რომელთაგან პირველ ყოვლისა აკროპოლისი უნდა აღინიშნოს. ამ დროს განვითარდა ქალაქ ათენში თეატრალური ხელოვნება, ფილოსოფია და სხვა, ასე რომ, ვიმეორებთ, ქალაქი ათენი მთელი ელადის სულიერ ცენტრად იქცა.

ათენში თავს იყრიდნენ იმ დროს საბერძნეთის საუკეთესო ფილოსოფოსები. მაგალითად, გორგია ლეონტინელი, განთქმული როგორც მკვერმეტყველებისა და ფილოსოფიის მასწავლებელი. იგი მეთაურობდა ფილოსოფოსთა იმ სკოლას, რომელსაც სოფისტებს უწოდებდნენ. გორგია ფილოსოფოს პროტოგორესთან ერთად, უქადაგებდა ახლაგაზრდებს მოქალაქეობრივი მოვალეობის წმინდად შესრულებას. ადამიანის მიზანი უნდა ყოფილიყო, მაშინდელი ტერმინით რომ ვთქვათ, კალკიაგათია — მოქალაქეობრივი სათნოება, მოქალაქეობრივი ვალის პირნათლად და წარმატებით შესრულება.

სოკრატე ათენის მაშინდელ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობას ღებულობდა, მაგრამ ეს მონაწილეობა რამდენადმე თავისებური იყო. მიადგებოდა იგი რომელსამე ცნობილ პირს, ფილოსოფოსს. ხელოვანსა თუ საზოგადო მოღვაწეს და პაექრობას გაუმართადა ხოლმე. მისი პაექრობა უფრო მეტად გამოცდას ემსგავსებოდა. იგი საკითხებს უსვამდა თავის მოწინააღმდეგეს, თვითონაც პასუხობდა მოპაექრის მიერ დასმულ კითხვებზე, და ბოლოს, რაკი სოკრატეს კამათში მაშინდელ ათენში ტოლი არ ჰყავდა, ყველას ადვილად ამარცხებდა. ამ გამოცდასა თუ პაექრობას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ყველანი მშვიდი მგლებივით შესიკვროდნენ სოკრატეს, როდესაც იგი შეუბრალებლად აცამტევერებდა მისი მოწინააღმდეგის მიერ გაცემულ პასუხებს და უპიკობაში იკერდა მას. ასეთმა პრაქტიკამ მსმენელთა ინტერესი სოკრატეს „გამოცდებისადმი“ მეტისმეტად გააძლიერა, ხოლო მოწინააღმდეგეთა შეუბრალებლად მხილებამ და საკითხებში გამუდმებულმა ჩაპრამ თუ ერთი მხრივ დიდი პოპულარობა მოუპოვა სოკრატეს, მეორე მხრივ მის მიერ ჩაპრამ შერცხენილ მოპაექრეთა დიდი გაბოროტება გამოიწვია. სოკრატეს გაუჩნდა თვდავიწყებული მომხრეები და გაუჩნდა დაუძინებელი მტრებიც.

სოკრატეს პოპულარობას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ იგი არაფერში არ ზოგავდა მოწინააღმდეგეს, არ აპატიებდა მას არც იოტის ოდენ უმართლობასა თუ სიყალბეს, ჩადენილს საზოგადოებრივსა თუ კერძოდ მის პირად ცხოვრებაშიც კი. ეს შეუბრალებლობა გამოწვეული იყო ქვეშაირების დაუცხრომელი ძიებით.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც აგრეთვე ხელი შეუწყო მის პოპულარობას. სოკრატე ამ პაექრობაში ფულს არ იღებდა. ეს უანგარობა და უაღრესი პრინციპულობა, რომლითაც გამსჭვალული იყო მისი პაექრობანი, მას ბევრ მტერთან ერთად ბევრ მოყვარესა და მიმდევარსაც სძენდა ხოლმე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოკრატე არ ატარებდა ჩვეულებრივ გაყვითლებს, რომლებითაც მაშინ სოფისტები დიდძალ ქონებას იძენდნენ, რადგან მეტად დიდ ჭილდოს ღებულობდნენ თავისი მოწაფეებისაგან. არაფერი ამგვარი არ ახასიათებდა სოკრატეს. ამიტომაც იყო, რომ იგი მეტისმეტად დარიბად ცხოვრობდა. ცოლ-შვილს ძლიერ გვიან მოეკიდა, ასე რომ, როდესაც მას, 70 წლისას, სიკვდილი მიუსაჯეს, აქაოდა ახალგაზრდობას უღმერთობის მოძღვრებით რყენიო, მას მცირეწლოვანი შვილები დარჩენია.

სოკრატე მთელ ღღეებს გარეთ — ქუჩასა და მოედნებზე ატარებდა, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებითა და მიმდევრებით გარშემორტყმული იმის მოლოდინში, აბა თუ მოპაექვებს ვისმე შეხვდებოდა. თუ ასეთი მოპაექრე არა ჩანდა, მაშინ თვითონ მოწაფეები სვამდნენ ხოლმე საკითხებს და სოკრატეც დიდის ხალისით პასუხობდა მათ.

სოკრატე არ ეძებდა რაიმე სახელმწიფო თანამდებობას და კმაყოფილდებოდა იმ მოვალეობის მოხდით, რომელიც მას ვითარცა მოქალაქეს ეკისრებოდა. იგი ყოფილა ჭარისკაცად (432 და 429 წლებში პოტიდეაში, 424 წელს დელოსში, 422 წელს ამფიპოლისში), ყოფილა იგი აგრეთვე სასამართლოს წევრიც.

სოკრატეს მოწიფულობა დაემთხვა იმ დიდ უბედურებას, რომელიც პელოპონესის ომმა (531 — 404) თავს დაატება ათენს. ამ ომმა დაუღვა საზღვარი ქალაქ ათენის კეთილდღეობას, ამ ომმა შესწყვიტა ათენის წინსვლა ხელოვნების, განათლებისა და სხვადასხვა დარგში.

▲ სოკრატეს პროცესი

პელოპონესის ომის დამთავრების შემდეგ კვლავ აღსდგა ათენის დემოკრატიული წყობილება, მაგრამ სახელმწიფო დიდად შევიწროებული აყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი შესვეურები ცდილობდნენ, როგორმე თავი დაეღწიათ იმ კრიზისისაგან, რომელშიც ქალაქი ჩავარდა დამამცირებელი მარცხისა და ომით მიყენებული აუნაზღაურებელი მატერიალური ზარალის შედეგად. სახელმწიფოს შესვეურები ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო ქალაქის გამოჯანმრთელება, ძველი, საუკეთესო მოქალაქეობრივი ღირსებისა და შეგნების კვლავ აღდგენა. იმთავითვე ითვლებოდა, რომ სოფისტები რყვიან ახალგაზრდობას. სოფისტებისგან იმეამად აღარავინ იყო ცოცხალი. დარჩა მხოლოდ სოკრატე და მასაც ხომ სოფისტებივით საჭარო პაექრობათა გამართვა ჰქონდა ჩვეულებად. ამიტომ არავინ შესულა იმის გარჩევაში, იყო თუ არა სოფისტი

სოკრატე, საკმარისად მიიჩნევს მისი სოფისტებისებური პაექრობის ხერხება, რომ ერთხელ და სამუდამოდ საზღვარი დაედვით იმ ტრადიციისათვის, რომელიც სოფისტებიდან მოდიოდა და მაშინდელი მესვეურების შეხედულებით სახელმწიფოს ვნებას აყენებდა. ამიტომ ბრალი დასდეს სოკრატეს, ვითომც იგი იმ ღმერთებს კი არა სცემს თაყვანს, რომელთა თაყვანისცემა ქალაქის მიერ ოდითგანევა დადგენილი, არამედ ახალ ღმერთებს იგონებს და მათ თაყვანისცემად მოუწოდებს ახალგაზრდობასაო. ამის საბუთი მართლაც ქონდათ მის ბრალმდებლებს; სოკრატე, როგორც დიდი მოაზროვნე, ვერ ირწმუნებდა იმ სახის ღვთაებას, რომელიც ტრადიციით იყო გამტკიცებული. სოკრატეს ღვთაება უსხეულო რამ უნდა ყოფილიყო. მას შემოღებული ქონდა ასეთი ღვთაების სახელი დაიმონური, რომლისაგანაც მას მხოლოდ იღუმალი ხმა ესმოდა.

სოკრატეს ბრალმდებელნი იყვნენ მელეტოსი, ანიტოსი და ლიკონი. საქმე ხუთასთა სამსჯავროს წინაშე იჩიეოდა.

თავისი ბრალდების შესახებ სოკრატე ლაპარაკობდა როგორც საკუთარ სიმართლეში თავდაჯერებულ და ღირსეულ ადამიანს შეეფერებოდა. იგი მსაჯულებისგან შეწყალებას სრულიად არ ითხოვდა, ასეთი თხოვნა ხომ ჩვეულებად ქონდათ ბრალდებულებს. მიუხედავად ამისა, ხმები თითქმის შუაზე გაიყო (სულ მთლად შუაზე რომ გაყოფილიყო ხმები, მაშინ სოკრატე გამართლებული აღმოჩნდებოდა, მხოლოდ 30 ხმით გადააქარბა სიკვდილის მსჯავროს მომხრეთა ხმამ). შესაძლებელი იყო ფულადი შესატანით დაემოშინებია მის წინააღმდეგ ამხედრებულნი, მაგრამ აქაც არ დასთმო სოკრატემ, თვითონ მას არაფერი გააჩნდა. ხოლო ის, რაც მეგობრებს შეასახელა (მხოლოდ 30 მინი), საკმარისი არ აღმოჩნდა. გარდა ამისა, მეორე კენჭისყრის წინ მან იქეთ დასდო სახელმწიფოს ბრალი და თავის სიმართლესა და ქვეყნისათვის დიდ საპიროვნებაში სრულიად დარწმუნებულმა, სახელმწიფოს პრიტანეაში პატივისცემის (უფასო პურ-მარილი საპატიო თანამდებობის პირთათვის განკუთვნილი) დაკისრებად კი მოუხდომა. ასეთმა გამოსვლამ მისი მოწინააღმდეგენი კიდევ უფრო გააშმაგა და 30 კაცის ნაცვლად კიდევ 50 კაცის ხმა დაემატა სიკვდილის განაჩენის მომხრეთა რიცხვს.

განაჩენის სისრულეში მოყვანამდე კიდევ ოცდაათი დღე იყო დარჩენილი — ვიდრე დღოსიდან მლოცველები დაბრუნდებოდნენ, სიკვდილის განაჩენის მოყვანა აკრძალული იყო, — ეს დრო სოკრატეს შეგობრებმა მოანდომეს მისი გაქცევისათვის შზადებას. ყველაფერი მოაწყვეს ამისათვის, მაგრამ სოკრატემ გაქცევაზე კატეგორიული უარი განაცხადა და მეგობრებით გარშემორტყმულმა სულის უკვდავებაზე საუბარში დაცალა საწამლავიანი სასმისი.

სოკრატეს აკოლოზია

1) იგულისხმებიან პელიასტები (პელიასტა). ე. ი. ნაფიცარი მსაჯულნი, რომელთაც წელიწდეულად წილისგდებით ირჩევდნენ ათენელ მოქალაქეთაგან. რათა ხალხის სახელით სამართალი ეწარმოებინათ. მსაჯულთაღმი სამსჯავროში მიმართვის ჩვეულებრივი ფორმულები იყო: ვაქკაცნო მსაჯულნო (ო ანდრეს დიკასტაი), ვაქკაცნო (ო ანდრეს) და უფრო იშვიათად — ვაქკაცნო ათენელნო

(ო ანდრეს ათენაიო). სოკრატე თითქმის მარტოოდენ ამ უკანასკნელ ფორმულას ხმარობს, რადგანაც ალბათ გულისხმობს არა მარტო მსაჯულებს, არამედ სამსჯავროში შემთხვევით დამსწრე მთელს საზოგადოებას.

2) სოკრატეს პროცესი, რომელსაც წინუძღოდა გამოძიება და მოწმეთა დაკითხვა, წარმოებდა ნაფიცართა სამსჯავროს ერთ-ერთს დიკასტერიაში (სულ დიკასტერია ანუ განყოფილება ათი იყო), მსაჯულებად 500 კაცი იყო, პირველი სიტყვა პროცესში სოკრატეს ბრალმდებელთ ეკუთვნოდა, მათ შემდეგ სასარჩლო სიტყვას სოკრატე ამბობს.

3) სოკრატე მაშინ 70 წლისა იყო.

4) მეკერძმეთა ტაბლები მოედანზე იდგა და მათ ირგვლივ ბევრი ხალხი გროვდებოდა და ამიტომ სოკრატეს ამ ხალხში ტრიალი და მისთვის გულისყურის დადევნება უყვარდა. „სხვაგან“ — ე. ი. განსაკუთრებით სახელოსნოებში და პალესტრებში (საგიმნასტიკო სკოლებში).

5) ათენის სამსჯავროში ხმაურობა-ყვირილით ორატორის მოწონება ან დაწუნება აკრძალული არ იყო.

6) სოკრატეს ოფიციალი ბრალმდებელი სამი იყო: ანიტოსი, მელეტოსი და ლიკონი. მათ შორის მთავარი ბრალმდებელი უნდა ყოფილიყო ანიტოსი, რომელსაც ათენში „ოცდაათის“ ბატონობის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

7) ბრძენი კაცი, ე. ი. სოფისტი.

8) ე. ი. ის ნატურფილოსოფოსიაო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნატურფილოსოფია სოკრატეს მხოლოდ სიყმაწვილეში აინტერესებდა.

9) სოფისტებმა იცოდნენ რიტორული ხერხით, სოფიზმებით თეთრის შავად გასაღება და შვიის გათეთრება.

10) სოკრატე აქ მარტო არისტოფანეს როდი გულისხმობს. რომელმაც გაამასხარავა იგი კომედიაში „ღრუბლები“, არამედ სხვა თანამედროვე კომიკურ მწერლებსაც, სახელდობრ კრატინოსს, ამფისოსს, ეპოლიდეს და სხ., რომელთაც თავიანთი ხუმრობისა და გონებამახვილობის ნიშანში ფილოსოფოსებისა და უპირატესად სოკრატეს ამოღება უყვარდათ.

11) დრო საბრალმდებლო და სასარჩლო სიტყვისათვის ზუსტად იყო განსაზღვრული.

12) ე. ი. საწინააღმდეგო საფიცარი ანუ ფიცის წერილი (ანტომოსია) — ასე იწოდებოდა ფიცი, რომელსაც ბრალმდებელი და ბრალდებული სდებდნენ: პირველი — რომ მისი საჩივარი კანონიერია, სამართლიანი და ცილისწამებას არ შეიცავს, მეორე კი რომ მას სინიღისის ქვეშ უბრალოდ მიაჩნია თავი და გასამართლებლად მარტოოდენ სიმართლეს იტყვის.

13) არისტოფანე, საბერძნეთის უდიდესი კომიკოსი, ცხოვრობდა V საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. წ. (დაიბადა დაახლოებით 450 წელს ქრ. წ. ათენში. გარდაიცვალა 388 წელს შემდეგ). მისი 54 კომედიიდან ჩვენამდე მხოლოდ 11 მოუღწევია. არისტოფანე საუკეთესო წარმომადგენელი იყო ძველი წესების დამცველი პარტიისა; თავის კომედიებში ის უწყალოდ შოლტავდა ათენელებს ძველი მკაცრი ზნე-ჩვეულების დავიწყებისათვის და იმ აღვირაზსნილობისათვის, რომელიც ახასიათებს მისა დროს ათენის დემოკრატიას. სხვათა შორის, კომედიაში „ღრუბლები“, რომელიც სცენაზე პირველად 423 წელს იყო დადგმული, არისტოფანე ამასხარავენს ახალ ფილოსოფოსთა მოძღვრებას, რომელიც ძირს უთხრის ძველ რელიგიას და რყენის ყმაწვილკაცობას: მათი წარმომად-

გენელია სოკრატე. „ღრუბლებში“ მოხსენებულ სცენაში სოკრატე ჰაერში დიდი ხანის კალათში ქანაობს და მოხუცი სტრეფსიადე რომ ჰკითხავს — მანდ რას აკეთებო? — უპასუხებს: ჰაერში ვქანაობ და მზეს არაფრად არ ვაგდებო.

14) სოკრატეს არ უნდა, რომ მელეტოსმა მას შესწავლის მეცნიერების უპატიოდ ხსენება. სოკრატემ მიჰარვა და ქორი უწოდა იმ სიტყვებს, არისტოფანე რომ მას კომედიაში ალაპარაკებს. ესლა, რათა არავის ეგონოს, რომ ის ნამდვილად არაფრად აგდებს ბუნების მეტყველებას, რომელსაც ამასხარავეებს არისტოფანე, სოკრატე დასძენს, რომ იგი არ ამცრობს მეცნიერებას და მას არ სურს, რომ ბრალი დასდონ, თითქო მეცნიერება მას უსარგებლოდ და მეტისმეტად მიაჩნია. მელეტოსი აქ ხუმრობით და ირონიით არის ნახსენები, ვინაიდან მელეტოსს არასოდეს აზრადაც არ მოუვიდოდა მეცნიერებისადმი უპატიობა დაებრალებინა სოკრატესათვის.

15) გორგია, პროტაგორა, პროდიკოსი და სპინია — ოთხი იმ დროის სახელგანთქმული სოფისტი.

16) კალია, სპინიკეს ძე, ჩინებული და მდიდარი ათენელი იყო. დიდი მოთაყვანე სოფისტებისა, რომელთა განდიდებას ბევრი ფული დაახარჯა.

17) ვენოს პაროსელი — ელეგიური პოეტი და სახელოვანი სოფისტი.

18) ერთი მინა უღრიდა ას დრახმას ანუ 24 მანეთს. ხუთი მინა დიდი ფასი არ იყო იმ ფასთან შედარებით პროტაგორა, გორგია და სხვა სოფისტები რომ ლებულობდნენ. ცნობილია, მაგალითად, რომ პროტაგორამ თავისი მოძღვრების ერთ კურსში 100 მინა აიღო.

19) ქერაფონი — სოკრატეს ერთ-ერთი უგულთადადსი მომხრე-მეგობარი. ამ მეგობრობისათვის და აგრეთვე ფიცხი ხასიათისათვის მას შტრობდნენ და დასცილდნენ კომიკური პოეტები (არისტოფანეს „ღრუბლები“), როგორც დემოკრატიული პარტიის მომხრე, „ოცდაათის“ ბატონობის დროს ის გაიქცა ათენიდან და დაბრუნდა, როცა დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა. ამნაირად მის ჩვენებას, როგორც სოკრატეს პოლიტიკური მოწინააღმდეგისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქ „უმრავლესობა“ ხალხს ნიშნავს, ე. ი. დემოკრატიულ პარტიას, რომელიც 404 წელს ქრ. წ. „ოცდაათის“ მმართველობის დროს იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო ქერაფონთან ერთად.

20) ლაერტიოს დიოგენის მოწმობით წინასწარმეტყველება ასეთი იყო: „ყველა მამაკაცზედ უფრო ბრძენი სოკრატეა“. არისტოფანეს „ღრუბლების“ სქოლიოების თანახმად კი ასეთი: „ბრძენია სოფოკლე, ბრძენია ევრიპიდე, ყველა მამაკაცზედ კი უფრო ბრძენია სოკრატე“ (პროფ. ს. ვებელიოვი).

„მისი ძმა“, ე. ი. ქერაფონი, რომელიც იმ დროს სამსჯავროში იყო, როგორც სოკრატეს მოწმე.

21) ათენელი სულ უმნიშვნელო საქმესა და შემთხვევაში ზევისის სახელს ფიქსირებდნენ. სოკრატე პაროდულად იფიქრებს ძალს, ბატს, მუხას და სხვ.

22) ბუნებითი მადლი — უპირისპირდება შეგნებულ ქმნილებას (შემოქმედებას), რომელიც დაფუძნებულია სიბრძნესა და მეცნიერებაზედ (სოფია და ტეხნე).

23) მთავარი ბრალმდებელი იყო მელეტოსი — ახალგაზრდა კაცი, სოკრატესათვის თითქმის უცნობი, შვილი უფროსი მელეტოსისა, ძალზე სუსტ პოეტ-ტრაგიკოსისა, რომელსაც სასტიკად დასცილდნენ კომიკოსები და მათ შორის არისტოფანე. მელეტოსი გამოეჭომაგა პოეტებს, როგორც პოეტის შვილი.

ანიტოსი ერთის მხრით იყო პოლიტიკური მოღვაწე, ათენის ერთი განმათავისუფლებელთაგანი 404 წ. — აქედანაა მისი მოსარჩლეობა პოლიტიკოსებისა; მეორე მხრით კი — მდიდარი, წარმოშობით დაბალი და აქედანაა მისი თანაგრძნობა ხელოსნებისადმი.

ლიკონი იყო „დემაგოგი“, ორატორი, რომელსაც ცუდი სახელი ჰქონდა ათენში, და ამიტომ რიტორებს ესარჩლებდა.

24) კანონით ნებადართული იყო, რომ ორატორი სიტყვის წარმოთქმისას დაკითხვებოდა მოპირდაპირეს და უკანასკნელი ვალდებული იყო ეპასუხხნა.

25) მსმენელი — ხალხი, რომელიც დაესწრო საქმის განხილვას.

26) კრებულის (ეკკლესია) წევრი, ე. ი. ყველა მოქალაქე, რომელსაც კრებულში ხმის უფლება ჰქონდა, ე. წ. ეკლესიასტები (ეკკლესიასტაი).

27) ბრალდების უფლება ათენში ეკუთვნოდა ყველა მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შეუსრულდებოდა და სამსჯავროს განაჩენით სამოქალაქო უფლება არ ჰქონდა ჩამორთმეული (ეპიტიმოი). საერო კრებულში (ეკკლესია), სადაც დაბალ კლასებს (მდაბიოთ) ისეთივე პოლიტიკური უფლება ჰქონდათ, როგორც მაღალ კლასებს, შემოკრებილი იყო ათენის მთელი ძალა და ხელისუფლება, ვინაიდან უმთავრესი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეები, როგორც საკანონმდებლო საკითხები, ომისა და ზავის შესახებ და სხვ., ამ კრებულში უნდა განხილულ-გადაწყვეტილიყო.

28) სოკრატე ისე ლაპარაკობს, თითქო მხოლოდ ესლა მიხვდა, თუ რა აზრი აქვს მელეტოსის ბრალდებას, და შემდეგ ამისა ირონიული კილოთი განაგრძობს მსჯელობას.

ანაქსაგორა, საბერძნეთის ფილოსოფიის უძველესი პერიოდის ერთი უშესანიშნავესი წარმომადგენელი, დაიბადა დაახლოებით 500 წელს ქრ. წ. მცირე აზიის (იონიის) ქალაქ კლაოპენაში. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ის მივიდა ათენში (456 წ.) პერიკლეს ბრწყინვალე მოღვაწეობის დროს. მის მოწაფეთა შორის ასახელებენ ევრიპიდეს, ფუკიდიდეს და პერიკლეს. ანაქსაგორა განსაკუთრებით უკანასკნელთან იყო დაახლოებული. შემდგომ თავისი კოსმოლოგიური მოძღვრებისათვის ანაქსაგორას უღვთოება დააბრალეს, მაგრამ პერიკლეს წყალობით სასჯელს გადაარჩა და გადასახლდა მცირე აზიაში ქალ. ლამფსაყოსს, სადაც გარდაიცვალა 428 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ანაქსაგორას მოძღვრებით არსებობს ურიცხვი სიმრავლე ელემენტებისა. რომელთაგან ერთნი, თვისებით ერთსახენი (ერთნაირნი), ერთიმეორეს უერთდებიან, მეორენი კი, თვისებით განსხვავებულნი, ცალკეედებიან. მსოფლიოს შუაგულში იმყოფება დედამიწა, ჰაერით გარემოცული; ვარსკვლავები — განთვისებული სხეულებია; მთვარე დედამიწასათვის დასახლებულია; მზე კი გახურებული ქვის ნამზღვევია.

ქსენოფონი ადასტურებს, რომ სოკრატე წინააღმდეგი იყო ანაქსაგორას ამ მოძღვრებისა და არღვევდა მას, მაგრამ მელეტოსი მაინც ამ აზრებს სოკრატეს ახვევს თავს. ალბათ იმიტომ, რომ ანაქსაგორას მიმდევრის არქელაოსის მოწაფედ მიაჩნია იგი.

29) საბერძნეთის დრამის და კომედიის მწერლებს ხშირად შეჰქონდათ თავიანთ პიესებში უწინდელ და თანამედროვე ფილოსოფოსთა აზრები — პირველთ მათი განდიდების მიზნით, რაც ჩვეულებად ჰქონდა ევრიპიდეს (აქედან მისი სახელწოდება „პოკენიკოს ფილოსოფოს“) თავისი მასწავლებლის ანაქსაგორას მიმართ, უკანასკნელთ კი — მათი გამახსარავეების მიზნით, როგორც

არისტოფანეს მის მრავალ კომედიაში. ამნაირად ანაქსაგორას ფილოსოფიური აზრების გასაცნობად ათენელისათვის საკმაო იყო შეეძინა ადგილი თეატრში და დასწრებოდა ევრიპიდეს ზოგიერთ დრამის წარმოდგენას. პერიკლეს დროიდან თეატრის იჯარადარნი ღებულობდნენ ორ ობოლს ერთი ადგილისათვის თეატრში ერთის დღით ან თითო დრამას სამი დღით (6 ობოლი = 1 დრამას). ეინაიდგან დრამატიული შეჭიბვებანი ჩვეულებრივ სამ დღეს გრძელდებოდა. ულარიბესი მოქალაქენი ღებულობდნენ ფულს თეატრში შესასვლელად, ე. წ. თეორიკონს სახელმწიფო ხაზინიდან.

ეს ადგილი შეიძლება განმარტებულ იქნეს იმ აზრითაც, რომ აქ იგულისხმება არა „ორქესტრა“ თეატრში, არამედ „ორქესტრა“ წიგნის საეპიკროათენის მოედანზედ, სადაც შეიძლებოდა ანაქსაგორას თხზულებათა იფად ყიდვა (პროფ. ს. ებელიოვის აზრით უპირატესობა უკანასკნელ განმარტებას უნდა მიეცეს).

30) სიტყვების: „ლმერთის“ (თეოს) და „დაიომონის“ (დაიომონ) მნიშვნელობის შესახებ აღსანიშნავია შემდეგი: პომეროა ლმერთს „თეოსსაც“ უწოდებს და „დაიომონსაც“ იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ „თეოს“ ნიშნავს ლმერთს თავის თავად, საკაცობრიო მსოფლიოზედ დამოუკიდებლად, „დაიომონი“ კი — ლმერთს, მისი მიმართებით აღამიანთადმი, რამდენადაც იგი კეთილად ან საუნებლად მოქმედობს მათ ბედზედ. უფრო გვიან გაჩნდა ლეთებრივ არსებათა განსაკუთრებული კლასი, რომელთაც უწოდებდნენ „დაიომონებს“. ჰესიოდე ანსხვავებს ლმერთებს, დაიომონებს და გმირებს. დაიომონებს უწოდებს კეთილმფარველ გენიებს და მათი სახით გულისხმობს ოქროს საუკუნის აღამიანებს, რომლებიც საკმაო ცხოვრების დასრულების შემდგომ უხილავად მიმოქჰიან ყოველგან ამ ქვეყნად, თვალს ადევნებენ სამართალსა და უსამართლობას და მოკლავთ სიმიდრეს ანიქებენ.

სოკრატეს ბრალმდებელნი ხმარობენ სიტყვას „დაიომონურს“ (დაიომონია — მრავლ. რიცხ.) ისე, როგორც სხვა ათენელნი და აქუთენებენ „ლმერთის“ (თეოს) მნიშვნელობას, მით უმეტეს, რომ სოკრატეც ზოგიერთ შემთხვევაში „დაიომონის“ ნაცვლად ხმარობს „ლმერთს“, მაგრამ სიტყვის „დაიომონურის“ ასეთი გაგება არ არის სწორი და არ ეთანხმება სოკრატეს გაგებას. ეს სხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ „აპოლოგიის“ ამ ადგილს სოკრატე სიტყვას „დაიომონური“ (მრავლ. რიცხ.) ზედსართავის მნიშვნელობით ხმარობს და მასთან გულისხმობს სიტყვას „საქმენი“, იქ კი, სადაც ეს სიტყვა არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება სოკრატეს მიერ, ეს სიტყვა ახალი იყო, როგორც თვით მასნი გამოსახული იღვა იყო ახალი. სოკრატს, რომლის კვლევა-ძიების სავანს აღამიანის სული შეადგენდა, სიტყვით „დაიომონიონ“ სურდა გამოესახა არა ლეთების ობიექტური ყოფნა (არსებობა), არამედ მისი გავლენა აღამიანის სულზედ, ის „ლეთებრივი“ აღამიანში, რაც ერთადერთი წყაროა ყოველი ქვემარტებისა, სათნოებისა და მშვენიერების, მეცნიერების, ხელოვნების თუ პრაქტიკული ცხოვრების დაჩაგვი; ამასთანავე მას ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ ეს „ლეთებრივი“ გამოიკვლია პლატონმა და საფუძვლად დაუდვა თავის იდეათა თეორიას.

31) თეტიდე — ზღვის დედა-ლმერთი, ტროას ომის უშესანაშნავესი გმირის აქილესის დედა და თვით ასული ზღვის ლეთების ნერეიასი.

32) იხ. ილიადა XVIII, 79 და შემდ.

33) სოკრატემ პელოპონესის ომის დროს, როგორც ათენის მოქალაქემ, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ლაშქრობაში და შესანიშნავი მხნეობა და გულ-

დობა გამოიჩინა. პირველად იგი პოტიდასთან იბრძოდა 432 წ. ქრ. წ., სადაც მამაცურად აიტანა თრაკიის საშინელი ყინვა და სიკვდილს გადაარჩინა დაქრილი ალკიბიადე, რომელსაც დაუთმო ჯილდო, მას რომ შესთავაზეს გულადობისათვის.

მეორედ, როცა 424 წ. ქრ. წ. ათენელთა ლაშქარი დელიონთან ცხვრის ფარასავით გაიფანტა ბერტიელებთან ბრძოლის შემდეგ, სოკრატე თავითფხამდე შეიარაღებული ისე მშვიდად და ამაყად განაგრძობდა გზას, თათქოს ათენის ქუჩებში სეირნობდა, იგი თვითონაც გადარჩა და სიკვდილისაგან იხსნა თავისი ამხანაგი.

მესამედ სოკრატე 422 წ. ქრ. წ. ამფიპოლისთან იბრძოდა სპარტელების წინააღმდეგ.

34) სოლონის მიერ დაარსებული და შემდეგ კლისთენის მიერ განახლებული ათენის ბულე 500 წევრისაგან შედგებოდა, რომელთაც ირჩევდნენ პირველი სამი კლასის (პენტაკოსიო მედიმნოი — ვისი წლიური შემოსავალი 24.000 დრის სარჩოს უდრიდა, პიპეის — მხედარნი და ძვევგითა — ვისაც ერთი ულელი ხარი ჰყავდა) მოქალაქენი არა უმრავლეს 30 წლის. ბულეს წევრთა (ბულეეტი) არჩევნები წარმოებდა ფილებში, თითოეული ფილა ირჩევდა 50 კაცს. ბულე განაგებდა სახელმწიფოს პოლიტიკურ და საფინანსო საქმეებს, კარდა ამისა, მასვე ეკუთვნოდა წინასწარი განხილვა (პრობულეემა) თითოეული კანონისა, ვიდრე უკანასკნელი დასამტკიცებლად წარედგინებოდა კრებულს (ეკკლესია). ბულეს კრების ადგილი (ბულეეტერიონ) მოედანი იყო. ბულეს მიმდინარე საქმეებს განაგებდა ამა თუ იმ ფილის 50 წევრი, რომელნიც ამ დროს პრიტანების ტიტულს ატარებდნენ და შეადგენდნენ აღმინისტრაციულ კომიტეტს, პრიტანეად წოდებულს. თითოეული პრიტანეა ასრულებდა სამსახურს (პრიტანეეინ) 35 ან 36 დღის განმავლობაში (ნაკიან წელიწადში 38 ან 39). ამის მიხედვით წელიწადიც იყოფოდა 10 აღმინისტრაციულ პერიოდად, რომელთაც აგრეთვე პრიტანეები ეწოდებოდა. პრიტანთა შესაქრებელი ადგილი — პრიტანეიონ ანუ თოლოს — ბულეეტერიონის ახლოს იყო. აქ პრიტანები ატარებდნენ მთელ დღეს და თავიანთი მდივნებითურთ (გრამმატეის) სადილობდნენ სახელმწიფოს ხარჯზედ, პრიტანები თავიანთი წრიდგან ყოველ დღე წლის ყრით ირჩევდნენ ეპისტატეს, რომელსაც შეიძლება ათენის რესპუბლიკის პრეზიდენტი ეწოდოს. ეპისტატე ერთი დღის განმავლობაში კომიტეტის ყველა საქმეს განაგებდა, ბულესა და კრებულის სხდომებს თავმჯდომარეობდა, მას ებარა სახელმწიფოს ბეჭედი და გასაღებნი აკროპოლის ტაძართა, სადაც მოთავსებული იყო სახელმწიფოს დეთარხანა და ხაზინა. ეპისტატეს უფლება ჰქონდა კენჭი ეყარა (ეპიხეიროტონიან დიდონაი, ეპიფსეფიძეინ) წინადადებათა და კანონ-პროექტებისათვის, მაგრამ მასვე ჰქონდა უფლება და შეეძლო არ ეყარა კენჭი ისეთი წინადადებისათვის, რომელიც უსამართლოდ და კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიაჩნდა. სოკრატეც სწორედ ასე მოიქცა ხსენებულ შემთხვევაში.

35) სოკრატე ეკუთვნოდა ალოპეკეს დემს ანტიოქიის ფილისას. დემი ნიშნავს ოქს ანუ უბანს, ფილა კი გვარს ანუ ტომს: სპარხას შეადგენდა სამი ფილა, ათენას თავდაპირველად 4, კლითონის შემდეგ კი 10: თითოეული ფილა დაყოფილი იყო რამდენიმე უმცირეს ოქჟად ანუ დემად. სტრაბონით დემთარიცხვი 174 უდრიდა. ათი ფილის სახელწოდება ძველ გმირთა სახელებისაგან წარმოსდგებოდა: ერახტეს, ეგეოსის, პანდიონის, ლენტის, აკამანტის, ოინეის, კეკროპის, ჰიპოთოონტის, ეანტის და ანტიოქის.

36. 406 წელს ქრ. წ. ათენელთა ფლოტმა არგინუსას კუნძულებთან, ლეს-ბოსის მახლობლად, დაამარცხა ლაკედომონელი. ბრძოლის შემდეგ ამოვარდა ქარიშხალი და სტრატეგოსებმა ველარ მოახერხეს დამსხვრეული ხომალდების გადაჩენა და დახოცილთა დასაფლავება. ამის გამო ისინი სამართალში იქნენ მიცემულნი. დემაგოგების მიერ აღიულებულმა ხალხმა მოითხოვა სტრატეგოსების გასამართლება და სიკვდილით დასჯა. სტრატეგოსების გასამართლება წილად ზედა ანტიოქიის ფილას, რომელსაც ეკუთვნოდა სოკრატე. უკანასკნელი, როგორც ბუღეს წევრი, წინააღმდეგ ხალხის ასეთ უკანონო მოთხოვნილებას და მოითხოვა კანონის თანახმად სტრატეგოსების ცალ-ცალკე გასამართლება, მაგრამ სოკრატეს პროტესტმა არ გააქრა და სტრატეგოსები დასჯილ იქნენ სიკვდილით. შემდგომ, ათენელთა მოინანიეს ეს თავიანთი უკანონო განაჩენი და პასუხისგებაში მისცეს ზოგიერთი ბრალმდებელთაგანი.

37. ეგოსპოტამოსის ბრძოლის შემდეგ ათენში (404 წელს ქრ. წ.) დემოკრატიული მმართველობის ნაცვლად დამყარდა ოლიგარქია და ხელისუფლება ჩაბარდა არისტოკრატიის 30 წევრს, რომელნიც ცნობილნი შეიქნენ „ოცდაათი ტირანის“ სახელწოდებით. მათი მართებლობა სასტიკი იყო: სიკვდილადი სასჯელით, ქონების ჩამორთმევით, უფლებათა აყრით და, დასასრულ, დემოკრატიის მომხრეთა ათენიდან გაძევებით ტირანები ცდილობდნენ დამყარებინათ თავიანთი ბატონობა. თოლოსი (ანუ სკიადი), მრგვალი გუმბათიანი შენობა ქვით დასხურული, მოთავსებული იყო ათენის აგორაზე (საბაზრო ადგილი) და წარმოადგენდა საგანმგებლო და აგრეთვე სასაღილო დარბაზს მორიგე პრიტანებისათვის. ლეონტი სალამინელი, მდიდარი და ქველი მოქალაქე ათენისა, ნებაყოფლობით გაშორდა ათენს და წაეიდა სამშობლოში (სალამინზედ), რათა არ გამოეწვია ტირანების მხრივ შური და სიხარბე და მათი ანგარების მსხვერპლი არ გამხდარიყო. ტირანებმა ის ძალით დააბრუნეს ათენს და მოაკვდინეს.

38. ტირანების ბატონობა გაგრძელდა 8 თვემდის.

39. სოკრატე აქ გულისხმობს უმთავრესად ალკიბიადეს და კრიტიას, რომელთაგან პირველმა ბევრი ზიანი შეამთხვია სამშობლოს და მეორე კი „ოცდაათთა“ რიცხვს ეკუთვნოდა. ახალგაზრდობაში ორივე ებრძოდა სოკრატეს და ამ გარემოებამ საბაბი მისცა სოკრატეს მტრებს ბრალი დაედოთ მისთვის, თითქოს მან ისინი გარყვნა.

40. სოკრატე გადაკვირთ ლაპარაკობს სოფისტების ანგარების შესახებ.

41. ღვთის ნებას ძველი ბერძნები, დამოუკიდებლად წინასწართხრობისა და სიზმრებისა, გებულობდნენ აგრეთვე სხვადასხვა ნიშნებით მსხვერპლის შეწირვისას (როგორ ენთო ცეცხლი სამსხვერპლოზედ, მალა ადიოდა კვამლი თუ მიწას ეფინებოდა) და განსაკუთრებით კი ცხოველთა შიგნეულობის მდგომარეობის მიხედვით (ღვიძლი, ნაღველი, ელენთა, გული, ფილტვი).

42. აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ სიტყვაში მოქალაქის სახელსა და მამის სახელს ყოველთვის ემატებოდა სახელწოდება დემისა, რომელსაც იკუთვნოდა. კრიტონი, როგორც სოკრატე, ეკუთვნოდა ალმაკეს დემს ანტიოქის ფილისას, ლისანია, „სოკრატელის“ ესქინეს მამა — სფეტის დემს აკამანტის ფილისას, ანტიფონი კი — ეფისის დემს. უკანასკნელის პიროვნება გამოურკვეველია და იგი უნდა განირჩეოდეს სახელგანთქმული მოღვაწისა და ორატორის ანტიფონისაგან, რომელიც რამნენტის დემს ეკუთვნოდა. თეაგისათვის მიძღვნილია პლატონის ერთ-ერთი დიალოგი. აღმანტე ალბათ მშაა პლატონისა, „სახელმწიფოში“ მოხსენებული. პლატონი თვით ავტორია. აპო-

ლოდორე — სოკრატეს უგულმოდგინესი პატივისმცემელი — მოხსენებულია „ფედონში“. სოკრატეს დანარჩენ მოწაფეთა და მიმდევართა შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

43. თანახმად ათენური პროცესის წესებისა, ბრალმდებელს უფლება არ ჰქონდა დამცველისათვის სიტყვა გაეწყვიტინებინა. სოკრატე მზალაა დაუთმოს მელეტოსის ნაწილი იმ დროისა, რომელიც მას მიცემული აქვს სიტყვის წარმოსათქმელად.

44. ბრალდებულთ ჩვეულებრივ მოკყავდათ სამსჯავროში ცოლები, შვილები და სხვა ნათესავები, რათა მსაჯულებისათვის გული მოეღბოთ და თავი შეეწყალებინათ.

45. ოდისეა, XIX, 163; პენელოპემ ვერ იცნო დაბრუნებული ოდისე და სთხოვს მას უთხრას სადაობის აზრები და დასძენს: შენ ხომ მუხისაგან ანდა კლდისაგან არ ხარ შექმნილიო.

46. სახელდობრ ლამპროკე, სოფრონისკე და მენექსენე, აქ ქაბუკად და „ფედონში“ კი მოწიფულად (მეგას) მოხსენებული. ლამპროკე უფროსი იყო, სოფრონისკე და მენექსენე „ფედონში“ იწოდებიან „პატარებად“ (სმიკროი).

47. ე. ი. თუ ასეთი ადამიანიც შეეცდება თავი შეაბრალოს მსაჯულებს უმართებულო საშუალებით.

48. მსაჯულის ფიცის ფორმულა დემოსთენის მოწმობით ასეთი იყო: „მე ხმას მიეცემ კანონებისა და ათენის ერის და ხუთასთა საბჭოს დადგენილებათა თანახმად... და მოვუსმენ ბრალმდებელსა და დამცველს ორსავე ერთნაირად“. პოლოდეკოსის მოწმობით კი ეს ფორმულა ასეთი იყო: „ხმას მიეცემ კანონის თანახმად, რის შესახებაც კანონი არის, და უსამართლიანესი მსჯელობისამებრ, თუ რომ კანონი არ არის“.

49. აქ თავდება სოკრატეს სასარჩლო სიტყვა, რომლის მოსმენის შემდეგ მსაჯულებს უნდა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ბრალდებულის ბრალეულობის ან უბრალოების შესახებ. განაჩენის დადგენა წარმოებდა ფარული კენჭისყრით, ხმების უმეტესობით და ნაირ-ნაირად შეღებილი კენჭებით. კენჭისყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხმების უმეტესობით სოკრატე ცნობილია დამნაშავედ.

50. ათენური სამსჯავრო პროცესი ორნაირი იყო: 1. თუ ბრალდებულის დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთს მუხლში იყო გათვალისწინებული, სასჯელიც ამ მუხლის მიხედვით ინიშნებოდა; 2. თუ ბრალდებულის დანაშაულისათვის არ შეიძლებოდა კოდექსის განსაზღვრული მუხლის შერჩევა, განაჩენს ადგენდა თვით სამსჯავრო. ამ შემთხვევაში ბრალმდებელს უფლება ეძლეოდა აერჩია მსჯავრდებულისათვის სასჯელი; მეორე მხრით, კანონი უკანასკნელსაც აძლევდა უფლებას თვით დაენიშნა თავისი დანაშაულის შესაფერი სასჯელი. ვინაიდან სოკრატეს პროცესი ამ მეორე გვარისა იყო, მას ნება მიეცა თვით აერჩია სასჯელი, რომელსაც თავისთვის ღირსეულად მიიჩნევდა. ეს შეადგენს „აპოლოგიის“ შემდგომი მეორე ნაწილის საგანს.

51. ცნობილია, რომ ნათიცთა სამსჯავროში სოკრატეს საქმეზედ 500 (ნამდვილად 501) წევრი მონაწილეობდა, ასე რომ სოკრატე გამტყუნებული იქნა 60 ხმის უმეტესობით, ე. ი. 280 ხმის უმცირესობით 220 ხმის წინააღმდეგ. ხმათა თანასწორობა ბრალდებულს ამართლებდა.

52. ბრალმდებელი, თუ არ მიიღებდა ხმათა ხუთის თავს, ვალდებული იყო გადაეხადა ათასი დრახმა ჭარიმად და გარდა ამისა სამულამოდ ჰკარგავდა უფლებას საჩივრების აღძვრისას და ბრალმდებლად გამოსვლისას. ვინაიდან 500

მსაჯულში მხოლოდ 280-მა მისცა ხმა სოკრატეს წინააღმდეგ, სოკრატეს აზრით, სამს ბრალმძებელში თითოეულზედ მოდიოდა ამ რიცხვის მხოლოდ მესამედი (ე. ი. 93 ხმა); მაშასადამე, მარტო მელეტოსი რომ გამოსულიყო ბრალმძებლად, ის ვერ მიიღებდა ხმათა მთელი რიცხვის მეხუთედს (ე. ი. 100 ხმა).

53. ე. ი. გონიერი მოტივით, შეგნებულად.

54. სტრატეგობა უმაღლესი თანამდებობა იყო ათენში.

55. შეთქმულობა და აჯანყება პარტიათა ბრძოლის ნიადაგზე ხშირი მოვლენა იყო სოკრატეს დროს.

56. „მოკეთე“ ანუ „კეთილსმყოფელი“ საპატიო ტიტული იყო, რომელთაც ბერძნები აჭილდობდნენ იმას, ვინც განსაკუთრებულ სამსახურს გაუწევდა სახელმწიფოს.

57. ეს ძველი პრიტანეა ანუ უკეთ პრიტანეონი განსხვავდებოდა ზენოთხსენებული (შენ. 34) ახალ პრიტანეასა ანუ თოლოსისაგან. პრიტანეონი იყო მთავარი სამმართველო ანუ სათემო შენობა საბერძნეთის ქალაქებში, სადაც მოთავსებული იყო სახელმწიფო კერა მუდმივი ცეცხლით. ეს კერა წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ერთობის სიმბოლოსა და ცენტრს, და ამიტომ სამშობლოდ ვადასახლებულ კოლონისტებს ჩვეულებრივ პრიტანეონიდან მიქონდათ ცეცხლი ნიშნად მებრძოლობისთან ნათესაური კავშირის განუწყვეტლობისა. ათენში პრიტანეონი, მოთავსებული აკროპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თავდაპირველად მმართველობის მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა აგრეთვე, შემდგომ კი იქ სადილობდნენ სახელმწიფოს ხარჯზედ პრიტანები, დამსახურებული მოქალაქენი (რომელთაც ეს პატივი ენიჭებოდათ ზოგჯერ სიკედილამდე), ელევისინის საიდუმლოებათა ქურუმნი, წინასწარმეტყველნი, საზოგადოებრივის ასპარეზობაში გამარჯვებულნი, უცხოეთის ელჩნი და სტუმარნი. მოქალაქეთ ეს უდიდესი პატივი ენიჭებოდათ როგორც საკუთარი მათი დამსახურებისათვის სახელმწიფოს წინაშე, აგრეთვე წინაპართა დამსახურებისათვის, მაგალითად, ტირანოკტონების ანუ ტირანთა მკვლელების, პარმოდოსის და არისტოგიტონის შთამომავალთ საშვილიშვილოდ ქჷონდათ მიანიჭებული ეს უფლება.

58. საბერძნეთის დღესასწაულთა შორის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოლიმპიის ასპარეზობას, რომელიც უპირატესად წარმოადგენდა გიმნასტიკურ შეჯიბრებას ჰტადიონზედ (აგონეს გომნიკოი) და ნავარდობა ანუ დოლი ჰიპოდრომზედ (აგონეს ჰიპნიკოი), უკანასკნელი წარმოებდა ორ ან ოთხცხენიანი ეტლებით და ცხენ-და-ცხენ, სარბენი ცხენით. დღეში მოწაწილებდნენ მხოლოდ უმდიდრესი მოქალაქენი, ვინაიდან მხოლოდ მათ შეეძლოთ ძვირფასი ცხენების ყოლა საასპარეზოდ. გამარჯვებულს ჭერ იქვე. ოლიმპიაში, მსაჯულთა გადაწყვეტილებით, ზეთის ხილის გვირგვინებით ავვირგვინებდნენ და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას მაღლიერი თემი ასაჩუქრებდა ფულით და ათავისუფლებდა სახელმწიფოებრივი ბეგარისაგან, თეატრში საპატიო ადგილს აძლევდა და საზოგადოებრივ ადგილზედ ძეგლს უდგამდა. ათენში კი გარდა ამისა სიკედილამდის არჩენდნენ პრიტანეონში.

59. მაგ. ლაკედემონელებს, რომელთა სახელმწიფოებრივი წესწყობილება და ყოფა-ცხოვრება სოკრატესაც მოსწონდა და პლატონსაც.

60. იხ. 11 განმარტება.

61. „თერმეტის კოლეგია“ შედგებოდა 10 წევრისაგან, რომელთაც ირჩევდა თითო-თითოს თითოეული ფილა წელიწადულად, და ერთი მდივნისა-

გან. კოლეგიას დავალებული ჰქონდა საპრობილეთა მეთვალყურეობა და სასამართლოს განაჩენთა აღსრულება, რისთვისაც მსჯავრდებული დამნაშავენი გადაეცემოდნენ ხოლმე მათ დასასჯელად; მათვე განკარგულებაში იყვნენ საპრობილეთა დარაჯნი და ჯალათნი. გარდა ამისა, კოლეგიის წევრნი განაგებდნენ ქონებათა კონფისკაციის საქმეს სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად და თავმჯდომარეობდნენ სასამართლოში კონფისკაციის შესახებ აღძრულ სადავო საქმეების განხილვისას. მათ ხელშივე იყო იმ საქმეთა წარმოება, სადაც დანაშაული აშკარად იყო დამტკიცებული ან დამნაშავე გატეხილი.

62. ვერცხლის მნა ფრიად უმნიშვნელო თანხა (1/60 ტალანტი) იყო იმ თანხებთან შედარებით, რომელთა გადახდა მიუსაჯა სასამართლომ, მაგ., მილტიადს (50 ტალანტი), ტიმოთეს (100 ტალანტი), პერიკლეს და სხვ...

63. თავდებობა მსჯავრდებულს პატიმრობისაგან ათავისუფლებდა.

აქ იწყება მეორე და უკანასკნელი კენჭისყრა. მსაჯულნი სწყვეტენ საკითხს — მიიღონ ის სასჯელი, რომელიც აირჩია სოკრატემ, თუ ის, რომელსაც თხოულობენ ბრალმდებელნი, თუ სწორია ლაერტიოს დოკონის მოწმობა, რომ ამ კენჭისყრის დროს მოწინააღმდეგეთა რიცხვა წინანდელთან შედარებით 80-ით იმატა.

64. იგულისხმება დრო, რომელიც დარჩენია სოკრატს სიკვდილამდის.

65. ე. ი. განაჩენის დადგენამდის.

66. ძველებს სწამდათ, რომ ადამიანს სიკვდილის ეამს წინასწარმეტყველების ნიჭი ეძლეოდა.

67. ე. ი. კოლეგია თერთმეტთა, რომელთაც სოკრატესათვის ბინა უნდა მოეზადებინათ საპრობილეთაში.

68. სულთა: გადასახლების მოძღვრება ძველ თქმულებებზედ იყო დამყარებული, რომელთა სათავე ჰომეროსთან და ჰესიოდესთან არის დაკავშირებული; განსაკუთრებით განავითარა იგი პითაგორელთა სკოლამ.

69. ე. ი. სპარსეთის მეფე, როგორც ნიმუში ამქვეყნიური ბედნიერებისა და ძლიერებისა.

70. მ ი ნ ო ს ი იყო ევროპესა და ზევისს ძე, კრეტელთა ბრძენი მეფე და კანონმდებელი; რ ა დ ა მ ა ნ ტ ე, მინოსის ძმა, ქებული იყო პოეტების მიერ კეთილგონიერებისა და სამართლიანობისათვის; ე ა კ ო ს ი, ზევისისა და ეგინას ძე, ეგინის მეფე, პელეოსის მამა და აქილეუსის პაპა, ითვლებოდა უსათნოეს ადამიანად ბერძენთა შორის; ტ რ ი პ ტ ო ლ ე მ ო ს ი, ელევსინის მეფე, ატიკის გმირი, რომელმაც შეასწავლა ათენელთ მიწათმოქმედება, მისცა ელევსინელთ ბრძნული კანონები, დააარსა ელევსინის საიდუმლოებანი, გაღმერთებული იყო ძველების მიერ და დანიშნული ქვესკნელის ერთ-ერთ მთავარ მსაჯულად.

71. ე. ი. უძველეს პოეტებთან — ბერძენი ეპიკოსები. ამათგან ო რ ფ ე ო ს ი და მ უ ზ ე ო ს ი არიან მითიური მგონებნი — წინაპორბედნი ჰომეროსის წინადროინდელი პერიოდისა: პირველი თრაკიიდან, მეორე ატიკიდან, პესიოდე კი, შესანიშნავი პოეტი, ბეოტიის ასკრიდან, ცხოვრობდა 800-იან წლებში ქრ. წ., ავტორი სამი პოემისა: „თეოგონია“, „საქმენი და დღენი“ და „პერკულესის ფარი“.

72. პ ა ლ ა მ ე დ ე — ევბეის მეფის ძე, ტროას ომის გმირი, უსამართლოდ მოკლული ბერძენთა მხედრების მიერ ოდისევსის ინტრიგების გამო, რომელმაც მოლაღატეობა დასწამა.

73. ე ა ნ ტ ე, ტელამონის ძე, სალამინის გმირი, აქილევსის შემდეგ უმამაკე-
ლი ბერძენთა შორის ტროას ომში; როცა აქილევსის სიკვდილის შემდეგ უკა-
ნასკნელის საპურველი ერგო ოდისეესს და არა მას. ამით შეურაცხყოფილს კეკეა
შეერყა და თავი მოიკლა.

74. ე. ი. აგამემნონი.

75. ს ი ზ ი ფ ო ს ი, ზღაპრული მეფე კორინთისა, ეოლის ძე, ეერაგობისა და
ანგარებისათვის დასჯილი იყო ქვესკნელში იმით, რომ მუდამ უნდა ეგორებო-
ნა მთაზე ვეებერთელა კლდე.

კ რ ი ტ ო ნ ი

1) ბერძნებმა არ იცოდნენ დროის დაყოფა საათებად და მას საზღვრადნენ
ციცკრისა და მზის მიხედულებით, ასხვეებდნენ შუადღესა და ნაშუადღევს, ღამეს
კი ჰყოფდნენ სამ ნაწილად ანუ სამხედრო წესისამებრ სამ დარაჯობად. გარდა
ამისა დროის მიახლოებით განსაზღვრისათვის ხმარობდნენ საყოველღეო
სიტყვებს: როცა მოედანი გაქედლია ხალხით, როცა აინთება ღამპრები და სხე.

2) კრეტას მეფე მინოსი გაურისხდა ათენელებს, რომელთაც მოუკლეს მას
ვაჟი დანდროსი, და შურისძიებით აღძრულმა მან ალყა შემოარტყა ათენს.
ელაჩგაწყვეტილი ათენელნი შეურიგდნენ მინოსს პირობით, რომ ყოველ რვა
წელიწადში მათ უნდა ეგზავნათ ხოლმე კრეტაზედ მსხვერპლად მინოტავ-
რი სათვის შვიდი ქალი და შვიდი ვაჟი. ათენელებმა ორგზის გაგზავნეს ეს
მსხვერპლი. მესამეჯერ კი სამსხვერპლოდ განწირულ თოთხმეტ ახალგაზრდას
გაჰყვა მეფის წული თეზესი, რომელმაც მინოტავრი მოკლა და სამშობლო
სისხლოვანი ხარკისაგან იხსნა. თეზესს რომ ჰგზავნიდნენ კრეტაზედ, ათენე-
ლებმა აღთქმა დასდეს, თუ თეზესი გაიმარჯვებდა, წელიწდეულად ეგზავნათ
ე. წ. თეორია ანუ საზეიმო დესპანობა აპოლონის ტაძარში დელოსზედ
და მას შემდეგ ათენში არსებობდა ასეთი ადათი: მთელი იმ ხნის განმავლობაში,
ამ დესპანობის გამზადებას რომ შეუდგებოდნენ, სახელმწიფო „წმინდა“ უნდა
ყოფილიყო და არ შეიძლებოდა ვინმე დასჯილიყო სიკვდილით იმ დრომდე,
ვიდრე ხომალდი არ მიადწევდა დელოსს და არ დაბრუნდებოდა ათენს. მოხდე-
ბოდა, რომ ამასობაში ბევრი დრო გაივლიდა, თუ მოგზაურებს ქარიშხალი
მოუსწრებდა. დასაწყისად ამ საზეიმო დესპანობისა ითვლებოდა ის მომენტი,
როცა აპოლონის ქურუმი ხომალდის ბოლოს გვირგვინით შეამკობდა. დესპანების
გამგზავრება მოხდა სწორედ სოკრატეს პროცესის წინა დღით, და აი ამ მიზე-
ზით სოკრატემ დიდხანს დაჰყო საპრობილეში, სახელდობრ პროცესის დასაწყის-
სიდგან გარდაცვალებამდე (იხ. პლატონის „ფედონი“, 1).

3) ს უ ნ ი ო ნ ი კონცხა ატიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც აგებულ
იყო ათენის სახელგანთქმული ტაძარი და სადაც უნდა გამოეყო დელოსი-
გან მომავალ ხომალდს.

4) საპრობილეთა ზედამხედველობა-მეთვალყურეობა და აგრეთვე მსჯერ-
დებულთა სიკვდილით დასჯა მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებულ პირთ, რომელ-
თაც წელიწდეულად კენჭისყრით ირჩევდნენ.

5) სოკრატეს აქ მხედველობაში აქვს მოახლოებული გარდასვლა სხვა უკეთეს სამყოფელში, და იგონებს აქილევსის სიტყვებს, რომელმაც გამოუცხადა ოდისევსს, რომ აგამემნონის მიერ შეურაცხყოფილ მას განზრახული აქვს ფთიაში, თავის სამშობლოში, დაბრუნება, სადაც იმედი აქვს მესამე დღეს მივიღეს (ილიადა, IX, სტრ. 163 და შემდეგი).

6) თავდაპირველად სიკოფანტები იმათ ეწოდებოდა, ვინც აბეზღებდა სოლონიის მიერ გასაზიდავად აღკრძალულ ნაყოფთა, და მათ რიცხვში ლელის (სიკა ფაინონტეს) ატიკიდან გამზიდველთ; შემდეგ ამ სახელწოდებით დადალულნი იყვნენ ის დაქრთამული მამუზღარნი, საჯაროდ გამოსული ცილისმწამებელნი, რომელნიც დაეპარობდნენ, ეჩრებოდნენ საქმეებში, ჰსთზავდნენ პროცესებს პირადი ნივთიერი სარგებლობისათვის და აშინებდნენ ხალხს სამსჯავროთი, რათა ამ ხერხით გასამცლელო წაეგლიჯათ ან ბრალდებულის თუ მსჯავრდებულის ქონების ნაწილი ხელთ ეგდოთ, და ამრიგად პატივმოყვარენი და მეშუღლენი ხშირად მათ იარაღთ ჰხმარობდნენ. სიკოფანტების ასეთი ბინძური ხელობა საყოველთაოდ საზიზღრად იყო მიჩნეული. ვინაიდან ისინი კერძო პირთაც და სახელმწიფოსაც ფრიად ჰვნებდნენ. არისტოკრატი-ოლიგარქები, რომელნიც ვერ შეირიგებოდნენ ხალხის მონაწილეობას მმართველობაში, სიკოფანტს უწოდებდნენ ყველას, ვინც სახელმწიფო დანაშაულს ვისმე დააბრალებდა.

7) და 8) სიმიია და კებეტითებელნი იყვნენ, ფილოლაპითაგორელის მოწაფენი.

9) ბრალდებულს, თუ მას გამართლების იმედი არა ჰქონდა, კანონი გაქცევის უფლებას აძლევდა; გარდა ამისა შესაძლებელი იყო მოდავეთა მორიგება როგორც სამსჯავროში საქმის აღძვრამდე, ისე აღძვრის შემდეგაც.

10) კრიტონი ფიქრობს, რომ სოკრატეს შეეძლო და იგი ვალდებულ იყო იყო სხვანაირად დაეცვა თავი სამსჯავროს წინაშე. მართლაც, შეუძლებელია მოიძებნოს მეორე მაგალითი, რომ ბრალდებულისათვის მიეცათ ნება ისეთი სიტყვის წარმოთქმისა, როგორც სოკრატემ ათენის ნაფიც მსაჯულთა სამსჯავროს წინაშე წარმოთქვა: ეს დაეცა კი არ იყო, არამედ ბრალდება და დარიგება მსაჯულთა მიმართ (იხ. პლატონი — სოკრატეს აპოლოგია).

11) ახალგაზრდა ბერძნებს გიმნასტიკას ასწავლიდნენ განსაკუთრებული მსწავლელები (გიმნასტარი), მათი უახლოესი თანაშემწენი (პაიდოტრიბი) და მკურნალები (იატროი). ამათში პირველნი გიმნასტიკურ ვარჯიშობას ხელმძღვანელობდნენ და სხეულის გამშვენიერებასა და გაღონიერებისათვის ჰზრუნავდნენ; უკანასკნელნი კი, როგორც სამკურნალო მეცნიერების მცოდნენი, მოვარჯიშეებს ფარებს უნიშნავდნენ (დიიატეტიკე). შესაძლებელი იყო ორივე ფუნქციის ერთს პიროვნებაში შეერთება.

12) ათენში იმ კანონის დამცველად, რომლის გაუქმებას ვინმე მოითხოვდა, ინიშნებოდა განსაკუთრებული ჯდოკატი (რიტორი).

13) სოკრატეს დიალექტიკის ჩვეულებრივი მეთოდი.

14) სამუზო აღზრდა ანუ განათლება — განათლება, რომელსაც მუზები მფარველობენ, ე. ი. სულიერი აღზრდა-განათლება წინააღმდეგ გიმნასტიკური — ფიზიკური — აღზრდისა.

15) ძველი ატიკური კანონით ათენელი კაბუკი, როცა მას თვრამეტი წელი შეუსრულდებოდა, მოწიფულად და სრულწლოვანად მხოლოდ განსაკუთრებული გამოცდის შემდეგ ითვლებოდა (დოკიმასია ეიზ ანდრას). ეს გამოცდა აძლევდა მას საზოგადოებრივი სამსახურისა და წარჩინების უფლებას და იმაში მღგომა-

რობდა, რომ არკვევდნენ მის შთამომავლობასა და გვარტომობის კანონიერებას და აგრეთვე იკვლევდნენ მის ცოდნას სახელმწიფო განრიგებათა და საერთოდ მის აუკარგიანობას. ჭაბუკნი, რომელნიც მოიხილდნენ ამ „მოწიფულობის გამოცდას“ (დოკიმასტენტეს), ჩაიწერებოდნენ ე. წ. ლექსიარხის ნუსხაში (ლექსი-არხიკონ გრამმატიონ).

16) იგულისხმება სახალხო დღესასწაულები, სახელდობრ ოლიმპიის, ნემეისის, ისთმოსის და პითიას ასპარეზობა. თეორია ნიშნავს ა) დღესასწაულს, ბ) აგრეთვე დესპანობას, რომელსაც საბერძნეთის სახელმწიფოთა ოლიმპიის, ისთმოსის, ნემეისის და პითიის ასპარეზობაზედ დასასწრებლად ჰეზანიდნენ ხოლმე და გ) საღვთო დესპანობას, რომელიც ათენელთაგან დელოსზედ იგზავნებოდა ხოლმე (იხ. განმარტება 2).

17) სოკრატს არა თუ არაოდეს არ უმოგზაურობია, არამედ ქალაქიდგანაც კი თითქმის არაოდეს არ გასულა (პლატონის მოწმობა).

18) თებეს და მეგარას სახელმწიფოებრივი წესწყობილება ზომიერ ოლიგარქიული იყო. ორივე ეს ქალაქი არისტოკრატიულ სპარტას თანუგრძნობდა და ემხრობოდა.

19) თესალიის დიდებულნი განთქმულნი იყვნენ თავიანთი სიმდიდრით და სტუმართმოყვარეობით და აგრეთვე ბედოვლათობით და თავდაუქერლობით.

20) კორიბანტები (კორიბანტეს) ფრიგიის ქალ-ღმერთის კიბელეს ქურუმნი და მხლებელნი იყვნენ. ამ ღმერთისათვის მოწყობილ ორგების დროს იმართებოდა ველური როკვა და განგაშიანი ძნობა წინწილთა, ბობლანთა, ბუკთა და განსაკუთრებით ფრიგიული სალამურისა (აელოს), რომლის გულმომწყველი ხმა ისე აგზნებდა და არეტიანებდა ბორგნულ კორიბანტებს, რომ შეწყდომის შემდგომც ქურუმთა ყურებში კიდევ დიდხანს გასწიოდა. სალამურის ხმის ასეთს დამარეტინებელ მოქმედებას ადარებს სოკრატე იმ გავლენას, რომელიც მოახდინა მასზედ კანონების სიტყვებმა.

.....

* პეტრე ქავთარაძის თარგმანებსა და კომენტარებში შეინიშნება ზოგიერთი ენობრივი და ლექსიკური თავისებურებანი, რომელთაც ეტოვებთ უცვლელად; მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი, განსაკუთრებით ენობრივი მოვლენები, ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მოძველებულად არის მიჩნეული (პ. ბერაძე).

ც ი ც ე რ ო ნ ი

(100 — 48)

ცნობილი რომაელი ორატორი და საზოგადო მოღვაწე მარკუს ტულიუს ციცირონი ეკუთვნოდა მხედართა წოდებას. დაიბადა იგი 106 წელს ქ. არბინაში (ვოლსკების ტომის მხარეა).

მამამ მარკუსი და მისი ძმა კვინტუსი რომში ჩამოიყვანა, იმ მიზნით, რომ შეიღებინათვის სათანადო განათლება მიეცა. მაშინდელი განათლებული ადამიანისათვის აუცილებელი იყო არა მარტო ლათინური ენის, ლიტერატურის ღრმად შესწავლა, არამედ ბერძნულისაც, საკირო იყო ბერძნული ფილოსოფიისა და საორატორო ხელოვნების ნიმუშების ორიგინალში გაცნობა. განათლებული პირის უამისობა. არ იქნებოდა. ფილოსოფიისა და მკვერმეტყველების გარდა მან შეისწავლა სასამართლო საქმე, რომის სამართალი. იგი დაეუფლა არა მარტო ფილოსოფიას, მან ღრმად შეისწავლა რეტორიკა — მკვერმეტყველების თეორია. გარდა ამისა, იგი სწავლობდა მეტყველების ტექნიკასაც და ამ საქმეში მსახიობთა დახმარებასაც მიმართავდა ხოლმე.

იმდენად დიდი იყო ციცირონის დამსახურება რომაული მკვერმეტყველების პრაქტიკასა და თეორიაში, ფილოსოფიაში, იურისპრუდენციაში, რომ ციცირონი ქეშმარიტად შეიძლება ჩაითვალოს რომაული მწერლობის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად. ციცირონი სწორუპოვარი ხელოვანია მკვერმეტყველებისა და აგრეთვე რეტორიკის უდიდესი წარმომადგენელი, იგი არანაკლებ ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი და როგორც სამართლის მცოდნე. და ბოლოს, ციცირონი შეუდარებელი სტილისტიცა, მის ხელში რომაულმა პროზამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. იგი ქეშმარიტად ითვლება ლათინური ლიტერატურული ენის შემოქმედად.

მართალია, ციცირონი, ეს უდიდესი ოსტატი მხატვრული სიტყვისა, ხელმოცარული პოლტიკოსი აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს პეტრარკას სიტყვები, რომელიც მან ციცირონის შესახებ წარმოსთქვა: „შენ ის ცხოველმყოფელი წყარო ხარ, რომლის მეოხებით ჩვენ ჩვენს ყანებს ვრწყავთ; შენ ხარ ბელადი, რომლის მითითებას ჩვენ მივსდევთ, რომლის დასტური ჩვენ გვახარებს, რომლის სახელით ჩვენ თავი მოგვაქვს და ვამაყობთ“.

ციცირონის სახელს იხსენებენ დემოსთენის გვერდით, თუმცა ციცირონი იყო მიმდევარი საორატორო ხელოვნების იმ სკოლისა, რომელიც უფრო გვიან ჩამოყალიბდა. იგი უფრო მეტად ელინისტურ ტრადიციას მისდევდა და ნაკლებ აცავდა მკვერმეტყველების იმ სკოლის მოთხოვნილებას, რომელსაც ატიკურს უწოდებდნენ ხოლმე. მის სიტყვებს ახასიათებს გასაოცარი სიცხადე აზრისა, მაგრამ ამავე დროს სიმრავლე იშვიათი ოსტატობით გამართული უღამაზესი

პერიოდებისა, განმეორებათა, დაპირისპირებათა, მისი სიტყვები „მხატვრული პროზის“ ნამდვილი შედეგებია. ამიტომაც იყო, რომ ნახევარ საუკუნესაც არ გაველო ციცირონის გარდაცვალებიდან და იგი სასკოლო ავტორად გახდა ჭერ რომში და შემდეგ დროთა ვითარებაში მთელ განათლებულ მსოფლიოში. მას გატაცებით კითხულობდნენ ეკლესიის მამები, აღორძინების ხანაში იგი იყო პუშკინისტების მასწავლებელი, მასზე სწავლობდნენ ყველა დროის ორატორები, საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწენი — მირაბო, რობესპიერი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი.

განმარტება როსციუსის მანასაჰი სიტყვისა

სიტყვა როსციუსის დასაცავად წარმოთქმული იყო 80 წელს. ციცირონის ეს სიტყვა მის მეორე საჯარო გამოსვლას წარმოადგენდა. 25 წლის ასაკის ახალგაზრდას იყო გამბედაობა გამოსულიყო მეტად სახიფათო ვითარებაში. საქმის ვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ბრალდებულ როსციუსის მამა, მოხუცი სექსტუს როსციუსი რომში ქუჩაზე იქნა მოკლული. მკვლელობა მოწუობილი იყო მისი ორი ნათესავის მიერ, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ მისი ქონების ხელში ჩაგდება; ამ მიზნით ისინი შეუთანხმდნენ დიქტატორ სულასთან დაახლოებულ პიროვნებას, გააზატებულ მონას, სახელად ქრისოგონეს და შეატანინეს მოკლულის სახელი საპროსკრიპციო სიაში უკანა რიცხვით (სექსტუს როსციუსი მოკლულ იქნა 81 წლის შემოდგომაზე, ხოლო სულას პროსკრიპციას ძალა ჰქონდა ამავე წლის 1 ივნისამდე). ამ საქმით თვითონ ქრისოგონე იყო დაინტერესებული, რაც იქიდან ჩანს, რომ მან სახელმწიფო ვაჭრობის წესით ჩალის ფასად შეისყიდა სექსტუს როსციუსის ქონება და შეთანხმების თანახმად გაუყო იგი დასახლებულ ორ ნათესავს. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრდა, ახლა საჭირო იყო მოკლულის ქვეშაირები მეგვიდრის, მოკლულის ძის სექსტუს როსციუს უმცროსისაგან განთავისუფლება. ჭერ მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი მოკვლა და რაკი მიზანს ვერ მიაღწიეს, შეიღი მამის მკვლელად გამოაცხადეს.

ციცირონის სიტყვა გამსჭვალულია სულას არისტოკრატიული მმართველობის რეჟიმის კრიტიკით, თუმცა იგი ერიდება სულას ავად ხსენებას, მაგრამ თავს ესხმის მის მომხრეს — ქრისოგონეს და ამით თვით სულასაც ეხება.

საქმე დამთავრდა ციცირონის გამარჯვებით.

ეს სიტყვა აღინიშნა განსაკუთრებული პათეტიკურობით, ეს გარემოება გვიდასტურებს, რომ ციცირონი ყოფილა აზიანური სკოლის ერთგვარი გავლენის ქვეშ.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პ. ჯავთარაძეს შეუსრულებია თარგმანის მხოლოდ შესავალი ნაწილი.

1 — დამნაშავეის მახლობლად მჭდარი ადამიანები ითვლებოდნენ ბრალდებულის მომხრებად. ამ შემთხვევაში როსციუსის მხარის დამპყრნი იყვნენ ფრიად გავლენიანი გვარების — მეტელებისა, სერვილიებისა და სციპიონთა

წარმომადგენლები. მათმა უსიტყვო მხარდაჭერამაც გავლენა მოახდინა სასამართლოს განაჩენზე, რომელიც გამოტანილ იქნა დაზარალებულს — როსციუსის სასარგებლოდ.

2 — ამ შემთხვევაში ციკრონი გულისხმობს პროსკრიპციების ხანის უსამართლო მართლმსაჯულებას.

3 — სესტრაცი — ფულის ერთეულია.

4 — სულას კანონის თანახმად სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა ხოლმე ნაფიცთა მსაჯულებისაგან შემდგარი სასამართლო. ამ სასამართლოს წევრებად მხოლოდ სენატორები იყვნენ, ხოლო თავმჯდომარეებად პრეტორები.

5 — სასამართლოს თავმჯდომარედ იყო მარკუს ფანიუსი, რომელიც ედილის მოვალეობის შესრულებისას წინათაც ყოფილა თავმჯდომარედ. ახლა მას ეს თანამდებობა წილად ხვდა, ვითარცა პრეტორს.

6 — გლადიატორთან შედარება იმ მხრივ არის საინტერესო, რომ იმ დროს გლადიატორი ყაჩაღის სინონიმად ითვლებოდა. ორთავე როსციუსის ამგვარი ეპითეტით შემკობა მეტად დიდი სითამამე იყო ახალგაზრდა ციკერონისაგან.

7 — დაახლოებით ას კილომეტრამდეა.

8 — ვოლატერა — ეტრურის ქალაქია.

9 — სულა თავის თავს ბედნიერს უწოდებდა ხოლმე.

10 — ტრადიციის მიხედვით, მამულის გაყიდვის შემთხვევაში გაყიდველი იტოვებდა ხოლმე მამა-პაპათა საგვარეულო აკლდამას.

11 — მუნიციპალური სათათბიროს წევრები არიან, ისინი შესდგებოდნენ 100 წევრისაგან და ათ დეკურიონად (ათეულად) იყოფოდნენ ხოლმე.

12 — სტუმარი ნიშნავს აგრეთვე მეგობარს, სტუმარ-მასპინძლობის კანონიერებთან დაკავშირებულს.

განმარტება კატილინას წინააღმდეგ პირველი სიტყვისა

ეს სიტყვა წარმოთქმული იყო 63 წელს — ციკერონის კონსულობის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ციკერონის გაკონსულებას ხელი შეუწყო მემარცხენე კლემენტების გაძლიერებამ. დემოკრატიული წრეები მოითხოვდნენ აგრარული რეფორმის შემოღებას (სერვილიუს რულუსის გამოსვლა). როგორც ირკვევა, მემარცხენე წრეების იდეოლოგიურ მეთაურად გამოდიოდა კატილინა — კაცი გაბედული, მაღალი წრიდან გამოსული და დაბალი წრეების ინტერესთა თავდადებული დამცველი. იგი ეძებდა კონსულობას 63 წლისათვის, მაგრამ სენატის პარტიამ, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ციკერონის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, რომ ამრიგად სახალხო მოძრაობის სულისჩამდგმელი კატილინა თავიდან მოეშორებინა. შეთქმულებას ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა და დღედღე იყო მოსალოდნელი შეთქმულთა გამოსვლა. ასეთ დამაბულ ვითარებაში ციკერონი წარმოთქვამს სიტყვას სენატის წინაშე. კრება ინიშნება იუპიტერ სტატორის ტაძარში, სადაც გამოდის ციკერონი ზემოთმოყვანილი სიტყვით. სულ წარმოთქმული იყო კატილინას წინააღმდეგ ოთხი სიტყვა.

3. ქვეთარაძის მიერ თარგმნილია პირველი სიტყვა და მასთან ერთად მასვე უთარგმნია კატილინას სიტყვა ჭარისაღმი, რომელიც ამოღებულია სალუსტიუსის შიგნიდან „კატილინას შეთქმულების“ შესახებ. ამ სიტყვაში ჩანს კატილინას

შეუპოვრობა და პრინციპულობა და მისი ბრძოლის მიზანი, საზოგადოების დაბალი ფენების ინტერესთა დაცვა.

1 — პალატიუმი რომის ერთი ნაწილის სახელია. პალატიუმს განსაკუთრებული როლი მიენიჭა, რადგან მის მახლობლად მდებარეობდა ფორუმი, ხალხს შესაყრები ადგილი, სადაც თავმოყრილი იყო რომის საეკლესიო დაწესებულებანი. იგი რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავს ციცერონის სიტყვის ეს ადგილი.

2 — სხდომა მიმდინარეობდა იუპიტერ სტატორის (სტატორი — მფარველს, მცველს ნიშნავს) ტაძარში, 63 წლის 8 ნოემბერს, იმ მიზნით, რომ თავი დაეცვა კატილინასაგან მოსალოდნელი ექსცესებისგან.

3 — ტიბერიუს გრაჯიხი მოკლა პუბლიუს სციპიონმა. ტიბერიუსი სახალხო ტრიბუნად იყო არჩეული 133 წ. იგი ცდილობდა აღედგინა დემოსის უფლებები, ამ მიზნით მან გაატარა კიდევ აგრარული კანონი, რომლის მიხედვით დიდად უმჯობესდებოდა მცირე მიწა-წყლის მქონეთა მდგომარეობა. სწორედ ამის გამო იყო, რომ არისტოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა მოკლა ტიბერიუსი.

4 — სპურიუს მელიუსის მკვლელობა 439 წელს მოხდა ჩვენ წელთაღრიცხვამდე. სპურიუსი მხედართა წოდებიდან გამოსული შეძლებული კაცი იყო. დიდად შეეწია ხალხს შიმშილობის დროს — უფასოდ დაურიგა პური. ამ გულუხვობამ მას დიდი პატივი და ღირსება მოუპოვა. ამ გარემოებით შემფორთხებულმა დიქტატორმა ცინცინატმა განკარგულება ვასცა ცენოსანი ჯარის სარდალს სერვილიუსს შეპყრობილი მოეყვანა სპურიუსი. სპურიუსი არ დამორჩილდა ამ განკარგულებას და სერვილიუსმა მოკლა იგი.

5 — გაიუს გრაჯიხი ტიბერიუსის უმცროსი ძმა იყო. ისიც ძმასავით იბრძოდა დემოსის ინტერესების დასაცავად. მან იარაღით ხელში განიზრახა შებრძოლებოდა მისი მოწინააღმდეგე სენატის პარტიის წარმომადგენლებს, რომლებიც აბრკოლებდნენ მის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას და ამ შეტაკების დროს მოკლულ იქნა.

6 — მარკუს ფულვიუსი მოკლულ იქნა გაიუს გრაჯიხის მომხრეების მიერ მოწყობილი შეიარაღებული გამოსვლის დროს.

7 — აქ დასახელებული პირები: ლუციუს სატურნინი და გაიუს სერვილიუსი იყვნენ რომის დემოკრატიული წრეების დამცველნი, რომელთა მიზანი იყო უმიწაწყლო მოქალაქეთათვის სახელმწიფო მიწების მიზოპვა. როცა სენატის პარტიისათვის ცხადი შეიქნა, რომ დასახელებულ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობა საშიში შეიძლება გამხდარიყო, რადგან სერვილიუსი და სატურნინი შეიარაღებულ გლეხებს რომში მოუწოდებდნენ, მაშინ სენატის პარტიის მითითებით მარკუსი, რომელიც თუმც კი თანაუგრძნობდა მათ, იძულებული გახდა დაეხიოცა ისინი.

8 — ეტრურია იტალიის შუა ნაწილში მდებარეობს, მეტად ნაყოფიერი მხარე იყო. ეტრურიის ქალაქ ფეზულაში თავს იყრიდნენ კატილინას მომხრეები.

9 — გაიუს მანლიუსი კატილინას მომხრეთა სარდალი, წარჩინებული გვარი-შვილი, რომელი.

10 — პერნესტე ლაციუმის უძველესი ქალაქია, რომელიც რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა, რომელთა სააგარაკო ადგილად ითვლებოდა.

11 — აქ იგულისხმება შემდეგი გარემოება, რომელზედაც მიუთითებს სალუსტიუსი („კატილინას შეთქმულება“, თავი 15): „ესეც არ იყმარა, ბოლოს მან

შეიყვარა ავერეიო ორესტილა, რომელშიც სილაშაზის გარდა სხვას რასმე ვერც ერთი წესიერი ადამიანი ვერაფერს სიკეთეს იპოვიდა. რადგან მას არ სურდა შინ დახვედროდა მოზრდილი გერი და ამ მიზეზით არ მიპყვებოდა კატილინას ცოლად, მაშინ კატილინამ, და ამაში ყველა დარწმუნებულია, მოაყვლეინა საკუთარი შვილი და მით ამ სამარცხვინო ქორწინებისაქენ გზა გაიკაფა“.

12 — აქ ციკერონს მხედველობაში აქვს 66 წელს მომხდარი ამბები.

13 — ციკერონი გულისხმობს კატილინას მონაწილეობას სულას მიერ მოწყობილ რბევაში, რომელიც მიმართული იყო მარიუსის მომხრეთა წინააღმდეგ. ამ დროს, თუ დავუჭვრებთ სალუსტიუსს, კატილინას უნდა მოეკლა საკუთარი ძმა, შემდეგ სიძე და სხვები.

14 — კატილინა 67 წელს ყოფილა აფრიკის პროპრეტორად, ამ მოვალეობის შესრულების დროს კატილინას უნდა ჩაედინოს მრავალი უსამართლობა და ბოროტმოქმედებანი და მათ შორის მექრთამეობა.

15 — მაშინ, როდესაც რომში მოვიდა ცნობა მანლიუსის ჯანყის შესახებ, ახალგაზრდა პატრიციუსმა ლუციუს ემილიუს პაულემ ბრალდება აღძრა კატილინას მიმართ სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებაში, მაგრამ იმდენად დიდი იყო კატილინას ავტორიტეტი, რომ მან თვითონ შეიტანა წინადადება შინაურ პატიმრობაში აეყვანათ იგი. ამის შემდეგ კატილინა მიმართავს რამდენიმე პირს და მათ შორის თვით ციკერონსაც, მის სახლში მიეღო იგი როგორც პატიმარი.

კატილინას ამგვარმა საქციელმა კიდევ უფრო აღაშფოთა ციკერონი.

ამისდა მიუხედავად, კატილინა დაუბრკოლებლივ განაგრძობდა თავის საქმიანობას და როგორც თვით ციკერონის ამავე სიტყვიდან ჩანს, შეთქმულთა საიდუმლო კრებასაც კი იწვევს.

16 — მანლიუს ემილიუს ლეპიდუსი იყო ერთ-ერთი კონსულთაგანი 66 წ.

17 — ჩვენ არ ვიცით ნამდვილად ვინ იყო ეს მარკუს მეტელუსი. დასაშვებია დიონ კასიუსის მოსაზრება, რომლის მიხედვით მარკუს მეტელუსს პრეტორის თანამდებობა უნდა სქეროდა. როგორც ციკერონის სიტყვიდან ჩანს, იგი კატილინას თანამგრძობელი უნდა ყოფილიყო, რადგან იქ „დატყვევებული“ კატილინა თავისუფლად ესწრება შეთქმულთა კრებას ლეკას სახლში.

18 — ამ შემთხვევაში კატილინა ფანდს ხმარობს, რადგან მან კარგად იცის, რომ ციკერონს ამ საკითხის წამოჭრის უფლება არა აქვს. სენატი არ არის უფლებამოსილი რომის მოქალაქის გაძევების საკითხი გააჩიოს. ამგვარი განაჩენის გამოტანის უფლება აქვს ან სახალხო კრებას, ან სასამართლოს საგამომძიებლო კომისიას. როცა კატილინამ მოსთხოვა, „სენატის წინაშე დააყენე საკითხი“, მას უნდოდა ციკერონისათვის ებიძგებინა შეცდომაზე, რაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა კონსულს, მაგრამ არც ციკერონი გამოდგა გამოუცდელი, მან საკითხს მოხერხებულად შემოუარა: პირდაპირ არ დასვა საკითხი და საპასუხო რიტორიკული ფანდით მაინც მიადწია სენატორთა ჩუმ თანხმობას საკითხის მისდა სასურველად გადაწყვეტის შესახებ. როგორც ვიცით, კატილინამ დასტოვა რომი და ციკერონის მიზანი — შეთქმულების წინააღმდეგ ბრძოლა უმეთაუროდ დარჩენილ კატილინას მომხრეებთან გაადვილებოდა, მიღწეული აღმოჩნდა.

19 — პუბლიუს სექსტიუსს ეკირა ქვესტორის თანამდებობა.

20 — მარკუს მარცელუსი თერთმეტი წლის შემდეგ, სახელდობრ 51 წელს კონსულად იქნა არჩეული. მასაც ამ დროს ქვესტორის თანამდებობა უნდა სქე-

როლა. ციცერონი განგებ ასახელებს სულ ახალგაზრდა თანამდებობის პირთ, რომ ამით უფრო მეტად შეურაცხყოს კატილინა. აქაოდა, რის თქმასაც კბაუკებსაც კი ვერ გავუბედავდი, შენ ასე თამამად გეუბნებიო.

21 — ალაყაფის კარებამდე მიცილების ცერემონიას ცნობილ მხედართმთავართ უმართავდნენ ხოლმე. აქ ციცერონი დასცინის კატილინას.

22 — ციცერონი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ კატილინა არ აერჩიათ კონსულად. ამ მიზნით მან კატილინას მიერ შეთქმულთა საიდუმლო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა გამოაქვეყნა, ხოლო თვით არჩევნების დღეს გაძლიერებული დარაჯები გამოიყვანა და შით არჩევნებზე დაძაბული მდგომარეობა შექმნა. ყოველსავე ამას შედეგად არჩევნებში კატილინას გაშეკება მოჰყვა.

23 — ციცერონი იყო საშუალო მხედართა წრიდან გამოსული ადამიანი და თუ ის წინ წაეიდა სახელმწიფოებრივ თანამდებობათა ასპარეზზე, ამის მიზეზად ამ გარემოებას თვლიან: კატილინას შეთქმულებით შეშფოთებულმა ნობილიტეტმა გამოსავალი მასში ჰპოვა, რომ მხარი დაუჭირა ნაკლებად ცნობილ არაარისტოკრატიული წრის ადამიანს ციცერონს. კატილინას შეთქმულება რომ არა, ციცერონი კონსულობას ვერ ეღირსებოდა.

ბაიუს სალუსტიუს კრისპუსი

(86 — 85)

სალუსტიუსი დაიბადა საბინელთა მხარეს ქალაქ ამიტერანეში 86 წელს ჩ. წელთაღრიცხვამდე. თუმცა პლებეური ოჯახის შვილი იყო, მაგრამ კარგი განათლება მიიღო. კაბუჯობა მეტისმეტად თავაშეებულად გაატარა, იგი ადრე მოხვდა რომში და მიემხრო იულიუს კეისარის ეგრეთწოდებულ „სახალხო-პოპულარების“ პარტიას. იულიუს კეისარმა დაიახლოვა სალუსტიუსი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უჭერდა მხარს იულიუს კეისარს და ამის გამო პოლიტიკურ სარბიელზე მეტად წინ წავიდა. იყო სენატის წევრი; როცა იულიუს კეისარი რუბიკონზე გადავიდა, იგი ქვესტორად დაინიშნა; თუმცა ილირიაში მარცხი განიცადა, მაგრამ შემდეგ აფრიკის პროპრეტორად დაინიშნა. იულიუს კეისარის გამარჯვების შემდეგ იყო ნუმიდიის პროკონსულად, სადაც კარგა დიდი ქონება შეიძინა, რის გამოც პასუხისგებაში მიცემა მოუნდომეს, მაგრამ იულიუს კეისარმა იხსნა. იულიუსის სიკვდილის შემდეგ საქმეებს ჩამოშორდა და ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მან დაიწყო ისტორიის წერა. გარდაცვალების წელი არ არის ცნობილი. როგორც ჩანს, შედარებით ადრე უნდა გარდაცვლილიყო.

როგორც ისტორიკოსი, სალუსტიუსი თუქიდიდეს გავლენას იმჩნევს, თუმცა მისგან განსხვავებით უფრო მეტ ხალხურ ტენდენციას აშეკვნივს.

სალუსტიუსი, როგორც ისტორიკოსი, ფაქტების მიუდგომელ გადმოცემას ცდილობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ, თუმცა იგი თავს ესხმოდა კატილინას, მაგრამ კატილინას შესახებ ისეთ მსჯელობას წარმოგიდგინს, რომ ნათელი ხდება კატილინას პიროვნების ზოგიერთი თავისებურებანი.

სალუსტიუსი იყო ციცერონის პოლიტიკური მოწინააღმდეგე და ამიტომაც გასაგებია, თუ ზოგჯერ როგორის მიუდგომლობით აღწერს იგი ფაქტებს. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა კატილინას დახასიათება, მოცემული მისი ისტორიის უკანასკნელ თავში. სალუსტიუსი, თუმცა არც კატილინას არ ემხრობა (თვითონ იგი ხომ ზომიერ დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა), კატილინას შესახებ ცუდის თქმას თუმცა არ ერიდება, მაგრამ ამავე დროს არც იმას ფარავს, თუ რამდენად თავდადებული იყო კატილინა თავისი საქმისათვის. აი, ეს ადგილიც (სალუსტიუსი, „კატილინას აჯანყება“, თავი 60): „კატილინა თავისიანებისგან მოშორებით, მტრების ცხედრებში იპოვეს, ჯერ კიდევ ოღნავ სუნთქავდა და კიდევ შერჩენოდა ის სულის ზიმტიცე და მხნეობა, რომელიც მას სიცოცხლეშიც ახასიათებდა“.

სალუსტიუსის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „იუგურტას ომი“. აქ აღწერილია მარიუსის ომი ნუმიდიის მეფე იუგურტასთან. სალუსტიუსი, როგორც კვემპარიტ ხელოვანს შეჭფერის, გამოკვეთილად წარმოგვიხაავს ამ ომში მონაწილე პირებს მარიუსსა და იუგურტას. ამასთანავე ამხელს რომის ნობილიტეტის შექრთამეობას და პირადი სარგებლობისაკენ მიდრეკილებას.

ციერონისგან განსხვავებით, სალუსტიუსი მეტად ძუნწია სიტყვაზე, მისი სტილი ლაკონიურია და შემქმნლობელი. შეიძლება ითქვას, ეს გარემოება სალუსტიუსის ნაწერებს ანტიკურობის ელფერს ანიჭებს. თუმცა მისი სტილი, როგორც ვთქვით, შემქმნობელია, მაგრამ როდია თავისუფალი ერთგვარი ხელოვნობისაგან, ერთგვარი შტამპისაგან, უყვარს ინფინიტივიანი წინადადებანი, მოულოდნელი გადასვლა წინადადების შუაგულში ერთი კონსტრუქციიდან მეორეზე და სხვ.

აქ მოგვყავს პ. ქავთარაძის მიერ თარგმნილი სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ლუციუს კატილინამ სენატის მიერ მოგზავნილი ჭარბ წინააღმდეგ ბრძოლის წინ. ამ სიტყვაშიც აშკარად ჩანს კატილინას შეუდრეკელი მებრძოლი სული და რომის წარჩინებულთა ზიზღი.

კატლინას სიტყვა ჯარისადმი

1 — კატილინას უნდოდა ვალების ქვეყანაში ალობროგების ტომს შეერთებოდა, ამისათვის მის ჭარს უნდა გადაეღაბა აპენინის მთები, მისულიყო წინააღმდეგების გალიაში, ბოლოს თვით ალპებიც გადაეღაბა. მაგრამ ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა, როგორც თვით კატილინა ამბობს, მაშეელი ჭარის დროზე მოუსვლელობის გამო. კატილინა ცდილობს თავი იმართლოს ჭარის წინაშე, რომ თავის დროზე არ დაადგა ალობროგებში წასასვლელ გზას.

2 — ქალაქის მხრით (აქ ლაპარაკია ეტრურიის ქალაქ პიტორიაზე) მის წინააღმდეგ მოდიოდა ანტინოსის არმია.

3 — მეორე მხრიდან, ე. ი. ვალიის მხრიდან გზას უღობავდა ცელერის არმია.

4 — დაპყრობილ ხალხებს რომაელები სხვადასხვაგვარად ეპყრობოდნენ ხოლმე. ზოგ მიწებს აცხადებდნენ რომის სახელმწიფოს საკუთრებად. ამრიგად იქმნებოდა (*ager publicus*) საზოგადო მიწა. აქედან ზოგ მიწას რომის მოქალაქეებს ურიგებდნენ, ან აჭირავებდნენ და მისგან მიღებული ფული სახელმწიფოს სალაროში შედიოდა. ზოგ მათგანზე კი ისინი აარსებდნენ კოლონიებს, ე. ი. სამხედრო პირებს ასახლებდნენ ხოლმე. მათ ევალებოდათ სამსახური გაეწიათ პროვინციაში რომის ხელისუფლების გასამტკიცებლად. ისინი, ე. ი. კოლონისტები აქტიურად იყვნენ ჩაბმული რომის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და რომის კომიციებზე (არჩევნებზე) ლებულობდნენ მონაწილეობას.

ამ კოლონიების გვერდით არსებობდა აგრეთვე მუნიციპიები. მუნიციპიების მცხოვრებნი, თუგინდ უცხოელნიც ყოფილიყვნენ, რომის მოქალაქის უფლებებით სარგებლობდნენ. მუნიციპიებად ზოგჯერ მთელი ქალაქებიც აცხადებდნენ თავს. ეს გარემოება ხელს უწყობდა რომის მოქალაქეებს აღვილებზე დამატებულყოყნენ და მით რომის მსოფლიო სახელმწიფო გაეძლიერებინათ.

მ ვ ი ღ ი უ ს ი

(ძვ. წ. აღრ. 48 — 17 ახ. წ. აღრ. მიხედვით)

ავგუსტეს ხანის შესანიშნავი წარმომადგენელია პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (Publius Ovidius Naso). იგი დაიბადა მარტის 20-ს 43 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ოვიდიუსი თვითონვე გვაუწყებს თავის დაბადების დღის შესახებ:

დ რ ო რ ო მ შ ე ი ტ ყ ო და ბ ა დ ე ბ ი ს ე ს ი მ წ ე ლ ს მ ო ხ დ ა,
რ ო ს ბ ე დ ი ს წ ე რ ა მ ე რ თ დ ღ ე ს მ ო ს პ ო ო რ ი კ ო ნ ს უ ლ ი.
მართლაც, მარკუს ანტონიუსის წინააღმდეგ გალაშქრებული ორი კონსული ოვიდიუსის დაბადების დღეს დაიღუპა მუტინას გარემოცვის დროს და აქ მათთან ერთად ჩაესვენა კიდევ რესპუბლიკის მხეც.

პოეტის დაბადების ადგილი იყო სულმონი. მისმა მამამ, მხედართა წოდების პირმა, თავისი შვილები რომში გაგზავნა, რომ სათანადოდ აღეზარდა ისინი.

რომის სკოლებში ამ დროს გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული სასამართლო მკვერმეტყველება, რადგან პოლიტიკურ მკვერმეტყველებას საზღვარი დაუდო ავგუსტეს მიერ შემოღებულმა მკაცრმა რეჟიმმა.

მკვერმეტყველების მიმართ ძმები სხვადასხვაგვარად იყვნენ განწყობილნი. ოვიდიუსის ძმა, რომელიც ერთი წლით უფროსი ყოფილა, კარგად შეეწყა ამ საქმეს, ხოლო ოვიდიუსი უფრო მეტად პოეზიის მოყვარული გახლდათ. და, მართლაც, ამ გატაცებას საფუძვლად ჰქონდა გასაოცარი პოეტური ნიჭი, რომელიც მას ბავშვობიდანვე გამოაჩნდა. აქი ამას გვემოწმება თვითონ ოვიდიუსი:

თ ა ვ ი ს და თ ა ვ ა დ ლ ე ქ ს ი ს ზ ო მ ი თ და წ ყ ო ბ ი ლ ქ ა რ გა დ
ს უ ლ . ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ჩ ე მ გა ნ თ ქ მ უ ლ ი გ ა რ დ ი ქ მ ნ ე ბ ო დ ა *.

გვამცნებს ოვიდიუსი ავტოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში (Trist. IV. 10. 25).

სენეკა რიტორის მოწმობით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ოვიდიუსის საორატორო ვარჯიშობათა უშუალო მსმენელს, ოვიდიუსს არ ეხერხებოდა სასამართლო მკვერმეტყველება და იგი მკვერმეტყველების რჩევა-დარიგებით სახეობას უფრო ეწყობოდა. როგორც იგივე სენეკა გვამცნებს, მის სიტყვებს უეჭველი პოეტური ელფერი გადაჰკრავდა ხოლმე და ამიტომ მის მიერ წარმოთქმული უმაღლესი მხატვრული ნაწარმოები ყოფილა, ვიდრე საორატორო ხელოვნების ნიმუში.

საორატორო ხელოვნებაში ვარჯიშს ოვიდიუსის პოეტური შემოქმედებისათვის ერთგვარი კვალი დაუმჩნევია და გავლენა მოუხდენია მისი პოეტური სახის ჩამოყალიბებაზე.

* თარგმანი პ. ბერაძისა.

რომში ამ დროს გავრცელებული იყო ორგანო სტილი მკვერმეტყველებისა: კლასიკური და აზიანური. კლასიკური მკვერმეტყველების ნიმუშად მიაჩნდათ ლისია — ბერძენი ორატორი, რომელიც ცნობილი იყო სტილის სისადავითა და უბრალოებით. ხოლო აზიანური სტილი მოითხოვდა მეტ განცდას, აღმაფრენასა და ტემპერამენტს.

აი, ამ აზიანური — ეფექტური — სტილის წარმომადგენლად და მიმდევრად გვევლინება ოვიდიუსის მასწავლებელი ავრელიუს ფუქსი.

სასამართლო მკვერმეტყველების დარგში ვარჯიშის მიზნით სკოლაში ეწყობოდა კონტროვერსიები — კამათი მოგონილი პროცესის გარშემო. აქ საჭირო იყო სერიოზული, იურიდიული დასაბუთება, ხოლო სუაზორია — დარიგება, მოითხოვდა უფრო მეტად „გარძობებზე“ ზეგავლენის მოხდენას, და, აი, სწორედ ამ სუაზორიებისაკენ იყო უფრო მეტად მიმართული ოვიდიუსის გულისყური. აქ პოულობდა მომავალი პოეტი მის ბუნებასთან დაახლოებულ განწყობილებათა გამოვლინების შესაძლებლობას.

ამიტომაც არის, რომ საორატორო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ხერხებისა და თავისებურებათა იერი დაჰკრავს ოვიდიუსის პოემებს და, საერთოდ, მისი წერის მანერას.

ოვიდიუსს გარს ერტყა იმდროინდელ პოეტთა წრე — მარკუსი, პროპერციუსი, პორაციუსი. ოვიდიუსს ახლო მეგობრობა ჰქონია ტიბულუსთან. თვითონ ოვიდიუსი თავის თავს ტიბულუს მეგვიდრედ და სატრფიალო ელეგიის მეოთხე წარმომადგენლად აღხადებდა (Trist. IV. 10, 50 შემდ.).

ოვიდიუსის ძმა ოცი წლისა გარდაიცვალა და მამის ერთადერთ იმედად დარჩენილი ოვიდიუსი ცდილობდა მამის საამებლად სასამართლო მკვერმეტყველებისათვის ხელი არ შეეშვა. ამიტომაც იყო, რომ მან რამდენიმე სამსახურებრივი თანამდებობა გაიარა ამ დარგში: იყო სისხლის სამართლის საქმეთა ტრიუმვირად, სასამართლოს კოლეგიუმის წევრად, მაგრამ ვერ იქნა და ამ საქმეს საბოლოოდ ვერ შეეწყო. და ის-ის იყო მის წინაშე უკვე სენატის წევრად გახდომის პერსპექტივა ისახებოდა, როდესაც სამსახურებრივ სარბიელზე წინსვლას პოეტმა ხელი აუკრა და ისევ თავის საყვარელ პოეზიას მიეცა მთელი არსებით.

ასეთი იყო ოვიდიუსის პირველი ნაბიჯები ცხოვრების ასპარეზზე. მაგრამ სურათი ნათელი არ იქნება, თუ ვერ გავითვალისწინებთ მის წრეს, მის სურვილებსა და მისწრაფებას.

ოვიდიუსი ტრიალებდა მაღალი წრის ახალგაზრდებში. გარეგნობით ლამაზი პოეტი არ ყოფილა მოკლებული ქალთა საზოგადოების ყურადღებას და ამიტომაც მამამ, რომელსაც უნდოდა განერიდებინა შვილი მაღალი საზოგადოების თავისუფალი შეხედულებისაგან და ქცევისაგან, მოინდომა დროით მოენახა შვილისთვის ღირსეული მეუღლე, მაგრამ მამის არჩევანი ოვიდიუსს ჰკუთვნა არ დაჯდომია და პირველ ცოლს გაჰკრია, ვერც მეორეს შეგუებია, თუმცა ოვიდიუსი მის სასაყვედუროდ ვერაფერს ამბობს, ალბათ, იმიტომ, რომ ის მეორე მისი არჩეული ყოფილა. ერთი სიტყვით, პოეტი მესამედაც დაქორწინებულა და ეს ქორწინება კი ბოლომდე მტკიცე და დაურღვეველი აღმოჩნდა. ოვიდიუსი მეტად მალღიერი ჩანს მესამე მეუღლის, რომელმაც ნამდვილი მეგობრობა გაუწია მას და გაიზიარა ოვიდიუსის თავს სრულიად მოულოდნელად დატეხილი უბედურება — რომიდან გადასახლება.

ოვიდიუსის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსებიდან ვგებულობთ, რომ

ოვიდიუსს ჰყოლია ქალიშვილი, რომელსაც იგი ორჯერ გაუხდია პაპად, ამავე დროს მისი ასულიც არაერთხელ ყოფილა დაქორწინებული.

მაღალი წრის ახალგაზრდა რომში პოულობს იმას, რასაც ეძებს: თაყვანისცემას, წარმატებას... როგორც ვნახეთ, ოვიდიუსი უარს აცხადებს სამსახურებრივ დარგში წინსვლაზე, მით უმეტეს, რომ ძმის გარდაცვალების შემდეგ იგი ერთადერთ მემკვიდრედ დარჩა, მშობლებიც მოხუცებამდე მღვწეული დაეხობა და ამის შემდეგ საესკები; თავის ნებაზე მიშვებული ოვიდიუსი ღრმად ეფლობა მაშინდელი რომის ცხოვრებაში.

თავისუფალი მორალის იდეალიზაციას, რასაც ადგილი ჰქონდა მაშინდელი რომის მაღალ საზოგადოებაში, ზედ დაერთო კიდევ უფრო თამამი და მოურიდებელი ქადაგება თავისუფალი ტრფობისა, რომლის მეხობედ ოვიდიუსი თავის თავს თვლიდა:

ეს წიგნი გეტყვის ყოველივეს, შთამომავალო,
ვყოფილვარ ერთ დროს მგალობელი უნაზეს
ტრფობის.

ოვიდიუსი არცთუ ისე ხელგაშლით ცხოვრობდა. რომის მახლობლად აიშენა პატარა აგარაკი, რომელსაც გარშემო ერთყა ხეხილს ბლი, მაგრამ ყოველივე ეს მაინც ვერ ჩაითვლებოდა მაშინდელ რომში სიმდიდრის მაჩვენებლად. მიუხედავად ამისა, ოვიდიუსი დიდად სახელგანთქმული პოეტი იყო, სატრფიალო ლექსების მწერალი პოეტი, და ეს გარემოება უზრუნველყოფდა მისთვის მაღალ საზოგადოებაში სათანადო ადგილსა და პატივს.

ოვიდიუსის ადრინდელ ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ მისი ჰეროიდები. ჰეროიდები სატრფიალო შინაარსის წერილებია. ამ წერილების ავტორებად გვევლინებიან საგმირო ხანის ქალები, წერილები გამიზნულნი არიან საგმირო ხანის ქალების ქმრებისა თუ სატრფოებისათვის. ოვიდიუსი პოეზიის ამ დარგის შემოქმედად თავის თავს მიიჩნევს („სიყვარულის ხელოვნება“ III. 345—6). ამათგან აღსანიშნავია: პენელოპეს წერილი ულისესადმი, ბრიზეიდეს წერილი აქილეუსისადმი, ფედრასი — იპოლიტესადმი, დიდონასი — ენეოსისადმი (VII) და სხვ.

ჰეროიდების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ამ ნაწარმოებებში რამდენადმე შეეცირებულია ის სიდიადის შარავანდელი, რომელიც მოსავდა გმირულ ხანას და იმდროინდელ ქალებს. ამავე დროს ოვიდიუსი სცოდავს მკვერმეტყველების ხერხების ჰარბად გამოყენებით, თუმცა ზოგჯერ ეს რიტორიკული ადგილები არ არის მოკლებული შესაფერ მხატვრულობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოვიდიუსი ცდილობს თვითული წერილის ავტორი წარმოგვიდგინოს მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თვისებების მქონე ადამიანად.

ჰეროიდები, უსტარი პირველი

1 — ულისე — რომაელები ასე უწოდებდნენ ოდისეუსს, ტროას ომის შესანიშნავ გმირს.

2 — პენელოპე — ულისეს მეუღლე, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ელოდებოდა თავის ქმარს ოდისეუსს.

3 — ტ რ ა — ქალაქი მცირე აზიის სანაპიროზე, მის გარშემო მომხდარა ამბები საფუძვლად დაედო ტროას ციკლის თქმულებებს.

4 — პ რ ი ა მ ი — ტროელთა მეფე;

5 — 6 ლაპარაკია პრიამის ვაჟ პარისზე, რომელმაც მოიტაცა მენელაოსის შესანიშნავი მეუღლე — მშვენიერი ელენე.

7 — ჰ ე ქ ტ რ ი — ტროას მეფის პრიამის ვაჟი; ტროელთა მხედრობის მთავარსარდალი.

8 — ა ნ ტ ი ლ ო ქ ე — აქაელთა საუკეთესო მებრძოლი. ნესტორ-უხუცესი გმირის შვილი. იგი ეთიოპიის მეფე მემნონთან ბრძოლაში დაეცა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ ანტილოქე გამოეხარჩლა მის მოხუც მამას ნესტორს მაშინ, როდესაც მას მემნონისგან მიუცილებელი სიკვდილი მოელოდა. ამიტომაც ანტილოქე მამაშვილური სიყვარულის მაგალითად ითვლებოდა.

9 — მ ე ნ ე ტ ი ა დ ე — პატროკლეა. მის მამას მენოეთოს ერქვა. პატროკლე იყო აქილევსის გულითადი მეგობარი. ამ ადგილას ლაპარაკია იმ საჭურველზე, რომელიც აქილევსმა მისცა პატროკლეს. ოვიდიუსს უნდა თქვას, რომ უძლეველი აქილევსის ნათხოვარმა საჭურველმაც სიკვდილისგან ვერ იხსნა პატროკლე.

10 — 11 — ტელეპოლემოსი იყო ჰერაკლეს ძე. იგი მოკლა ტროასთან ბრძოლაში ლიკიის მეფე სარპედონმა.

12 — ა ქ ა ვ ე ლ ე ბ ი — ბერძენთა ტომის სახელია. აქველები გვერდით ჰომეროსი ხმარობს არგოსელებს, ერთიცა და მეორეც ჰომეროსთან და შემდეგაც ერთს რომელსამე ტომს კი არ აღნიშნავს, არამედ საერთოდ ბერძნებს. ასე რომ, ორივე ეს ტერმინი ზოგადად ბერძენთა აღმნიშვნელ ტერმინად გვევლინება.

13 — აქ ღვინით სუფრაზე წერა იგულისხმება. ასეთივე ღვინით სუფრაზე წერის მაგალითი გვაქვს იმავე ოვიდიუსთან ელენეს პარისთან მიწერილ წერილში. იქ ელენე მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ პარისმა ნადიმის დროს როგორ დაწერა ღვინით სუფრაზე ელენეს სახელი და მის ქვემოდ მიაწერა „მიყვარს“, მერე დაანახვა ელენეს.

14 — 15 — სიმონის მდინარე სკამანდრეს შენაკადია. სკამანდრე ანუ ქსანთე იყო მდინარე, რომელიც ტროას ჩამოუღიოდა. სკამანდრეს მიერ შექმნილი ველი ვრცელდებოდა სიგეუმის კონცხიდან დასავლეთით.

16 — აქ მთარგმნელის დაწერილი „ეაქოსის ვაჟი“ — არ იქნებოდა სავსებით ზუსტი თარგმანი. ორიგინალში ოვიდიუსთან ნათქვამია ვაქიდზე, ე. ი. ეაქოსის შთამომავალზე, მართლაცდა ეაქოსი იყო პელეოსის — აქილევსის მამის მამა. ასე რომ, ეაკე აქილევსის პაპაა და არა მამა. ამიტომ ჩვენ თარგმანი ასე შევასწორეთ „პელეოსისა ვაჟი“.

17 — ნესტორი იყო ელადის უძველესი გმირი, პილოსის მბრძანებელი, მონაწილეობა მიუღია მრავალ საგმირო საქმეში და მათ შორის არგონავტების დაშქრობაშიც. მოხუცობაში, როცა იგი მესამე თაობაზე მეფობდა, წავიდა ტროას სალაშქროდ. სიბრძნით გამოირჩეოდა, მოხუცობის მიუხედავად ბრძოლაში სიმამაცესა და ქველობას იჩენდა, ტროას დარღვევის შემდეგ იგი მშვიდობით დაბრუნდა თავის პილოსში და კიდევ ღიბნანს მშვიდად მეფობდა.

18 — აქ მითითებულია ილიადის მეათე სიმღერის ამბები: გმირები დასაზვერავად მიდიან, გზად შეიპყრობენ ტროელთა ჭაშუშს დოლონს. ოდისეესი დასტულებს მას საჭირო ცნობებს. ამის შემდეგ დასაზვერად მიმავალი გმირები

ჰკლავენ დოლონს, თავს დაესხმიან თანახმად დოლონისგან მიღებული ცნობისა ტროელთა ახლად მოსულ მოკავშირე მეფე რეზეს ბანაკს, თვით მეფეს ჰკლავენ, ხოლო მის შესანიშნავ ცხენებს წაასხამენ.

19 — თ რ ა კ ი ე ლ თ ბ ა ნ ა კ ს — რეზე იყო თრაკიელთა მეფე.

20 — ი ს მ ა რ ი — ქალაქია თრაკიაში, იგი კიკონელთა ქალაქად არის მოხსენიებული ჰომეროსთან.

21 — ი ლ ი ო ნ ი — ტროას მეორე სახელია.

22 — პ ე რ გ ა მ ი — ტროას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ციხე-სიმაგრე, სადაც იყო აღმართული პრიამისა, ჰექტორისა და პარისის სასახლეები.

23 — დ უ ლ ი ქ ი ო ს ი, ს ა მ ა და ძ ა კ ი ნ თ ო ს ი — ითაკის მეზობლად მდებარე კუნძულებია, მხოლოდ ძაკინთოსის სახელი აქვს შენარჩუნებული უწინდელ კუნძულს, ხოლო დანარჩენი კუნძულებისა და თვით ითაკას ადგილმდებარეობა სადავოდ რჩება.

24 — აქ ჩამოთვლილია პენელოპეს სასიძოვები. მედონტი მათ შორის შეცდომითაა დასახელებული. იგი იყო გზირი, სამართლიანი პიროვნება, ამიტომაც მას არ დაუმსახურებია ოდისევსის რისხვა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პეტრე ქავთარაძე (მოკლე ბიოგრაფიული ცნობა) — გ. ქიქოძე

5

ბერძენი ავტორები

ს ო ფ ო კ ლ ე	11
✓ ოიდიპოს მეფე .	11
Υ ანტიგონე	67
ლ ი ს ი ა	
სიტყვა ერატოსთენეს მკვლელობის გამო	112
ჰ ლ ა ტ ო ნ ი	
სოკრატეს აპოლოგია	121
კრიტონი (კრიტონისა და სოკრატეს დიალოგი)	159

რომაელი ავტორები

. ც ი ც ე რ ო ნ ი	167
სექსტუს როსციუს ამერიელის დაცვა (სიტყვის შესავალი)	167
პირველი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ .	177
ს ა ლ უ ს ტ ი უ ს ი	
კატილინას სიტყვა ჭარისაღმი	191
ო ვ ი დ ი უ ს ი	193

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

					99
გვერ- დი	ს ტ რ ი კ ო ნ ი				14
	ზემოდან	ქვემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს	16
105	13		ღიადი თებე.	ღიადი თებე შეგამკობს ხობბით როს გამოჩნდები მის ჭუჩაბანძში	23
200		10	აქ კმნიან	არ კმნიან	25
213	13		გოდება	დაკითხვა	35
217		9	ანის	პანის	38
222	2		არისტოტელე	არისტოკლე	39
					40
					44
					45

ოვიდიუსი (მისივე)

246

ჰეროდები, უსტარი პირველი (მისივე)

248

251

Петр Иванович Кавтарадзе

Переводы

**(Греческие и римские авторы
на грузинском языке)**

**Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1962**

**გამომცემლობის რედაქტორი ლ. ელიოზიშვილი
მხატვარი ოთ. ჭიშკარიანი
მხატვრული რედაქტორი ლ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი ეთ. ტრიპოლსკაია**

**ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV-62 წ.
ქილალის ზომა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი
15,75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,38.
სავეტრო თაბახი 13. ტირაჟი 7.000. შეკვ. № 763.
ფასი 1 მან.**

**საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფიკულ-გამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.**

**1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.**